ლ. ლ. ფასიერბაუმ

ადამიანის ფსიქიკის იდუმალი მოვლენები

გამომცემლობა
„საბჭოთა საქართველო“
თბილისი
1966

5 А2·2 + 25
612·821 + 25
З 228

მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის პროფესორ ლ. ლ. ვასილიევის წიგნი მიზნად ისახავს იმ ცრურწმენათა მხილებას, რომელთაც ნერვულ-ფსიქიკური ხასიათის ზოგიერთი „იდუმალი" მოვლენის გულუბრყვილო, ობივატელური გაგება წარმოშობს. წიგნში უამრავი საინტერესო მაგალითია მოყვანილი. ავტორი მიმზიდველად მოგვითხრობს ძილსა და არაჩვეულებრივ სიზმრებზე, ჰიპნოზსა და თვითშთაგონებაზე, „აზრთა წაკითხვისა" და მანძილზე გადაცემის შესახებ, აგრეთვე სიკვდილზე და ცხოველთა თუ ადამიანთა გაცოცხლების ცდებზე. წიგნი მეტყველებს მატერიალისტური მსოფლმხედველობით აღჭურვილი ნამდვილი მეცნიერების უდიდეს ძალაზე, რომელიც ცრუმორწმუნეობასა. და რელიგიასთან ბრძოლაში ნაბიჯ-ნაბიჯ აღრმავებს ჩვენს ცოდნას ადამიანის ფსიქიკის ბუნებაზე.

თარგმანი

ბეჟან სიხარულიძისა

1—5—8

18—66 ადგ.

I

ფსიქიკის იდუმალი მოვლენები, როგორც ცრურწმენათა წყარო

წარსულში, როდესაც მეცნიერება ბუნებასა და ადამიანზე ჯერ კიდევ ყრმობის ასაკში იმყოფებოდა, ყოველი განსაკუთრებული მოვლენა ადამიანებს უცნაური საიდუმლოებით მოცული ეჩვენებოდათ, ცრუმორწმუნეობასა და ცრუ აზრებს ბადებდა. ადამიანი მეტად უმწეოდ გრძნობდა თავს იდუმალებითა და სასწაულებით აღსავსე ბუნების წიაღში. მზისა და მთვარის დაბნელება, კომეტები, მეტეორები, ძლიერი ქარიშხლები — თავიანთი არაჩვეულებრიობით თავზარდამცემი ყველა ეს კოსმოსური და მეტეოროლოგიური მოვლენა მომავალი ომების, შიმშილობის, საყოველთაო ხოცვა-ჟლეტის და ხალხთა სხვა უბედურების მაუწყებლად მიაჩნდათ.

კლასობრივ საზოგადოებაში ეს შიში კიდევ იმით ღრმავდება, რომ მშრომელი ადამიანი განიცდის ჩაგვრას მმართველი კლასების მხრივ, მას ისე ეპყრობიან, როგორც ნივთს და მისი სიცოცხლე ყოველ წუთს შეუძლიათ გასწირონ დამპყრობ-ფეოდალთა თუ ექსპლუატატორ-კაპიტალისტთა ანგარებითი მიზნებისათვის. ადამიანთა საზოგადოებრივი განვითარების კანონთა უცოდინარობა განამტკიცებს შიშს ბუნების გაურკვეველი მოვლენების წინაშე და ცრუმორწმუნეობას ხალხთა მასების სულიერი დამონების საშუალებად აქცევს.

ცრურწმენათა სხვა წყაროს წარმოადგენენ მრისხანე ან გაურკვეველი ხასიათის ბიოლოგიური მოვლენები. ყვავილის, ქოლერის, შავი ჭირის ეპიდემიები და სხვა მოარული სნეულებანი, რომლებიც ძველად სახელმწიფოს მთელ მოსახლეობას ანადგურებდა, განრისხებული ღმერთის მიერ მოვლენილ სასჯელად, ეშმაკის მზაკვრობად ან ჯადოქართა და გრძნეულთა ჯა-

დოსნობად მიაჩნდათ. სულიერი დაავადებანი, რომლებიც ზოგჯერ „ფსიქიკური ეპიდემიების“ ხასიათს ატარებდა, აიხსნებოდა როგორც ავი სულით შეპყრობა, შმაგობა, თვალისცემა, „გათვალვა“, მაგიური ოპერაციების შედეგი. დაახლოებითი გაანგარიშებით, საშუალო საუკუნეებში კოცონებზე და წამებისაგან დაიღუპა ცხრა მილიონამდე ადამიანი, რომელთაც ეშმაკთან ურთიერთობა დასწამეს. ინკვიზიციის უკანასკნელი კოცონი, რომელმაც „კუდიანი“ დაწვა, ესპანეთში 1780 წელს ჩაქრა.

ამ ოდესღაც ავბედით ცრურწმენათა გამოძახილი ჩვენს ქვეყანაში დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე იყო შემორჩენილი ქადაგად დაცემის, ექიმბაშობის, შელოცვების, სხვადასხვა ნიშნებისა და ამულეტებისადმი რწმენის, ბედის რწმენისა („დაბადებით ვის რა ბედი დაჰყვა“) და სხვათა სახით.

ჩვენს დროშიც გამოჩნდება ხოლმე გაზეთის ფურცლებზე ცნობები ხალხის ცრუმორწმუნეობის ამა თუ იმ ნაირსახეობის ცალკეული გამოვლინებების შესახებ. მაგალითად, გაზეთები იუწყებოდნენ, თუ როგორ საქმიანობდა „ჯადოსნის“ სახელის გამოყენებით ქალაქ ორსკში ვინმე თამარ პეტრეს ასული, რომელიც ექიმბაშური ხერხებით თვალისცემისაგან მკურნალობდა ახალგაზრდა ქალიშვილებს და სტყუებდა მათ ფულსა და ნივთებს [1]. ჩემთვის ცნობილია მსგავსი შემთხვევა, რომელიც მოხდა ამას წინათ ისეთ კულტურულ ცენტრში, როგორიც ლენინგრადია.

აი, კიდევ ბრმა რწმენის ერთი მაგალითი, რომელიც თავისი ხასიათით ძალიან ახლო დგას ურჯუკობასთან: ორი შვილის დედა ქმარმა მიატოვა. ქალს იმედი ჰქონდა, რომ „წმინდა“ ტბის ირგვლივ მუხლებზე ცოცვითა და „ღვთის წყალობით“ ქმარს უკან დაიბრუნებდა. როდესაც ეს ქალი საავადმყოფოში მიიყვანეს, იგი ფეხზე ძლივს იდგა, მუხლები დახეთქილი და დასისხლიანებული ჰქონდა [2].

მარქსისტულ-ლენინურმა ფილოსოფიამ ცხადყო, რომ

---

[1] იხ. 1958 წ. 24 დეკემბრის „კომსომოლსკაია პრავდა“.

[2] იხ. 1958 წლის „ზვეზდა“, № 12.

ცრუმორწმუნეობისა და ცრუ შეხედულებათა წყაროა არა მარტო ის, რომ ადამიანებს არ ესმით ბუნების ჭეშმარიტი კანონები, არა მარტო მასების სიბნელე და სიღატაკე, რომელთაც კაპიტალისტური ექსპლოატაცია წარმოშობს. კაპიტალისტური წარმოების ანარქია თავისთავად ბადებს ადამიანის უმწეობის გრძნობას, მისგან განკერძოებული საზოგადოებრივი განვითარების ძალების წინაშე, და ეს გრძნობა უბიძგებს სინამდვილის მისტიკური აღქმისაკენ.

კ. მარქსისა და ფ. ენგელსის უდიდესი მეცნიერული ღვაწლი, კერძოდ, იმაშიც მდგომარეობს, რომ, აღმოაჩინეს რა ადამიანთა საზოგადოების განვითარების ჭეშმარიტი კანონები, ამით წინაპირობა შექმნეს ამ დარგში რელიგიურ-მისტიკური ცრურწმენების ლიკვიდაციისათვის.

საბჭოთა კავშირში ცრუმორწმუნეობას შეურიგებელი ომი აქვს გამოცხადებული. მთელ ჩვენს საზოგადოებრივ წყობილებას, მასებში პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გეგმაზომიერ, ყოველდღიურ გავრცელებას, ბუნებაზე, ადამიანსა და საზოგადოებაზე ცრუმეცნიერულ შეხედულებათა საბოლოო აღმოფხვრამდე მივყავართ. ჩვენში ძალიან ბევრი ცრუ აზრისა და ცრურწმენის წყარო შეიძლება ითქვას უკვე დაიშრიტა. რომელი საბჭოთა მოქალაქე ანიჭებს მისტიკურ მნიშვნელობას, მაგალითად. ისეთ მოვლენებს, როგორიცაა მზის დაბნელება, ან გრიპის ეპიდემია!

მაგრამ ცრუმორწმუნეობასთან იდეოლოგიური ბრძოლის ფრონტზე მაინც რჩება უბანი. რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს, ჩვენ მხედველობაში გვაქვს ცრურწმენანი, რომელთაც ზოგიერთი რეალურად არსებული ნერვულ-ფსიქიკური ხასიათის მოვლენები წარმოშობენ.

ეს მოვლენები უმთავრესად გონების ბინდისებური მდგომარეობისა და სხვადასხვა ავტომატური მოძრაობის სფეროს მიეკუთვნებიან. ზოგი მათგანი ფრიად ჩვეულებრივია ან საკმაოდ ხშირად გვხვდება, მაგალითად, სიზმრები, თვითშთაგონების სხვადასხვაგვარი გამოვლინება და შთაგონება სიფხიზლის მდგომარეობაში. სხვები, პირიქით, იშვიათია, მაგრამ მით უფრო ძლიერად მოქმედებს წარმოსახვაზე. მათ მიეკუთვნება ჰალუცინაციები, სხვადასხვა სახის ჰიპნოზური ძილის შემთხ-

ნევები და ზოგიერთი სხვა ფსიქოპათოლოგიური მოვლენა, რაც უმეტესად იმ პირებში გვხვდება, რომლებსაც მეტ-ნაკლებად აქვთ ისტერიული მოვლენები.

ამჟამად საზღვარგარეთის ქვეყნებში საკმაოდ ფართო გავრცელება ჰპოვა მეცნიერული აზროვნების თავისებურმა მიმართულებამ პარაფსიქოლოგიის ან მეტაფსიქოლოგიის სახელწოდებით [1]. იგი მიზნად ისახავს დაკვირვებებითა და სპეციალური ექსპერიმენტებით დაადასტუროს ან საბოლოოდ უარყოს ზოგიერთი იშვიათი და წარმოუდგენელი ფსიქიკური, უფრო კი ფსიქოფიზიოლოგიური მოვლენების არსებობა. ასეთია: სხვა პიროვნების ფსიქიკურ განცდათა აღქმა, რომელიც მეტყველებისა და გრძნობის რაიმე ორგანოების გარეშე წარმოებს (ეგრეთ წოდებული აზრისა ან გრძნობის უშუალო გადაცემა, სხვანაირად — ტელეპატია); ნივთებისა და მოვლენების აღქმა ჩვენთვის ცნობილი გრძნობის ორგანოების გარეშე (მგრძნობელობის გარეშე აღქმა [2], ტელესთეზია, ძველებურად — ნათელხედვა); კუნთის შეკუმშვით წარმოშობილი ძალის მანძილზე გადაცემა და ცოცხალ და არაცოცხალ სხეულზე მისი მექანიკური ზემოქმედება (ეგრეთ წოდებული ტელეკინეზი [3]).

---

[1] ბერძნული წინსართებით „პარა" (თან) ან „მეტა" (შემდეგ) ხაზი ესმება იმ გარემოებას, რომ პარაფსიქიკური (მეტაფსიქიკური) მოვლენები ტრადიციული ფსიქოლოგიის თვალთახედვის ფარგლებს სცილდება. შემოკლებით ეს „პარანორმალური" ფსიქიკური მოვლენები აღინიშნება ბერძნული ასოთი ψ (psi).

[2] ინგლისურად Extra-Sensory Perception, შემოკლებით E. S. P.

[3] ჯეროვანი უნდა მიეუზღოთ ფრანგ მეცნიერებს, რომლებიც ამ მოვლენათა გამოკვლევებს აწარმოებენ. ეხებიან რა თითქოსდა დაუჯერებელ ფაქტებს, ისინი ბუნების მეცნიერულ ნიადაგს არ წყდებიან. ეს ეხება შარლ რიშესაც, რომელმაც 1921 წელს პარაფსიქოლოგიის საკითხებზე პირველი ცნობა გამოაქვეყნა (Ch. Richet. Traite de Metapsychique. Paris, 1921). და მისი მიმდევრების — ე. ოსტის, ჟ. რუს, რ. ბარკოლიეს, რ. ხერუმიანის და რობერტ ამადუს მიერ დაწერილ უკანასკნელ ფრანგულ პარაფსიქოლოგიურ მონაცემთა ცნობასაც (R. Amadou. La Parapsychologie. Essai historique et critique.. Paris, 1954). სამწუხაროდ, ეს არ ითქმის ბევრ ინგლისელ და ამერიკელ პარაფსიქოლოგზე, რომლებიც ხშირად პარაფსიქოლოგიურ გამოკვლევებს თავიანთ იდეალისტურ ფილოსოფიურ მრწამსსა და რელიგიურ რწმენას ურევენ. ამ მხრივ სცოდავდნენ კიდევ პარაფსიქოლოგიის

მატერიალისტებმა არ უნდა უგულვებელყონ ან აპრიორულად არ უნდა უარყონ ყველაფერი, რაც პარაფსიქიკურ მოვლენებს ეხება, თუმცა იგი ცუდად ეხამება და არ ეთანხმება იმას, რასაც დღესდღეობით მეცნიერებაში საყოველთაოდ აღიარებულად თვლიან. ამ მოვლენების მოთმინებით, ექსპერიმენტალურად შემოწმებაზე უარის თქმა ნიშნავს ამ საშუალებების იდიალისტებისათვის დათმობას და ცრურწმენათა დამკვიდრების ხელის შეწყობას [1].

მაგრამ ხალხის ცრუმორწმუნეობისა და რელიგიური რწმენის უმთავრესი წყარო ყოველთვის იყო და კვლავაც რჩება ადამიანის გონების ისეთი შემაძრწუნებელი მოვლენა, როგორიც ანის სიკვდილი. სიკვდილის შიშმა, ახლობელი ძვირფასი ადამიანების გარდაცვალებით გამოწვეულმა დიდმა მწუხარებამ წარმოშვეს რელიგიის ერთ-ერთი ძირითადი დასაყრდენი, — რწმენა სულის უკვდავებისა ან სხვა ცოცხალ არსებებში მისი თანმიმდევრული გარდასახვისა, აგრეთვე პიროვნების სიკვდილის შემდგომი ნაშთის (რომელსაც ძალუძს თავის შესახებ ამცნოს ცოცხალ ადამიანებს) თუნდაც დროებითი არსებობისა.

რევოლუციამდელ დროში ჩვენ მიერ ჩამოთვლილი მოვლენები რელიგიური და ხალხური რწმენის მომასწავებელი ნიშნების, მკითხაობის, მაგიური ხერხებით მკურნალობისა და შელოცვების დაუშრეტელ წყაროს წარმოადგენდა. საზოგადოების უფრო განათლებულ ფენებში იგივე მოვლენები სხვადასხვაგვარ მეცნიერულობის პრეტენზიის მქონე — ცხოველური მაგნეტიზმის, მედიუმიზმის, სპირიტიზმისა და მათ მსგავს, ოკულტურ (საიდუმლო) „მოძღვრებებს“ წარმოშობდნენ. უნდა

ინგლის-ამერიკელი ფუძემდებლები — ვ. ბარეტი, ფ. მაიერისი, ვ. კრუკსი, ჯ. ჯემსი. ასე ხდებოდა შემდგომშიც.

[1] „ადამიანის ფსიქიკის საიდუმლო მოვლენათა“ პირველ გამოცემაში, თავში „არსებობს თუ არა ტკინის რადიო?“ მე მხოლოდ შევეხე პარაფსიქოლოგიურ მონაცემებს. ამ წიგნის მეორე გამოცემაში, რომელსაც გთავაზობთ, სასარგებლოდ მიმაჩნია დაეუმატო ორი ახალი თავი ზოგიერთი საყურადღებო მონაცემით ფსიქოლოგიის ამ დარგიდან. ამ მონაცემებიდან რა იქნება უკუგდებული, როგორც დაკვირვების დროს დაშვებული შეცდომა და გონების ცდომილება, მომავალი გვიჩვენებს.

ვაღიარეთ, რომ წარსულის მემკვიდრეობის ეს ნაშთები ჯერ კიდევ იჩენენ თავს.

ხალხურ და „მეცნიერულ“ ცრურწმენებთან ბრძოლა არ შეიძლება და არც უნდა ტარდებოდეს ანტირელიგიური პროპაგანდისაგან მოწყვეტით. სანამ რელიგია არსებობს, ზოგიერთი ადამიანის გონებაშიც მალულად იარსებებენ და დროგამოშვებით კვლავ გაცოცხლდებიან მეცნიერების მიღწევებთან შეუთავსებელი ცრუმორწმუნეობრივი წარმოდგენები.

ჩვენი ამოცანაა, იდუმალების შარავანდედი მოვაცილოთ მოვლენებს, რომლებიც ცრურწმენებს წარმოშობენ, მეცნიერულად ავხსნათ ისინი. თავის ტვინისა და უმაღლესი ნერვული მოქმედების ფიზიოლოგიის დარგში ი. მ. სეჩენოვისა და ი. პ. პავლოვის უდიდესი აღმოჩენები, განსაკუთრებით კი მატერიალისტური ფსიქოლოგიისა და ფსიქოპათოლოგიის მონაცემებით შევსებული პავლოვისეული მოძღვრება ძილსა და სიზმრებზე, ჰიპნოზსა და შთაგონებაზე ჩინებულად გვაიარაღებენ ცრუმორწმუნეობასთან საბრძოლველად. ამავე მიზანს ემსახურება მედიცინის ერთ-ერთი ახალი დარგის — ტანატოლოგიის მიღწევები. ეს მეცნიერება სწავლობს ცოცხალ არსებათა, მათ შორის ადამიანის კვდომის პროცესებს და გაცოცხლების შესაძლებლობებს.

II

ძილი და სიზმარი

ძველ დროში სიზმარი ღვთაებრივ გამოცხადებად მიაჩნდათ. ხალხს სწამდა, რომ კეთილსა და ავ სულებს შეუძლიათ შესახლდნენ მძინარის სხეულში და სიზმრის მეშვეობით ამცნონ მას სხვადასხვა ამბები, დაიყოლიონ ამა თუ იმ საქციელზე, აუწყონ მოსალოდნელი მოვლენები. მაგრამ ჯერ კიდევ მაშინ შეამჩნიეს, რომ ღმერთები და სულები სიზმარში გაურკვეველ, ზოგჯერ სიმბოლურ გამოთქმებს ამჯობინებენ და მისი საიდუმლო მნიშვნელობის ახსნას თვით ადამიანებს ანდობენ. ეს იოლ საქმედ როდი ითვლებოდა და მხოლოდ ქურუმებისა თუ სიზმრების პროფესიონალური ამხსნელებისათვის იყო მისაწვდომი.

სიზმრებზე ასეთი შეხედულება ანიმისტიკურ თვალსაზრისთან იყო დაკავშირებული (ლათინური სიტყვიდან anima — სული). ფიქრობდნენ, რომ ძილის დროს სული დროებით შეიძლება გამოეყოს სხეულს, გადაადგილდეს სივრცეში, გადაიქროლოს წარსულში თუ მომავალში, თანაც სხეულთან ნაწილობრივი კავშირიც შეინარჩუნოს. ხეტიალისას სული სხვადასხვა შთაბეჭდილებებს იძენს; ამ შთაბეჭდილებებს მძინარე აღიქვამს როგორც სიზმარს, როგორც არნახული ქვეყნების სურათებს, როგორც უცნობი ნივთებისა და ნაცნობი თუ უცნობი სახეების — ცოცხლებისა ან მკვდრების — გამოსახულებებს.

დროთა მსვლელობაში ეს წარმოდგენა შეივსო სხვა, უფრო სრულყოფილი, მაგრამ ასევე გულუბრყვილო შეხედულებით: ძილის დროს სული სხეულს არ ტოვებს, სამაგიეროდ მძინარეში აღიძრება სიფხიზლის დროს დაფარული ფსიქიკური შესაძლებლობანი, მათ შორის მთავარია — ნათელხედვა, მომავლის წინასწარგანჭვრეტისა და შორ მანძილზე მიმდინარე მოვ-

ლენების შეტყობის უნარი. ერთსაც და მეორესაც მძინარე აღიქვამს საიდუმლო წესით გრძნობის ორგანოთა მონაწილეობის გარეშე და მას როგორც სიზმარს, ისე განიცდის.

ასეთმა წარმოდგენებმა ჯერ კიდევ ძველ დროში წარმოშვა სიზმრებზე მკითხაობის განსაკუთრებული სახე „ონეირომანტია". ჩვენი წელთაღრიცხვის II საუკუნეში დალდისელმა ბერძენმა ვინმე არტემიდორმა, პირველი „სიზმრის წიგნი" — სიზმრების ახსნის წესების კრებული გამოაქვეყნა. აი, ამ ხელოვნების ნიმუში, აღებული მისი წიგნიდან: „უკეთუ ხელოსანი ხედავს, რომ მრავალი ხელი აქვს, ეს კარგის მომასწავებელია: მას ყოველთვის სამყოფი სამუშაოები ექნება. სიზმარი ნიშნავს, რომ მას ბევრი ხელი დასჭირდება. გარდა ამისა, ამ სიზმარს კარგი მნიშვნელობა აქვს იმათთვის, ვინც ბეჯითია და წესიერ ცხოვრებას ეწევა. მე ხშირად შემიმჩნევია, რომ იგი ბავშვების, მონებისა და ქონების მატებას ნიშნავს. თაღლითებისათვის, პირიქით, ასეთი სიზმარი ციხეს მოასწავებს და მიუთითებს, რომ მრავალი ხელი ჩაეჭიდება მათ".

საშუალო საუკუნეებში სიზმრების ახსნა-განმარტების სარბიელზე ბევრი ფილოსოფოსი და ექიმიც კი გამოდიოდა. მათ შორის განსაკუთრებული ავტორიტეტით სარგებლობდა ექიმი კარდანუსი (XVI ს.). ამგვარი კრებულების მომდევნო შემდგენლები მის განმარტებებს თითქმის XX საუკუნემდე იწერდნენ. სიზმრის სხვადასხვა კრებულების შედარებისას ადვილი შესამჩნევია, რომ ერთი და იგივე სიზმარი სხვადასხვა დროს სხვადასხვანაირად აიხსნებოდა.

კვლავ უნდა გავიხსენოთ სიზმრებთან დაკავშირებული ხალხური ნიშნები. ამ ნიშნების უმრავლესობა წმინდა წყლის სისულელეა, მაგრამ ზოგი მათგანი არ არის მოკლებული გარკვეულ ხალხურ სიბრძნესა და დამკვირვებლობას. აი, რას ამბობდა ამის შესახებ გამოჩენილი რუსი ფიზიოლოგი ნ. ე. ვედენსკი, რომელიც ზოგიერთ ხალხურ ნიშანში ფარულ მნიშვნელობას ხედავდა.

„საყურადღებოა, რომ რაც უფრო ღრმა არის ძილი, მით უფრო ცხოვრების ადრეული ხანიდან მოდიან ასოციაციები და შთაბეჭდილებანი. თითქოს ზერელე ძილის დროს მოგონებათა მხოლოდ ზედაპირული ფენები ამოტივტივდება, ხოლო ღრმა

ძილისას კი უფრო შორეული, დიდი ხნის წინათ განცდილი შთაბეჭდილებანი ცოცხლდებიან. ჩვენს გლეხებს შექმნილი აქვთ ცრურწმენა, რომ უკეთუ დიდი ხნის მკვდარი მშობლები დაესიზმრებათ, ეს ცუდი ამინდის მომასწავებელი ნიშანია; ამაში მართლაც გარკვეული აზრია, რადგან ცუდი ამინდის წინ ჩვეულებრივად უფრო ღრმა ძილის განწყობილება იქმნება და ამიტომ სიზმარიც უფრო შორეული, დიდიხნის წინათ განცდილი სახეების ანარეკლია" [1].

სიზმრების მეცნიერული შესწავლის დასაწყისი XVIII საუკუნის დასასრულს მიეკუთვნება. ერთ-ერთი პირველი, ცოტად თუ ბევრად სერიოზული თხზულება ამ საკითხზე — ექიმ ნუდოვის „ძილის თეორიის აგების ცდა" — 1791 წელს გამოქვეყნდა. ავტორს, სხვათა შორის, მოჰყავს მნიშვნელოვანი დაკვირვება, რომელიც ამ მიმართულებით წარმოებული შემდგომი გამოკვლევების საწყისად იქცა: ერთ მძინარეს, რომელიც ზურგზე იწვა და პირი ღია ჰქონდა, პირში რამდენიმე წვეთი წყალი ჩაასხეს, მძინარე მუცელზე გადმობრუნდა და ხელებით და ფეხებით ისეთი მოძრაობა დაიწყო, რასაც ადამიანი ცურვის დროს აკეთებს, თან დაესიზმრა, რომ წყალში ჩავარდა და იძულებულია თავი ცურვით გადაირჩინოს.

ამგვარი დაკვირვებებიდან ჩანს, რომ სიზმრები შეიძლება წარმოიშვას ძილის დროს გრძნობის ამა თუ იმ ორგანოთა შემთხვევითი გაღიზიანებით. უფრო მეტიც, მძინარეზე რაიმე გამაღიზიანებლით — ხმით, სინათლით ან შეხებით — მოქმედებისას შესაძლებელი ხდება გამოვიწვიოთ სიზმარი, რომელიც აშკარად შეესაბამება გამოყენებულ გამაღიზიანებლის ხასიათს. ამგვარად, გაიხსნა გზა სიზმრების ექსპერიმენტული შესწავლისათვის. განსაკუთრებით ბევრი იშრომეს ამ სარბიელზე ფრანგმა მეცნიერმა მორიმ და გერმანელმა მეცნიერმა ვეგანდმა, რომლებმაც თავისი სიცოცხლე სიზმრების გამომწვევი მიზეზების შესწავლას შესწირეს. რუსეთში ამ საკითხს ვ. მ. ბეხტერევი და მ. ი. ასტვაცატუროვი იკვლევდნენ, უკანასკნელმა შეისწავლა სხვადასხვა ორგანოების დაავადებათა დროს სიზმრე-

---

[1] ნ. ე. ვ ე დ ე ნ ს კ ი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. V. ლ., 1954, გვ. 337.

ბის შინაარსის თავისებურებანი და ერთ-ერთმა პირველთაგანმა გამოიყენა ეს ხერხი დაავადებათა გამოსაცნობად.

მორი მოგვითხრობს, რომ ერთხელ, როდესაც მას ეძინა, ცხვირთან ოდეკალონიანი შუშა მიუტანეს; ეს საკმარისი აღმოჩნდა, რომ მას დასიზმრებოდა საპარფიუმერიო დუქანი, კაირო, და აღმოსავლეთის ქვეყნები, — სადაც იგი ცოტა ხნის წინათ იყო. სხვა ცდისას მორიმ მძინარეს სახე წითელი შუქით გაუნათა. ამ უკანასკნელს დაესიზმრა ავდარი, ელვა და ჭექა-ქუხილი. მოგზაურებით გაჭედილ ერთ შვეიცარულ სასტუმროში ღამით ჭექა-ქუხილის დროს თითქმის ყველა მობინადრეს ერთი და იგივე სიზმარი უნახავს. თითქოს ეზოში გამაყრუებელი ხმაურით შემოდიან ეტლები ახალი მგზავრებით, რომლებმაც სასტუმროს მცხოვრებნი კიდევ უფრო უნდა შეაშიშროონ. ეს ფაქტები ძილის დროს ტვინის მოქმედებაზე გარეშე გამაღიზიანებლების გავლენას მოწმობენ.

საინტერესოა სიზმრებისათვის დამახასიათებელი ის ჩვეულებრივი ფაქტი, რომ თავისი შინაარსით მრავალფეროვანი სიზმრები, რომლებიც მძინარეს ძალზე გაჭიანურებულად ეჩვენება, სინამდვილეში ძალიან სწრაფად — სულ რამდენიმე სეკუნდს — მიმდინარეობენ. წარმოდგენა დროსა და სივრცეზე ძილის დროს მკვეთრად არის დარღვეული. აღწერილია, მაგალითად, ასეთი შემთხვევა. ერთ გამოჩენილ დრამატურგს, რომელიც თავისი პიესის წარმოდგენას ესწრებოდა, დაღლილობისა და შეუძლოდ ყოფნის გამო ჩაეძინა. სიზმარში მან მთელი პიესა ნახა, თავიდან ბოლომდე, თვალყურს ადევნებდა მოქმედების განვითარებასა და იმას, თუ როგორ იღებს მაყურებელი მის ნაწარმოებს. როგორც იქნა, გამაყრუებელი ტაშის თანხლებით ფარდა ეშვება, დრამატურგი იღვიძებს და, განცვიფრებულს, ესმის, რომ სცენაზე ჯერ კიდევ პირველი სცენის პირველ რეპლიკებს წარმოთქვამენ. ამგვარად, ძილის დროს მის თვალწინ განვლილმა პიესის მთელმა ვითარებამ სულ რამდენიმე სეკუნდი დაიკავა [1].

---

[1] აქამდე ძილში ფსიქიკური მოქმედების დაჩქარების მსგავსი შემთხვევები ეპეს არ იწვევდნენ. მაგრამ ჩიკაგოს უნივერსიტეტის ამერიკელი ფსიქოლოგების ამასწინანდელი გამოკვლევებით დადგინდა, რომ სწორედ იმ დროს, როცა მძინარე სიზმარს ხედავს, მისი თავის ტვინის ბიოდე-

წარმოსახვებსა და შთაბეჭდილებებს სიფხიზლის დროსაც რომ ჩვეულებრივზე უფრო სწრაფად შეუძლიათ ზოგჯერ ჩაიქროლონ, მოწმობს იმ ადამიანთა ნაამბობი, რომლებმაც სიკვდილის საშიშროების წამი განიცადეს. ასეთი წამი თითქმის მთელი განვლილი ცხოვრების მოგონებებს იტევს.

საკმაოდ ხშირად სიზმრეთს იწვევს გაღიზიანებები, რომლებიც ტვინში გარეშე სამყაროდან კი არ მოდიან, არამედ სხეულის შინაგანი ორგანოებიდან — კუჭიდან, ნაწლავებიდან, შარდის ბუშტიდან, ფილტვებიდან, გულიდან და ა. შ. ყველა ამ ორგანოებს მგრძნობელობის უნარი აქვთ და ნერვული აგზნებით „ფსიქიკის ორგანოსთან" — თავის ტვინის ქერქის დიდ ნახევარსფეროებთან — არიან დაკავშირებული. დღისით შინაგანი ორგანოებიდან წამოსულ „სიგნალებს" ჩვეულებრივ ვერ ვამჩნევთ, იმიტომ რომ ცნობიერება გარეშე სამყაროს უფრო ძლიერი შთაბეჭდილებით არის დატვირთული. ღამე ვითარება იცვლება: რაც უფრო ქვეითდება გრძნობის გარეთა ორგანოების მოქმედება, მით უფრო მკაფიოდ იგრძნობა შინაგან ორგანოებში წარმოქმნილი გაღიზიანებანი, განსაკუთრებით, თუ ეს გაღიზიანებები რაიმე ავადმყოფური პროცესებით არის გამოწვეული. ასე წარმოიქმნებიან მძიმე. კოშმარული სიზმრები, რომლებიც ცრუმორწმუნე ადამიანებს შიშს ჰგვრიან. ასეთ სიზმრებს ყველაზე უფრო ხშირად იწვევს ძილის დროს გულის ნორმალური მოქმედების ან სუნთქვის დარღვევა. ამ დროს გვესიზმრება, რომ მივრბივართ დაღლილობისაგან ქანცგამოლეული, მოგვდევს საზარელი მხეცი ან მძარცველი, გვემუქრება წყალში დახრჩობის ან ცეცხლსა და ალში გაგუდვის საფრთხე. გერმანელი ფსიქოლოგი ბერნერი ცდის დროს მძინარეს ცხვირს ბამბით უცობდა და თითქმის ყოველთვის ამჩნევდა: მძინარე ბორგვასა და კვნესას იწყებდა, შემდეგ იღვიძებდა და

ნები ისეთსავე სახეს იღებს, როგორც სიფხიზლის დროს, თვალის კაკლები კი დახრილი ქუთუთოების ქვეშ ინტენსიურად მოძრაობენ. ეს იმდენივე ხანს გრძელდება, რამდენსაც თვით სიზმარი — საშუალოდ 9 წუთს, ზოგჯერ კი გაცილებით მეტსაც. გამოირკვა, რომ „მოქმედება, რომელსაც მძინარე ძილში ხედავს, ზუსტად იმდენსავე დროს იკავებს, რამდენიც მის მოსახდენად არის საჭირო ცხადად" (იხ. ჟურნალი „ტექნიკა მოლოდიოჟი", 1962, № 9, გვ. 33).

ყვებოდა, რომ სიზმარში რაღაც ურჩხული დახრჩობით ემუქრებოდა. „ავი სული ახრჩობდაო“ — იტყოდა ხოლმე უწინდელ დროში გლეხი, როცა საუბარი ასეთ სიზმარზე ჩამოვარდებოდა.

შინაგანი ორგანოების გაღიზიანებით გამოწვეულ სიზმრებს შეიძლება ჰქონდეთ დიაგნოსტიკური მნიშვნელობა. გამოცდილ ექიმს ასეთი სიზმრებით ზოგჯერ შეუძლია გამოიცნოს ამა თუ იმ შინაგანი ავადმყოფობის დაწყება, რომელიც სიფხიზლის დროს ჯერ კიდევ არ იჩენს თავს და ტიპიური სიმპტომებით არ მჟღავნდება. ცნობილია მრავალი მაგალითი: ერთი ექიმის პაციენტს დაესიზმრა, რომ ფეხი „გაუშეშდა“ და მისი ხმარების უნარი დაკარგა; რამდენიმე ხნის შემდეგ მას ფეხის დამბლა მოუვიდა. სხვა პაციენტს რამდენიმე თვის განმავლობაში ესიზმრებოდა, რომ სხვადასხვა საგნებს ყლაპავდა; ამ მრავალგზის განმეორებული სიზმრის მიზეზი, როგორც შემდეგ გამოირკვა, ხახაში ავთვისებიანი სიმსივნის აღმოცენების პროცესი იყო. გერმანელ ბუნებისმეტყველსა და ექიმს კ. ჰესნერს სიზმარში უნახავს, რომ მკერდზე გველმა უკბინა, რამდენიმე ხნის შემდეგ ამ ადგილზე იარა გაუჩნდა, რომელიც დიდხანს არ უხორცდებოდა. ყველა ამ შემთხვევაში ავადმყოფობის დაწყება ვერ შენიშნა ფხიზელმა გონებამ, რომელიც დღის შთაბეჭდილებითა და საზრუნავით იყო გართული.

სიზმრის შინაარსზე შინაგანი ორგანოების მოქმედების გავლენას დიდხანს ვერ ხსნიდნენ. მხოლოდ საბჭოთა ფიზიოლოგებმა ი. პ. პავლოვმა და მისმა თანამშრომლებმა, კერძოდ, კ. მ. ბიკოვმა, აღმოაჩინეს თავის ტვინის ქერქისა და შინაგანი ორგანოების ურთიერთმოქმედების მექანიზმი. ამრიგად, პირველად მიეცათ ამ ფაქტებს მეცნიერული ახსნა. ცდებმა და დაკვირვებებმა, რომლებმაც სიზმრების აღმოცენებაში გრძნობის გარეგან და შინაგან ორგანოთა როლი დაადგინეს, გზა გაუკაფეს სიზმრებისა და ძილის ბუნებაზე თანამედროვე ფიზიოლოგიურ წარმოდგენებს. არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა სხვა დიდ აღმოჩენასაც: XIX საუკუნის 60-იან და 70-იან წლებში შეიქმნა მოძღვრება ტვინის დიდი ნახევარსფეროების ქერქში ფსიქიკური ფუნქციების ლოკალიზაციის (ადგილმდებარეობის) შესახებ. დამტკიცებულ იქნა, რომ გრძნობის ყველა ორგანოს აქვს თავისი წარმომადგენლობა ტვინის ქერქში: მხედ-

ველო'ბის ორგანო ტვინის უბანთან დაკავშირებულია კეფის წილში, სმენის ორგანო — საფეთქლის წილში, შეხება — თხემის წილში. მალე ამის შემდეგ გამოქვეყნდა რუსი ექიმის — ბ. ოქსის იმ დროისათვის შესანიშნავი ბროშურა, რომელშიც სიზმრები განიხილებიან უკვე როგორც ძილის დროს ტვინის ცალკეული უბნების პარციალური (ნაწილობრივი) მოქმედების შედეგი. აი, პატარა ამონაწერი ამ დაუმსახურებლად დავიწყებული თხზულებიდან:

„ადვილად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ უჯრედების განსაზღვრული ჯგუფი (ტვინის ქერქის ნეირონები. — ლ. ვ.), რომელშიც გარკვეული სულიერი მოქმედებაა თავმოყრილი, ძილმომგვრელი ნივთიერების გავლენით დროებით წყვეტს ფუნქციონირებას. ამ დროს მოქმედებენ სიფხიზლის მდგომარეობაში მყოფი ჯგუფები, სწორედ ამ ნაწილობრივი მუშაობით აიხსნება როგორც სულიერი მოქმედების მინიმალურობა (ძილის დროს. — ლ. ვ.), ასევე მრავალი სიზმრის უაზრობა. უეცარი გაღიზიანებები (გრძნობის ორგანოებისა.—ლ. ვ.) ხელახლად შოუწოდებენ მოქმედებისაკენ განსაზღვრულ რაიონს (ტვინის ქერქისას. — ლ. ვ.), სამაგიეროდ უჯრედების ყველა ან ზოგიერთი (აქამდე. — ლ. ვ.) მოქმედი უბანი იძინებს [1].

სიზმარი ძილის დროს შეკავებული ტვინის ქერქის ნაწილობრივი მოქმედებაა, რომელსაც გარეგანი ან შინაგანი გრძნობის ორგანოების მიერ გამოწვეული სხვადასხვა გაღიზიანებები იწვევენ. ასეთია ექიმ ოქსის ზემომოყვანილ დებულებათა აზრი. მართალია, ისინი 80 წლის წინათ იყვნენ გამოთქმული, მაგრამ პავლოვისა და მისი თანამშრომლების მიერ ექსპერიმენტალურად დასაბუთებულ ძილისა და სიზმრების თანამედროვე მოძღვრებას უახლოვდებიან. ოქსი მხოლოდ ძილის დროს ტვინის უჯრედების შეკავების გამომწვევ მიზეზთა გაგებაში ცდებოდა. მას (ისევე, როგორც თითქმის ყველა მის თანამედროვეს) მიაჩნდა, რომ ძილს იწვევს ტვინის უჯრედების მოწამვლა ნივთიერებათა ცვლის პროდუქტებით — „ძილის შხამებით", რომლებიც სისხლში და უჯრედებში ფიზიელ მდგომარეობაში ყოფნისას გროვდებიან და ნარკოტიკე-

[1] ბ. ოქსი. ძილისა და სიზმრების ფიზიოლოგია. ოდესა, 1880, გვ. 78.

ბის მსგავსად ძილის მომგვრელად მოქმედებენ. სინამდვილეში ჩვენ მანამ ვიძინებთ, სანამ ნივთიერებათა ცვლის შხამიანი პროდუქტები დაგროვებას მოასწრებენ. საკმაოდ ხანგრძლივი ღამის ძილის შემდეგ შეგვიძლია ტკბილად ჩავიძინოთ დილითაც, როცა „ძილის შხამებზე" ლაპარაკიც კი ზედმეტია. და მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც ხელოვნური ხერხებით შენარჩუნებული ფხიზელი მდგომარეობა რამდენიმე დღე-ღამის განმავლობაში ჩედიზედ გრძელდება, როდესაც ძილის მოთხოვნილება ავადმყოფურ, დაუძლეველ ხასიათს იღებს, — თვითმოწამვლის ფაქტორი იძენს გადამწყვეტ მნიშვნელობას.



შეზრდილი ტყუპები, 1 წელი და 22 დღე იცოცხლეს. ორას (მარჯვნივ) ძინავს, გალია ფხიზლობს.

ამას ადასტურებს მოსკოველი პროფესორის პ. კ. ანოხინის მიერ 1939 წელს ჩატარებული საინტერესო დაკვირვება იშვიათ ობიექტზე—ადამიანის ორ შეზრდილ ტყუპზე. ტყუპებს საერთო ტანი, ერთი გული და საერთო სისხლძარღვთა სისტემა გამოჰყვათ, მაგრამ ამავე დროს ორი თავი და ორი ტვინი ჰქონდათ. და აი, ხშირი იყო შემთხვევა, რომ ერთი თავი იძინებდა იმ დროს, როდესაც მეორე ფხიზლობდა. მაშასადამე, დაძინებისას ჰუმონალური ფაქტორი (სისხლის შემადგენლობა) მთავარ როლს არ ასრულებს. მოცემულ შემთხვევაში ხომ ორივე ტვინს, რომლებიც შემადგენლობით ერთნაირ სისხლს იღებდა, შეეძლოთ სხვადასხვა ფუნქციურ მდგომარეობაში ყოფნა, ერთ ტვინს — შეკავებულ, მეორეს კი ფხიზელ მდგომარეობაში.

მაშ, რომელი კეთილმყოფელი ფაქტორი გვაიძულებს დროზე დავიძინოთ, რითაც ჩვენს ტვინსა და მთელ ორგანიზმს

გადაღლისა და თვითმოწამვლის საშიშროებისაგან იცავს? პავლოვმა კლასიკური ცდებით, კერძოდ, პირობითი რეფლექსების წარმოშობის მეთოდის გამოყენებით, დაამტკიცა, რომ ძილის გამომწვევ ფაქტორს ტვინის ნახევარსფეროების ქერქში შემადგენელი ნერვული უჯრედების შეკავება წარმოადგენს.

რიტმულ ნერვულ იმპულსებს, რომლებიც გრძნობის ორგანოებისაგან ქერქის ნერვულ უჯრედებს გადაეცემათ, სხვადასხვა პირობებში მათზე ორგვარი მოქმედება შეუძლიათ აწარმოონ. ან მოქმედ, აგზნებულ მდგომარეობაში მოიყვანონ, ან, პირიქით, შეაკავონ ეს მოქმედება და ნერვული უჯრედები მუშაობიდან გამოთიშონ. აგზნება და შეკავება ძირითადი ნერვული პროცესებია. მათ გარეშე არც ერთი მოძრაობითი აქტი, არც ერთი ფსიქიკური განცდა არ შეიძლება განხორციელდეს.

აგზნება და შეკავება ორი მხარეა, ორი პროცესია, რომლებიც უმაღლეს ნერვულ მოქმედებას განახორციელებენ. მათი ურთიერთმოქმედების შედეგად ქერქში გარეშე გაღიზიანებათა ანალიზი და სინთეზი წარმოებს ორგანიზმის ცხოველმოქმედებისათვის მათი მნიშვნელობისდა შესაბამისად — ამასთან აგზნების დინამიკა ორგანიზმის გარეშე და შინაგან გარემოს ზემოქმედებაზე მის საპასუხო რეაქციის ხასიათსაც განსაზღვრავს.

ფხიზელ მდგომარეობას ტვინის ნახევარსფეროების ქერქში აგზნების კერებისა და შეკავების კერების ეგრეთ წოდებული დინამიკური (მოძრავი) „მოზაიკა“ შეესაბამება. ამ კერების სივრცობრივი განლაგება გამუდმებით იცვლება და ეს ცვლა მოცემულ მომენტში წარმოებულ მოქმედებასა და ფსიქიკურ განცდათა გარკვეულ მდგომარეობაზეა დამოკიდებული. როდესაც მე ლექციას ვკითხულობ, მყარი აგზნების კერები ქერქის იმ უბნებში იმყოფებიან, რომლებიც მეტყველების ფუნქციას განაგებენ და აზროვნების აქტს ახორციელებენ; ქერქის ყველა დანარჩენი ნაწილი ცოტად თუ ბევრად ღრმა შეკავების მდგომარეობაში იმყოფება. მაგრამ აი, მე სხვა სახის მოქმედებაზე გადავდივარ. მაგალითად, როიალზე დაკვრას ვიწყებ, ქერქული „მოზაიკა“ იმწამსვე იცვლება: აგზნების წინანდელი კერები შეკავებას იწყებენ, ქერქის უჯრედების სხვა ჯგუფებში კი ახალი კერები წარმოიქმნება. ადამიანის ტვინის დიდი ნახევარ-

სფეროების ქერქში 14—15 მილიარდი ნერვული უჯრედი (ნეირონი) არის განლაგებული. ქერქში აგზნებული და შეკავებული კერების შესაძლებელი სივრცობრივი კომბინაციების რიცხვი ჭეშმარიტად განუზომელია. და ყოველი ასეთი კომბინაცია ხომ სხვადასხვა ფსიქიკურ მდგომარეობათა ამა თუ იმ მომენტს ასახავს.

მაშ რა ემართება სიფხიზლის ამ ქერქოვან „მოზაიკას", როდესაც ჩვენ ვიძინებთ? ქერქის რომელიმე წერტილში შეკავების განსაკუთრებით მყარი კერა წარმოიშობა. სუსტ, მონოტონურ გამაღიზიანებლებს, მაგალითად, იავნანას, რწევას, საათის ტაკატუკს, შეუძლიათ ხელი შეუწყონ ასეთი კერის წარმოშობას. მისგან, როგორც ცენტრიდან, შეკავება ირადიაციას იწყებს, — ნეირონების მეზობელ ჯგუფებზე ვრცელდება, მერე სულ უფრო და უფრო შორს მიემართება, გზად შემხვედრ აგზნების კერებს ახშობს, ბოლოს მთლიანად ქერქს. მთელ ქერქოვან ნეირონებს ედება. იწყება ღრმა ძილი, რომელსაც არც სიზმრები და არც ფსიქიკური მოქმედების სხვა რაიმე ნიშანი თან არ ახლავს. ტვინის ქერქი — „ფსიქიკური ორგანო" — მთლიანად ისვენებს.

მაშასადამე, ძილი წარმოიშობა თავის ტვინის ქერქში შეკავების პროცესის სიჭარბის შედეგად. ი. პ. პავლოვი აღნიშნავდა, რომ ასეთ შეკავებას ორგანიზმისათვის „დაცვითი" მნიშვნელობა აქვს, იგი ხელს უწყობს მთელი ორგანიზმის და განსაკუთრებით კი მის ყველაზე უფრო ნატიფად ორგანიზებული აპარატის — თავის ტვინის ქერქის დასვენებას.

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ ძილისმომგვრელი შეკავება, რომელიც ქერქზე ვრცელდება, ტვინისა და მთელი ორგანიზმისათვის „მფარველი ანგელოზის" როლს ასრულებს. უფრო მეტიც, იგი ზოგჯერ „სასწაულებრივი მკურნალის" როლში გვევლინება, რომელიც ტვინის უჯრედებში ტვინისა და ფსიქიკის ნორმალური მუშაობისათვის იმ აუცილებლად საჭირო ურთულესი ქიმიური შენაერთების დაჩქარებულ აღდგენას (რესინთეზს) აწარმოებს, რომლებიც დღის განმავლობაში დაძაბული საქმიანობის შედეგად იხარჯებიან. დღითი დღე ამ შენაერთების არასაკმაო შევსება არა მარტო ტვინის, არამედ სხეულის იმ ორგანოთა დაავადებას იწვევს, რომელსაც იგი მართავს. ამი-

ტომ გასაგებია, თუ რატომ განიკურნებიან ასეთი ავადმყოფები ელექტრული ხანგრძლივი ძილით — ეგრეთ წოდებული ძილის თერაპიით. რომელიც სამედიცინო პრაქტიკაში ი. პ. პავლოვმა და მისმა მიმდევრებმა შემოიღეს. მაგრამ ზოგჯერ ისე ხდება, რომ რაიმე მოუსვენარი ან შემოქმედებითი ფიქრი ან მღელვარე გრძნობა ხელს გვიშლის და დაძინების საშუალებას არ გვაძლევს. ასეთ დროს ტვინის ქერქში აგზნების განსაკუთრებით ძლიერი და მყარი კერები მოქმედებენ; სწორედ ისინი აფერხებენ შეკავების ირადიაციას და, მაშასადამე, ძილის დაწყებას. მაგრამ თუ ძილი მაინც დაიწყო, იგი არასრული, ნაწილობრივი იქნება. ქერქში „აგზნების საღარაჯო პუნქტი" რჩება პატარა. განმარტოებული ფრიალო კლდის მსგავსად შეკავებათა გაშლილ ზღვაში. მისი მეშვეობით მძინარე ტვინს შეუძლია კავშირი იქონიოს გარემომცველ სამყაროსთან. ასე მაგალითად, მძიმე ლაშქრობით დაქანცული მეომარი ღრმა ძილშია, მაგრამ უმნიშვნელო განგაშზედაც კი უკვე ფეხზეა და იარაღს ეძებს.

მსგავსი მოვლენები ი. პ. პავლოვმა და მისმა თანამშრომლებმა (ბ. ნ. ბირმანი [1] და სხვ.) მიიღეს თავის შესანიშნავ ცდებში ძაღლებზე. მაგალითად, ძაღლს გამომუშავებული აქვს ნერწყვის გამოყოფის პირობითი რეფლექსი ფისგარმონიის გარკვეულ ტონზე „დო". ამ ტონის ჟღერას ყოველთვის უპირობო ნერწყვგამომყოფი გამაღიზიანებლის — კვების — თანხლებით აწარმოებდნენ. როდესაც პირობითი რეფლექსები „დო" ტონზე უკვე გამომუშავებულია, ფისგარმონიის სხვა ტონებიც — „რე". „მი", „ფა", „სოლ" — ასევე ნერწყვის გამოყოფას იწვევენ. მაგრამ მათ მოქმედებას არ ამაგრებენ საკვების მიცემით და ამიტომ რეფლექსი ამ გამღიზიანებელზე თანდათანობით ქრება. ახლა შესაბამის ქერქოვან ცენტრში აგზნებას მხოლოდ კვების თანხლებით გამაგრებული ტონი „დო" იწვევს, ყველა დანარჩენი ტონები კი ქერქში „შინაგანი", „მადიფერენცირებული" (პავლოვის ტერმინოლოგიით) შეკავების კერებს ქმნიან. საკმარისია ახლა ამ შემაკავებელი ტონიდან ერთ-ერთი. მაგალითად, „მი", ხანგრძლივად აჟღერდეს, რომ შინაგანი შე-

---

[1] იხ. ბ. ნ. ბ ი რ მ ა ნ ი. ექსპერიმენტალური ძილი. ლ., გოსიზდატი, 1925.

კავება თავისი კერიდან ირადიაციას იწყებს. როდესაც იგი ტვინის ნახევარსფეროების მთელ ქერქს მოედება, ძაღლი დაიძინებს. ასეთი, ექსპერიმენტალურად გამოწვეული ძილი მთლიანად ჩვეულებრივი ძილის მსგავსია, ქერქი „სადარაჯო პუნქტს" ინარჩუნებს. როგორც კი კვებით განმტკიცებული პირობითი გამაღიზიანებელი „დო" აჟღერდება, ძაღლი გაიღვიძებს, საჭმელს დაუწყებს ძებნას და ნერწყვი სდის.

ძილი სიზმრებით დიდი ნახევარსფეროების ქერქის არასრული შეკავების კიდევ ერთი ნაირსახეობაა. ძილი თუ ღრმაა. ქერქის შეკავებაც უფრო ღრმაა და აგზნების იმპულსები, რომლებიც გრძნობის ორგანოებიდან მოდის, იქვე ქრება. ასეთ ვითარებაში მძინარე სიზმრებს არ ხედავს. ძილის მოახლოებისას, როდესაც ქერქის უჯრედები საკმაოდ დაისვენებენ, დაცვითი შეკავება სუსტდება და მასში შეღწეული იმპულსები წანაზარდებით ერთმანეთში გადახლართული ნეირონების ლაბირინთში გზის გაკაფვას იწყებენ. მოხეტიალე სიხათლის ციმციმის მსგავსად აგზნება ქერქოვანი უჯრედების ერთი ჯგუფიდან მეორისაკენ მიიჩქარის და, გამოჰყავს რა ისინი შეკავების მდგომარეობიდან, უპირატესად მხედველობითი ხასიათის გამოსახულებათა იმ უცნაურ მწკრივს აცოცხლებს, რომელსაც ჩვენ სიზმარს ვუწოდებთ. ამასთანავე, ნამდვილად გასაოცარია წარმოქმნილ გამოსახულებათა სიცხადე და სიცხოველე. ფხიზელ მდგომარეობაში ვერავითარი წარმოსახვა მსგავს რამეს ვერ დახატავს. სიზმრების სწორედ ეს მკაფიო გამოსახულება ასრულებდა, როგორც ჩანს, მთავარ როლს საიქიო ცხოვრებაზე ცრუმორწმუნეობრივი წარმოდგენების შექმნაში.

სიზმრების მრავალი თავისებურება. კერძოდ მათი არაჩვეულებრივი სახოვანება და ფანტასტიკურობა, თავის ახსნას პოულობს პავლოვის მოძღვრებაში ორი სასიგნალო სისტემის შესახებ. გარეშე სამყაროს ჩვეულებრივი გამღიზიანებლები — ბგერითი, შუქისა, ყნოსვითი და სხვა, — პირობითი რეფლექსების წარმოშობის პროცესში უპირობო გამაღიზიანებლების სიგნალებად იქცევიან და მათი მაგივრობის გაწევა შეუძლიათ. ასე მაგალითად, ბირმანის ზემომოყვანილ ცდაში ტონი „დო" იქცა კვების რეაქციის სიგნალად და შეცვალა კვების უპირობო გამაღიზიანებელი. ასეთი სიგნალებისა და მათ მიერ გამოწვე-

ული პირობითი რეფლექსების ერთობლიობა — პირველი სასიგნალო სისტემა — საფუძვლად უდევს უმაღლესი ცხოველებისა და აგრეთვე იმ ბავშვების ფსიქიკურ მოქმედებას, რომლებსაც ჯერ კიდევ ლაპარაკი არ უსწავლიათ. იგი დამახასიათებელი იყო პირველყოფილი ადამიანისათვის, რომლის ბგერითი და შინაგანი მეტყველება (სწორედ მასთან არის დაკავშირებული აზროვნება) ჯერ კიდევ განვითარების დაბალ საფეხურზე იდგა. თუ მეტყველება არ არის, მაშასადამე, არც ცნება და არც ლოგიკური აზროვნება (ცნებებით ოპერირება) არსებობს, განვითარების ამ საფეხურზე შესაძლებელია მხოლოდ კონკრეტული სახეებითა და ასოციაციებით (კავშირებით) აზროვნება, — მომიჯნავე. მსგავსი ან საპირისპირო კავშირების მიხედვით. სამაგიეროდ რაოდენ მკაფიოა ეს სახეები. რა დაუდეგარი და ფანტასტიკურია ასოციაციები. მეტყველების განვითარებასთან ერთად პირველი სასიგნალო სისტემის თანმიმდევრულად ჩნდება მეორე სასიგნალო სისტემა. სიტყვა — პირველი სისტემის სიგნალების ბგერითი სიმბოლო — „სიგნალთა სიგნალი" ხდება; აზროვნება სულ უფრო ლოგიკურ, განყენებულ ხასიათს იღებს, თანდათან კარგავს პირველყოფილ სახეს და ევოლუციის (განვითარების) პროცესში სიტყვითი სიგნალების სისტემა რაც უფრო მაღალ საფეხურებს აღწევს მით უფრო ქვეითდება, მუხრუჭდება, უკან იხევს, უფრო ადრეული, პირველი სასიგნალო სისტემა.

მაშ რა ხდება ძილის დროს? მეორე სასიგნალო სისტემა, როგორც უფრო გვიანდელი წარმონაქმნი, ნაკლებად მდგრადია და ძილის დაწყებისთანავე პირველ რიგში იწყებს შეკავებას. ამის წყალობით პირველი სასიგნალო სისტემა ადვილად თავისუფლდება მისი გავლენისაგან და, ამასთან, თავისი ფერადოვნებით და უსაზღვრო ფანტასტიკით კვლავ დამოუკიდებელ მნიშვნელობას იძენს. ყველაზე წარმოუდგენელ, ყველაზე აუხდენელ სიზმარს მძინარე აღიქვამს როგორც რეალურად არსებულს, და მხოლოდ გამოღვიძების შემდეგ გვაკვირვებს ჩვენივე გულუბრყვილობა ძილის საათებში.

ძილის დროს სინამდვილის შთაბეჭდილებანი ხშირად მკვეთრად შეცვლილი დამახინჯებული სახითაც კი წარმოგვიდგება. ეს გარემოება პავლოვის თანამშრომელთა მიერ აღმოჩე-

ნილ, ეგრეთ წოდებული ჰიპნოზური ფაზების არსებობით აიხსნება. ეს ფაზები თავს იჩენენ ფხიზელი მდგომარეობიდან ძილზე გადასვლისას და. პირიქით, ძილიდან გამოფხიზლების დროს. მათ შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს „პარადოქსალურ“ ფაზას, რომელიც იმით არის საყურადღებო, რომ ამ დროს სუსტი შინაგანი და გარეშე გამაღიზიანებლები ტვინზე და, მაშასადამე, ფსიქიკაზეც გაცილებით უფრო დიდ გავლენას ახდენენ, ვიდრე ძლიერი გამაღიზიანებლები. სწორედ ასევე ტვინის ქერქში სუსტი შთაბეჭდილებების ნაკვალევი ძილის ამ ფაზაში მეტ განცდებს იწვევს, ვიდრე ძლიერი შთაბეჭდილებების ნაკვალევი. ამის შედეგად, მაგალითად, მძინარეს სუსტი ბგერები შეიძლება გამაყრუებლად მოეჩვენოს, ძლიერი კი, პირიქით. ძლივს გასაგონად. სიზმრებში წვრილმანი საგნების გამოსახულებებმა შეიძლება გიგანტური ზომები მიიღოს, მაშინ როცა ნამდვილად დიდი საგნები პატარად მოგვეჩვენოს.

ამრიგად, ანიმისტიკური რწმენიდან პავლოვის ზუსტ ექსპერიმენტებამდე — ასეთია ძილისა და სიზმრების შესწავლის კაცობრიობის მიერ განვლილი მრავალსაუკუნოვანი გზა. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ძილისა და სიზმრების ფიზიოლოგიური მექანიზმის გამოცნობა დიდი დამსახურებაა ჩვენი მოწინავე სამამულო მეცნიერებისა, რომლის წარმატებაც სწორედ მისმა მატერიალისტურმა ხასიათმა განაპირობა.

სიზმრებზე ყოველგვარი ყალბი წარმოდგენა თითქოს უკვე დიდი ხანია უნდა ჩაბარებოდა არქივს, მაგრამ ისინი ჯერ კიდევ თავს იჩენენ განათლებულ ადამიანთა შორისაც კი, რომელთაც არასაკმარისი წარმოდგენა აქვთ თანამედროვე ბუნებისმეტყველების წარმატებებსა და მიღწევებზე.

ადამიანს, რომელსაც ჯერ კიდევ ვერ დაუძლევია ცრუმორწმუნოება, განსაკუთრებით აცვიფრებს სიზმრების ფანტასტიკური ხასიათი, ხშირად. გამოღვიძების შემდეგ, საკუთარ თავს ვეკითხებით: „რად დამესიზმრა ეს სიზმარი? სინამდვილეში ხომ ასეთი არაფერი არ არსებობს. მე არასოდეს არ გამიგია, არ წამიკითხავს და არც მიფიქრია, მსგავს რამეზე!“ მართლაც რატომაა რომ ხშირ შემთხვევებში სიზმარი სრულებით არ ემსგავსება იმას, რაც ჩვენ გამოცდილებიდან გვახსოვს? ეს რთუ-

ლი საკითხია, მაგრამ მეცნიერებას მაინც შეუძლია ამომწურავი პასუხი გასცეს და განმარტოს ეს მოვლენა.

ჯერ ერთი, ძილის დროს შეიძლება დავინახოთ ის, რაც ჩვენს ფხიზელ ყურადღებას გამოეპარა. ამის დასადასტურებლად ფრანგ მეცნიერ დელაჟს ასეთი შემთხვევა მოჰყავს. მისი ბინის კიბეს ამშვენებდა შუშის ლამაზი სფერო, რომელიც ერთხელ დაიმტვრა და საკმაოდ დიდხანს არ შეუცვლიათ ახლით. ერთხელ დელაჟს დაესიზმრა, რომ სფეროს ნაცვლად ნაძვის გირჩის მსგავსი სპილენძის სამკაული დაუდგამთ. დილით მან სიზმარი თავის ოჯახის წევრებს უამბო და რაოდენ გაოცდა, როცა გაიგო, რომ აი, უკვე რამდენიმე დღეა რაც სწორედ ასეთი სპილენძის გირჩა დაუდგამთ დამტვრეული სფეროს ნაცვლად. ცხადია, დელაჟს არაერთხელ უნახავს იგი, რადგანაც ძალიან ზუსტად აღწერა ეს გირჩა სიზმრის მიხედვით, მაგრამ ყურადღება არ მიუქცევია მისთვის. შემდეგ კიბეზე გავიდა და საკუთარი თვალით ნახა, რომ სამკაული მართლაც იქ დგას.

მეორეც, ძილში ისეთი შთაბეჭდილებებიც შეიძლება გაცოცხლდეს, რომლებიც თავის დროზე დაგვამახსოვრდა. შემდეგ კი, თითქოს მივიწყებას მიეცა. მაგალითად, ბავშვობის წლების სურათები. როდესაც სიზმარში ასეთ შეუმჩნეველ ან გადავიწყებულ სახეებს ვხედავთ, ჩვენ მათ ვერ ვცნობთ, გვეუცხოება, რაღაც იდუმალი ძალის მოვლინებად მიგვაჩნია. იგივე, და უფრო მეტი შეიძლება ითქვას ძილში ნახულ იმ სახეებზე, რომლებიც ცხოვრების სხვადასხვა პერიოდის შთაბეჭდილებათა თავმოყრით არის გამოწვეული. მაგალითად, სიზმრების ერთ მკვლევარს ნაცნობი ქალი დასიზმრებია, მაგრამ რაღაც უჩვეულოდ პატარა ტანისა (ცოტა ხნით ადრე მას ქუჩაში ქონდრის კაცი შეხვედრია) და გადმოკარკლული თვალებით, როგორც ეს იაპონური ღმერთის პატარა ქანდაკებაზეა (რომელიც მას ძველებური ნივთების მაღაზიაში ენახა). ამის შედეგად, სინამდვილეში არარსებული, ფანტასტიკური სახე მივიღეთ.

ი. მ. სეჩენოვმა სიზმრების ეს თავისებურება ძალიან მოხდენილად გამოთქვა შემდეგი სიტყვებით: „სიზმრები ხშირად რეალურ შთაბეჭდილებათა არარეალური კომბინაციაა“. ამავე

საკითხზე პავლოვი წერდა: „სიზმრები, ჩვეულებრივ, სხვადასხვაგვარ და საპირისპირო გამაღიზიანებელთა ნაკვალევის ჯაჭვს წარმოადგენს“ [1].

ერთხელ და სამუდამოდ უნდა დავიმახსოვროთ: რაგინდ უცნაური, გაუგებარი, იდუმალი არ უნდა გვეჩვენებოდეს სიზმრები, ისინი ყოველთვის მხოლოდ იმას შეიცავენ, რაც, შეგნებულად თუ შეუგნებლად, ერთხელ მაინც აღგვიქვამს სიფხიზლის დროს. სიზმრები სხვა არაფერია, თუ არა ნაწილობრივად ფხიზელი ტვინის მიერ გადამუშავებული, ერთმანეთში უცნაურად გადახლართული ნაწყვეტები, ნაკვალევი წარსული გამოცდილებისა, — იმისა, რაც კი ოდესღაც გვინახავს ან გვსმენია, რაზედაც გვიფიქრია ან წაგვიკითხავს.

სიზმრების მოძღვრების ამ ძირითად დებულებას ხშირად სადავოდ ხდიან ისინი, ვისაც ჯერ კიდევ სწადია ამ სიზმრებში რაღაც იდუმალი დაინახოს. მაშ, რად დავფრინავთ ხშირად ძილის დროს? — ამბობენ ისინი. სინამდვილეში ხომ არც ერთ ჩვენთაგანს არ უფრენია. ამ შეკითხვაზე შემდეგი პასუხი შეიძლება გავცეთ: ყოველ ჩვენთაგახს უნახავს ფრინველების, პეპლებისა და ღამურების ფრენა და ეს გამოცდილება ჩვენ ძილის დროს საკუთარ თავზე გადაგვაქვს. ცნობილია ასეთი სიზმრების წარმომშობი პირობებიც. ასეთი რამ მაშინ ხდება როცა მძინარეს გაძნელებული აქვს სუნთქვა, შემდეგ კი იგი უცებ მსუბუქი, თავისუფალი ხდება. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ უკეთუ მძინარეს თავზე საბანს გადავხურავთ. მერე კი საბანს გადავხდით, იგი ხშირად, გამოღვიძების შემდეგ, — ამბობს, რომ სიზმარში ფრინავდა. ასევე უბრალოდ აიხსნება მეორე „უცნაური“ სიზმარიც — უფსკრულში ჩავარდნა. თუ ადამიანმა მუხლებში მოხრილი ფეხებით დაიძინა და ფეხები სწრაფად გაუმართეთ, დაესიზმრება რომ ძირს ვარდება. მძინარეს იმ შემთხვევაშიც იგივე მოუვა, თუკი მან ანგარიშმიუცემლად თვითონვე მოახდინა ფეხებით აღნიშნული მოძრაობა.

ხშირად ეგრეთ წოდებულ „შემოქმედებით სიზმრებს“ მის-

[1] ციტირებულია ფ. პ. მაიოროვის წიგნიდან — სიზმრების ფიზიოლოგიური თეორია. მ-ლ., სსრკ მეც. აკადემიის გამომცემლობა, 1951, გვ. 39 (რუსული გამოცემა).

ტიკურ მნიშვნელობას ანიჭებენ. ცნობილია, რომ მრავალ გამოჩენილ ადამიანს სიზმარში გადაუჭრია ის პრობლემები, რომელთა გადაწყვეტასაც ფხიზელი ამაოდ ცდილობდა. ასე ამოხსნეს ზოგიერთი მათემატიკური ამოცანა. გერმანელ ქიმიკოს კეკულეს სიზმარში გაუელვა აზრმა, რომელმაც რთული ქიმიური ნივთიერების — ბენზოლის სტრუქტურული ფორმულა მიაგნებინა. ვოლტერმა თავისი პოემის — „ჰენრიადას“ ახალი ვარიანტი სიზმარში ნახა. იტალიელმა კომპოზიტორმა ტანტირიმ ზოგიერთი თავისი სონატა ჩაიწერა მას შემდეგ. რაც ძილში ვიღაცის მიერ დაკრული მოისმინა. ძილში მოვლენილი ახალი აზრების შესახებ მოგვითხრობდნენ გერმანელი ფიზიოლოგი კ. ბურდახი, ვ. მ. ბეხტერევი და მრავალი სხვა მეცნიერი. არაფერს უჩვეულოს ეს შემთხვევები არ შეიცავენ. ისინი მხოლოდ იმაზე მეტყველებენ, რომ შემოქმედებითი მუშაობით გატაცებულ ადამიანთა ძილი ხშირად არასრულია. ტვინის ქერქის იმ უბანს, რომლებიც დღისით გაძლიერებულ შრომას ეწეოდნენ, ძილის დროს შეკავება ვერ ეუფლება, ისინი აგზნებულ მდგომარეობაში რჩებიან და ღამითაც განაგრძობენ მუშაობას.

ყველაზე უცნაურად დღესაც ბევრს მიაჩნდა სიზმრების ვითომცდა ბრძნული, წინასწარმეტყველური ბუნება. ზემოთ ჩვენ უკვე მოვიყვანეთ რამდენიმე „დიაგნოსტიკური“, ავადმყოფობის მომასწავებელი სიზმარი და ამასთან დავრწმუნდით, რომ არაფერს წინასწარმეტყველურს ასეთი სიზმრები არ შეიცავენ, და საერთოდ ისინი დიდ იშვიათობას წარმოადგენენ. უფრო ხშირად „წინასწარმეტყველური სიზმრები“ უბრალო გაუგებრობის შედეგია. თითქმის ყველა ადამიანი ხედავს სიზმარს, ზოგჯერ ღამის განმავლობაში რამდენიმე სიზმარს ნახავს. კვირის, თვის განმავლობაში თვითეულს ათობით, თუ ასობით ნანახი სიზმარი უგროვდება. მაგრამ განა ბევრ მათგანს უწერია ახდომა? რასაკვირველია, არა. როგორც წესი. სიზმრის ახდომაზე ლაპარაკი ზედმეტია, და მხოლოდ გამონაკლისის სახით ისინი ცოტად თუ ბევრად შეესაბამებიან მომავალ მოვლენებს. ალბათობის თეორიის მიხედვით ასეც უნდა იყოს: მრავალ სიზმარში, უამრავ მოვლენას ვხედავთ და ზოგი რამ აუცილებლად დაემთხვევა კიდეც სინამდვილეს. აქ გასაკვირი არაფერია, მაგრამ ცრუმორწმუნე ადამიანი წინასწარ ისეა განწყობილი, რომ

იშვიათ დამთხვევებს მეტ მნიშვნელობას ანიჭებს, ვიდრე დაუმთხვევლობას, რაც ჩვეულებრივი მოვლენაა. უკეთუ მოგვეჩვენა, რომ ნანახი სიზმარი გვაგონებს ერთი-ორი დღის, კვირის ან თვის შემდეგ მომხდარ რაიმე მოვლენას, განგაშს ვტეხთ, ვყვებით ამის შესახებ როგორც რაღაც სასწაულზე და გულებრყვილოდ ვუშვებთ მხედველობიდან, რომ ათობითა და ასობით სხვა სიზმარი სრულებითაც არ შეესაბამება ჩვენი ცხოვრების სინამდვილეს.

სიზმრის წინასწარმეტყველური მნიშვნელობის რწმენა ადამიანის გონების ერთ-ერთი ყველაზე უფრო ჯიუტი ილუზიაა. მას სხვა გარემოებაც განამტკიცებს. კარგა ხანია შემჩნეულია, რომ სიზმარში ხშირად აგვსრულებია ფარული თუ აშკარა მისწრაფებანი და სურვილები. ბავშვს ხიბლავს მაღაზიის ვიტრინაში გამოფენილი კამფეტების გროვა, მაგრამ დედა უარს ეუბნება კამფეტის ყიდვაზე. საღამოს იგი, აუხდენელი სურვილზე ფიქრით შეპყრობილი, გაკვირვებით იძინებს. და აი, ძილში, როგორც იქნა, სრულდება მისი საწადელი: ბავშვი თავის თავს მაღაზიაში ხედავს და იმდენ კამფეტს იღებს რამდენიც სურს. უფროსებსაც ხშირად იგივე მოგვდის: სანუკვარი სურვილის ასრულებაზე ვოცნებობთ და ზოგჯერ ძილში მას უკვე განხორციელებულს ვხედავთ. შემდეგ კი, როდესაც სინამდვილეში ვაღწევთ მიზანს, ეს სიზმარი გვაგონდება, გვიკვირს და მას „წინასწარმეტყველებად“ ვაცხადებთ.

სიზმრების ფსიქოლოგიურ ანალიზზე ბევრს მუშაობდა ავსტრიელი ფსიქიატრი ზიგმუნდ ფროიდი. მას თავის ვრცელ თხზულებაში — „სიზმრის განმარტება“ მოჰყავს მთელი რიგი მონაცემები, რომელთა მიხედვით მრავალი სიზმრის წყაროს წარმოადგენს, ოდესღაც განცდილი, ამჟამად კი მივიწყებული, გონებიდან „გამოდევნილი“ და „ქვეცნობიერების სფეროში“ მოქცეული გრძნობადი მისწრაფებანი, შეუსრულებელი ან ისეთი სურვილები, რომლებიც საერთოდ ვერ ასრულდება, ან რატომღაც აკრძალულია და მასთან დაკავშირებულია უპირატესად სექსუალური ხასიათის ძლიერ ამაღელვებელი სახეები. ჩვენ უკვე აღარაფერი ვიცით ამ თითქოსდა დავიწყებული განცდების შესახებ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი განუწყვეტლად ახდენენ გავლენას ჩვენს ქცევასა და განწყობილებაზე,

შეუძლიათ გამოიწვიონ უსაფუძვლო შიში, მოუსვენრობა და ა. შ. და სადღაც კუნჭულებში მიჩქმალული სახეებისა და გრძნობების „შელახული კომპლექსები“ მხოლოდ სიზმრის დროს განუწყვეტლად ამოტივტივდებიან ხოლმე ცნობიერების ფსიქიკური სფეროს სიღრმიდან.

მიუხედავად ფროიდის თეორიულ შეხედულებათა იდეალისტური მიმართულებისა, რომლებიც ჩვენთვის მიუღებელია, სიზმრების მისი ემპირიული გამოკვლევა, როგორც ჩანს, ჭეშმარიტების მარცვალს შეიცავს. საბჭოთა ფსიქიატრი ი. ა. პერეპელი[1] შეეცადა ფროიდის ფსიქოლოგიური შეხედულებანი უმაღლესი ნერვული მოქმედების თანამედროვე ფიზიოლოგიის ენაზე ეთარგმნა, უნდა აღინიშნოს, რომ მისი ეს ცდა ყურადღებას იმსახურებს. ასეთ ცდებს ამჟამადაც აწარმოებენ[2].

არაცნობიერი ან ფსიქიკური მოვლენების არსებობაში ამჟამად ეჭვი არავის ეპარება. ის ფილოსოფოსებიც კი, რომლებიც ფროიდის მოძღვრებას დიალექტიკური მატერიალიზმის პოზიციებიდან უარყოფენ, მაგალითად, წერენ: „ერთში ფროიდი მართალია: არაცნობიერი არსებობს. იგი ცოცხლობს, მოქმედებს, გავლენას ახდენს ცნობიერების პროცესზე არა რაღაც „წმინდა ფიზიოლოგიური“ დროებითი ნერვული კავშირების სახით, რომლებიც გარკვეულ დრომდე შეკავებულია, არამედ როგორც ნამდვილად ცოცხალი, ა ზ რ ი თ აღსავსე სფერო, რომლის ზემოქმედებაც ყოველ ჩვენგანს უგრძვნია. იმას, რაც ჩვენ ვიცით, მაგრამ ამჟამად არ გვახსოვს, აქვს გარკვეული ა ზ რ ო ბ რ ი ვ ი შინაარსი, რომელიც პრინციპში თავის ტვინის ქერქის უჯრედების აგზნებასა და შეკავებამდე არ დაიყვანება[3].

სიზმრებს ან გადაჭარბებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, ან

---

[1] იხ. ი. ა. პ ე რ ე პ ე ლ ი. ფსიქოანალიზი და ყოფაქცევის ფიზიოლოგიური თეორია. ლ., 1928.

[2] იხ. ე. შ. ა ი რ ა პ ე ტ ი ა ნ ც ი და კ. მ. ბ ი კ ო ვ ი. მოძღვრება ინტეროცეპციაზე და ქვეცნობიერის ფსიქოლოგია. „თანამედროვე ბიოლოგიის მიღწევები“, ტ. XV, 1942, გვ. 273. გ. უ ე ლ ს ი. პავლოვი და ფროიდი. მოსკოვი, საზღვარ. ლიტ. 1959.

[3] თ. მ ი ხ ა ი ლ ო ვ ი და გ. ც ა რ ე გ ო რ ო დ ც ე ვ ი. ცნობიერების ზღვარს იქით (ფროიდიზმის კრიტიკული ნარკვევი). გოსპოლიტიზდატი, 1941, გვ. 45. ხაზგასმულია ავტორის მიერ.

კიდევ პირიქით, ყოველგვარ მნიშვნელობასა და ინტერესს მოკლებულად აცხადებდნენ. ორივე ეს უკიდურესი შეხედულება მცდარია. სიზმრებს შეუძლიათ საგრძნობი გავლენა მოახდინონ ჩვენს გუნებაგანწყობაზე მთელი მომდევნო დღის განმავლობაში. ეს განსაკუთრებით ეხება კოშმარულ სიზმრებს, რომლებიც ჯანმრთელი და მით უფრო, ავადმყოფი ადამიანების (ნევროპათების) ყოველდღიურ საქმიანობას თავის ემოციურ დაღს ასვამენ. აღნიშნავს რა ამ ფაქტებს, პროფესორი ფ. პ. მაიოროვი[1] თავის წიგნში ეყრდნობა ვ. მ. ბეხტერევის ავტორიტეტს, რომელიც ამტკიცებდა, რომ სიზმრებს ჩვენს გონებაზე „თავისებურ შთაგონებათა მსგავსად" შეუძლიათ იმოქმედონ. როგორც ჩვენ დავინახეთ, არ შეიძლება სიზმრების ერთგვარი დიაგნოსტიკური მნიშვნელობის უარყოფაც. გამოჩენილი საბჭოთა ნევროპათოლოგი მ. ი. ასტვაცატუროვი ამის შესახებ წერდა:

„შეიძლება, მაგალითად, ვაღიაროთ, რომ თუ მოუსვენარ სიზმრებს, რომლებიც სიკვდილის შიშის ელემენტებს შეიცავს, უეცარი გამოღვიძება მოსდევს, ამას შეუძლია ეპვი გამოიწვიოს გულის დაავადებაზე, მაშინ როდესაც ასეთი დაავადების მაჩვენებელი სხვა სუბიექტური ჩივილები არ არსებობს[2].

პარაფსიქოლოგები არ ეთანხმებიან მტკიცებას, რომ მძინარეს შეიძლება დაესიზმროს მხოლოდ თავისი განვლილი ცხოვრების ნაწყვეტები. მხოლოდ ის, რაც მას უნახავს და გაუგონია, რაზედაც უფიქრია ან წაუკითხავს. ტელეპათიური და ტელესტეტიური მოვლენების არსებობის აღიარებასთან ერთად, ისინი გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ ზოგიერთ სიზმარს ბუნებრივი და ჰიპნოზური ძილის დროს გამახვილებული პარაფსიქიკური უნარი განაპირობებს.

განმეორება რომ არ დამჭირდეს, მკითხველს ვთავაზობ ჩემს წიგნს — „შთაგონება მანძილზე"[3], რომელშიც პარაფსიქოლო-

[1] იხ. ფ. პ. მ ა ი ო რ ო ვ ი. სიზმრების ფიზიოლოგიური თეორია, გვ. 122.

[2] „სოვეტსკაია ვრაჩებნაია გაზეტა", 1939, № 1, გვ. 10.

[3] ლ. ლ. ვ ა ს ი ლ ი ე ვ ი. შთაგონება მანძილზე (ფიზიოლოგიის შენიშვნები), გოსპოლიტიზდატი, 1962, იხ. თავი II — „შემთხვევები ჩვეულებრივი ცხოვრებიდან, რომლებიც მანძილზე შთაგონებად მიიჩნევიან".

[4] Ch. Richet, Traité de Métapsychigue, Paris, 1923, P 153.

გების მიერ „ტელეპათიურად“ აღიარებული სიზმრებია მოყვანილი. აქ კი შ. რიშეს[4] ტრაქტატიდან აღებული თითქოს ტელესტეტიკური ნათელხედვითი სიზმრის ერთი მაგალითით დავკმაყოფილდები.

ქალაქ ჰავრში ცხოვრობდა თავისი პარაფსიქიკური უნარით ცნობილი ნერვული ავადმყოფი ლეონია ბ., როჟელზედაც ექიმ ჟიბერს. პროფესორ ჟანესა და პროფესორ რიშეს მრავალი ექსპერიმენტი აქვთ ჩატარებული. ერთხელ, როდესაც რიშე და ჟიბერი პარიზში იმყოფებოდნენ, ჟანემ ლეონია ჰიპნოზური ძილით დააძინა და შთააგონა, რომ იგი სიზმარში პარიზს მიემგზავრება, რათა რიშე და ჟიბერი მოინახულოს. უეცრად ლეონიამ განაცხადა: „იქ ხანძარია“. ჟანემ სცადა მისი დამშვიდება, მაგრამ ლეონია დაჟინებით გაიძახოდა: „მე თქვენ გარწმუნებთ, მუსიე ჟანე რომ იქ ხანძარია“, მართლაც ჟანემ რამდენიმე ხნის შემდეგ გაიგო, რომ იმავე დღეს, 15 ნოემბერს, დილის 6 საათზე, ხანძარმა პროფესორ რიშეს ლაბორატორია გაანადგურა. ჟანემ სწორედ იმ დღეს 17 საათზე დააძინა ლეონია, ჰავრში ჯერ კიდევ არავის, მათ შორის ჟანესაც, არ შეეძლო სცოდნოდა ხანძრის შესახებ[1].

ანალოგიური შემთხვევა (და, მგონი, უფრო საჩვენებელიც) მოხდა იმავე ლეონიაზე ცდის ჩატარებისას, მაგრამ უკვე სიფხიზლის მდგომარეობაში. ერთხელ საღამოთი რიშემ ციფრებისა და სათამაშო კარტების აზრითი შთაგონების რამდენიმე წარუმატებელი ცდის შემდეგ ლეონიას შეკითხვა მისცა:

— რა დაემართა ბატონ ლანგლუას (ლაბორატორიის გამგეს, სადაც მუშაობდა იმ დროს ჯერ კიდევ ახალგაზრდა რიშე)?

მან ძალიან სწრაფად უპასუხა:

— ხელი დაიწვა. მეტი ყურადღება უნდა გამოეჩინა. გადასხმის დროს.

— რას ასხამდა?

— წითელი სითხეა, პატარა შუშაში... კანი ხელად აებურცა.

„უფრო ზუსტად თქმა შეუძლებელია“, — წერს რიშე. რო-

---

1 ეს მოხდა გასული საუკუნის 80-იან წლებში, როდესაც ქალაქებს შორის კავშირი ჯერ კიდევ არ იყო მოწესრიგებული.

გორც შემდეგ გამოირკვა, ორი საათის წინ ლანგლუა, რომელიც ლაბორატორიაში ქიმიურ ცდას ატარებდა, კოლბაში ბრომის გადასხმისას წინდაუხედავად აჩქარდა. ეს „წითელი სითხე“ მას ხელსა და წინამხარზე გადაესხა. სადაც იმწამსვე საკმაოდ დიდი ზომის ბუშტუკი ამოებურცა. ლეონია ლაბორატორიაში არ დადიოდა და არც სხვა ვინმე იქ მიმსვლელთაგანი ამ ხნის განმავლობაში რიშესთან არ მოსულა.

ასეთ შემთხვევაში არ არის გამორიცხული შესაძლებლობა ორი ისეთი გარემოების შემთხვევითი დამთხვევისა, რომელთაც არავითარი კავშირი არა აქვთ ერთმანეთთან. ამიტომ ასეთი შემთხვევები თავისთავად არ შეიძლება მივიჩნიოთ ტელეპათიური და ნათელხედვითი აღქმისა ან სიზმრების არსებობის საკმაო დადასტურებად. ამგვარ შემთხვევებზე ნაამბობს მხოლოდ მაშინ მიეცემა სერიოზული მნიშვნელობა. უკეთუ ტელეპათიისა და ტელესთეზიის მოვლენების არსებობის დადგენა ნამდვილად მოხერხდება მრავალგზის განმეორებული ექსპერიმენტით, რომელთა შესახებ VI და VII თავებში გვექნება საუბარი.

III

ჰიპნოზი და შთაგონება

ყველა ნერვულ-ფსიქიკური მოვლენიდან, რომლებიც ძველ-თაგან ცრუმორწმუნეობრივ მითქმა-მოთქმას იწვევდნენ და დღესაც იწვევენ, ღამის ძილი და სიზმრები ყველაზე უფრო ჩვეულებრივი მოვლენებია. გაცილებით უფრო იშვიათად გვხვდება ძილის სხვა ნაირსახეობები და გონების დაბინდული მდგომარეობა, რომელიც უმთავრესად ისტერიული ავადმყოფობისათვის არის დამახასიათებელი. ასეთებს მიეკუთვნება ლეთარგია — ღრმა, პათოლოგიური (ავადმყოფური) ძილი, რომელიც შეიძლება განუწყვეტლივ რამდენიმე დღე და ზოგჯერ კვირაც გაგრძელდეს. ამასთან, არა მარტო ნებისმიერი მოძრაობანი, არამედ უბრალო რეფლექსებიც კი ისეა დათრგუნული, სასუნთქი ორგანოებისა და სისხლის მიმოქცევის ორგანოების ფიზიოლოგიური ფუნქცია იმდენად დაქვეითებულია, რომ მედიცინაში ნაკლებად ჩახედულმა ადამიანმა მძინარე შეიძლება მკვდრად მიიჩნიოს.

XVIII საუკუნესა და XIX საუკუნის დასაწყისში განსაკუთრებით დიდი იყო ცოცხლად დასაფლავების შიში. დიდი გასავალი ჰქონდა ექიმ ტირის მიერ შედგენილ წიგნს „დარიგება მკვდრებზე მეურვეობის შესახებ“. ამ თავისებურ დოკუმენტში შემდეგ სტრიქონებს ვკითხულობთ: „ვინაიდან არის შემთხვევები, რომ ვითომდა მკვდარი ისტერიული ქალები ექვსი დღის შემდეგაც კი გაცოცხლებულან... საჭირო და სასარგებლოა ყოველ სასაფლაოზე აშენდეს მიცვალებულთა სახლი. სპეციალურად დანიშნულმა ზედამხედველმა ყოველდღიურად რამდენიმეჯერ უნდა დაათვალიეროს ადამიანის სხეული. საჭიროა გარდაცვალებული ლოგინში საბანგადაფარებული დავტოვოთ; სახე ღიად დავუტოვოთ, ოთახში ხშირად შევუშვათ

სუფთა ჰაერი, ოთახში ვაკმიოთ ძმარი ამ უკანასკნელის გახურებულ ქვებზე მისხურებით, რადგან მყავე ორთქლი ჯანმრთელი ადამიანის სხეულისათვისაც სასარგებლოა და ელექტრიზება უკეთ მოქმედებს... საფიქრებელია, რომ ყოველივე ეს შეტ სიფრთხილეს შეიტანდა ნაადრევი დასაფლავების საკითხში[1]. როგორც ჩანს, იმის დასადგენად, მოკვდა თუ ლეთარგიულ ძილშია ადამიანი, უკვე მაშინ ცდილობდნენ ელექტროდენის გამოყენებას. რომელიც ცოტა ხნით ადრე იტალიელმა ფიზიკოსმა ვოლტამ ეგრეთ წოდებული „ვოლტას სვეტის" დახმარებით მიიღო.

მოვიყვან ლეთარგიული ძილის ერთ ტიპიურ მაგალითს: „ვენაში ექიმმა როზენტალმა ტრანსში ჩავარდნილი ისტერიული ქალის შემთხვევა გამოაქვეყნა. ეს ქალი მკურნალმა ექიმმა გარდაცვალებულად ჩათვალა. როცა როზენტალმა ქალი ნახა, მისი კანი ფერმკრთალი და ცივი იყო, გუგები შევიწროებული და სინათლისადმი უგრძნობი. პულსი შეუმჩნეველი, კიდურები მოდუნებული. კანზე გალღობილი ლუქი დააწვეთეს, მაგრამ ვერავითარი უკუქმედებითი მოძრაობა ვერ შეამჩნიეს. პირზე სარკეს ადებდნენ, მაგრამ მის ზედაპირზე სინოტივის ნიშნები სრულიად არ ჩანდა. ოდნავი სუნთქვითი ხმაურის გარჩევის საშუალებაც კი არ იყო, მაგრამ გულის არეში გასინჯვამ შესაძლებელი გახადა ოდნავ შესამჩნევი ხანგამოშვებითი სუნთქვის მოსმენა. ავადმყოფი 36 საათის განმავლობაში იმყოფებოდა ასეთ, როგორც ჩანს, უსიცოცხლო მდგომარეობაში. წყვეტილი დენით გამოკვლევისას როზენტალმა ნახა, რომ სახისა და კიდურების კუნთები იკუმშებიან. ავადმყოფმა 12-საათიანი ფარადიზაციის შემდეგ მოიკეთა. ორი წლის შემდეგ იგი ცოცხალი და ჯანმრთელი იყო და უყვებოდა როზენტალს, რომ შეტევის დაწყებისას ვერაფერს გრძნობდა, შემდეგ კი ესმოდა ლაპარაკი მისი სიკვდილის შესახებ, მაგრამ უძლური იყო თავისთვის ეშველა[2].

---

[1] პროფესორ ჰალეს (G. Halle) გერმანული წიგნიდან „მაგია ანუ ნატურის ჯადოსნური ძალები" (რუსულ ენაზე გამოსცა მოსკოვის უნივერსიტეტის ტიპოგრაფიაში ქრისტ. კლაუდისთან 1801 წ.), გვ. 354—359.

[2] ექიმ ბირდის სტატიიდან „ტრანსის არსი და მოვლენები", რომელიც მოთავსებულია დ. ი. მენდელეევის წიგნში მასალები სპირიტიზმზე მსჯელობისათვის. სპბ., 1876, გვ. 294.

ამერიკელმა მწერალმა ედგარ პომ, რომელიც ლიტერატურულ ნაწარმოებებში ათასგვარ საშინელებებს აღწერდა, „ნაადრევ დასაფლავებათა“ ისტორიების მთელი კოლექცია შეაგროვა. შესაძლოა, უწინდელ დროში ასეთი ტრაგიკული შემთხვევები ზოგჯერ მართლაც ხდებოდა და ისინი ცრუმორწმუნე ადამიანებზე თავზარდამცემ შთაბეჭდილებას ახდენდა. ალბათ, აქედან იღებს სათავეს ერთ-ერთი ყველაზე ბნელი და უაზრო მონაჯორი, რწმენა ვამპირებისა და ვურდალაკების—„არანამდვილი სიკვდილით“ გარდაცვლილ ადამიანთა არსებობის შესახებ, რომლებიც ღამის საათებში საფლავებსა და აკლდამებს ტოვებენ, რათა თავისი ცოცხალ-მკვდარი არსებობა ადამიანთა სისხლით შეინარჩუნონ.

ხანგრძლივი, ზოგჯერ მრავალწლიანი, ძილის სხვადასხვა ფორმები ამჟამად კარგად არის შესწავლილი და მასთან დაკავშირებული ცრუმორწმუნეობანი მივიწყებას მიეცა. აი ხანგრძლივი ძილის ორი შესანიშნავი მაგალითი.

საფრანგეთში ოთხი წლის გოგონა, რომელსაც დაავადებული ნერვული სისტემა ჰქონდა, რაღაცამ შეაშინა და გული წაუვიდა, შემდეგ კი მიეცა ლეთარგიულ ძილს, რომელიც 18 წელი გაგრძელდა. იგი საავადმყოფოში დააწვინეს, სადაც მზრუნველობით უვლიდნენ და კვებავდნენ; იგი გაიზარდა და დიდი ქალიშვილი გახდა. მიუხედავად იმისა, რომ მან, უკვე მოწიფულმა, გაიღვიძა, მისი გონება, ინტერესები, გრძნობები ისეთივე დარჩა, როგორც მრავალწლიანი ძილის დადგომამდე ჰქონდა. სახელდობრ, ლეთარგიიდან გამოღვიძებისთანავე გოგონამ სათამაშოდ თოჯინა მოითხოვა[1]. კიდევ უფრო ხანგრძლივი ძილის შესახებ ჰქონდა ცნობები ი. პ. პავლოვს. ერთი კაცი 25 წლის განმავლობაში იწვა კლინიკაში როგორც „ცოცხალი ლეში“. იგი სრულებით არ მოძრაობდა, ოცდათხუთმეტიდან სამოცი წლის ასაკამდე, ხმა არ ამოუღია და მხოლოდ ამის შემდეგ თანდათანობით დაიწყო ჩვეულებრივი მოძრაობა, დგებოდა, ლაპარაკობდა და სხვ. მოხუცს გამოკითხეს თუ რას გრძნობდა იგი ხანგრძლივი წლების მანძილზე, როდესაც „ცო-

---

1 იხ. ვ. ე. ეფიმოვი. ძილი და სიზმარი. მ-ლ., გოსტეხიზდატი. 1947, გვ. 8.

ცხალი ლუშივით“ იწვა. გამოირკვა, რომ მას ბევრი რამ ესმოდა, ბევრსაც ხედავდა, გებულობდა, მაგრამ განძრევა და ლაპარაკი არ შეეძლო. ი. პ. პავლოვი ამ შემთხვევას ტვინის ქერქის დიდი ნახევარსფეროების მამოძრავებელი არის ინერტული პათოლოგიური შეკავებით ხსნიდა. მოხუცებულობისას, როცა შეკავებითი პროცესები სუსტდება, ქერქულმა შეკავებამ შესუსტება იწყო და მოხუცმა გაიღვიძა [1].

ცნობილია ევროპელი მოგზაურებისა და ინდუსი მწერლების ნაამბობი იმის შესახებ, რომ ინდუს იოგებს გარკვეული თვითჰიპნოზისა და სუნთქვის შეკავების მათთვის ცნობილი ხერხების გამოყენებით, სურვილისამებრ შეუძლიათ გამოიწვიონ ღრმა და ხანგრძლივი ძილი, რომელიც თავისი ხასიათით ლეთარგიას ან კატალეფსიას წააგავს. ლ. ლევანფელდი წიგნში „ჰიპნოტიზმი“ ამ საკითხს მთელ თავს უთმობს [2].

იგი გვაუწყებს, რომ ჯერ კიდევ 1893 წელს გ. ვალტერმა თავის დისერტაციაში სანსკრიტული ენიდან ერთი ძველინდური ხელნაწერის თარგმანი მოიყვანა, სადაც აღწერილია ვარჯიშები, რომელთა მეშვეობითაც იოგები ხანგრძლივ ძილს იწვევდნენ. ვარჯიშების არსი ძირითადად იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანი თანდათანობით ადიდებს სუნთქვის შეკავების პერიოდს, რასაც ბოლოს და ბოლოს ცნობიერების დროებითი შეწყვეტა მოსდევს. ერთდროულად იგი მოხერხებულ მდგომარეობას იკავებს და, თავდახრილი, ნახევრად ღია თვალებით, „შზერას ერთ ადგილს აპყრობს“, იხურავს (ან მას ახურავენ) ცხვირზე, პირსა და ყურებზე და ასე „დაძაბული უსმენს შინაგან ხმას“, რომელიც ხან ზარის რეკვას ჰგავს, ხან ნიკარის ხმაურს და ხან კიდევ ბუკის ხმას ან ფუტკრის ზუზუნს მოგვაგონებს. ყველა ეს ხერხი თითქმის ღრმა თვითჰიპნოზს იწვევს, რომელიც „ისტერიული ავადმყოფების მოჩვენებით სიკვდილს“ — ლეთარგიას ჰგავს.

ამ საკითხით ძალიან დაინტერესებული იყო აკადემიკოსი თარხნიშვილი. თავის წიგნში „სული და სხეული“, რომელიც

---

[1] იხ. გ ა ლ პ ე რ ი ნ ი. ძილი და სიზმარი. ლ., 1945, გვ. 12 — 13.

[2] იხ. ლ. ლ ე ვ ე ნ ფ ე ლ დ ი. ჰიპნოტიზმი. სარატოვი, 1903, გვ. 186 — 189.



„იოგის ძილი“ — თვითშთაგონებით გამოწვეული ავტოპიანოზი; ლეთარგიის მსგავსი.
(იშვიათი ფოტოგრაფიიდან).

ლღესაც დიდი ინტერესით იკითხება, იგი წერს, რომ იოგების ძილის მსგავსი რამ ზოგიერთ ევროპელსაც გამოუწვევია, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ისინი სუნთქვის შეკავებაში კი არ ;ვარჯიშობდნენ, არამედ ნებისყოფის დაძაბვით გულის ცემის "შეჩერებას ცდილობდნენ. აი, რას წერს იგი ამ საკითხის შე-!სახებ:

„რა ძნელი წარმოსადგენიც არ უნდა იყოს, რომ ჩვენი ჩონჩხის ყოველი კუნთის მსგავსად, გული ან სისხლძარღვები ნებისყოფა'ს დაემორჩილოს, სამედიცინო ლიტერატურაში მაინც იხსენიება შემთხვევები, რომლებიც, როგორც ჩანს, მიუთითებენ ამდაგვარი ფაქტის შესაძლებლობაზე. ასე მაგალითად, ბელს შეეძლო (ინგლისელ ფიზიოლოგ'ს. — ლ. ვ.) სურვილისამებრ საგრძნობლად შეენელებინა გულის ცემა... ჩერმაკი (აგრეთვე გამოჩენილი ფიზიოლოგი. — ლ. ვ.) გულის ცემას ანელებდა და აჩერებდა კიდეც. და ბოლოს, ლიტერატურაში მოხსენებულია ერთი ინგლისელი პოლკოვნიკი ტაუნსენდი, — პიროვნება, რომელსაც შეეძლო საკუთარი გულის ცემა სურვილისამებრ შეეჩერებინა, თანაც იმდენად ხანგრძლივად, რომ ამის გამო გულიც კი წასვლია; ასეთი ცდის დროს სხეული უცივდებოდა, თითქმის უშეშდებოდა, თვალები უსიცო-

ცხლო ხდებოდა და ბოლოს გონებას სრულიად კარგავდა; ასეთ მდგომარეობაში რამდენიმე საათის ყოფნის შემდეგ იგი თანდათანობით კვლავ გონს მოდიოდა (იოგის მსგავსად. — ლ. ვ.). დიდი ხნის განმავლობაში ასეთი სეანსები მისთვის კეთილად მთავრდება, მაგრამ ერთხელ დიდძალი მაყურებლის წინაშე ამგვარი ცდის ჩატარების შემდეგ იმავე დღის საღამო ჟამს უეცრად გარდაიცვალა" [1].

ცნობილია, რომ აქამად ქირურგიაში ფართო გავრცელება ჰპოვა ჰიპოთერმიის მეთოდმა, ანუ საოპერაციო ავადმყოფის სხეულის თანდათანობითმა გაცივებამ -იმ დონემდე, რომლის დროსაც მისი მდგომარეობა ზოგიერთი ცხოველის, მაგალითად ბაზუნას, ღამურასა და სხვათა ზამთრის ძილს წააგავს [2].

ძველთაგან ცნობილია პათოლოგიური ძილის მეორე სახესხვაობა, რომელსაც ლუნატიზმი, მთვარეულობა ან ბუნებრივი სომნაბულიზმი ეწოდება. ჯანმრთელმა ადამიანმა სიზმარში შეიძლება ნახოს, რომ სადმე მიემგზავრება ან რაიმე სამუშაოს ასრულებს, და ამასთან უძრავ მდგომარეობას ინარჩუნებდეს. მთვარეული განაგრძობს რა ძილს, ტოვებს ლოგინს და სეირნობს ან ავტომატურად ასრულებს იმ სამუშაოს, რომელიც მას ესიზმრება. საქმის დამთავრების შემდეგ იგი ლოგინს უბრუნდება და დილამდე მშვიდად სძინავს. გაღვიძების შემდეგ მას თავისი ღამის თავგადასავალის შესახებ აღარაფერი ახსოვს. აი, უტყუარი ნაამბობი ერთ განათლებულ ადამიანზე, რომელიც სომნაბულიზმით იყო შეპყრობილი.

„ერთხელ, ღამით მას იტალიურად ფრანგულზე თარგმნისას შეუსწრეს; იგი ლექსიკონში იქექებოდა, სიტყვებს არჩევდა და თან თითქოს გვერდით მდგარი სანთლის შუქით სარგებლობდა. როდესაც სანთელი ჩააქრეს, მოძებნა იგი და ხელახლა აანთო, რაც, სხვათა შორის, სულაც არ იყო საჭირო, რადგან ოთახი განათებული იყო სხვა სანთლებით, რომლებსაც იგი ვერ ამჩნევდა, რადგანაც არ იცოდა, რომ ისინი ენთო" [3].

---

[1] ი. რ. თარხნიშვილი. „სული და სხეული", ჟურნალი „ვესტნიკ ი ბიბლიოტეკა სამოამბრაზოვანიას", დამატება. სპბ., 1904, გვ. 110.

[2] იხ. ამის შესახებ. ვ. ბურაკოვსკის სტატია „ჰიპოთერმია" დიდ სამედიცინო ენციკლოპედიაში (ტ. 7, მოსკ., 1958, გვ. 244—250).

[3] ა. ლემანი. ცრუმორწმუნეობათა და ჯადოქრობის ილუსტრირებული ისტორია ძველი დროიდან დღევანდლამდე, მოსკ., 1900, გვ. 489.

ბუნებრივი სომნაბულიზმი, რომლის გამოვლინება არცთუ ისე იშვიათად გვხვდება, შესაძლოა, ძველი ცრურწმენის, სახლის „სულის“ — ფუძის ანგელოზის არსებობის ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს. ღამის საათებში, როდესაც სახლში ყველას ძინავს, ეს კეთილმოსურნე „სული“ თითქოს სხვადასხვა საოჯახო სამუშაოებს ასრულებს, რომლის მოთავებაც დიასახლისმა დღისით ვერ მოასწრო. სინამდვილეში კი ყველაფერ ამას ოჯახის ერთ-ერთი წევრი ასრულებს, რომელიც სომნაბულიზმით არის შეპყრობილი.

გარდა სომნაბულებისა, რომლებიც ძილის დროს თავიანთ ჩვეულებრივ საქმიანობას განაგრძობენ, არიან ისეთებიც, რომლებიც ძილში ისეთ რამეებს ჩადიან, რაც სიფხიზლის დროს მათ არ ახასიათებთ. ასეთი შემთხვევებით დაინტერესებული იყო გამოჩენილი რუსი ბიოლოგი ი. ი. მეჩნიკოვი. მას შემდეგი ფაქტი აქვს აღწერილი.

პარიზის ერთ-ერთ საავადმყოფოში მომვლელად მიიღეს 24 წლის ისტერიული ქალიშვილი, რომელიც სომნაბულა აღმოჩნდა. ერთხელ ღამით მორიგე ასეთი სანახაობის მოწამე გახდა.

ქალიშვილი დგება ლოგინიდან და ადის სხვენის სართულში გამართულ საერთო საძინებელში, სადაც მას წინათ ეძინა. „კიბის ზემოთ ბაქანს რომ აღწევს, აღებს სახურავზე გასავლელ სარკმელს, გადადის ფანჯრიდან და კარნიზზე სეირნობს მეორე ზომავლის თვალწინ, რომელიც თავზარდაცემული შესცქერის მას და დალაპარაკებასაც ვერ ბედავს; შემოდის ისევე მეორე ფანჯრიდან და კიბეებზე ეშვება. ამ დროს მეც დავინახე, — ამბობს მორიგე ექიმი, — იგი დადის უხმოდ, მისი მოძრაობა ავტომატურია, ხელები ოდნავ დახრილი, ტანის გასწვრივ აქვს ჩამოშვებული; თავი სწორად და გაუნძრევლად უჭირავს; თმები გაშლილი აქვს, თვალები ფართოდ გაღებული. იგი ფანტასტიკურ მოჩვენებას ჰგავს“ [1].

მეჩნიკოვის აზრით, ამგვარი შემთხვევა „საკმაოდ დამაჯერებლად გვაჩვენებს, რომ ბუნებრივი სომნაბულიზმის დროს ადამიანი ისეთ თვისებებს იძენს, რომლებიც მას ნორმალურ

---

[1] ი. ი. მ ე ჩ ნ ი კ ო ვ ი. ოპტიმიზმის ეტიუდები. მ., 1913, გვ. 183.

მდგომარეობაში არ ჰქონია, და რომ იგი მსგავსად თავისიადამიანისმაგვარი წინაპრებისაძლიერი, მარჯვე, კარგი ტანმოვარჯიშე ხდება... ადამიანმა თავისი წინაპრებისაგან მემკვიდრეობით მიიღო ტვინის მრავალი მექანიზმი, რომელთა მოქმედება მოგვიანებით განვითარებულ შეკავებამ ჩაახშო"[1]. სომნამბულურ მდგომარეობაში ეს ძველთაძველი ტვინის მექანიზმები შეკავებისაგან ცოტად თუ ბევრად თავისუფლდებიან, უფრო მოგვიანებით შეძენილი, მხოლოდ ადამიანისათვის დამახასიათებელი ქერქის უბნების შეკავების გამო. „ამიტომ,—დაასკვნის მეჩნიკოვი, — შეიძლება დავუშვათ, რომ სომნამბულების გიმნასტური სიმარჯვე და გასაოცარი ძალა წარმოადგენს ცხოველური მდგომარეობისაკენ დაბრუნებას"[2]. ხეზე მცოცავ ცხოველთა იმ ინსტიქტურ გამოვლინებებს, რომლებიც ადამიანის უახლოეს წინაპრებს ახასიათებდა.

მთვარეული ქალიშვილი
(მხატვარ გ. რუჯინის ნახატიდან)

მეჩნიკოვის ეს ვარაუდი აშკარად ეხმაურება პავლოვის აღნიშნულ შეხედულებას სიზმრებზე: თავის ტვინის ქერქის უმაღლესი, გენეტიკურად უფრო გვიანდელი ფუნქციების შეკავების შედეგად, ჩვეულებრივ ძილში შეკავებისაგან თა-

---

[1] ი. ი. მეჩნიკოვი. ოპტიმიზმის ეტიუდები. მ., 1913, გვ. 186.
[2] იქვე, გვ. 187.

ვისუფლდება კავშირების უფრო პრიმიტიული ტიპი—ეგრეთ წოდებული საგნობრივი, სახოვანი აზროვნება, სომნაბულურ ძილში კი კიდევ უფრო ძველი მოძრაობითი ავტომატიზმები, რომლებიც თანამედროვე ადამიანს უკვე დაკარგული აქვს.

იშვიათ შემთხვევაში ადამიანის სომნაბულური მდგომარეობა კვირაობით და თვეობით შეიძლება გაგრძელდეს, შემდეგ კი ადამიანს უცებ უბრუნდება ნორმალური მდგომარეობა. ასეთ შემთხვევებში საოცარ მოვლენას ვამჩნევთ: ცნობიერება იყოფა პირველად ნორმალურ და მეორად, სომნაბულურ ნაწილებად. აი, ამ სახის ერთ-ერთი ცნობილი მაგალითი.

გოგონა, სახელად ფელიდა, ჯანმრთელი მშობლებისაგან იშვა. 13 წლის ასაკში მას ისტერიის პირველი სიმპტომები გამოაჩნდა, წლინახევრის შემდეგ კი ისტერიული სომნაბულიზმის შეტევები დაეწყო. დროთა მსვლელობაში შეტევათა სიხშირემ იკლო. მაგრამ უფრო ხანგრძლივი გახდა ფსიქიკის მეორადი, სომნაბულური მდგომარეობა. 32 წლის ასაკში ეს უკანასკნელი დაახლოებით სამ თვეს გრძელდებოდა, და მხოლოდ რამდენიმე საათით ენაცვლებოდა მას ნორმალური, პირველადი მდგომარეობა. მეორად, ანუ სომნაბულურ პიროვნებას კარგად ახსოვდა როგორც პირველი, ისე მეორე მდგომარეობის დროს მომხდარი ფაქტები. ხოლო პირველად, ანუ ნორმალურ პიროვნებებში არ ახსოვდა, თუ რას აკეთებდა სომნაბულურ მდგომარეობაში მყოფი. ამიტომ უკანასკნელ წლებში ნორმალური მდგომარეობის ხანმოკლე პერიოდები ფელიდასათვის ძალზე არასასიამოვნო იყო. მეორად პიროვნებას კი უფრო ადვილად იტანდა, ვიდრე პირველადს, რაც მის ხასიათზედაც გავლენას ახდენდა. ნორმალურ პერიოდში იგი მელანქოლიური. გულჩათხრობილი იყო, ხმას არ იღებდა, გამუდმებით უჩიოდა ტკივილებს, საერთოდ მხოლოდ საკუთარი თავით იყო გართული და გარეშე მყოფთ ყურადღებას არ აქცევდა. სომნაბულიზმის მდგომარეობაში იგი მხიარული და უზრუნველი იყო, არ უყვარდა მუშაობა და უმეტესად ტუალეტით იყო გართული. მაგრამ, მეორე მხრივ, მეტ სიყვარულსა და ალერსს იჩენდა ბავშვებისა და ნათესავების მიმართ. ამრიგად, ერთ ადამიანში, ეთუოდ, ორი ფსიქიკური პიროვნება ცხოვრობდა [1].

[1] იხ. ლ. ლ ე ვ ე ნ ფ ე ლ დ ი. ჰიპნოზი, გვ. 247—248.

ზოგჯერ პიროვნების მკვეთრი შეცვლა უეცრად. რაიმე ძლიერი სულიერი შერყევის შედეგად ხდება. ცნობილმა ფრანგმა ფსიქოლოგმა ბინემ (A. Binét) შემდეგი ტიპიური შემთხვევა აღწერა. თექვსმეტი წლის ახალგაზრდა ვენახში მუშაობდა; ერთხელ მუშაობის დროს იგი გველს წააწყდა და ისეთი თავზარი დაეცა, რომ გული წაუვიდა, როდესაც იგი გონს მოვიდა, მას ქვემო კიდურების დამბლა აღმოაჩნდა; გარდა ამისა, ფსიქიკაში საგრძნობი ცვლილებები მოხდა: ყმაწვილს საკუთარი თავი 9 წლის ბიჭუნად წარმოედგინა და ყოველმხრივ ისე იქცეოდა, როგორც ეს ამ ასაკის ბიჭებს შეეფერებათ. იგი ცუდად კითხულობდა, წერდა, როგორც დამწყები, ცხოვრობდა მარტოოდენ იმ შთაბეჭდილებებით და ინტერესებით, რაც ცხრა წლის ასაკში ჰქონდა. სიცოცხლის მთელი შემდგომი პერიოდი დავიწყებული აღმოჩნდა, ცხოვრების შემდგომდროინდელი გამოცდილების ყველა შენაძენი ამოვარდნილი იყო მეხსიერებიდან. ფეხების დამბლის გამო ყმაწვილი ვენახში მუშაობიდან სამკერვალო სახელოსნოში გადაიყვანეს. იქ მან კერვა ისწავლა, წერა-კითხვას ხელახლა დაეუფლა, მკერაობას მიჰყო ხელი. რამდენიმე წლის შემდეგ ჩვენმა მკერავმა ახალი ძლიერი შერყევა განიცადა, რამაც ხანგრძლივი გულისწასვლა გამოიწვია. ამჯერად, როცა იგი გონს მოვიდა, ფეხების დამბლამ გაუარა, მეხსიერებაში კი აღსდგა მთელი ცხოვრებისა და ვენახში მუშაობის დავიწყებული პერიოდი, რომელიც გველთან შეხვედრას უსწრებდა წინ. მაგრამ ამასთან აღმოჩნდა, რომ დავიწყებია ყველაფერი, რაც ეხებოდა სამკერვალო სახელოსნოში ცხოვრებას, აგრეთვე სამკერვალო საქმის მთელი ცოდნა და ჩვევები.

ნ. ე. ვედენსკი თავის ლექციებში მიუთითებდა, რომ ისეთი მდგომარეობა, როდესაც ადამიანი თითქოსდა ერთი პიროვნებიდან მეორედ გარდაიქმნება, უდიდესი მხატვრული სიძლიერით აქვს აღწერილი დოსტოევსკის თავის თხზულებებში, — დიდ მწერალ-ფსიქოლოგს ადამიანის ასეთი მდგომარეობა ძალიან აინტერესებდა. უწინარეს ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ „უხამს ანეგდოტში“ აღწერილი სასაცილო თვითდაკვირვებანი ღარიბი, ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველის პრალინსკისა, რომელიც თავისი ხელქვეითის საქორწინო ვახშამზე უეცრად

დათვრა; შემდეგ, რამდენიმე სურათი და განცდა გადმოცემული „მარადიულ ქმარში"; და ბოლოს, ბატონ გოლიადკინის პიროვნების სრული გაორება „ორეულში" და ივანე თევდორეს ძისა— „ძმებ კარამაზოვებში". ეს მაგალითები დოსტოევსკის თხზულებებიდან გვიჩვენებენ, რომ პიროვნების გაორების ესა თუ ის გამოვლინება ყოველდღიურ ცხოვრებაში არცთუ ისე იშვიათად გვხვდება იმ პირებში, რომლებიც თითქოსდა ჯანმრთელ ადამიანებად არიან მიჩნეული.

წარსულში, როდესაც ნერვული და ფსიქიკური დაავადებანი ჯერ კიდევ სრულ გამოცანას წარმოადგენდნენ, ასეთ მოვლენებს „შეშლილობად" აცხადებდნენ, ფიქრობდნენ რომ ავადმყოფის სხეულში პერიოდულად შესახლდება გარეშე პიროვნება, უფრო კი რომელიღაც მშფოთვარე სული, რომელსაც ადგილი ვერ უპოვია საქიროში. თითქოს ეს უაზრო რწმენა დიდი ხანია დავიწყებას უნდა მისცემოდა, მაგრამ XIX საუკუნეში იგი კვლავ აღორძინდა ცრურწმენათა ნიადაგზე ეგრეთ წოდებული სპირიტიზმის სახით. სპირიტების რწმენით, სპირიტული სეანსების გმირები, მედიუმები, შუამავლობენ დედამიწაზე მცხოვრებთა და გარდაცვლილ სულთა შორის. სეანსის დროს ტრანსის (პათოლოგიური ძილის სახე) მდგომარეობაში ჩავარდნილი მედიუმები ლაპარაკობენ, წერენ და მოქმედებენ მათი „მაკანტროლებელი სულის", — ჩვეულებრივ რომელიმე გამოჩენილი მიცვალებულის ან ერთ-ერთი დამსწრეთაგანის გარდაცვალებული ნათესავის „სულის" სახელით. უკეთუ მედიუმი უბრალოდ მატყუარა არ არის (რაც უმეტეს შემთხვევაშია), მაშინ იგი ავადმყოფია, რომელიც პიროვნების გაორებას განიცდის; ამ სნეულების შეტევა მოცემულ შემთხვევაში სეანსის საიდუმლო გარემოცვითა და ვითარებით არის განპირობებული [1].

ამ ნამდვილად გასაოცარი მოვლენებისა და კიდევ ბევრი სხვა, მათი მსგავსის „საიდუმლოება" ბურუსივით გაიფანტა მას შემდეგ, რაც მეცნიერებმა ისწავლეს ნერვულ ავადმყოფებსა და სავსებით ჯანმრთელ პირებზე ჩატარებული ცდების დროს

[1] დაწვრილებით ამის შესახებ იხილე მე-5 თავში.

ხელოვნურად მათი მიღება, ჰიპნოზისა და შთაგონების მეთოდების გამოყენებით.

ჰიპნოტიზმის ისტორიაში სამი პერიოდი შეიძლება განვასხვავოთ. პირველს უძველეს წარსულში გადავყავართ. ჰიპნოზური ძილი, უთუოდ, ეგვიპტისა და საბერძნეთის ქურუმთათვის უკვე ცნობილი იყო. ამას ეგრეთ წოდებული „გნოსტიკების პაპირუსი“ (ჩ. წ. III) მოწმობს, მასში აღწერილი ჰიპნოტიზირების ხერხები, დღესაც კი გამოიყენება. ქურუმები ჰიპნოზს რელიგიური მიზნებისათვის იყენებდნენ. ჩვეულებრივ ისინი ამა თუ იმ შეკითხვებით მიმართავდნენ ტაძრის რომე-

ჰიპნოზის გამოწვევა ბერძნულ ტაძარში.

ლიმე ნორჩ მსახურს, რომელიც წინასწარ ჰიპნოზური ძილით იყო შეპყრობილი და მის პასუხს როგორც ღმერთის მითითებებსა და წინასწარმეტყველებას, ისე განმარტავდნენ. ძველ საბერძნეთში ჰიპნოზს უკვე სამკურნალო მიზნებისათვისაც იყენებდნენ. ამაზე მეტყველებენ ჩვენ დრომდე მოღწეული მონაცემები ძველი დროის გამოჩენილი ექიმის ასკეპლიადის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

საშუალო საუკუნეებში ჰიპნოზური ძილის შესახებ უძველეს ხალხთა ეს მცირე მონაცემები დაიკარგა, ხოლო ჰიპნოზირების ხერხები დავიწყებას მიეცა. და მხოლოდ აღორძინების

ეპოქაში მეცნიერებამ კვლავ მიმართა ჰიპნოტიზმის მოვლენებს, თანაც ცდებს ჯერ ცხოველებზე აწარმოებდნენ. ასე მაგალითად, XVII საუკუნის პირველ ნახევარში პრესაში გამოქვეყნდა გერმანელი მეცნიერების შვენტერისა და კირხერის ცნობები „ქათმის მოჯადოებული მდგომარეობის", ანუ სხვანაირად, — „სასწაულებრივი ექსპერიმენტის" შესახებ. საქმის არსი ისაა, რომ საკმარისია ფრინველს, რომელიც ხელში მაგრა გვიჭირავს, თავი იატაკზე ფრთხილად დავაჭერინოთ და ამ მდგომარეობაში რამდენიმე ხანს ვამყოფოთ, რომ ქათამი უმოძრაო, მოდუნებულ, თითქოსდა ღრმა ძილის მდგომარეობაში აღმოჩნდება, რომლიდანაც მისი გამოყვანა მხოლოდ მაგარი ბიძგით ან ხმამაღალი შეძახილით შეიძლება.



ათანასე კირხერის „სასწაულებრივი ექსპერიმენტი" (ძველებური გრავიურიდან).

ცდილობდნენ რა აეხსნათ მსგავსი მოვლენები, იმ დროის მეცნიერებმა საფუძველი ჩაუყარეს ჰიპნოტიზმის ისტორიის მეორე პერიოდისათვის დამახასიათებელ ფანტასტიკურ სწავლებას, რომელიც ცხოველური მაგნეტიზმის სახელწოდებით არის ცნობილი.

თავისი დროის გამოჩენილი შვეიცარიელი ექიმი პარაცელსი და მისი მიმდევარი ჰელმონტი და ფლუდი ამტკიცებდნენ, რომ ერთ ადამიანს შეუძლია გავლენა მოახდინოს მეორე ადამიანის ორგანიზმსა და ფსიქიკაზე იდუმალი „სასიცოცხლო ძალის" საშუალებით, რომელიც თითქოსდა ადამიანის ხელებიდან, თვალებიდან და სხეულის სხვა ორგანოებიდან გამოედინება. ეს სავარაუდო ძალა, ანუ ემანაცია თავდაპირველად ფლუიდად იწოდებოდა. შემდეგ დაიწყეს მტკიცება, რომ ცოცხალ არსებაზე ფლუიდი ისეთ გავლენას ახდენს, როგორსაც ჩვეულებრივი მაგნიტი, რომელსაც იმ დროს სამკურნალო თვისებებს მიაწერდნენ. ამის გამო ფლუიდს სახელი გადაარქვეს და „ცხოველური მაგნიტიზმი" უწოდეს, ხოლო იმ პირებს კი, რომ-

ლებიც პაციენტებისათვის თავიანთი სამკურნალო მაგნეტიზმის გადაცემის უნარს ფლობდენ — მაგნეტიზორები დაერქვათ.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ეს ჭეშმარიტებას მოკლებული სწავლება მკაფიოდ ჩამოყალიბებულ და გავრცელებულ იქნა ვენელი ექიმის მესმერის მიერ, რომელსაც არცთუ ისე მართებულად მიიჩნევდნენ ჰიპნოტიზმის ფუძემდებლად. მესმერი წარმოსახვაზე მოქმედი სხვადასხვა ხერხების გამოყენებით, მაგალითად, ავადმყოფთა ტანის გაყოლებით ხელების წასმით, — თითქოს თავისი მაგნეტიზმის (ეგრეთ წოდებული „პასების") გადაცემის მიზნით, — მათში „კრიზისის" მდგომარეობას — ისტერიულ შეტევას იწვევდა, რომელიც კრუნჩხვებისა, კონვულსიებისა, გამგმირავ ყვირილსა, შეუკავებელ სიცილსა ან ტირილში გამოიხატებოდა. მისი „თეორიით" ყოველი ნერვული ავადმყოფობა ხელოვნურად უნდა იქნას მიყვანილი თავისი განვითარების უმაღლეს წერტილამდე, რათა სხეულმა განკურნება შესძლოს. მშფოთვარე, „კრიზისით" მოცული ავადმყოფი, მესმერის დამხმარეებს „კრიზისის დარბაზში" — ხალიჩებით მორთულ და ბუმბულის ლეიბებდაგებულ ოთახში გადაჰყავდათ, სადაც გონს მოსვლის შემდეგ ზოგჯერ მართლაც იკურნებოდნენ სნეულებისაგან.

1774 წელს პარიზში დაარსდა ცხოველური მაგნეტიზმის გამომკვლევი კომისია. მის შემადგენლობაში შეიდნენ პარიზის უნივერსიტეტის სამედიცნო ფაკულტეტისა და მეცნიერებათა აკადემიის უდიდესი მეცნიერები, რომელთაც ფრანკლინი და ლავუაზე უდგნენ სათავეში. კომისიამ დეტალურად გამოიკვლია მესმერისა და მისი მიმდევარის დელონის საექიმო საქმიანობა, ხოლო „ცხოველურ-მაგნეტური სითხის" საკითხის გადაწყვეტის მიზნით კი მთელი რიგი მახვილგონივრულად ჩაფიქრებული ცდები ჩაატარა. ამ ცდებმა საბოლოოდ უარყვეს ასეთი სითხის არსებობა, მაგრამ ამასთანავე მნიშვნელოვან აღმოჩენამდე მიიყვანეს მეცნიერები, ცნობილი გახდა, თუ რა ძლიერი ფიზიოლოგიური გავლენის მოხდენა შეუძლია აგზნებულ წარმოსახვას. ყველაფერი, რასაც მესმერი და მისი მიმდევრები მაგნიტური სითხის გავლენად მიიჩნევდნენ, კომისიამ წარმოსახვის ზემოქმედებით ახსნა (შემდგომ ეს სიტყვა შეიცვალა საქმის

არსის უფრო ზუსტად გამომხატველი ცნებებით — „შთაგონება“ „თვითშთაგონება“). მოვიყვან ამონაწერს ამ კომისიის დასკვნიდან, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ცრუმორწმუნეობასთან ბრძოლის ისტორიაში:

„კომისია, რომელმაც მიიჩნია რომ ცხოველურ-მაგნეტური სითხე ხუთიდე ჩვენი გრძნობისათვის მიუწვდომელია, რომ მან არავითარი გავლენა არ მოახდინა კომისიის არც ერთ წევრზე და არც ავადმყოფებზე, რომლებიც კომისიამ ამ გავლენის ქვეშ მოაქცია. და ბოლოს, დაამტკიცა რა ცდებით, რომ წარმოსახვა იწვევს კონვულსიებს მაგნეტიზმის გარეშე, ხოლო მაგნეტიზმი კი წარმოსახვის გარეშე სრულებით არაფერს არ იწვევს, — მაგნეტიზმის არსებობისა და გამოყენების საკითხში ერთხმად მივიდა შემდეგ დასკვნამდე: არაფრით არ დასტურდება ცხოველურ-მაგნეტური სითხის არსებობა. მაშასადამე, ამ არარსებულ ნივთიერებას არ შეუძლია სარგებლობის მოტანა; ავადმყოფობის შედეგები, რომლებიც საჯარო მკურნალობის დროს შეიმჩნევა, წარმოიშობა შეხებისაგან, აგზნებული წარმოსახვისა და მექანიკური წაბაძვისაგან, რომლებიც გვაიძულებენ უნებურად გავიმეოროთ ის, რასაც განცვიფრებაში მოვყავართ“ [1].

თუ რა დიდ ძალას მიაწერდა წარმოსახვას ლავუაზიე, მისი შემდეგი სიტყვებიდან ჩანს: „მაგნეტიზმის მოქმედებას, ან, უკეთ რომ ვთქვათ, წარმოსახვის მოქმედებას ჩვენ ვხვდებით ომშიც. სახალხო არეულობისას და სამკურნალო (მესმერის) აბაზანასთან ხალხმრავალი შეკრებილობის დროს; ყველგან ეს ძალა მოქმედი და საშინელია, მისი გამოვლინება ჩვენში იწვევს გაოცებას, მაშინ, როდესაც მისი წყარო ბნელითა და საიდუმლოებით მოცული რჩება“ [2].

მაგრამ მეცნიერების ისტორიაში ჰიპნოზური ძილის მეორედ აღმოჩენის პრიორიტეტი მესმერს არ ეკუთვნის. ეს პა-

---

1 ლავუაზიეს თხზულებიდან (Oeuvres Lavoisier V. III, 1865, p. 513—527). რუსული თარგმანი, იხ. დ. ი. მენდელეევის წიგნში. მასალები სპირიტიზმზე მსჯელობისათვის, გვ. 277.

2 დ. ი. მ ე ნ დ ე ლ ე ე ვ ი. მასალები სპირიტიზმზე მსჯელობისათვის, გვ. 275.

ტივი მის მოწაფესა და მიმდევარს პიუისეგიურს ხვდა წილად. აი, როგორ აღწერს მესმერიზმის ერთ-ერთი ისტორიკოსი ამ შეხვედრას.

„დილეტანტური ჰუმანიზმისა და ფილოსოფიური ცნობისმოყვარეობის გამო იგი პატრონის მითითებით უსასყიდლოდ ეწევა მაგნეტურ მკურნალობას თავის მამულში. ერთხელ მას მთელმა ჯგუფმა მიმართა დასახმარებლად და ფილანტროპი გრაფი ცდილობს ავადმყოფებში რაც შეიძლება უფრო მძაფრი კრიზისი გამოიწვიოს. მაგრამ უეცრად იგი გაოცდა, უფრო მეტიც—შეშინდა. ახალგაზრდა მწყემსი, სახელად ვიქტორი, იმის ნაცვლად, რომ მაგნეტურ პასებს კანკალით, კონვულსიებით და კრუნჩხვებით უპასუხოს, ამჟღავნებს უბრალო დაღლილობას და მისი ხელის სმის გავლენით მშვიდ ძილს ეძლევა. რადგან ასეთი საქციელი ეწინააღმდეგება წესებს, რომელთა მიხედვით მაგნეტიზებამ პირველ რიგში კონვულსიები უნდა გამოიწვიოს და არა ძილი, პიუისეგიური ცდილობს მის გაღვიძებას, მაგრამ ამაოდ! პიუისეგიური უყვირის მას, ის კი არ ინძრევა. ანჯღრევს მას, მაგრამ საოცარია: ამ ჩასკვნილ ჭაბუკს სრულიად სხვანაირი, არანორმალური ძილით სძინავს. მოულოდნელად, როდესაც იგი კვლავ ადგომის ბრძანებას აძლევს, ყმაწვილი მართლაც დგება და რამდენიმე ნაბიჯს დგამს, მაგრამ თვალდახუჭული. მიუხედავად დახუჭული თვალებისა, მას თავი ისე უჭირავს, როგორც ფხიზელს, როგორც ადამიანს, რომელიც ყველა გრძნობებს ფლობს, ძილი კი ამავე დროს გრძელდება. მან დღისით. მზისით სომნაბულიზმით შეპყრობილმა, ძილში ხეტიალი დაიწყო. დარცხვენილი პიუისეგიური ცდილობს გამოელაპარაკოს მას, აძლევს შეკითხვებს და რას ხედავს? გლეხის ბიჭი ყოველ შეკითხვაზე სავსებით გონივრულად და ჭკაფიოდ პასუხობს, მიუხედავად იმისა, რომ ძილის მდგომარეობაში იმყოფება. ამ თავისებური შოვლენით აღელვებული პიუისეგიური იმეორებს ცდას. და მართლაც, იგი ახერხებს ძილში ასეთი სიფხიზლის და სიფხიზლის დროს ასეთი ძილის გამოწვევას მაგნეტური ხერხების საშუალებით არა მარტო ახალგაზრდა მწყემსებში, არამედ მთელ რიგ სხვა პირებშიც. მოულოდნელი აღმოჩენით ძალზე აღელვებული პიუისეგიური გაორკეცებული მონდომებით განაგრძობს ცდების ჩატარებას, იგი მიმართავს ეგრეთ

წოდებულ, პოსტჰიპნოზურ შთაგონებას, განკარგულებას აძლევს ძილში მყოფს გამოღვიძების შემდეგ შეასრულოს რიგი გარკვეული მოქმედებანი. და მართლაც. პაციენტები ნორმალური ცნობიერების დაბრუნების შემდეგაც ასრულებენ იმას, რაც მათ ძილის დროს შთააგონეს" [1].

აღწევდნენ რა თავის პაციენტებში ჰიპნოზურ ძილისა და სომნამბულიზმის შეტევების ხელოვნურად გამოწვევას, მესმერის მიმდევრები ამ მოვლენებს სრულიად მცდარ ინტერპრეტაციას აძლევდნენ. იმ დროს ევროპულმა მეცნიერებამ ჯერ კიდევ არაფერი იცოდა შთაგონების შესახებ, მაშინ როცა სწორედ შთაგონებაა ის ფაქტორი, რომელიც ჰიპნოზურ მდგომარეობას იწვევს. მხოლოდ XIX საუკუნის დასაწყისში პორტუგალიელმა აბატმა ფარიამ, რომელიც მრავალი წელი ცხოვრობდა ინდოეთში, სადაც ჰიპნოზური მოვლენები უძველესი დროიდან იყო ცნობილი, დაიწყო ევროპაში სიტყვიერი დაძინების ცდების ჩვენება, ყოველგვარი პასების გარეშე და, მაშასადამე. დასაძინებელ პირებზე წარმოსახვითი მაგნეტური ფლუიდის ზეგავლენის გარეშე. გასული საუკუნის 40-იან წლებში ინგლისელმა ქირურგმა ბრედმა გააუმჯობესა სიტყვიერი დაძინების მეთოდი და შემდეგი დამხმარე ხერხით შეავსო იგი: გამოსაკვლევ პირს წინადადება ეძლეოდა რამდენიმე ხნის განმავლობაში რაიმე ბრჭყვიალა საგნისათვის ეცქირნა (ასეთი ფიქსაცია გამომკვლევი პირის თვალებს ღლის და ამით ხელს უწყობს ძილის სიტყვიერ შთაგონებას).

უნდა აღინიშნოს, რომ ბრედი მესმერიზმს სკეპტიკურად უყურებდა. ერთხელ როდესაც აპირებდა გამოემეღავნებინა, როგორც თვითონ ფიქრობდა, შეეიცარიელი მაგნეტიზორის — ლაფონტენის გაქნილი ოინები, იგი დარწმუნდა ლაფონტენის მიერ ნაჩვენები ჰიპნოზური მოვლენების სინამდვილეში და იმ დროიდან თვითონ დაიწყო მათი შესწავლა. ბრედმა საბოლოოდ უარყო „ფლუიდო-მაგნიტური თეორია" და ტერმინი „ცხოველური მაგნეტიზმი" თანამედროვე ტერმინით „ჰიპნოტიზმით" (ბერძნული სიტყვიდან „ჰიპნოს" — ძილი) შეცვალა. დასასრულ, უნდა ითქვას, რომ ბრედმა პირველმა გამოიყენა

---

[1] ს. ცვეიგი. მკურნალობა და ფსიქეა. ლ., 1932, გვ. 97—98.

შესმერი ამაგნეტიზირებს პაციენტებს დიდ გეჯაში (baquel) ჩასხმული
დამაგნეტიზირებული წყლის საშუალებით.
(მხატვარი ო. რენარის სურათიდან).

ქირურგიული ოპერაციების დროს ჰიპნოზური ძილი, როგორც ტკივილების გამაყუჩებელი საშუალება. ყველაფერი ეს საფუძველს გვაძლევს ვაღიაროთ ბრედი ჰიპნოტიზმის განვითარებაში მესამე, უკვე სავსებით მეცნიერული მიმართულების ნამდვილ ფუძემდებლად.

ინგლისელი ექიმის გამოკვლევებს თანამედროვეთა შორის არ ჰქონდა წარმატება. სიტყვით დაძინება და მკურნალობა მათ მაგნეტიზორის ფლუიდით დაძინებასა და მკურნალობაზე არა ნაკლებ სასწაულად მიაჩნდათ. ბრედის სიტყვიერი შთაგონება მისი სწავლული კოლეგების მეხსიერებაში ძველი დროის მაგიური მანიპულაციების წარმოდგენას აღვიძებდა. დღის წესრიგში დადგა საკითხი: დაერწმუნებინა თანამედროვენი იმაში, რომ შთაგონების აქტში, ანუ ადამიანის ნერვულ-ფსიქიკურ მდგომარეობაზე სიტყვით ზემოქმედებაში არაფერია საიდუმლო და სასწაულებრივი. ეს ამოცანა მომდევნო მკვლევარებმა გადაწყვიტეს. მათ ცდებით დაამტკიცეს. რომ რაიმე მოძრაობაზე არსებულ მარტოოდენ წარმოდგენასაც კი შეუძლია გამოიწვიოს ეს მოძრაობა გამოსაკვლევი პირის ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ. ასე მაგალითად, გამოსაკვლევ პირს, რომელიც სრულიად ფხიზელია, ზურგს უკან რომ დავუდგეთ და დაჟინებით ვუმეოროთ, რომ მას არ შეუძლია ფეხზე მაგრად დგომა, რომ რაღაც ძალა მას უკან ეწევა, გამოსაკვლევი პირი, თუკი მას შთაგონების საკმარისი ალღო აქვს, დაიწყებს ქანაობას და კარგავს წონასწორობას, შეიძლება მოულოდნელად დაეცეს კიდეც. თუ შთამაგონებელი წარმოდგენა რაიმე მოძრაობაზე ამ მოძრაობის უნებლიეთ შესრულებას იწვევს, მაშასადამე, არაფერია გასაკვირი იმაში, რომ ძილზე ჰიპნოტიზიორის შთამაგონელ მოქმედებას ნამდვილი ძილის გამოწვევა შეუძლია. მაშასადამე, ჰიპნოზი სხვა არაფერი ყოფილა, თუ არა შთაგონებული ძილი, გამოწვეული გამოსაკვლევი პირის მიერ დაძინების აქტის წარმოდგენით.

გასული საუკუნის მეორე ნახევარში ყველა ამ გამოკვლევამ, როგორც იქნა, მოამზადა ნიადაგი ჰიპნოზის საყოველთაო აღიარების და მედიცინაში დამკვიდრებისათვის. თავმდაბალი პროვინციელი ფრანგი ექიმი ლებო ფართოდ და უანგაროდ იყენებდა მკურნალობის ჰიპნოზურ მეთოდს, და მის გარშემო

არავითარ საიდუმლოებას არ ქმნიდა. მისმა საქმიანობამ მედიცინის ავტორიტეტული წარმომადგენლების, — ფრანგი პროფესორების ბერჰეიმისა და შარკოს, ყურადღება მიიპყრო. ამ გაბედულმა და ნიჭიერმა მკვლევარებმა სხვებზე უფრო მეტად შეუწყვეს ხელი ჰიპნოტიზმის აღიარებასა და გავრცელებას. მაგრამ მალე ჰიპნოტიზმის ბუნებაზე მათ შეხედულებებში საგრძნობმა წინააღმდეგობამ იჩინა თავი. შარკოს მიაჩნდა, რომ ღრმა ჰიპნოზი ყველა მისი გამოვლინებით მხოლოდ ისტერიული ავადმყოფებისათვის არის დამახასიათებელი და, თავისთავად, ხელოვნურად გამოწვეულ პათოლოგიურ მდგომარეობას წარმოადგენს. ბერნჰეიმი საწინააღმდეგოს ამტკიცებდა: ჰიპნოზი შეიძლება გამოვიწვიოთ სავსებით ჯანმრთელ ადამიანებში და იგი ბუნებრივ ღამის ძილს უახლოვდება. რუსეთში ჰიპნოლოგიის (ჰიპნოზსა და შთაგონებაზე სპეციალური მეცნიერების) დამაარსებელი იყო ბეხტერევი, რომელმაც საგრძნობლად შეანელა წინააღმდეგობები შარკოსა და ბერნჰეიმს შორის და ამავე დროს მრავალი სიახლე შეიტანა ცოდნის ამ დარგში. მაგრამ საბოლოოდ მხოლოდ პავლოვმა შეძლო ჰიპნოზური ძილისა და შთაგონების ფიზიოლოგიური საფუძვლების აღმოჩენა, თავის მოძღვრებაში უმაღლესი ნერვული მოქმედების შესახებ.

საფიქრებელია, რომ ი. პ. პავლოვს ჰიპნოტიზმისადმი ღრმა ინტერესი თავისი მეცნიერული მოღვაწეობის გარიჟრაჟზე 70-იანი წლების დასასრულსა და 80-იანი წლების დასაწყისში დაებადა, მაშინ როცა ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, თავისი სათაყვანებელი მასწავლებლის, გამოჩენილი გერმანელი ფიზიოლოგის რ. ჰეიდენჰაინის ლაბორატორიაში მუშაობდა. ამ წლების შესახებ პავლოვმა შემდეგი სიტყვები დაწერა: „იმ დროს ევროპის საზოგადოებრიობა პროფესიონალი ჰიპნოტიზორის ჰანსენის ცდებით დაინტერესდა. ჰეიდენჰაინმა ეს ცდები ბრესლავში ნახა და მალე თვითონ გაიმეორა ისინი, მაშასადამე, ერთ-ერთმა პირველთაგანმა, შარკოსთან ერთად აღნიშნა, რომ ჰიპნოზის სფერო არის ღრმა რეალური აზრისა და დიდი მეცნიერული მნიშვნელობის სფერო. მან ჰიპნოზის შესახებ მაშინვე წამოაყენა ჰიპოთეზა. იგი ჰიპნოზს უყურებდა როგორც (შეკავების. — ლ. ვ.) უმაღლესი ცენტრების მოქმე-



კარლ ჰასსენის ჰიპნოზური ოოვლენების ისტორიული დემონსტრირება (ძველი გრაფიურიდან). განმარტება ტექსტში.

დების დაყოვნების შედეგს, გამოწვეულს სუსტ, რიტმულ გაღიზიანებათა წყალობით (სახის კანის ნერვების ან სმენის, ან მხედველობის ნერვების. — ლ. ვ.), რომლებიც გამოიყენება ჰიპნოზური მდგომარეობის მისაღწევად და ბუბნოვთან ერთობლივი მუშაობით ამ შეხედულების გარკვეული ექსპერიმენტული დადასტურება მოგვცა [1].

[1] ი. პ. პ ა ვ ლ ო ვ ი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. VI, მ. — ლ., 1952, გვ. 98.

ჯერ კიდევ ძველსოდური სახელწოდების მქონე რ. ჰეიდენ-ჰაინის ბროშურაში „ცხოველური მაგნეტიზმი“ [1] მოცემულია ჰიპნოზური მოვლენების, დროის მიხედვით პირველი, ზუსტი ფიზიოლოგიური გამოკვლევა, რომელიც მრავალი წლის შემდეგ განაგრძო და გენიალურად დაასრულა მისმა მოწაფემ ი. პ. პავლოვმა.



ძილის სიტყვიერი შთაგონება გაძლიერებული პასებით, ხელშეუხებლად.

რაც შეეხება ჰიპნოზური ძილის გამომწვევ თანამედროვე ტექნიკას, იგი ბევრად არ განსხვავდება ჰიპნოზირების იმ ხერხებისაგან, რომლებიც ჯერ კიდევ ჰიპნოტიზმის კლასიკოსებმა — ბრედმა, შარკომ, ბერჰეიმმა და სხვ. — შეიმუშავეს. ადამიანისათვის ძირითად დამაძინებელ ხერხად ძილის სიტყვიერი შთაგონება რჩება. ამ ხერხის ფიზიოლოგიურ საფუძვლებს ი. პ. პავლოვი შემდეგი სიტყვებით განმარტავს: „ამჟამად ერთთავად გამოიყენება ხერხი (ჰიპნოტიზირებისა. — ლ. ვ.)— სიტყვების გამეორება (წარმოთქმული მინორულ, ერთნაირ კილოთი), რომლებიც ძილის ფიზიოლოგიურ აქტებს ასახავენ,

[1] რ. ჰ ე ი დ ე ნ ჰ ა ი ნ ი. ცხოველური მაგნეტიზმი. რუსული თარგმანი, მე-4 გერმანული გამოცემიდან ექიმ პავლოვის რედაქტორობით. სპბ, 1881.

პასები ელექტროსათბობის დახმარებით.

ეს სიტყვები არსებითად, რა თქმა უნდა, პირობითი გამაღიზიანებელია, რომლებიც ყოველ ჩვენგანში მტკიცედ უკავშირდებიან ძილის ძდგომარეობას და ამიტომაც იწვევენ მას"[1]. ძილის სიტყვიერ შთაგონებას, რომელიც თავისთავად როგორც მეორე, ასევე პირველი სასიგნალო სისტემით მოქმედ მონოტურ ხმოვან გამაღიზიანებელს წარმოადგენს, ჩვეულებრივ თან ახლავს კიდევ სხვა ერთფეროვანი რიტმული ან ხანგრძლივად მოქმედი სუსტი გამაღიზია-



ძილის სიტყვიერი შთაგონება გაძლიერებული მხედველობის ბრჭყვიალა საგანზე ფიქსაციით.

---

[1] ი. პ. პ ა ვ ლ ო ვ ი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. IV, 1951, გვ. 425—426.

ნებელი ასეთი გამაღიზიანებელი შეიძლება იყოს: მხედველობის ფიქსაცია ბრჭყვიალა საგნებზე, მეტრონომის ან ზუმერის ხმები, ხელის მსუბუქად გადასმა კანზე, ანუ ეგრეთ წოდებული პასები — ხერხი, რომელსაც ჯერ კიდევ ძველი დროის მაგნეტიზიორები იყენებდნენ. პასებს, — დასაძინებელი პირის სახის წინ და ტანის გასწვრივ ხელებით მოძრაობის მრავალგზის გამეორებას, — კანზე მიუკარებლად, თბილი ხელებით აწარმოებენ. პასები კანის ძალიან სუსტი მასაჟია თბილი ჰაერის ტალღებით, რომლებიც ჰიპნოტიზიორის ხელების მოძრაობისას წარმოიქმნება. ამჟამად ხელების მოძრაობას წარმატებით ცვლიან „სინათლისა და სითბოს პასები", რომელთაც ელექტროსათბობით ან თავისუფალ ზონარზე დამაგრებული ლურჯი ელექტრონათურით აწარმოებენ.

შთაგონებისადმი მეტი მიდრეკილების მქონე პირებში (ისტერიულ ავადმყოფებსა, ალკოჰოლიკებსა და სხვ.) ჰიპნოზური ძილის გამოწვევა ძალზე სწრაფად ხერხდება, მოულოდნელი, ძლიერი გამაღიზიანებლების საშუალებით. შარკო ამისათვის გონგის ძლიერ დაკვრას იყენებდა; შეიძლება აგრეთვე გამოყენებულ იქნას კაშკაშა სინათლის ანთება. ბრძანების კილოთი შეძახილი, ჰიპნოტიზიორის ბრძანება — „დაიძინეთ" [1]. ცხოველების დაჰიპნოზების ცდების დროს სპეციალური აპარატის გამოყენებით მათ სწრაფად აბრუნებენ ზურგზე.

მაშ რითი განსხვავდება ჰიპნოზი ნორმალური ძილისაგან? იმით, რომ ჰიპნოტიზირების პროცესში ჰიპნოტიკსა და ჰიპნოტიზიორს შორის თავისებური, იზოლირებულ რაპორტად წოდებული ფსიქოლოგიური ურთიერთობა მყარდება. რას ნიშნავს ეს? ღრმა, ბუნებრივი ძილის დროს ადამიანი მოკლებულია გარეშე გავლენების შეთვისების უნარს. მისი ცნობიერება თითქოს იზოლირებულია გარემომცველი სამყაროსაგან. ღრმა ჰიპნოზში მყოფი გამოსაკვლევი პირი თავისთავს ანგარიშს ვერ აძლევს თუ სად იმყოფება; გარეშე გაღიზიანებებზე არ რეაგირებს; დამსწრეთა შეკითხვებზე პასუხს არა სცემს; მაგრამ, ამასთანავე იგი იჩენს გამახვილებულ ათვისების უნარს ყვე-

---

[1] დაწვრილებით იხ. ბ. ი. ბ ულ ი ს წიგნში — საექიმო ჰიპნოზის ტექნიკა. ლ., მედგიზი, 1955.



მანგოლდის აპარატი ცხოველთა ჰიპ-
ნოტიზირებისათვის.

ლაფრისადმი, რაც კი ჰიპ-
ნოტიზიორის პიროვნებას
ეხება. ჰიპნოტიზირებულს
მხოლოდ ჰიპნოტიზიორის
ხმა ესმის, მარტო მას პასუ-
ხობს და უფრო მეტიც, ჰიპ-
ნოტიზიორის ყოველი სი-
ტყვა დაძინებულის გონება-
ში იწვევს არაჩვეულებრი-
ვად მკაფიო წარმოდგენებს,
რომლებიც ადვილად შეიძ-
ლება ილუზიებსა და ჰალუ-
ცინაციებში გადავიდენ, ან
ავტომატური მოძრაობა გა-
მოიწვიონ. თუ ჰიპნოზში
მყოფი გამოსაკვლევი პირი
დიდი ხნით დავტოვეთ, მა-
შინ იზოლირებული რაპორ-
ტი ჰიპნოტიზიორის მიმართ
თანდათანობით სუსტდება
და შეიძლება სრულიად შეწყდეს. ჰიპნოტიკი უკვე აღარ
ახდენს ჰიპნოტიზიორზე რეაგირებას, აღარ პასუხობს მის შე-
კითხვებზე. რაპორტის გაქრობა ჰიპნოტიზური მდგომარეობის
ბუნებრივ ძილში გადასვლას ნიშნავს. მართლაც, რამდენიმე
ხნის შემდეგ გამოსაკვლევი პირი დამოუკიდებლად იღვიძებს
ისე, როგორც იგი ჩვეულებრივი ძილის დროს.

შესაძლებელია საწინააღმდეგო გადასვლაც — ბუნებრივი
ძილიდან ჰიპნოტიზურისაკენ. ცნობილია, რომ ზოგიერთ ადა-
მიანს ჩვეულებად აქვს ბოდვა — ძილში ცალკეული სიტყვე-
ბისა და მთლიანი ფრაზების წარმოთქმა. ამ დროს შინაარსის
ირგვლივ ფრთხილად დასმული შეკითხვებით ზოგჯერ ხერხ-
დება მძინარესთან სიტყვიერი კონტაქტის, ანუ რაპორტის დამ-
ყარება. როგორც კი მძინარე პასუხის გაცემას დაიწყებს, ცდის
მიზანი მიღწეულია: ბუნებრივი ღამის ძილი ჰიპნოზში გადავი-
და, მძინარე ჰიპნოტიკად იქცა, ექსპერიმენტატორი კი ჰიპნო-
ტიზორად, რომელსაც შეუძლია შთაგონება აწარმოოს. ზოგი-

ერთ ქვეყანაში ასეთ ხერხს მიმართავენ მშობლები, რომლებიც ჰიპნოზურ შთაგონებას იმ მიზნით იყენებენ, რომ თავის შვილებს მავნე ჩვევები და მიდრეკილებები გადააჩვიონ. ი. პ. პავლოვი ჰიპნოზს განიხილავს, როგორც ნაწილობრივი ძილის განსაკუთრებულ სახეს. ტვინის ქერქის შეზღუდული უბანი, რომელიც დაკავშირებულია ჰიპნოტიზიორის ხმის აღქმასა და

დედა ღამის ძილის დროს შთააგონებს თავის შვილს.

-

ამისი სიტყვიერი შთაგონების გაგებასთან, ფუნქციერებას განაგრძობს, რჩება როგორც „აგზნების სადარაჯო კერა". ქერქის ყველა დანარჩენი უბნები კი შეკავებულია. ზოგჯერ უფრო ღრმადაც, ვიდრე ბუნებრივი ძილის დროს.

„იმისი სიტყვა, — წერდა პავლოვი, — ვინც მოცემული პიროვნების ჰიპნოტიზირებას იწყებს ქერქის ნახევარსფეროებში განვითარებული შეკავების გარკვეული დონის არსებობისას, ახდენს რა კონცენტრირებას გაღიზიანების საერთო კანონით გარკვეულ შეზღუდულ რაიონში. ამასთანავე იწვევს ბუნებით ღრმა გარეგან შეკავებას... ნახევარსფეროების მთელ დანარჩენ მასაში და ამით გამორიცხავს გაღიზიანებათა ყველა სხვა ამჟამად არსებული და ძველი ნაკვალევის რაიმე კონკურენციის ზემოქმედებას. აქედან წარმოდგება შთაგონების, როგორც

გამაღიზიანებლის დიდი, თითქმის დაუძლეველი ძალა როგორც ჰიპნოზის დროს, ისე მის შემდეგ. სიტყვა ჰიპნოზის შემდეგაც ინარჩუნებს თავის გავლენას, რჩება რა სხვა გამაღიზიანებლისაგან დამოუკიდებელი, მათთვის შეუვალი. სიტყვის ფართო შინაარსი გასაგებს ხდის იმას, რომ შთაგონებით ჰიპნოზირებულ ადამიანში შეიძლება გამოიწვიოთ მრავალი ისეთი მოქმედება, რომელიც მიმართული იქნება მისი როგორც გარეშე, ისე შინაგანი სამყაროსაკენ" [1].

სიტყვა „დაიძინეთ" დასაძინებელ პირზე ახდენს ჰიპნოგენურ (ძილის გამომწვევ) პირობით გამაღიზიანებელ მოქმედებას, რომელიც მეორე სასიგნალო სისტემას მიეკუთვნება; სიტყვა „გაიღვიძეთ!" კი პირიქით, ქერქის შეკავების შემასუსტებელი სიტყვიერი სიგნალია. მსგავსი რამ ხდება ბ. ნ. ბირმანის უკვე აღნიშნულ ცდებში: ძაღლი „შემაკავებელი" ტონის „მი"-ს აჟღერებისას იძინებს და სტიმულის მიმცემი პირობითი გამაღიზიანებლის ტონ „დო"-ს გაგონებისას კი იღვიძებს. ამ შემთხვევაში ტონი „მი" შეესაბამება სიტყვიერ სიგნალს „დაიძინე!". ტონი „დო" კი — სიტყვიერ სიგნალს „გაიღვიძე!".

შემჩნეული იყო სხვა მოვლენაც. რაც ამ ცდებს ჰიპნოზურ სეანსთან კიდევ უფრო აახლოვებს. მარტოოდენ გარეგნობაც კი ექსპერიმენტატორისა, რომელიც ფისგარმონიის შემაკავებელი „ტონების" აჟღერებით მრავალგზის აძინებდა ძაღლს, მისი ხმის გაგონებაც კი ძაღლს თანდათანობით ძილს ჰგვრიდა. საკმარისი იყო ექსპერიმენტატორი ოთახში შემოსულიყო და ძაღლი იძინებდა. ოთახში სხვა პირების გამოჩენა, რომლებიც არ მონაწილეობდნენ ცდების ჩატარებაში, დამაძინებელ მოქმედებას არ ახდენდა. ექსპერიმენტატორი გამოსაცდელი ცხოველისათვის თვითონ იქცეოდა პირობით ჰიპოგენურ გამაღიზიანებლად. მსგავსი რამ ხდება ჰიპნოზური სეანსების მრავალგზის გამეორებისას: გამოსაკვლევი პირი ყოველი სეანსის შემდეგ სულ უფრო მალე და ადვილად ეძლევა ჰიპნოზს; შეიძლება საქმე იქამდე მივიდეს, რომ იმ გარემოცვაში, სადაც ჩვეულებრივად სეანსები ტარდება, ჰიპნოტიზიორის მარტოოდენ შეხედვამაც კი დამაძინებლად იმოქმედოს. დაძინება ჰიპნოტიზიორის

---

[1] ი. პ. პ ა ვ ლ ო ვ ი თხზულებათა სრული კრებული, ტ. IV, გვ. 429.

დაუსწრებლადაც შეიძლება მიღწეულ იქნას: იგი შეიძლება შეცვალოს პატეფონის ფირფიტამ, რომელზედაც ძილის სიტყვიერი შთაგონებისათვის მის მიერ წარმოთქმული სიტყვებია ჩაწერილი. ეს ცდა საკმარისია, რათა გავაქარწყლოთ ცრუმორწმუნეობრივი შეხედულებები, რომ ჰიპნოტიზიორი დასაძინებელ პირზე თითქოს რაღაც საიდუმლო მაგნეტური ძალით მოქმედებს.

გამოსაკვლევი პირი რომ დავაჰიპნოზოთ, ამისათვის საჭიროა, მას უკვე ფხიზლობის მდგომარეობაში ჰქონდეს შთაგონების გარკვეული ალღო. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება ჰიპნოტიზიორის შთაგონებამ ძილზე სასურველი შედეგი გამოიღოს და გამოიწვიოს ნამდვილი ძილი. როცა უკვე ჰიპნოზი ძილში შედის, როდესაც გარკვეული იზოლირებული რაპორტი მყარდება, გამოსაკვლევი პირის შთაგონების ძალა მეტისმეტად ძლიერდება. სარგებლობს რა ამით, ჰიპნოზიორი იწყებს სიტყვიერ, მაგალითად, სამკურნალო ხასიათის შთაგონებას, რასაკვირველია, იმის სრული რწმენით, რომ მისი ცდები ამაოდ არ ჩაივლის. გამოსაკვლევი პირის შთაგონების ალღო მით უფრო ძლიერია, რაც უფრო ადვილად წარმოიქმნება მისი ტვინის ქერქში სადარაჯო აგზნების კერები, რაც უფრო ღრმაა მათი თანმხლები, ქერქის ყველა დანარჩენი უბნების შეკავება.

ავტორიტეტული ჰიპნოლოგების მონაცემებით, ჰიპნოზის ათვისების უნარის მქონე გამოსაკვლევ პირთა რიცხვი 80—90% აღწევს, მაგრამ მათგან ღრმა ჰიპნოზური ძილის სტადიამდე, რომლის დროსაც იზოლირებული რაპორტი მყარდება და დავიწყებას ეძლევა ყოველგვარი მოგონება, იმის შესახებ, თუ რა იყო შთაგონებული ჰიპნოტიზიორის მიერ ძილის მსვლელობის დროს შეიძლება მიყვანილი იქნას არა უმეტეს 20—35%-ისა. საინტერესოა, რომ ჰიპნოზს ყველაზე უფრო კარგად 7—14 წლის ასაკის ბავშვები ითვისებენ და ყველაზე უფრო ნაკლებად კი მოხუცები. საერთოდ ადამიანები, რომელთაც არა აქვთ მიდრეკილება გააანალიზონ თავიანთი განცდები, უფრო მეტად არიან ჰიპნოზისადმი განწყობილი. ისეთი პირების ჰიპნოზირებაც ხერხდება, რომლებმაც სრულიად არაფერი არ იციან ჰიპნოზის შესახებ და ვერ ხვდებიან, თუ რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს მათ მიმართ გამოყენებულ ჰიპნოზურ ხერხს.

ჰიპნოზი ერთგვარი შუალედური რგოლია ბუნებრივ ძილსა



ჰიპნოტიკი ლეთარგიის მდგომარეობაში
(ოშვიათი გრაციერიდან).

და პათოლოგიური ძილის სხვადასხვაგვარ ფორმებს შორის. სხვადასხვა გამოსაკვლევ პირში იგი სხვადასხვანაირად ვლინდება. ერთნი უკიდურესი მოდუნებით, კუნთების სრული მოსუსტებით გამოირჩევიან. ასეთი ჰიპნოტიკის ხელი რომ ავწიოთ, იგი მძიმედ და უღონოდ დაეცემა. ჰიპნოტიზიორის შეკითხვებს ვამოსაკვლევი პირი მოგვიანებით და უხალისოდ პასუხობს. ამასთანავე ხშირად ვამჩნევთ ჰიპერესტეზიას — გრძნობის ორგანოების გაძლიერებულ მგრძნობიარობას. ასეთ გამოსაკვლევ პირებს შეუძლიათ, მაგალითად, ოთახის ბოლოში ჩუმი ხმით წარმოთქმული ჰიპნოტიზიორის ბრძანება გაიგონონ, მაგრამ მათი შთამაგონებელი ძალა სუსტია და გამოღვიძება ძნელდება. ეს ჰიპნოზის „ლეთარგიული ტიპია", ხელოვნურად გამოწვეული ლეთარგიის შედარებით სუსტი გამოვლინება.

გამოსაკვლევ ლეთარგებზე ცდების ჩატარებისას შარკომ შეამჩნია შესანიშნავი მოვლენა, რომლის ნერვული მექანიზმი დღესაც არ არის ბოლომდე გარკვეული. მან ამ მოვლენას ნერვულ-კუნთური ზეაგზნებადობა უწოდა. კანის გარკვეულ უბანს, რომლის ქვეშ რაიმე ნერვი გადის, თითი რომ დავაჭიროთ, გამოსაკვლევი ლეთარგიის ამ ნერვის შესაბამისი კუნთები მდგრა-

დი შეკუმშვის — კონტრაქტურის — მდგომარეობაში მოვლენ. ასე მაგალითად, სხივის ნერვზე დაწოლა იწვევს ხელის ყველა თითის გაშლას; შუათანა ნერვის მექანიკური გაღიზიანება — მუშტის მოკუმშვას; ნიდაყვის ნერვზე დაჭერას მტევანი ეგრეთ წოდებულ მაკურთხებელ მდგომარეობაში მოჰყავს: მეორე და მესამე თითი იმართება, მაშინ როცა დანარჩენი თითები ხელისგულის მიმართულებით იკეცება.



ხელის თითების განლაგება, სხივის (ზემოთ), შუათანა და ნიდაყვის ნერვების გაღიზიანებისას. შარკოს ცდები.

გამოსაკვლევმა პირმა ჩვეულებრივად არაფერი იცის იმის შესახებ, თუ რომელი ნერვი განაგებს ხელის ამა თუ იმ კუნთს და ჰიპნოტიზიორიც არაფერს ეუბნება მას ამის შესახებ. მაშასადამე, ამ ცდებში ადგილი არა აქვს არც შთაგონებას და არც თვითშთაგონებას. მოვლენა დაუქვემდებარებელ რეფლექსურ ხასიათს ატარებს და იმ ნერვებისა და ნერვული ცენტრების ძალზე გაძლიერებულ აგზნებადობაზე მეტყველებს, რომლებიც კუნთების შეკუმშვას იწვევენ. იმავე გამოსაკვლევი პირების იგივე ნერვებზე ხელის დაჭერა იმ დროს, როდესაც ისინი ფხიზელ მდგომარეობაში იმყოფებიან, ამგვარ შედეგს არ იძლევა [1]. მას „შარკოს ფენომენი“ გვიჩვენებს, — და სწორედ ამაშია მისი მნიშვნელო-

---

[1] დაწვრილებით ამის შესახებ იხილეთ პ. რიშეს წიგნში, დიდი ისტერიის, ანუ ისტერიოეპილეფსიის კლინიკური ნარკვევი. კიევი, 1886, გვ. 299—305.

ბა, — რომ ის მოვლენები, რომლებიც შესამჩნევია ჰიპნოზის დროს, ყველა მარტოოდენ შთაგონებისა და თვითშთაგონების შედეგი როდია. ჰიპნოზის დროს ორგანიზმში ხდება ისეთი ფუნქციური ცვლილებები, რომლებიც წმინდა ფიზიოლოგიური წარმოშობისაა და შთაგონებასა ან თვითშთაგონებასთან არავითარი კავშირი არა აქვთ. ამის მტკიცებით შარკოს, ბეხტერევისა და პავლოვის ფიზიოლოგიურ-ჰიპნოლოგიური სკოლა თავისი მსოფლმხედველობით სცილდება ბერნჰეიმისა და მის მიმდევართა ფსიქოლოგიურ-ჰიპნოლოგიური სკოლის შეხედულებებს, რომლებიც ყველა ჰიპნოზურ მოვლენას უსათუოდ შთაგონებას ან თვითშთაგონებას უკავშირებენ. ჰიპნოზური მდგომარეობა რომ სიტყვიერი შთაგონების გარეშეც შეიძლება წარმოიშვას, ამას მტკიცებს ცხოველური ჰიპნოზი, რომელიც ბევრი რამით ადამიანის ჰიპნოზს ემსგავსება.

ჰიპნოტიკების მერე ჯგუფისათვის ყველაზე უფრო დამახასიათებელია სხეულის ნაწილების ეგრეთ წოდებული „ცვლისებრი მოქნილობა". ჰიპნოტიზიორი იღებს დაძინებულის ხელს, მაღლა სწევს მას და ხმაამოუღებლად უშვებს. ხელი იმავე მდგომარეობაში რჩება. ჰიპნოტიზიორი ცვლის ხელის (ან ფეხის) მდგომარეობას და იგი ყოველთვის თითქოს ქვავდება ჰაერში. ჰიპნოტიკს სასურველი პოზა შეიძლება მივაღებინოთ და იგი მას დიდი ხნის განმავლობაში შეინარჩუნებს, — სანამ თავს არ იჩენენ დაღლილობის ნიშნები. ეს ჰიპნოზის „კატალეფსიური ტიპია". ზოგიერთი გამოსაკვლევი კატალეპტიკი ცვილისებური მოქნილობის ნაცვლად მიდრეკილებას იჩენს მყარი კონტრაქტურებისადმი. მაგალითად, ასეთ ჰიპნოტიკს ნიდაყვის სახსარში მოხრილი ხელი რომ გავუმართოთ, ამისათვის დიდი ძალდატანებაა საჭირო, მაგრამ ამის შემდეგ იგი მაინც წინანდელ მდგომარეობას მიიღებს. მკვეთრად გამოხატულ შემთხვევებში ჰიპნოტიკის მთელი მუსკულატურა შეიძლება დაიჭიმოს და მყარი დაძაბულობის მდგომარეობა მიიღოს. მაშინ შესაძლებელი ხდება კატალეფსიური ხიდის სახელწოდებით ცნობილი ეფექტური ცდის ჩვენება. გამოსაკვლევ პირს ორ სკამს შუა, ჰორიზონტალურ მდგორეობაში აწვენენ ისე, რომ ერთ

მათგანს კეფით ეყრდნობოდეს, მეორეს კი ქუსლებით. კისრის, წელისა და ფეხების კუნთების გაშეშების გამო ჰიპნოტიკის ტანი ორ დასაყრდენ წერტილს შორის ჰაერში დაკიდებული რჩება. სათანადო შთაგონებით შეიძლება მუსკულატურის კატალეფსური დაძაბულობა კიდევ უფრო გაავძლიეროთ, ან, პირიქით, გამოვიწვიოთ მისი მოდუნება (იხ. სურათი, გვ. 51), სხვადასხვაგვარი გამოვლინებით მსგავსი მოვლენები ისტერიითა და ისტეროეპილეფსიით დაავადებულებს თავისით შეიძლება მოუვიდეთ. ცნობილია ნაამბობი იმის შესახებ, რომ ინდუსი ფაკირები, ისევე როგორც წინანდელი დროის ქრისტიანი „პოდვიჟნიკები", ეგრეთ წოდებული მესვეტეები, სალოცავ ან კიდევ სხვა რომელიმე წინასწარ არჩეულ მძიმე პოზაში საათობით ჩერდებოდნენ და დაღლილობის რაიმე შესამჩნევ ნიშნებსაც კი არ ამჟღავნებდნენ. შესაძლებელია, რომ ასეთ შემთხვევაში ისინი კატალეფსური ტიპის ავტოჰიპნოზის გავლენის ქვეშ ექცეოდნენ ან ხელოვნურად იწვევდნენ მას.

ჰიპნოტიკის სხეულის ნაწილების ცვილსებური მოქნილობა (კუნთების პლასტიკური ტონუსი). (ფოტოგრაფიიდან).

მუსკულატურის კატალეფსური მდგომარეობა ხშირად ჰიპნოტიზირებულ ცხოველებში შეიმჩნევა. მათ სხეულსაც შეიძლება სხვადასხვაგვარი არაჩვეულებრივი პოზები მივაღებინოთ, რომლებშიც ისინი თითქოს შეშდებიან; ამასთანავე ისინი კარგავენ კანისა და ტკივილის შეგრძნებას.

კატალეფსური ტიპის გამოსაკვლევი პირები შთაგონებისადმი უფრო დიდ მიდრეკილებას იჩენენ, ვიდრე ლეთარგიკი ჰიპნოტიკები. შთაგონება გავლენას ახდენს ასეთი პირების არა

მარტო მამოძრავებელ სფეროზე, არამედ გრძნობის ორგანოების სფეროზეც. მაგალითად, ხერხდება შთავაგონოთ მათ მკვეთრი სუნის, ცხარე გემოსა და ტკივილის უგრძნობლობა.

შთაგონებისადმი ყველაზე უფრო დიდი მიდრეკილება სომნაბულური ტიპის ჰიპნოტიკებს ახასიათებთ. ლეთარგიითა და კატალეფსიით შეპყრობილთაგან განსხვავებით სომნაბულები დიდ მოძრაობითსა და ფსიქიკურ აქტივობას იჩენენ. თავიანთი საქციელით ისინი ძალზე წააგავენ მთვარეულებს, რომელთა შესახებაც უკვე გვქონდა ლაპარაკი, ისინი თავისუფლად დასეირნობენ ოთახში, ხალისიანად ესაუბრებიან ჰიპნოტიზიორს, მისი მოთხოვნით ცეკვავენ, მღერიან, წერენ, ყვებიან თავისი განცდების შესახებ. თვალები მათ ხშირად გაღებული აქვთ. გამოუცდელ მაყურებელს შეიძლება მოეჩვენოს, რომ ამ პირებს სრულიადაც არ სძინავთ, თუმცა სინამდვილეში ისინი ღრმა ჰიპნოზით არიან მოცული. სომნაბულური ტიპის ჰიპნოტიკებისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია შთაგონებული ილუზიებისა და ჰალუცინაციების მოვლენები. სათანადო შთაგონებათა ზეგავლენით სომნაბულებს ნიშადურის სუნი ვარდის არომატად ეჩვენებათ, პურის ქერქი კი — ფორთოხლად; დამსწრეთა მიერ წარმოქმნილი ხმაური შეიძლება აღიქვან როგორც მუსიკა, ნაცნობი, ახლობელი ადამიანის პირისახე უცნობად მოეჩვენოთ; უცხო პირი, ნაცნობად მიიღონ და ა. შ. ყველა ეს შემთხვევა ილუზიების სხვადასხვაგვარი მაგალითებია. შთაგონებული წარმოდგენა ამ შემთხვევაში უფრო ძლიერია, ვიდრე თვით სინამდვილის აღქმა და ამიტომ იგი მძინარის ცნობიერებაში სახეს იცვლის (იხ. ნახ. გვ. 51).

ილუზიების განვითარების შემდგომ საფეხურს წარმოადგენს ჰალუცინაციები: შთაგონების ზეგავლენით სომნაბულები ხედავენ, ესმით და აღიქვამენ იმას, რაც სინამდვილეში სრულებითაც არ არსებობს. მაგალითად, ჰიპნოტიზიორისათვის ცნობილია, რომ მისი გამოსაკვლევი პირის დედა დიდი ხნის წინათ გარდაიცვალა. მიუხედავად ამისა, ჰიპნოტიზიორი აცხადებს: „თქვენ ცდებით, დედათქვენი ცოცხალია, იგი ამ ოთახში იმყოფება. აი, იგი თქვენ გიახლოვდებათ, შეეგებეთ მას!“ და სომნაბულა „ხედავს“ თავის გარდაცვლილ დედას, სიხარულით ხვდება მას, შეკითხვებს აყრის და თავი ისე უჭირავს თითქოს

მართლაც შეხვდა ახლობელ ადამიანს დიდი ხნის განშორების შემდეგ. ეს ცდები, მხედველობითი ჰალუცინაციის ხელოვნურად გამოწვევით, საიდუმლოების ნიღაბს ხდიან „მოჩვენებებსა“ და „ლანდებს“, რომლებიც მოშლილი წარმოსახვის მქონე ადამიანებს ზოგჯერ ცხადად ეჩვენებათ და მათ გარდაცვლილთა საიქიო ცხოვრების რწმენას განუმტკიცებს. ჰალუცინაციების წარმოშობას დიდად უწყობს ხელს ცრურწმენა, შიშის მომგვრელი შთაბეჭდილებით ან ახლობელ გარდაცვლილ ადამიანზე გამუდმებული მწუხარებით გამოწვეული თვითშთაგონება. აი, ერთ-ერთი ტიპიური მაგალითი:

„დერეფანში ხმაური შემომესმა, შევიხედე იქ და დავინახე შავ ტანსაცმელში გამოწყობილი მამაკაცი, რომელიც კარებში იდგა. მე საშინლად შეშინდი და გავვარდი მეზობელ ოთახში, სადაც მამამ იატაკზე დაცემული მიპოვა. ადამიანი მე ცხადად დავინახე. მას გრძელი თმები ჰქონდა. მე იმ დროს 11 წლისა ვიყავი, როცა ეს შემთხვევა მოხდა, გაკვეთილებს ვამზადებდი, მაგრამ უკიდურესად განერვიულებული ვიყავი. ჩემი წარმოსახვა ძალზე გააღიზიანა ამ ადამიანის მოჩვენებამ. მე ვიცნობდი მას და ცოტა ხნის წინათ კუბოში ვნახე იგი. ცხედარმა ჩემზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა და სწორედ ეს გახლდათ ნერვიულობის მიზეზი. ჩემ მიერ გაგონილ ხმას, ალბათ, რაღაც სრულიად ბუნებრივი მიზეზი ჰქონდა“ [1].

როცა გავრცელებული იყო რწმენა დემონების არსებობის შესახებ პათოლოგიური ჰალუცინაციები ხშირად, ეგრეთ წოდებულ, ინკუბებსა და სუკუბებთან სქესობრივი კავშირის ხასიათს ღებულობდა. აი, ერთ-ერთი მაგალითი მრავალრიცხოვან ძველ ისტორიათაგან: „ნანტში (ფრანგულ ქალაქში. — ლ. ვ.) ცხოვრობდა ერთი ბედკრული ქალი, რომელსაც თავხედი ეშმაკი მოსვენებას არ აძლევდა. ერთხელ იგი ეწვია მას ლამაზი გარეგნობის მქონე სულის სახით. იგი არ აშეღავნებდა თავის ბოროტ განზრახვებს და ვერაგულად პირფერი ლაპარაკით მიაღწია იმას, რომ უბედური ქალის სულმა კეთილგანწყობით უპასუხა მის გატაცებას. და როცა მან ქალისაგან თანხმობა

---

1 ა. ლ ე მ ა ნ ი. ცრურწმენათა და ჯადოქრობის ილუსტრირებული ისტორია ძველი დროიდან დღევანდლამდე, ვვ. 507.

მიიღო, ცალი ხელი ფეხებში მოჰკიდა, მეორე თავზე დაადო და ამით, ასე ვთქვათ, ჯვარი დაიწერა მასთან ახლო ურთიერთობის ამ სიმბოლური საშუალებით. ამ ბედკრულის ქმარს,—კეთილშობილ აზნაურს, — ეჭვიც კი არ მიუტანია მათ დანაშაულებრივ კავშირზე. უწმინდური, რომელიც მუდამ უხილავ საყვარლად რჩებოდა, განაგრძობდა ქალთან კავშირს... და ძალ-ღონეს აცლიდა დაუჯერებელი გარყვნილებითა და სხვ.“ [1].

ამჟამად მსგავსი შემთხვევები იშვიათად გვხვდება, თანაც დემონის როლს გარდაცვლილი ქმრის ან საყვარლის მოჩვენება ასრულებს. 20-იან წლებში ვიცნობდი ერთ ახალგაზრდა, ჯანღონით სავსე დაბალი განათლების შინამოსამსახურე ქალს, რომელიც გამომიტყდა, რომ ღამღამობით მასთან მოდის ომში მოკლული ქმარი, იგი აშკარად ხედავს, ეხება და „განაგრძობს მასთან ცოლქმრულ ცხოვრებას“. ასეთი ძლიერი სქესობრივი გრძნობით შეფერადებული ჰალუცინაციები ქალთა და მამაკაცთა მონასტრებში იშვიათ მოვლენას როდი წარმოადგენდა და ისევ ადამიანის პიროვნების სიკვდილის შემდგომი არსებობის რწმენას აღვივებდა.

ფრანგი ფსიქიატრი სიმონი გამოყოფს „ფიზიოლოგიურ ჰალუცინაციათა კატეგორიას, რომელიც ჯანმრთელ, გამოჩენილ ადამიანებშიც კი ვლინდება. აუსტერლიცის ბრძოლის აღწერისას ბალზაკს დაჭრილთა ყვირილი, ზარბაზნების სროლა და თოფების ბათქი ესმოდა. ფლობერი ქალბატონ ბოვარის მოწამვლის სცენას რომ წერდა, პირში დარიშხანის გემოს გრძნობდა, რომელიც გულს ურევდა. გოეთესაც ახასიათებდა ჰალუცინაციებისადმი მიდრეკილება: ერთხელ, დღისით, მან საკუთარი თავი ნახა ჩვეულებრივ მორთულობაში და ცხენზე ამხედრებული. გოეთეს სურვილისამებრ შეეძლო გამოეწვია ესა თუ ის მხედველობითი ჰალუცინაცია, რომელიც შემდგომ უკვე უნებლიეთ სახეს იცვლიდა, ასეთი გასაოცარი უნარი ხანდახან „უბრალო მოკვდავთაც“ აქვთ. ახალგაზრდობაში დედაჩემიც იყო დაჯილდოებული ჰალუცინაციური მოჩვენებების გამოწვევის უნარით. ზაფხულობით იგი მიწაზე გულაღმა წვებოდა, თავს უკან გადაიგდებდა და მოჭუტული თვალებით

---

[1] იხ. მ. სიმონი. ოცნებათა სამყაროში სპბ., 1890, გვ. 63.

ცას შესცქეროდა; ამ ფონზე თანდათან მკაფიოდ იხატებოდა რომელიღაც ქვეყნებისა და ქალაქების პეიზაჟები. ციხე-დარბაზები და ქოხები, ადამიანთა ჯგუფები, ზოგჯერ მთელი სცენები,—როგორც ჩანს, იმის ნაწყვეტ-ნაწყვეტი გამოსახულებები, რაც ოდესღაც წიგნებში წაეკითხა ან ენახა. ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის პირველმა საერთაშორისო კონგრესმა, რომელიც 1889 წელს პარიზში შედგა, სხვადასხვაგვარ ცრურწმენათა წარმოშობაში ჰალუცინაციების მნიშვნელობის შესახებ ზუსტი მასალის მიღების მიზნით დიდი რაოდენობის გამოსაკითხი ფურცლები დაგზავნა. მიღებულ იქნა 27 ათასზე მეტი პასუხი, მათ შორის სამი ათასზე მეტი (დაახლოებით 12%) დადებითი, ანუ ისეთი, სადაც იტყობინებოდნენ. რომ მოცემულ პირს ჯანმრთელობის ნორმალურ მდგომარეობაში ყოფნისას ერთხელ ან რამდენჯერმე ჰქონდა ჰალუცინაცია. უმეტეს შემთხვევაში ჰალუცინაციებს მხედველობითი ხასიათი ჰქონდა, უფრო ნაკლები იყო — სმენითი და კიდევ უფრო იშვიათი — შეხებითი. სმენითი ჰალუცინაციების ნახევარი იმაში მდგომაოეობდა, რომ ადამიანებს თავისი სახელი ესმოდათ. ჰალუცინაციების ამ სახეობამ წარმოშვა ხალხში დამკვიდრებული ერთ-ერთი ცრურწმენა: ვისაც ესმის რომ ვიღაცა ეძახის, განსაკუთრებით თუკი ეს გაზაფხულზე ხდება („გაზაფხულის სიმღერა ეძახის"), მალე სიკვდილს უნდა ელოდეს.

თავისი წარმოშობით ჰალუცინაციები სიზმრებს უახლოვდებიან. ეს თავისებური სიზმრებია ცხადად. ცნობიერების დაბინდული მდგომარეობა, რომელშიც დაძინების წინ ან უშუალოდ გამოღვიძების შემდეგ ვიმყოფებით. განსაკუთრებით უწყობს ხელს ეგრეთ წოდებული ჰიპნოგიური ჰალუცინაციების წარმოშობას. თუ ჩვენ დღის განმავლობაში, მაგალითად, დიდხანს და გატაცებით ვკრეფთ სოკოს ან ვთევზაობთ. ხშირ შემთხვევაში სანამ დავიძინებდეთ იგივე სოკოები, იგივე მოფართხალე თევზები საკმაოდ ნათლად და დიდი რაოდენობით წარმოგვიდგება თვალწინ. ასეთ მთვლემარე მდგომარეობაში სავსებით ჯანმრთელმა ადამიანებმაც კი შეიძლება ნახონ ნამდვილი და ზოგჯერ შემაძრწუნებელი ჰალუცინაციები.

ცნობილია სიზმრების უშუალოდ ჰალუცინაციებში გადასვლის შემთხვევები. ასე, ლებო მოგვითხრობს, რომ ერთხელ მან

ძილში ხანძარი ნახა და გამოღვიძების შემდეგაც რამდენიმე ხანს ხედავდა მას. „როდესაც გესიზმრებათ, — წერს სიმონი, — რომ პისტოლეტიდან გესვრიან, საფუძვლიანია ელოდეთ, რომ ამ სიზმარს დაუყოვნებლივ გამოღვიძება მოჰყვება. სუბიექტური შეგრძნება ზოგჯერ იმდენად ძლიერია, რომ გაღვიძებულის ყურებში ჯერ კიდევ ყღერს ზმანებაში გაგონილი ხმა. — მას ჯერ კიდევ ესმის იგი“ [1].

ყოველივე ეს გვიჩვენებს, რომ ჰალუცინაცია, რაც ცრუმორწმუნე ადამიანებს ასე აშინებს, სიზმრებზე უფრო საიდუმლოებით მოცულნი არ არიან, და, ისევე როგორც სიზმრები, სხვადასხვა ხელოვნური საშუალებებით შეიძლება გამოვიწვიოთ. ჯერ კიდევ უძველესი დროის ხალხისათვის ცნობილ ამ ხერხზეა აგებული მკითხაობაც. ასე მაგალითად, როდესაც მკითხავი დაჟინებით უცქერდა კრისტალს (კრისტალომანტია), ან „მაგიურ სითხეს“ — წყალს (ჰიდრომანტია), რომელიც შემდგომ სარკით იქნა შეცვლილი, ეს იწვევდა მხედველობით ჰალუცინაციებს, ზღვის ნიჟარის ხმაურის მოსმენა — სმენით ჰალუცინაციას და ა. შ. როგორც ჩანს, ასეთი ხერხებით მკითხავები თავად ქმნიდნენ სუსტ ჰიპნოზურ განწყობას, რომლის დროსაც შთაგონების ძალა იზრდება, მაშასადამე, იზრდება ჰალუცინაციებისადმი მიდრეკილებაც. არაჩვეულებრივად ნათელი და ნაირფეროვანი მოჩვენებითი სახეების გამოწვევა შეუძლია ზოგიერთ შხამიან ნივთიერებას — ჰაშიშს. ოპიუმს, მესკალინსა და სხვ. საშუალო საუკუნეების „კუდიანთან შაბათობებიც“ მხედველობითი ჰალუცინაციების მწკრივია, რომელსაც კანში შხამიან ნივთიერებათა ნარევის — „გრძნეულთა საცხის“ — შეზელვა იწვევს.

მექსიკელ ინდიელებს დღემდე შემორჩათ ჩვეულება, რომლის გავლენითაც სვამენ „პეიოტლად“ (Echinocactus Williamsii) წოდებულ ადგილობრივი კაკტუსის წვენს. ეს წვენი აღვიძებს წინასწარმეტყველებისა და ნათელხედვის უნარს. ფრანგმა ფარმაკოლოგმა რუიემ (Rouhier) 1925 წელს ეს კაკტუსი ევროპაში ჩამოიტანა და მისი მოქმედება თავის თავსა და სხვა ევროპელებზე გამოცადა. ამ დროს შესამჩნევი იყო ტვი-

---

[1] იხ. მ. სიმონი. ოცნებათა სამყაროში, გვ. 6.

ნის ქერქის მხედველობითი სფეროს არაჩვეულებრივად ძლიერი და ხანგრძლივი აღგზნება: თვალების დახუჭვისას მხედველობის არეში თვითნებურად წარმოიშვებოდნენ და კალეიდოსკოპურად ცვლიდნენ ერთმანეთს არაჩვეულებრივად მკვეთრი და ხატოვანი სახეები, რომლებიც ესთეტიკურ სიამოვნებას გვრიდნენ. ეს მოვლენა იმით იყო შეპირობებული, რომ ხსენებული კაქტუსის წვენი შეიცავს მესკალინს. მასთან ერთად პეიოტლში სხვა ალკოჰოლოიდებიც შედიან, რომელთა მოქმედება იწვევს თანდართულ ფსიქოფიზიოლოგიურ დარღვევებსაც.

ჩვენ საშუალება გვქონდა ჩაგვეტარებინა ცდა პეიოტლის გამოწოვასთან დაკავშირებით ორ ჯანმრთელ პირზე. — 20 და 24 წლის სტუდენტ გოგონებზე, — პეიოტლის მიღების შემდეგ ქალიშვილებს სმენით შეგრძნებასა და წარმოსახვასთან ერთად, მხედველობითი შეგრძნების მკვეთრი გაძლიერება ეწყებოდათ: გარემომცველი საგნები გაცილებით უფრო შეფერადებულად ეჩვენებოდათ, ხმები კი უფრო წკრიალა. ქალიშვილები თვალებს ხუჭავდნენ და ხანგრძლივი დროის განმავლობაში ინარჩუნებდნენ საგნების აღქმის უნარს მხედველობით გამოსახულებათა სახით, რომლებიც საგნებზე არა ნაკლებ რეალურად ეჩვენებოდათ. ამავე დროს შეიძლება შეგვემჩნია სინესთეზიის იშვიათი ფენომენი: როიალზე აღებული სხვადასხვა ტონალობის აკორდები გამაყრუებლად მოქმედებდნენ. თვალების დახუჭვისას ყოველთვის შუქის ამა თუ იმ ფერად გაელვების შეგრძნებას იწვევდნენ.

საწამლავის მოქმედების მატებასთან ერთად მატულობდა მოძრაობითი და ემოციური აგზნებაც. ცნობიერების კონტროლი მუდამ შენარჩუნებული იყო, მაგრამ ძალა არ შესწევდა შეეჩერებინა მოძრაობანი და სიტყვების ნაკადი. ნებისყოფა პარალიზებული აღმოჩნდა და აღარ შეეძლო ჩაეხშო ემოციების მოულოდნელი აფეთქება. გამოსაკვლევ პირთა თქმით, ისინი ძალიან მხიარულად გრძნობდნენ თავს, ყველაფერი ლამაზად ეჩვენებოდათ და „ყველაფერი ნებადართული ჰქონდათ". ეგონათ დრო არაჩვეულებრივად სწრაფად მიჰქროდა და ამიტომ გარშემო მყოფ პირთა მოქმედება და ლაპარაკი მეტად შენელებული ჩანდა, რაც ძალზე გამაღიზიანებელი იყო. აზროვ-

ნება გამალებით მუშაობდა. და გათვალისწინებული მიმართულების ნახტომებს აკეთებდა. ხელწერა მკვეთრად შეიცვალა: უფრო მსხვილი და გაკრული გახდა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს შთაგონებითი უნარის მკვეთრი გაზრდა ისეთ დონემდე, რომელიც ჰიპნოზური მდგომარეობისათვის არის დამახასიათებელი. პეიოტლით მოწამვლის პერიოდში „აზრებისწაკითხვის“ ცდები (იხ. თავი V) გაცილებით უფრო სწრაფად და მკვეთრად მიმდინარეობდა, ვიდრე ჩვეულებრივი მდგომარეობის დროს. ეს გამოსაკვლევ პირთა მოძრაობითი ავტომატიზმის უნარის გაძლიერებაზე მიუთითებს [1].

მაგრამ დავუბრუნდეთ თანამედროვე ჰიპნოზურ ცდებს. შთაგონებით ჰიპნოტიზირებულის ხასიათსა და ქცევაში შეიძლება შთაგონებით ისეთი ცვლილებები მოვახდინოთ, რომლებიც თავისთავად უვითარდება ზოგიერთ ისტერიულ ავადმყოფს. სომნაბულიზმისადმი მიდრეკილების მქონე ადამიანს სეანსის დროს შეიძლება შთავაგონოთ, რომ იგი სულაც არ არის უბრალო ივან ივანეს ძე, არამედ ესა და ეს ისტორიული მოღვაწეა. და სომნაბული მთელი თავისი მოქმედებით ბაძავს ამ გამოჩენილ ადამიანს. ზშირად საოცარი ოსტატობით და რეალიზმით. გვხვდება სომნაბულები, რომელთაც ჰიპნოზური ძილის დროს ჰიპნოტიზიორის შთაგონების გარეშეც მკვეთრად ეცვლებათ ხასიათი. მშვიდი და ჩუმი ადამიანი გულფიცხი, მოუსვენარი და ყბედი ხდება. მას თავისი ცხოვრების შესახებ არაფერი ახსოვს, მაგრამ, სამაგიეროდ ადვილად იგონებს ყველაფერ იმას, რაც წინა ჰიპნოზური სეანსების დროს შეემთხვა ან რაც მას სიზმრებში უნახავს. ეს საგანგაშო სიმპტომია. რომელიც მოცემული გამოსაკვლევი პირის ჰიპნოზის პათოლოგიურ ფორმაზე მეტყველებს, პიროვნების გაორებისადმი მის მიდრეკილებაზე. ანუ ისეთ მდგომარეობაზე მიუთითებს, რომელიც თანდათანობით განსაცვიფრებელ დონემდე შეიძლება

---

[1] იხ. ლ. ლ. ვასილიევი, ე. ტ. გალეასი, ი. ი. პერიხანიანი, პ. ე. ტერენტიევი. პეიოტლის ფსიქოფიზიოლოგიური მოქმედების საკითხისათვის. „ტვინის ინსტიტუტის შრომები“, ტ. XVIII. ლ., 1947, გვ. 55.

განვითარდეს, როგორც, მაგალითად, ჩვენ ეს ფრანგი ფსიქოლოგის ბინეს მიერ აღწერილ ისტერიულ ქალიშვილ ფელიდასა და ახალგაზრდა ყმაწვილი კაცის მაგალითზე ვნახეთ.

ავადმყოფ ყმაწვილკაცში ბინე ხელოვნურად — ჰიპნოზური შთაგონების გზით იწვევდა როგორც ერთი, ისე მეორე პიროვნების თვისებებს. თუ ავადმყოფს შთააგონებდნენ, რომ იგი ვენაში მუშაობს, მაშინ გამოღვიძების შემდეგ იგი მართლაც იქ მომუშავე ადამიანივით იქცეოდა; ამ დროს კერვა სრულებით არ შეეძლო, ფეხები ნორმალურად მოქმედებდნენ. შემდეგ ჰიპნოზურ სეანსზე მას შთააგონებდნენ, რომ იგი ცხრაათი წლის ბიჭია. გამოღვიძების შემდეგ მას თავი ისე ეკავა, როგორც ეს ბავშვს შეეფერება, დარწმუნებული იყო, რომ სამკერვალო სახელოსნოში მუშაობს და ფეხები პარალიზებული აქვს; იგი ამ დროს მართლაც ვერ დადიოდა, სამაგიეროდ მშვენივრად ხმარობდა ნემსს. ამგვარად, ჰიპნოზი იწვევდა იმას, რაც ცხოვრებაში ნერვული სისტემის კატასტროფული შერყევის ზეგავლენით ხდებოდა, ამასთან ჰიპნოზის დროს ერთი პიროვნებისათვის დამახასიათებელი თვისებები მეორის თვისებებით სწრაფად და უმეშვეოდ იცვლებოდნენ. „იქმნება შთაბეჭდილება, — წერდა ამასთან დაკავშირებით ნ. ე. ვედენსკი, — თითქოს ცხოვრების სხვადასხვა ეპოქა თავის შთაბეჭდილებებს ტვინში ფენებად აწყობს და თითქოს შთაბეჭდილებათა ამ ფენებსა და წარსულ განცდათა ნაკვალევს თვითეულს ცალ-ცალკე შეუძლია (ჰიპნოზური შთაგონების გავლენით. — ლ. ვ.) ქმედითი მდგომარეობიდან გამოსვლა და კვლავ მასში დაბრუნება“ [1].

ზოგიერთი სომნაბულური ტიპის ჰიპნოტიკს შთაგონებისადმი იმდენად დიდი მიდრეკილება აქვს, რომ სიტყვიერი შთაგონება ისეთ წმინდა ფიზიოლოგიურ პროცესებზეც კი ახდენს გავლენას, რომელიც თითქოსდა არ შეიძლება დაკავშირებული იყოს ცნობიერებასთან. აი, პროფესორ კ. ი. პლატონოვისა და ჰიპნოზის სხვა გამოჩენილი სპეციალისტების მიერ დადგენილი რამდენიმე შესანიშნავი ფაქტი [2].

---

[1] ნ. ე. ვ ე დ ე ნ ს კ ი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. V. გვ. 355.

[2] იხ. კ. ი. პ ლ ა ტ ო ნ ო ვ ი. სიტყვა როგორც ფიზიოლოგიური და სამკურნალო ფაქტორი, გამოცემა მე-3, მოსკოვი, 1962.

მაძღრობის შთაგონება („მოჩვენებითი კვება“) იწვევს სისხლის ლეიკოციტების რაოდენობის ზრდას. — ეგრეთ წოდებულ საჭმლის მომნელებელ ლეიკოციტოზს, რომელიც, ჩვეულებრივ, საჭმლის ნამდვილად მიღების შემდეგ შეიმჩნევა. შიმშილის შთაგონებული გრძნობა, კი, ისე როგორც ნამდვილი შიმშილობა, პირიქით, ლეიკოპენიას ანუ სისხლში ლეიკოციტების შემადგენლობის შემცირებას იწვევს. ორგანიზმში შაქრის გაძლიერებული შეყვანა სავსებით ჯანმრთელი ადამიანის სისხლშიც კი რამდენიმედ ზრდის გლუკოზის შემადგენლობას. ანალოგიურ მოვლენას აქვს ადგილი შაქრით შთაგონებული (მოჩვენებითი) კვების დროსაც. უკეთუ ჰიპნოტიკს შთავაგონებთ. რომ იგი ძლიერ წყურვილს განიცდის და წყალს ჭიქას ჭიქაზე სვამს, მაშინ მას დაეწყება დაქვეითებული კუთრი წონის მქონე შარდის გაძლიერებული გამოყოფა, ესე იგი ხდება ის. რაც დიდი რაოდენობით წყლის მიღების დროს. სიცივის შთამაგონებელი შეგრძნება კანის გათეთრებას, კანკალს, „ბატის კანის“ სიმპტომს იწვევს. ამასთანავე სუნთქვითი გაზის ცვლა, ანუ შთანთქმული ჟანგბადისა და გამოყოფილი ნახშირორჟანგის რაოდენობა, ისევე როგორც ნამდვილი ციებისას, გაცილებით იზრდება (30%-ით და უფრო მეტითაც). ამავე დროს ზოგიერთი ავტორი აღნიშნავს, რომ შიციებისა და სიცხის შთაგონებით — „მოჩვენებითი ციებ-ცხელება“ — შესაძლებელია სხეულის ტემპერატურის გაზრდა.

ჰიპნოზური ძილის დროს დაწვის შთაგონებით გამოწვეული გამსკდარი ბუშტუკის კეალი. (პროფ. პოდიაპოლსკის ფოტოსურათიდან).

დასასრულ, განსაკუთრებით ყურადღებია „მოჩვენებითი დაწვისა“ და „მოჩვენებითი დარტყმის“ ცდები, რომლებიც ამჟამად უკვე არავითარ ეჭვს არ იწვევს.

თუმცა კი ისინი შთაგონების განსაკუთრებით მაღალი უნარის ქქონე, მხოლოდ იშვიათ სომნაბულებზეა შესაძლებელი. კანის გარკვეულ უბანს ხის ჯოხით რომ შევეხოთ და ამასთანავე შოავაკონოთ, რომ ვახდენთ გავარვარებული რკინით ამოწვას, — რამდენიმე ხნის შემდეგ, მოჩვენებითი ამომწვარ უბანზე ნამდვილი სიდამწვრე — კანის შეწითლება, ბუშტუკი და ა. შ. წარმოიქმნება. ფანქრის უბრალო მიკარება, იმის შთაგონებით, რომ ეს ძლიერი დარტყმაა, შეხების ადგილას კანის გალურჯებას — სისხლნაჟღენთის წარმოშობას იწვევს.

ყველა ეს ერთი შეხედვით დაუჯერებელი ცდა იმიტომ არის შესაძლებელი, რომ ყოველი შინაგანი ორგანო, ყოველი სისხლძარღვი, კანის საფარველის ყოველი უბანი ნერვული გამტარების მეშვეობით, ზურგის ტვინისა და ქერქქვეშას გავლით დაკავშირებულია „ფსიქიკის ორგანოსთან"—თავის ტვინის ნახევარსფეროების ქერქთან. ამის გამო ქერქში მიმდინარე გარკვეული ფიზიოლოგიური პროცესები, რომლებიც საფუძვლად უდევს ამა თუ იმ ფსიქიკურ მდგომარეობას, გარკვეულ პირობებში შეიძლება ჩაერიონ სხვადასხვა ორგანოს ფუნქციონირებაში და მასში ესა თუ ის ცვლილება შეიტანონ. როგორც ჩანს, ასეთი ჩარევა პირობითი რეფლექსების წარმოშობის მსგავსად წარმოებს. ამის შესახებ მეტყველებს გამოჩენილი ჰიპნოლოგის პ. პ. პოდიაპოლსკის საინტერესო დაკვირვება: შთაგონებული დაწვა შეიძლება გამოვიწვიოთ მხოლოდ ისეთ გამოსაკვლევ პირებში, რომლებსაც ერთხელ მაინც გამოუცდიათ რაიმე ცხელი შეხებით მიღებული სიდამწვრე.

ექიმმა პოდიაპოლსკიმ ეს მნიშვნელოვანი დაკვირვება შემდეგი ექსპერიმენტით დაამტკიცა: „ერთხელ მე, — წერს ავტორი, — ამაოდ, ვეცადე ერთი გლეხისათვის შთამეგონებინა მოჩვენებითი მდოგვის საფენით გამოწვეული სიწითლე. მაგრამ არამცთუ სიწითლეს. არამედ წვისა და წიწკნის შეგრძნებასაც კი ვერ მივაღწიე. მე ვიფიქრე, რომ ალბათ, ამ უბრალო ადამიანს არასდროს არ გამოუყენებია მდოგვის საფენი, მაშასადამე, მის ტვინს არ გააჩნდა შესაბამისი წარმოდგენები და ყველა აქედან გამომდინარე შედეგებით მათი მეხსიერებაში აღდგენის უნარი. ასეც აღმოჩნდა — მდოგვის საფენი მას არა-

სოდეს არ უხმარია. მერე ისე მოხდა, რომ საჭიროების გამო მას გულ-მკერდზე მდოგვის საფენი დაადეს, ამის შემდეგ, როდესაც მე მას ჰიპნოზს ვუკეთებდი, შთაგონებით დაუყოვნებლივ გამოვიწვიე არა მარტო მოჩვენებითი მდოგვის საფენის გაკეთების ადგილზე სათანადო წვა, არამედ სიწითლეც" [1].

ჰიპნოზისა და შთაგონების მოვლენებში, პირობითი რეფლექსების მექანიზმებთან ერთად. დიდი მნიშვნელობა აქვს კიდევ ა. ა. უხტომსკის მიერ 1923 წელს წამოყენებულ დომინანტის პრინციპს (ლათინური ზმნისაგან dominare — ბატონობა). დომინანტა — ეს ცენტრალურ ნერვულ სისტემაში დროებით გაბატონებული გაძლიერებული და მყარი აგზნების კერაა, რომელიც გარკვეული პირობების არსებობისას თავის ან ზურგის ტვინის ამა თუ იმ უბანში წარმოიქმნება. დომინანტური კერის გაბატონებული მდგომარეობა, ჯერ ერთი, იმაში მდგომარეობს, რომ იგი, ასე ვთქვათ, სხვა მასთან ერთდროულად მომუშავე ნერვული ცენტრებიდან იზიდავს აგზნების იმპულსებს, თავს უყრის ამ იმპულსებს და ამით სულ უფრო ძლიერდება მათსავე ხარჯზე. მეორეც, ასეთი აგზნებული კერის დომინირება იმაში მდგომარეობს, რომ იგი აფერხებს სხვა ნერვულ ცენტრებსა და მათ შესაბამის რეფლექსებს, რომლებიც მის შემადგენლობაში არ შედიან. ამ ორი თვისების წყალობით დომინანტა. სანამ იგი არსებობს, მთელ ნერვულ მოქმედებას თავისებურად გარდაქმნის და წარმართავს. ასე მაგალითად, კვების დომინანტა, რომელიც ცარიელი კუჭისა და ნაწლავების დაკინებული იმპულსებით იქმნება, მშიერი არსების ქცევას, — გინდ ცხოველი იყოს ეს, გინდ ადამიანი, — მიმართავს საკვების მოპოვებისა და ხელში ჩაგდებისაკენ. თავისებურად მოქმედებს სქესობრივი დომინანტა, ასევე თავდაცვითი დომინანტა, რომელიც დაკავშირებულია შიშის გრძნობასთან.

უმდაბლესი წყობის დომინანტები ქმნიან ინსტინქტების ნერვულ საფუძველს. რომლებსაც ისევე როგორც მათ საფუძველს — დომინანტებს დროებითი ხასიათი აქვთ და ერთმა-

---

1 ჰ. ჰ. პოდიაპოლსკი. სიტყვიერი შთაგონებით მიყენებული მოჩვენებითი დაწვით გამოწვეული ბუშტუკი. სარატოვი, 1905, გვ. 12.

ნეთს ცვლიან. უმაღლესი წყობის დომინანტები, რომლებიც ტვინის დიდ ნახევარსფეროების ქერქში იქმნებიან, ზოგიერთი ფსიქიკური უნარის ფიზიოლოგიურ საფუძველს შეადგენენ, მათ შორის ისეთი მნიშვნელოვანი უნარის, როგორიც არის ყურადღება, ყურადღების გამახვილების უნარი, მეხსიერება. „ყურადღების აქტში სხვა ცენტრების შეკავებისას აგზნების მყარი კერა უნდა არსებობდეს“ [1], — წერდა უხტომსკი და მიუთითებდა, რომ ამ დებულებას ეთანხმება უდიდესი ფსიქონევროლოგი ვ. მ. ბეხტერევი.

ბეხტერევის მიხედვით, ჰიპნოზის ძირითადი თავისებურება ჰიპნოტიზირებულის დამოუკიდებელი მოქმედების დათრგუნვაში მდგომარეობს: ჰიპნოტიზირებული კარგავს გარემომცველი სინამდვილიდან რაიმეზე ყურადღების გამახვილების უნარს, სწორედ ამიტომ მისი გრძნობის ორგანოები გარეშე ზემოქმედების მიმართ არავითარ აქტიობას ან პირად დამოკიდებულებას არ ამჟღავნებს. გასაგებია, რომ ასეთ უმწეო მდგომარეობაში ჰიპნოტიკი ჰიპნოტიზიორის გავლენის ქვეშ ექცევა. ეს იმიტომ ხდება, რომ დამოუკიდებლობასა და აქტივობას მოკლებული ჰიპნოტიზირებულის ყურადღება ამა თუ იმ ობიექტზე მხოლოდ ჰიპნოტიზიორის შთამაგონებელი სიტყვით შეიძლება იქნას მიმართული. ჰიპნოზის შესახებ ამ ფსიქოლოგიური წარმოდგენის, დომინანტის მოძღვრებასთან შეფარდებისას ვ. მ. ბეხტერევი იძლევა ძირითად ჰიპნოზური მოვლენების შემდეგ ფიზიოლოგიურ განმარტებას:

„ყურადღების აქტიური გამახვილება. წარმოადგენს რა ეგრეთწოდებულ დომინანტს ფიზილოგიური მნიშვნელობით. ესე იგი შუბლის წინა ცენტრების გაძლიერებული აგზნების გამომხატველს, ამით ახშობს ყველა დანარჩენი ქერქოვანი უბნის მოქმედებას, რომლებიც იმპულსებს იღებენ გარეშე სამყაროდან. ყურადღების აქტიური გამახვილების, როგორც დომინანტის, დათრგუნვასთან ერთად კი, გამახვილების სიტყვიერი ზემოქმედების (შთაგონების) გზით ყოველი მიმართება

[1] უფრო დაწვრილებით ამის შესახებ იხილე ლ. ლ. ვასილიევი, დომინანტის პრინციპი ფსიქოლოგიაში. „ვესტნიკ ლენინგრადსკოგო უნივერსიტეტა“, 1950, № 9 გვ. 32.

ტვინის ქერქის ამა თუ იმ აღქმით აპარატზე — მხედველობითსა, სმენითსა, შეხებით კუნთოვანისაზე — ამ შემთხვევაში შესაბამის ქერქოვან ცენტრში დომინანტის პირობას ქმნის, ეს კი ამ უკანასკნელის მოქმედებას ზოგ შემთხვევაში ჰალუცინაციური სურათების სიმკვეთრემდე ზრდის და ზოგჯერ კი შთამაგონებელი მოქმედების განხორციელებამდე".

„მეორე მხრივ, გარეშე გამაღიზიანებლის მიმართ ყურადღების გამახვილების შეკავება იწვევს მოვლენებს, რომლებიც ცნობილი არიან უარყოფითი ჰალუცინაციების სახელწოდებით. ამ დროს ჰიპნოტიზირებულს არ ესმის, ვერ ხედავს გარემომცველ საგნებს (ღია თვალებითაც კი. — ლ. ვ.), და ვერც შეიგრძნობს მათ. თუკი გავითვალისწინებთ, რომ ყურადღების აქტიური გამახვილების დათრგუნვასთან ერთად მისი მართვა მაჰიპნოტიზირებელი პირის ხელთ არის, მაშინ დასაჰიპნოზებელსა და ჰიპნოტიზიორს შორის რაპორტის მოვლენაც ძნელი ასახსნელი არ იქნება, რადგან პირველის გამახვილებული ყურადღება ხელმძღვანელობს მხოლოდ ჰიპნოტიზიორის სიტყვებით, როგორც განსაკუთრებული გამაღიზიანებლებით და არ შეუძლია ჰიპნოტიზიორის განსაკუთრებული შთაგონების გარეშე თავისთავად სხვის სიტყვებზე მიმართვა".

„დასასრულ, რაც შეეხება ჰიპნოზისშემდგომ ამნეზიას (რაც ჰიპნოზშია ყველაფერის დავიწყებას), იგი იმის გარდუვალ შედეგს წარმოადგენს. რომ, ჩვენ, ისევე როგორც სიფხიზლის მდგომარეობაში, ჩვენი წარსულიდან მხოლოდ იმას აღვადგენთ (ვიხსენებთ.—ლ. ვ.), რაზედაც თავის დროზე მიმართული იყო ჩვენი ყურადღების აქტიური გამახვილება, სწორედ იმას, რაც ჰიპნოზშია დათრგუნული. ყველაფერი დანარჩენი კი არ შეიძლება მეხსიერებაში აღდგენილ იქნას იქამდე, სანამ იგი ყურადღების აქტიურ გამახვილებასთან შესაბამის (პიროვნით რეფლექტორულ. — ლ. ვ.) კავშირში არ შევა" [1].

ჰიპნოზის ფიზიოლოგიის ბუნებაზე ეს ბეხტერევისეული შეხედულება არ ეწინააღმდეგება ი. პ. პავლოვის თვალსაზრისს

---

[1] ვ. მ. ბ ე ხ ტ ე რ ე ვ ი. ჰიპნოზის ბუნება. „ვესტნიკ ზნანია", 1926, № 1, გვ. 38 — 39.

ჰიპნოზზე, როგორც ნაწილობრივ ძილზე — ქერქის არასრულ შეკავებაზე მასში მეტად მკვეთრი აგზნების „სადარაჯო პუნქტების“ დაცვით, რომლებსაც ჰიპნოტიზიორის სიტყვიერი გამაღიზიანებლები უკერენ მხარს. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ აგზნების „სადარაჯო პუნქტებია“ დომინანტი, ქერქში ჰიპნოტიზიორის მიერ გამოწვეული, მისკენ მიმართული და მასთან განუწყვეტლად კავშირში მყოფი.

IV

შთაგონება და თვითშთაგონება სიფხიზლის დროს

შთაგონებისა და თვითშთაგონების მოვლენების ნერვული შექანიზმი ამჟამად ბუნებისმეტყველებამ მთლიანად ამოხსნა. უწინდელ დროში ასეთი მოვლენები სასწაულად მიაჩნდათ. ძველთაგანვე ცნობილია, რომ იმ პირებს, რომლებიც რელიგიური ექსტაზის დროს ქრისტეს ჯვარზე წამებას წარმოიდგენდნენ, ხელებსა და ფეხებზე სწორედ იმ ადგილებზე, სადაც ჯვარცმულ ქრისტეს ჭრილობები ჰქონდა, წყლულები — ეგრეთ წოდებული „სტიგმები" უჩნდებოდათ. ნ. ე. ვედენსკი თავის ლექციებში გვიამბობს ერთ შემთხვევაზე, რომელიც არცთუ ძალიან დიდი ხნის წინ — XIX საუკუნეში — გლეხის ქალს ლატოს გადახდა: „ბელგიის მეცნიერებათა აკადემიამ სპეციალური კომისია გაგზავნა ამ შემთხვევის გამოსაკვლევად. ქალიშვილს ერთ-ერთი ხელი გულდასმით შეუხვიეს და დაულუქეს კიდეც. წითელ პარასკევს, ქრისტეს წამების საათში, ლუქი და ნახევი ახსნეს და გამოირკვა, რომ დალუქულ ხელზეც ნამდვილად გაჩნდა ადგილობრივი სისხლ-ნაჟღენთები". „ამრიგად, თავისი ნაამბობიდან გამომდინარე ვედენსკი დაასკვნის, რომ სიფხიზლის მდგომარეობაშიც (და არა მარტო ჰიპნოზის დროს. — ლ. ვ.) თავისებური თვითშთაგონების გზით შესაძლებელია ადგილობრივი გავლენის მოხდენა სისხლის მამოძრავებელ სისტემაზე და ადგილობრივი ზრდის (ტროფიკული — ლ. ვ.) პროცესებზე"[1].

ამგვარი მოვლენები სუსტად გამოხატული სახით ზოგჯერ ყოველდღიურ ცხოვრებაშიც შეიძლება შევნიშნოთ. მაგალითისათვის მოვიყვან ჩემს თვალწინ მომხდარ შემთხვევას, რო-

---

[1] ნ. ე. ვ ე დ ე ნ ს კ ი. თხზულებათა სრული კრებული, ტ. V, გვ. 349.

მელიც მაშინ ჩავიწერე. ერთმა ჩემმა ნაცნობმა ახალგაზრდა კაცმა გახურებულ სოფლის აბანოდან გამოსვლისას მანამდე მისთვის უცნობი, საზიზღარი შესახედაობის მწერი — ყურბელა — შენიშნა. მან ზიზღის გრძნობით მარჯვენა ხელის თითებით აიყვანა მწერი, რათა უფრო ახლოს დაეთვალიერებინა იგი. ყურბელა დაიკლანკა და თავისი „მარწუხებით" მისი დამჭერი თითის წვდომას შეეცადა; მაგრამ მან ვერ მოახერხა, რადგან ახალგაზრდა კაცმა მოულოდნელობისაგან შეჰყვირა და ხელის სწრაფი დაქნევით მწერი მიწაზე დაანარცხა. მიუხედავად ამისა, თითის კანის იმ ნაწილზე, რომლითაც მწერი ეკავა, მალე მკაფიოდ გამოკვეთილი მუქი წითელი ლაქები გაჩნდა — ერთი ცერზე და ორი სალოკ თითზე. წვა ან რაიმე ტკივილი კანის მუქად შეწითლებულ ადგილებზე არ შეიგრძნობოდა, ლაქების მობანვით მოშორება არ მოხერხდა. უთუოდ, ისინი კანის სისხლძარღვების ადგილობრივ გაფართოებას გამოხატავდნენ, რომელიც მოჩვენებითი კბენისა და მასთან დაკავშირებული შიშის განცდის თვითშთაგონებული წარმოდგენით იყო გამოწვეული. შესაძლებელია, წინასწარ აბანოში ყოფნამ, ცხელი და ცივი წყლების კანზე ზემოქმედების მკვეთრი ცვალებადობით, გაზარდა რეფლექსური სისხლმამოძრავებელი აპარატის რეაქტიულობა და ამით ხელი შეუწყო აღწერილი მოვლენის აღმოცენებას.

რელიგიურ ცრუმორწმუნეობათა საყოველთაო გავრცელების წლებში, სიფხიზლის მდგომარეობაში ურთიერთ შთაგონებისა და თვითშთაგონების მოვლენები ზოგჯერ ერთბაშად ადამიანთა დიდ ჯგუფებს მოიცავდნენ, ასე ვთქვათ, გადამდებ ხასიათს ღებულობდნენ და ეგრეთწოდებულ ფსიქიკურ ეპიდემიებში გადადიოდნენ. ერთ-ერთ თავის წიგნში ვ. მ. ბეხტერევმა[1] დაახასიათა სხვადასხვა დროს სხვადასხვა ქვეყნებში აღმოცენებული ფსიქიკური ეპიდემიების სხვადასხვაგვარი სახეები — როგორც არის კოლექტიური ჰალუცინაციები, ისტეროიდული კონვულსიების მასობრივი შეტევები, ეშმაკეულით შეპყრობის ან მოჯადოების საყოველთაო რწმენა და ა. შ.

---

1 ვ. მ. ბ ე ხ ტ ე რ ე ვ ი. შთაგონება და მისი როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სპბ, 1908.

„ეშმაკისაგან შეპყრობილი, გათვალული ან ბნედიანი ადამიანის განსაკურნავად, — წერდა ვ. მ. ბეხტერევი, — ჩვეულებრივ მიმართავდნენ რელიგიურ ზემოქმედებას, სახელდობრ, „ავი ზნით შეპყრობილებს“ უკითხავენ ლოცვებს. ეკლესიაში წარმოთქვამენ შელოცვებს, რათა ეშმაკი დაემორჩილოს ღმერთს და დაეხსნას „ავი ზნით შეპყრობილს“, რაზედაც ჩვეულებრივად ეს უკანასკნელი კიდევ უფრო ძლიერი მკრეხელური სიტყვებითა და მოძრაობით პასუხობდა ან ახალი შეტევა ეწყებოდა კონვულსიებით. თანამედროვე ფსიქიატრიულ საავადმყოფოში რომ შევიაროთ, შევხვდებით ისტერიით, ანუ ისტეროეპილეფსიით დაავადებულ ავადმყოფებს. მათი ავადმყოფური გამოვლინება იმ გამოვლინებათა მსგავსია, რომლებიც „ავი ზნით შეპყრობილთა“ აღწერაში ვხვდებით, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ავადმყოფის ბოდვებში უკვე არ გვხვდება დემონი. მაგრამ ჩვენ ავადმყოფში ვხედავთ იმავე ტიპიურ „თაღს“, როდესაც ისტერიული ავადმყოფი რკალისებურად ამოიღუნება ისე, რომ ლოგინს მხოლოდ ქუსლებითა და კეფით ეხება, და ვხედავთ კონტრაქტურას, რომელიც ზედა და ქვედა კიდურებში ვლინდება.

უწინ მსგავს შემთხვევებს ჰკურნავდნენ შთაგონებით, რაც დაკავშირებული იყო რელიგიურ აღმაფრენასთან (სიფხიზლის მდგომარეობაში წარმოებული შთაგონებით. — ლ. ვ.). ამჟამადაც შთაგონებით მკურნალობენ, მაგრამ ამას აკეთებს ექიმი; რომელსაც შეუძლია ჩაუნერგოს განკურნების რწმენა. სწორედ ასე განიკურნებოდნენ ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში „ხელგამხმარნი“ „დაუძლურებულნი“ და „მოჩვენებითი გარდაცვალებულნი“. არსებობს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ხელგამხმართა და დაუძლურებულთა საერთო სახელწოდებით ძველად დამბლადაცემული იგულისხმებოდა. მათ რიცხვში ხელის ან ფეხის ისტერიული დამბლისაგან დავრდომილნი, რომლებიც საერთოდ, როგორც ცნობილია, შთაგონებითი მკურნალობით რჩებიან“ [1].

ძნელი დასაჯერებელია მაგრამ ასეთი ფსიქიკური ეპიდემი-

---

[1] ვ. მ. ბ ე ხ ტ ე რ ე ვ ი. შთაგონება და სასწაულებრივი განკურნება. „ვესტნიკ ზნანია“, 1925, № 5, გვ. 324.

ცნობილი საესტრადო ჰიპნოტიზორის ორნალდოს (ნ. ა. სმირნოვის) მიერ მასიური ჰიპნოზის დემონსტრირება ცირკის არენაზე ბაქოში 1929 წელს. ჰიპნოზური დაძინების სანახაობა ზრდის მაყურებელთა ჰიპნობილობას. ეღებულობთ ფსიქიური ეპიდემიის მსგავს სურათს.
(ფოტოგრაფიიდან).

ების მსგავსი მოვლენები დღესაც გვხვდება. ამგვარი ხასიათის ცალკეულ ფაქტებს ადგილი ჰქონდა ომის დროს. გერმანელ-ფაშისტ დამპყრობთა მიერ საბჭოთა ტერიტორიის ნაწილის დროებითმა ოკუპაციამ ბურჟუაზიული იდეოლოგიის, რელიგიურ და სხვა ცრურწმენათა ერთგვარი გაძოცოცხლებისა და გავრცელების პირობები შექმნა. ამას ხელს უწყობდა აგრეთვე ომით გამოწვეული სიძნელეები, დიდი რაოდენობით ხალხის დაღუპვა, ახლობელთა ბედ-იღბალზე და საკუთარ ბედზე ზრუნვა, აგრეთვე ხვალინდელი დღის უიმედობა. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ ელაბუგაში 1943 წლის ზამთარში მომხდარი შემთხვევა, რაც მაშინვე ჩავიწერე.

ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა, საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებლის მოსწავლეებმა ოცი წლის პ-მ და 16 წლის ჭ-მ მიიღეს უსახელო წერილები, რომლებშიც ბატიფეხურით ეწერა, რომ ამისა და ამისათვის, ამა და ამ დღესა და საათზე ისინი დაისჯებიან ავადმყოფობით — კრუნჩხვებით, ხმისა და მეტყველების უნარის დაკარგვით, თავისა და ხელების ტკი-

ვილებით... დანიშნულ ვადებში ველაფერი ეს მართლაც სრულიად ახდა. პ-ს წერილით შთაგონებული ავადმყოფური სიმპტომები სამ კვირას გაუგრძელდა, ზ-ს კი რამდენიმე დღე და ღამე. ორივე გოგონა ყეებოდა შემდეგ, რომ სიზმარში მათ მოეევლინა, დედაბერი, რომელმაც „გათვალა“ ისინი. ავადმყოფებთან გამოძახებულ იქნა ფერშალი ქალი ადგილობრივი პოლიკლინიკიდან, უსახელო წერილები კი გადაეცა სახალხო სასამართლოს, რომელმაც მოწმეები დაკითხა. ამას ის უნდა დავუმატოთ, რომ ზოგიერთ ქალიშვილს, რომლებიც ავადმყოფი გოგონების სანახავად მოდიოდნენ და ნახეს მათი კონვულსიები, სუსტ ფორმებში იგივე ისტერიული სიმპტომები გამოაჩნდათ. ეს სხვა არაფერია, თუ არა ნამდვილი ფსიქიური ეპიდემიის ჩანასახი, რომლის ჩაქრობაც, საბედნიეროდ, მალე მოხერხდა.

უფრო ხშირად გვხვდება თვითშთაგონების ერთეული შემთხვევები, რომლებიც ამა თუ იმ „ფსიქოგენურ“ ავადმყოფობას იწვევენ. იქვიანი ადამიანის აკვიატებულმა აზრმა რაიმე ორგანოს დაავადების შესახებ, რომელიც სინამდვილეში სრულიად ჯანმრთელია, შესაძლებელია ნამდვილად გამოიწვიოს ამ ორგანოს ფუნქციონალური მოშლილობა. ეს არა მარტო ბრიყვ ადამიანებს ემართებათ, არამედ განათლებულ ადამიანებსაც და მაო რიცხვში ხშირად ექიმებსაც.

აკადემიკოს ი. რ. თარხანოვს ასეთი საინტერესო მაგალითი მოჰყავს. თავისი დროის გამოჩენილ ექიმს, რომელიც გულისა და სისხლძარღვების დაავადებათა შესახებ ლექციებს კითხულობდა, თავისი გულის მუშაობისათვის მიუქცევია ყურადღება და ძლიერი გულისცემა დაწყებია; პულსი არარიტმული გამხდარა. მხოლოდ მოგზაურობის წყალობით, რომელიც გულის არეში მტკივნეულ შეგრძნებათაგან ყურადღების ჩამოცილების მიზნით მოაწყო, შეძლო ექიმმა ამ სნეულებისაგან თავის დაღწევა“[1].

კიდევ უფრო სასაცილო რამ შეემთხვა ექიმ ეიზემანს, რომელიც პრინცესა შვარცენბერგს მკურნალობდა. ასეთი დიდმნი-

---

[1] ი. რ. თარხანოვი. სული და სხეული. ჟურნალ „ვესტნიკ ი ბიბლიოტეკა სამოობრაზოვანიას“ დამატება, გვ. 160.

შვნელოვანი პაციენტის პირველსავე მონახულებისას ეს ექიმი ძალზე უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდა თავისივე ნაწლავებში გაძლიერებული პერისტალტიკით გამოწვეული ხმამაღალი ბუყბუყით, ამიტომ შემდეგი ვიზიტის დროს მას ძალიან ეშინოდა ამ ხმაურის გამეორებისა. მაგრამ საკმარისი იყო ავადმყოფის ლოგინს მიახლოებოდა, რომ მის მუცელში ხმამაღალი ბუყბუყი გაისმოდა. და ასე ემართებოდა ყოველთვის — მთელი კვირის განმავლობაში, თუმცა ყველა სხვა ავადმყოფის ნახვისას მისი კუჭ-ნაწლავი სრულ სიმშვიდეს ინარჩუნებდა.

სასოწარკვეთილებამდე მისულმა ეიზემანმა, როგორც იქნა, გაბედა პრინცესასათვის მიემართა შემდეგი სიტყვებით:

„თქვენო ბრწყინვალებავ, მთელი კვირის განმავლობაში თქვენ ჩემი ნაწლავებიდან გესმით ხმები, რომლებიც ჩემში უდიდეს დარცხვენას იწვევენ. პირველად ხმები შემთხვევით გაჩნდა, შემდეგ კი ისინი სწორედ იმიტომ მეორდებოდა, რომ მათი განმეორებისა მეშინოდა და ვფიქრობდი ამაზე. ამ ხმების შეწყვეტის მიზნით გადავწყვიტე ყველაფერი ამეხსნა და თქვენს წინაშე ბოდიში მომეხადა". აღსანიშნავია, რომ ამ განმარტების შემდეგ აღნიშნული ავადმყოფის თანდასწრებით მუცელში ბუყბუყი სამუდამოდ შეწყდა [1].

გასაკვირი არ არის, რომ შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს საწინააღმდეგო მოვლენებსაც, ორგანოთა ნამდვილად დარღვეული ფუნქციები სათანადო შთაგონებითა და თვითშთაგონებით შეიძლება ნორმის შესაბამისობამდე მოვიყვანოთ. სწორედ ამ საფუძველზეა აგებული ფსიქიკური თერაპიის მეთოდები, რომლებიც ექიმების მიერ შთაგონებისა და თვითშთაგონების უნარიანად გამოყენების შემთხვევაში ხშირად შესანიშნავ შედეგებს გვაძლევენ ნერვული და ნერვულ-ფსიქიკური ფაქტორების ფუნქციონალური დარღვევით გამოწვეულ დაავადებათა მკურნალობის დროს.

ჰიპნოზისა და სიფხიზლის მდგომარეობაში შთაგონებით მკურნალობა ამჟამად ეყრდნობა მტკიცე საფუძველს —

---

[1] ი. რ. თარხანოვი. სული და სხეული. ჟურნალ „ვესტნიკ ● ბიბ-ლიოტეკა სამოობრაზოვანიას" დამატება, გვ. 155.

ი. პ. პავლოვის მოძღვრებას უმაღლესი ნერვული მოქმედების შესახებ. ექიმ-ფსიქოთერაპევტები შთაგონებას იყენებენ იმის სრული შეგნებით, თუ რატომ მოქმედებს იგი და ამასთან რა ნერვული მექანიზმი მოჰყავს მოძრაობაში. უწინდელ დროში სიტყვიერი შთაგონების სამკურნალო ძალით ადამიანები ბრმად სარგებლობდნენ, არ ესმოდათ საქმის არსი და ამიტომ ხშირად მათ ავადმყოფისათვის უფრო ზიანი მოჰქონდათ, ვიდრე სარგებლობა. ჯადოსანთა მაგიური დაფიცება, ექიმბაშების „შელოცვები" არსებითად გულუბრყვილო, ცრუ-მორწმუნოებრივ წარმოდგენებზე დაფუძნებული სიტყვიერი შთაგონების ფორმა იყო, რაც ხშირ შემთხვევაში მართლაც აღწევდა კიდეც მიზანს და უმეცარ ადამიანთა შორის „სასწაულებრივ განკურნებად" ითვლებოდა.

აი, ერთ-ერთი ნიმუში ასეთი შთაგონებითი შელოცვისა (შელოცვა წყალზე სხვადასხვა ავადმყოფობათაგან): „მარილო, შენ ყველაფერს დაამარილებ, ნაცარო, შენ ყველაფერს გადაჭამ! — შავო ნახშირო, შენ ყველაფერს გააშავებ! დაამარილე, მარილო, გადაჭამე, ნაცარო, გააშავე, შავო ნახშირო! ვინც ამ წყალს შესვამს — ყველა სატკივარს მოიშორებს! ვინც ნაცარს მოლოკავს — სენს არ მიიკარებს! ვინც მარილს იგემებს — ყველა ავადმყოფობას განდევნის! ვინც ნახშირს მოკვნეტს — მოჩვენებებს დააბრმავებს, წყალს სვამს სნეული ესა და ეს. შესრულდა სიტყვა ჩემი ძლიერი, ძალზე ძლიერი".

„სამკურნალო შთაგონების საიდუმლოება, — წერდა ამის შესახებ ვ. მ. ბეხტერევი, — ცნობილი იყო უბრალო ხალხიდან გამოსული მრავალი პირისათვის, რომელთა წრეებშიც იგი საუკუნეთა განმავლობაში თაობიდან თაობას გადაეცემა ექიმბაშობის, ჯადოსნობის, შელოცვებისა და სხვათა სახით... შთაგონებასთან ერთად ხშირად მოქმედებს თვითშთაგონებაც, როდესაც ადამიანი თვით ირწმუნებს რაიმე საშუალების სასწაულმოქმედ ძალას. ასე მაგალითად, თვითშთაგონებით აიხსნება მრავალი, ეგრეთწოდებული „სიმპათიკური" საშუალების მოქმედება, რომელიც არცთუ იშვიათად ამა თუ იმ დადებით შედეგს იძლევა. ფერაუსი (Farraus) ციებ-ცხელებას არჩენდა ქაღალდის დახმარებით, რომელზედაც ორი სიტყვა იყო გამოყვანილი: „ციებ-ცხელების წინააღმდეგ", და ავადმყოფს

ყოველდღე თითო ასო უნდა მოეხია. ცნობილია „პურის აბის“, „ნევის წყლის“, უბრალოდ „ხელის დაფარებისა“ და სხვათა სამკურნალო მოქმედების შემთხვევები. ეს იმით აიხსნება, რომ ზოგიერთ პიროვნებაში მათი შთაგონებისადმი არაჩვეულებრივი მიდრეკილების გამო, საკმაოდ შთამაგონებელი ტონით წარმოთქმული ერთი სიტყვითაც კი, საკმარისია მოვახდინოთ ყველა ის გარდაქმნა დამბლადაცემულებსა, კოჭლებსა, კონვულსიებითა და შმაგობით შეპყრობილებში, რომლებითაც ასე მდიდარია ძველი დროისა და განსაკუთრებით საშუალო საუკუნეების ისტორია იმხანად გავრცელებულ ეშმაკთა ძალის რწმენის გამო. ამიტომაც არის ადვილად შესაძლებელი შთაგონებული პირების ამა თუ იმ, არსებითად უმნიშვნელო საშუალებებით განკურნება“[1].

მოვიყვანთ კიდევ ერთ კურიოზულ შემთხვევას. მეჭეჭების მოსაშორებლად ძველთაგანვე სხვადასხვაგვარ ხალხურ „სიმპათიკურ“ საშუალებებს ხმარობდნენ. ყველა ისინი განკუთვნილია იმისათვის, რომ რაც შეიძლება უფრო ძლიერად იმოქმედონ პაციენტის წარმოდგენაზე და ამით ამ საშუალებათა სამკურნალო ძალის რწმენა შთააგონონ მას. ექიმებმა ეს ძველებური სამკურნალო ხერხი „გაამეცნიერულეს“ და ამჟამად წარმატებით იყენებენ. ბრუნო ბლოხს (Bruno Bloch) სტატიაში „მეჭეჭების ჰიპნოზით მკურნალობის შესახებ“ შემდეგი ციფრები მოჰყავს: ერთი ჰიპნოტიკური სეანსის განმავლობაში 179 პაციენტიდან 55 (30,7%) განკურნეს, ორი სეანსის განმავლობაში — 32 (17,9%), სამი სეანსის განმავლობაში — 8 (4,4%) და რამდენიმე სეანსის განმავლობაში — 3 (1,7%). სულ განკურნეს 98 პაციენტი (54,7%). ნაწილობრივ განკურნებულთა რიცხვი შეადგენდა 2 (1,1%) და ვისზედაც მკურნალობამ არ იმოქმედა — 79 (44,2%). ამრიგად, პაციენტების ნახევარზე მეტს მეჭეჭები მოაშორეს[2]. ასეთი მკურნალობის წარმატება პირველ რიგში დამოკიდებულია პაციენტის შთაგონებით ალღოზე, აგრეთვე მეჭეჭების ტიპზე („ბრტყელი“,

---

[1] ვ. მ. ბ ე ხ ტ ე რ ე ვ ი. შთაგონება და სასწაულებრივი განკურნება, „ვესტნიკ ზნანია“, 1925, № 5, გვ. 327.

[2] იხ. ა. ი. კ ა რ ტ ა მ ი შ ე ვ ი. ჰიპნოზი და შთაგონება კანის დაავადებათა თერაპიაში. მოსკოვი 1953.

„ვულგარული“ და სხვ.). პაციენტების შთაგონებით დონეს ჰიპნოზური ძილით ზრდიდნენ, მაგრამ უფრო ძლიერი შთაგონებითი მიდრეკილების მქონე პაციენტების მკურნალობისას დადებით შედეგებს ჰიპნოზის გარეშე — სიფხიზლის მდგომარეობაშიც აღწევენ.

ისინი, ვისაც ბრმად სწამდათ ხატებისა და ნაწილების სასწაულმოქმედება, ხშირად განიკურნებოდნენ, მაგრამ ეს განკურნებაც ძლიერმოქმედი თვითშთაგონებით იყო გამოწვეუ-

კონვულსიური ქალი, რომელსაც ტკივილის შეგრძნება დაკარგული აქვს.

ლი. რასაკვირველია, ეს შეიძლება მომხდარიყო მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც თვითონ ავადმყოფობა ფსიქოგენურ ხასიათს ატარებდა, ესე იგი რაიმე სულიერი შერყევით იყო გამოწვეული და ნერვული მოქმედების დროებით ფუნქციონალურ დარღვევაში (სტრუქტურულ დაზიანებათა გარეშე) მდგომარეობდა. ასეთი ავადმყოფობებია, მაგალითად, დამბლა, კანის შეგრძნებადობის დაკარგვა, სიბრმავე, ისტერიულ ავადმყოფთა სიმუნჯე, ერთი სიტყვით, სნეულებანი, რომლებიც ამჟამად ყველაზე უფრო ადვილად იკურნება ექიმი-ფსი-

ქოთერაპევტების სამკურნალო შთაგონებით. აი, რამდენიმე მაგალითი ვ. ბ. ბეხტერევის საექიმო პრაქტიკიდან.

ერთხელ ბეხტერევს აუდიტორიაში სტუდენტ-მედიკებისათვის საჩვენებლად საზიდავით მოუყვანეს ავადმყოფი, რომელიც თვენახევარს იწვა კლინიკაში. ეს ავადმყოფი ცხრა თვეზე მეტი ხნის განმავლობაში ვერ დადიოდა ისტერიული შეტევის შემდეგ უეცრად განვითარებული დამბლის გამო. და აი, სასწავლო აუდიტორიაში იგი დააძინეს, შემდეგ შთაგონების საშუალებით ფეხზე წამოაყენეს და ოთახში გაატარეს, ამასთანავე უთხრეს, რომ დამბლა უკვე აღარა აქვს, რომ იგი გამოღვიძების შემდეგაც ივლის. ჰიპნოზის მდგომარეობიდან გამოყვანილმა ავადმყოფმა გააოცა დამსწრენი და აღტაცებული, დამოუკიდებლად შევიდა პალატაში, რითაც კლინიკის მთელი განყოფილება განცვიფრებაში მოიყვანა. ამის შემდეგ უკვე ფიზიოლობის მდგომარეობაში იმავე ავადმყოფს შთაგონება ჩაუტარდა კრუნჩხვითი ისტერიული შეტევების შეწყვეტის მიზნით, რის შემდეგაც იგი საბოლოოდ განიკურნა.

კიდევ ერთი მაგალითი. ავადმყოფ გლეხ ქალს დიდი ხნის განმავლობაში ჰქონდა ხელის კრუნჩხვა (კონტრაქტურა), რომელიც მკურნალობის ჩვეულებრივი შეთოდებით არ რჩებოდა. ჰიპნოზში ბეხტერევმა მას გაუსწორა ხელი. გამოღვიძების შემდეგ ეს „ხელგაშეშებული" გლეხის ქალი მაღლა აღმართულ ხელს უჩვენებდა სეანსზე ყველა დამსწრეს და გახარებული გაიძახოდა: „აკი ვამბობ, ჯანმრთელი ვარ-მეთქი, შეხეთ, შეხეთ, სრულიად ჯანმრთელი"! შაგრამ ყველაზე შესანიშნავ შემთხვევად თავისი პრაქტიკიდან ვ. მ. ბეხტერევი ჰიპნოზური შთაგონებით მემკვიდრეობითი სიბრმავის მორჩენას თვლიდა. ამ შემთხვევამ თვალის სნეულებათა გამოცდილი ექიმებიც კი გააოცა, რომლებსაც შეუძლებლად მიაჩნდათ ასეთი სახის სიბრმავის სამედიცინო საშუალებით განკურნება[1].

არსებობს მრავალი და, როგორც ჩანს, სარწმუნო ნაამბობი ფაკირებზე, რელიგიურ ფანატიკოსებზე, საშუალო საუკუნეებისდროინდელ გრძნეულებსა და ჯადოსნებზე, საიდანაც

---

[1] იხ. ვ. მ. ბ ე ხ ტ ე რ ე ვ ი. შთაგონება და სასწაულებრივი განკურნება, „ვესტნიკ ზნანია", 1925, № 5, გვ. 329.

დასტურდება, რომ ექსტაზის მდგომარეობაში ისინი კარგავ-დნენ ტკივილის შეგრძნებას და განსაცვიფრებელი სიმტკიცით იტანდნენ ყველა ენითუთქმელ თვითგვემასა და ტანჯვას. სრულიად დასაშვებია, რომ მოცემულ შემთხვევაშიც გარკვეულ როლს ასრულებდა ამა თუ იმ ძალის ავტოჰიპნოზი, ფანტასტიკური რწმენის შთამაგონებელი ზემოქმედება ან თვითშთაგონება.

ევროპის ცირკებში დროგამოშვებით გამოდიან ადამიანები, რომლებიც მაყურებელს ტკივილისადმი თავის უგრძნობლობას უჩვენებენ. მე გავიცანი ერთ-ერთი მათგანი, წარმოშობით ავსტრიელი, რომელიც ყღერად ინდუსურ სახელს ტო-რამას ატარებდა. იგი ინჟინერ-ქიმიკოსი იყო და ამასთანავე სხვადასხვა გარეულ ცხოველთა ჰიპნოზირების სპეციალისტი. თავისი საქმის ერთგული ადამიანი სრულ ნდობას იმსახურებდა. მან მიამბო (ეს ნაამბობი შემდეგ პრესაში გამოქვეყნდა) [1] იმის შესახებ, თუ რა ვითარებაში და როგორ მოახერხა მან საკუთარ თავში ტკივილის შეგრძნების შეკავების და მისი სრულიად ჩახშობის უნარის გამომუშავება და მისი შემდგომ განმტკიცება. ხელისგულის, წინამხარის, მხარისა და ა. შ. გამჭოლი გახვრეტა გრძელი და მსხვილი ნემსით მართლაც არ იწვევდა ტკივილის შეგრძნების რაიმე ობიექტურ ნიშნებს. პულსისა და სიხშირის წნევის გასინჯვა გახვრეტის დროს რაიმე ცვლილებას არ აღნიშნავდა, აგრეთვე არ შეიმჩნეოდა გუგების რეფლექსური დავიწროვება — დამალული ტკივილის ეს საიმედო ნიშანი.



დაჰიპნოზებული ქათმის ტკივილის შეგრძნების დაკარგვა და კატალეფსია. (ბეხტერევის მიხედვით).

პირველი მსოფლიო ომის დასასრულს ტო-რამა მძიმედ

---

[1] იხ. „რას წერენ ტო-რამას შესახებ (რუსული და უცხოური პრესის გამოხმაურება)", ლენინგრადის სახელმწიფო ცირკის გამოცემა, 1926.

დაიჭრა ხელყუმბარის ნამსხვრევებით. საველე ჰოსპიტალში მისი მდგომარეობა უიმედოდ იქნა მიჩნეული — როდესაც ექიმები ამის შესახებ ლაპარაკობდნენ, მას ეს ესმოდა, იგი მომაკვდავთა პალატაში გადაიყვანეს. „მაშინ, — წერს თავის სტატიაში ტო-რამა, — ჩემში რაღაც ამხედრდა... კბილი კბილს დავაჭირე და მხოლოდ ერთი აზრი მიტრიალებდა: „შენ უნდა იცოცხლო, შენ არ მოკვდები, შენ არავითარ ტკივილებს არ გრძნობ“ — და ასე შემდეგ, მე ამას გაუთავებლივ ვიმეორებ, სანამ ეს აზრი იმდენად არ გამიჯდა სისხლსა და ხორცში, რომ უკვე სრულებით არა ვგრძნობდი ტკივილს. არ ვიცი ეს როგორ მოხდა, მაგრამ მოხდა კი წარმოუდგენელი რამ. ექიმები თავს აქნევდნენ. ჩემი მდგომარეობა დღითი დღე უმჯობესდება. ასე გადავრჩი ცოცხალი მხოლოდ და მხოლოდ ნებისყოფის წყალობით. ორი თვის შემდეგ ვენის ერთ-ერთ ჰოსპიტალში მცირე ოპერაცია გამიკეთეს, საერთო ნარკოზისა და ადგილობრივი გაუმტკივნებლობის გარეშე, საკმარისი იყო მარტოოდენ თვითშთაგონება და როდესაც მე სავსებით მოვიკეთე, საკუთარ თავზე გამარჯვების ჩემივე სისტემა გამოვიმუშავე და ამ მხრივ ისე შორს წავედი, რომ საერთოდ არ განვიცდი ტანჯვას, თუკი ეს მე თვითონ არ მინდა“.

იმას, რის მიღწევაც ტო-რამამ საკუთარ თავზე თვითშთაგონების გზით შეძლო, ექიმი-თერაპევტი თავისი პაციენტების მკურნალობის დროს აღწევს შთაგონებით ჰიპნოზისა და სიფხიზლის მდგომარეობაში. იმ შემთხვევებში, როდესაც ნარკოზი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო უარყოფით მაჩვენებლებს იძლევა, ქირურგიული ოპერაციები — უკეთუ პაციენტები შთაგონებისადმი საკმარის განწყობას იჩენენ — შეიძლება ჩატარდეს ჰიპნოზის ქვეშ ანდა ფხიზელ პოსტჰიპნოტიკურ მდგომაერობაში, მას შემდეგ რაც პაციენტს ჰიპნოზის დროს ტკივილის გამაყუჩებელი ან თავიდან ამაცილებელი შთაგონება ჩაუტარდება. იმავე ხერხებს იყენებენ მშობიარობის ტკივილების გასაყუჩებლადაც.

ყოველივე ეს გვიჩვენებს, რომ სიტყვიერი შთაგონებით ან თვითშთაგონებით შესაძლებელია ამორჩევით შევაკოთ თავის ტვინის ის რეფლექსური ცენტრები, რომლებიც ტკივილის შეგრძნებას განაგებენ. მაგრამ შთაგონებისა და თვითშთაგონე-

ბის სწორედ ასეთივე ხერხებით ცენტრალურ ნერვულ სისტემაში შეიძლება შევქმნათ და შევინარჩუნოთ ხანგრძლივი, მყარი აგზნებისა და მაღალი აგზნებადობის ესა თუ ის კერა, ესე იგი, სწორედ ის, რასაც ა. ა. უხტომსკიმ დომინანტი უწოდა.

ტო-რამას ზემომოყვანილ ნაამბობში განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობს ის გარემობა, რომ მან თავის მიზანს მიაღწია ერთი და იმავე აზრისა და ფრაზის გაუთავებელი განმეორებით. სწორედ ამ ერთი და იმავეს გამეორებაშია დომინანტის წარმოშობის მთავარი პირობა და ამასთან ერთად, თვითშთაგონების ფრიად სასარგებლო ზემოქმედების საიდუმლოება, — საიდუმლოება, რომელიც უძველესი დროიდან იყო ცნობილი აღმოსავლური ხალხებისათვის, ქრისტიან მოღვაწეთათვის, ამჟამად კი, შეცნობილი „მეცნიერული“ სახით გამოიყენება ფსიქოთერაპიის მიერ.

ინდოეთისა და ტიბეტის ბუდისტებს თავი ექსტაზში მოჰყავთ ბუდასადმი სალოცავი მიმართვის განუწყვეტელი განმეორებით: „ომ, მანი პად-მე ხუმ!“; (სალამი, ძვირფასს ლოტოსის ყვავილში!“; „ძვირფასი“ — ბუდას ერთ-ერთი ზოგადი სახელია.) ამ სიტყვების გაუთავებელი წარმოთქმით თავი რომ არ შეიწუხონ, ბუდისტები, ეგრეწოდებულ, „სალოცავ ბორბალს“ ხმარობენ, ანუ ღერძზე მბრუნავ დოლურს, რომელზედაც ზემომოყვანილი სიტყვებია გამოსახული. ბუდისტი ატრიალებს დოლურას და რიტმულად გაუთავებლად კითხულობს ამ ლოცვას.

ასეთსავე როლს ასრულებდა ქრისტიან მოღვაწეებში ამდაგვარივე სიტყვაძუნწი „იესოს ლოცვა“. „აიღე კრიალოსანი, — ნათქვამია ერთ-ერთ ძველებურ დარიგებაში, — და მასზე პირველ ხანს სამი ათასი ლოცვა მაინც წარმოთქვი ყოველდღე (შემდეგ თანდათანობით ამ ლოცვის ყოველდღიური გამეორება თორმეტ ათასამდე აჰყავდათ). მყუდროდ, განმარტოებით დაჯექი, თავი დახარე, დახუჭე თვალები, უხმოდ ისუნთქე, წარმოსახვით გულის სიღრმეში ჩაიხედე, ტვინი (ანუ ფიქრი) თავიდან გულში ჩამოიტანე. სუნთქვისას ჩუმად ბაგეებით, ან მარტოკა აზრით წარმოთქვი: „უფალო ქრისტე, შემიწყალე!“ (სწორედ ეს არის „იესოს ლოცვა“. — ლ. ვ.). ეცადე უკუაგდო ფიქრები, მშვიდი მოთმინება იქონიე და ხშირად იმეორე ეს ლოცვა“.

იშვიათ, ძველებურ წიგნში „მწირის გულწრფელი ნაამბობი სულიერი მამის წინაშე...“ (გამოიცა 1861 წელს ყაზანში) შეიძლება წავიკითხოთ ვინმე მწირის თავისებურად შესანიშნავი მოთხრობა იმის შესახებ, თუ როგორ ისწავლა მან „განუწყვეტლივ ლოცვა“ და რა ნეტარი ექსტაზი ეუფლება მას ამ დროს. ძნელია თავი შევიკავო და არ მოვიყვანო თუნდაც ერთი ნაწყვეტი ამ წიგნიდან:

ტიბეტელი ლამა სალოცავი ბორბლით ხელში.
(გამოჩენილი შვედი მოგზაურის სვენ ჰედინის ფანქრით ნახატი).

„და, აი, ახლა ასე დავდივარ, თან განუწყვეტლივ იესოს ლოცვას ვიმეორებ, რომელიც ქვეყნად ჩემთვის ყველაფერზე უფრო ძვირფასია და ყოველივეზე უტკბესი. დღეში სამოცდაათ ვერსს გავდივარ, ზოგჯერ მეტსაც და ვერა ვგრძნობ, რომ დავდივარ, მხოლოდ იმას ვგრძნობ, რომ ვლოცულობ. როდესაც ძლიერი სიცივე გამიჯდება ტანში, მე უფრო გამალებით ვიწყებ ლოცვას და მალე მთლად ვთბები. უკეთუ შიმშილმა მძლია, მე უფრო ხშირად ვუხნობ იესო ქრისტეს და მავიწყდება ჭამა. როცა ავად ვხდები, ზურგსა და ფეხებში მტვრევას მიწყებს, გულისყური ლოცვაზე გადამაქვს და ტკივილს აღარა ვგრძნობ. თუ ვინმე შეურაცხყოფას მომაყენებს, საკმარისია გავიხსენო რა საამოა იესოს ლოცვა, რომ ხელად შეურაცხყოფა და გაჯავრება გამივლის და ყველაფერს ვივიწყებ. რაღაც ჭკუანაკლული გავხდი, არაფერი აღარ მადარდებს. ვერაფრით თავი ვერ შევიქციე, არაფრის ყურება არ მინდა, ოღონდ მარტოდმარტო მამყოფა; ჩვეულებისამებრ ერთი წადილი მაქვს — განუწყვეტლივ ვლოცულობდე და როცა

ვლოცულობ, ძალიან მხიარულ გუნებაზე ვდგები. ღმერთმა იცის, რა მემართება, რა მომდის".

ახლა ვნახოთ, რა პროზაულ ფორმად გარდაიქმნა მრავალგზის გამეორებული თვითშთაგონების არსებითად იგივე ხერხი თანამედროვე ფსიქოთერაპიაში. ბეხტერევის მიხედვით, ყოველი ცალკეული შემთხვევისათვის საჭიროა გამოვიმუშაოთ წინასწარ თვითშთაგონების გარკვეული ფორმულა, რომელიც მოცემულ შემთხვევას უნდა შეეფარდებოდეს და საკუთარი სახელით მტკიცებით ფორმაში გამოითქმოდეს, თანაც აწმყო და არა მომავალ დროში. დავუშვათ, ღვინოს მიჩვეულმა ადამიანმა გადაწყვიტა თვითშთაგონების საშუალებით ამ სენისაგან განკურნება. მან თვითშთაგონების ფორმულა შემდეგი სახით უნდა წარმოთქვას: „მე ფიცი დავდე არამც თუ დავლიო, არამედ არც კი ვიფიქრო ღვინოზე; ახლა მე სავსებით განვთავისუფლდი დამღუპველი ცდუნებისაგან და მასზე სრულებით არ ვფიქრობ". თვითშთაგონების ასეთი სიტყვიერი ფორმულა საჭიროა წარმოვთქვათ ხმადაბლა მრავალჯერ, უმჯობესია ძილის წინ და დილით, — გამოღვიძებისთანავე, თანაც მასზე ყურადღების სრული გამახვილებით. ბევრ შემთხვევაში ასეთი თვითშთაგონება ქმედუნარიანი შეიძლება აღმოჩნდეს, ოღონდ უნდა შევძლოთ მასზე ყურადღების გამახვილება [1].

ამასწინათ თვითშთაგონების სამკურნალო გამოყენებაში განსაკუთრებით დიდი წარმატება ხვდა წილად ვინმე ემილ კუეს (E. Coué), რომელიც ექიმი კი არ იყო, არამედ მხოლოდ და მხოლოდ აფთიაქარი ჰიპნოლოგიის ძველი მეცნიერული ცენტრიდან — ფრანგულ ქალაქ ნანსიდან. კუეს მეთოდმა ფართო გავრცელება ჰპოვა და მრავალი მომხრე გაიჩინა ქვეყნის ყველა ნაწილში. ისე როგორც ჩვენ მიერ ახლახან აღწერილი ბეხტერევის მეთოდი, იგი დადებით და კატეგორიულ გამოთქმათაგან შედგენილ, ამა თუ იმ შემთხვევისათვის შესაფერი თვითშთაგონების სიტყვიერი ფორმულის ხანგრძლივ ჩურჩულში მდგომარეობს. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ

[1] იხ. ვ. მ. ბეხტერევი. ჰიპნოზი., შთაგონება და ფსიქოთერაპია, სპბ., 1911, გვ. 53.

ჩურჩული, კუეს მეთოდის მიხედვით, უნდა წარმოებდეს არა „ყურადღების სრული გამახვილებით“ (როგორც ეს ბეხტერევს აქვს), არამედ, პირიქით, ავტომატურად, სხაპასხუპით, სრული პასიურობისა და ეგრეთ წოდებული გონებრივი სიცარიელის მდგომარეობაში (იმ დროს, როდესაც თვითშთაგონება ტარდება, შეძლებისდაგვარად არაფერზე არ უნდა ვიფიქროთ).

რა უცნაურიც არ უნდა გვეჩვენოს ერთი შეხედვით კუეს მეთოდი, იგი ხშირ შემთხვევაში უდავოდ სამკურნალო ზემოქმედებას ახდენს. მას, ისე როგორც ჰიპნოზში სიტყვიერ შთაგონებას (იხ. წინა თავის დასასრული), საფუძვლად უდევს ცენტრალურ-ნერვულ სისტემაში — მოცემულ შემთხვევაში ქერქის დიდ ნახევარსფეროებში — მძლავრი, ხანგრძლივად მოქმედი დომინანტის წარმოშობის იგივე ნერვული მექანიზმი, რომელსაც შეუძლია აწარმოოს მისი შესაფერი გარდაქმნები ორგანიზმსა და ფსიქიკაში. ასეთივე დომინანტის წარმოშობაში პოულობს თავის ახსნას ამ თავში აღწერილი ბუდისტებისა და ქრისტიან მოღვაწეთა ექსტაზის მდგომარეობა. ჩემთვის ცნობილია, რომ ამ საკითხზე ასეთივე შეხედულებისა იყო ა. ა. უხტომსკიც.

V

ავტომატური მოძრაობა

ამერიკელი ფოქსის ოჯახში 1948 წელს მომხდარმა შემთხვევამ დასაწყისი მისცა ახალი დროის ყველაზე საოცარ ფსიქიკურ ეპიდემიას, რომელიც კაპიტალისტური საზოგადოების გაძლიერებული კრიზისით — მასში მისტიციზმისა (იდუმალის რწმენის) და ყოველგვარ ცრურწმენათა კანონზომიერი ზრდით აიხსნება.

ქალაქი როჩესტერი, სადაც ეს ოჯახი ცხოვრობდა, იქცა სამშობლოდ სპირიტიზმისა, იმ ცრუმორწმუნეობისა, რომელიც მალე მთელ ამერიკას მოედო, შემდეგ კი ევროპაში გადმოვიდა. მოვლენა, რომელმაც სპირიტიზმით გატაცება წარმოშვა, შემდეგში მდგომარეობდა: როდესაც ხსენებული ოჯახის წევრები — დედა, მამა და სამი მცირეწლოვანი გოგონა— მაგიდას შემოუსხდებოდნენ და ხელებს ზემოდან დააწყობდნენ, მაგიდა მოძრაობაში მოდიოდა, აქეთ-იქით ქანაობას იწყებდა და ხანგამოშვებით რაღაც ტკაცუნისა და კაკუნის ხმას გამოსცემდა. თუ სეანსის მონაწილენი ამ დროს ანბანს კითხულობდნენ, იმ ასოებიდან, რომელთა წარმოთქმაც ამ კაკუნს ემთხვეოდა, შესაძლებელი იყო სიტყვებისა და მთელი ფრაზების შედგენა. ამ ამბავს ცრუმორწმუნე ოჯახის წევრები „საიქიოდან“ მიღებულ ცნობებად მიიჩნევდნენ. ხმა გავრცელდა, რომ მკვდრების სულებს (მათ სულები უწოდეს), როგორც იქნა, საშუალება მიეცათ ცოცხლებთან ურთიერთობისა იმის შეოხებით, რომ ფოქსის გოგონებს აღმოაჩნდათ მკვდართა სამყაროსა და ცოცხალთა სამყაროს შორის შუამავლობის — მედიუმობის —შესანიშნავი უნარი. მაგრამ მალე გამოირკვა, რომ „მედიუმური უნარი“ არცთუ ისე იშვიათი მოვლენაა. მედიუ-

სპირიტული სეანსი
(ძველებური ნახატიდან).

მები ყველგან გამოჩნდნენ — „მაგიდის ტრიალი“ მოდად იქ-
ცა და ჯერ ასობით, შემდეგ ათასობით და ასეულ ათასობით

ადამიანი გაიტაცა, მათ რიცხვში მსოფლიო სახელის მქონე მეცნიერებიც კი.

მაგრამ არც სკეპტიკოსების ნაკლებობა იგრძნობოდა. სპირიტული უგუნურების წინააღმდეგ პირველად გაილაშქრეს ცნობილმა ავსტრიელმა ქიმიკოსმა შევრელმა, გამოჩენილმა ინგლისელმა ფიზიკოსმა ფარადეიმ, ჩვენ მიერ უკვე ნახსენებმა ინგლისელმა ქირურგმა — თანამედროვე ჰიპნოტიზმის დამაარსებელმა ბრედმა, მისმა თანამემამულე კარპენტერმა და რუსეთში — თარხანოვმა[1]. მათ სწავლულთა სამყაროს ყურადღება ეგრეთ წოდებულ იდეომოტორულ აქტებს მიაპყრეს და დაამტკიცეს, რომ სწორედ ამ აქტებით შეიძლება ავხსნათ სპირიტული მაგიდების ყველა მოძრაობა და სხვა ამგვარი მრავალი იდუმალი მოვლენა.



იდეომოტორული აქტი — ქანქარის შთაგონებული რხევა და ბრუნვა.— შევრელის ცდა.

რა არის იდეომოტორული აქტი? ვაჩვენოთ ეს რამდენიმე მაგალითით.

ადამიანი აზროვნებს ისე, რომ მის აზროვნებით პროცესს რაიმე ხილული მოძრაობანი თან არ ახლავს. მაგრამ ეს ჯერ კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ამასთან მოძრაობა სრულებით არ არის. მისი შემჩნევა შესაძლებელია დაკვირვების განსაკუთრებული ხერხების გამოყენებით. მაგალითად, გამოსაკვლევ პირს წინადადება ეძლევა დაიკავოს ხელში ზონარი, რომელსაც ბოლოში რაიმე მსუბუქი ტვირთი აქვს გამობმული. ამრიგად ვღებულობთ თავისებურ ქანქარას. ამის შემდეგ გამოსაკვლევ პირს სთხოვენ დაბეჯითებით იფიქროს რაიმე მოძრაობაზე, მაგალითად, ქანქარას ბრუნვაზე საათის ისრის მიმართულებით. მალე გაოცებული ცდის ობიექტი ხედავს, რომ ტვირ-

---

[1] იხ. ი. რ. თარხანოვი. სული და სხეული. სპბ, 1904, 83-9 — 11, 63 — 65.

თი `იწყებს მოძრაობას იმავე მიმართულებით და წრეს შემოხაზავს. მაშ, რაში ყოფილა საქმე? საქმე ისაა, რომ რაიმე მოძრაობის წარმოდგენასთან დაკავშირებული ქერქული აგზნების პროცესი გვაიძულებს ავტომატურად ვაწარმოოთ სათანადო მოძრაობა. სწორედ ამას ვუწოდებთ იდეომოტორულ აქტს, მოცემულ შემთხვევაში ცდის ობიექტის ხელი შეუგნებლად აკეთებს ოდნავ შესამჩნევ ბრუნვით მოძრაობას, რომელსაც ასეთსავე მოძრაობაში მოჰყავს ხელზე ჩამოკიდებული ტვირთი. იდეომოტორული აქტის ინტენსივობა, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, ყოველ ადამიანში სხვადასხვაგვარია, მაგრამ ასეთი უნარი დამახასიათებელია უკლებლივ ყველასათვის[1].

ეს მოვლენა ჯერ კიდევ ძველმა რომაელებმა შენიშნეს და იყენებდნენ კიდეც მკითხაობის დროს. მოვიყვან ასეთი მკითხაობის ერთ-ერთ შესაძლო ხერხს. მკითხავს გაჭიმულ ხელში უჭირავს ძაფი ბოლოში გამობმული რგოლით. ამ რგოლის ქვემოთ დევს ფინჯანი, რომლის კიდეებზეც ასოებია განლაგებული. რგოლი თანდათან რხევას იწყებს, თანაც სწორედ იმ მიმართულებით, რომელსაც მკითხავი ელის. უკეთუ იგი ფარულად ვინმეზე ფიქრობს, რგოლი ეხება ასოებს და ამ ასოებისაგან ამა თუ იმ ადამიანის სახელს ადგენს. მოცემულ შემთხვევაში მოქმედ ფაქტორს უკვე გარეშე შთაგონება კი არ წარმოადგენს, არამედ თვითშთაგონება. იგივე ხდება ლამბაქით მკითხაობის დროსაც. რამდენიმე მკითხავი ქაღალდის დიდ ფურცელს იღებს და მასზე უწესრიგოდ წერს ასოებს. ფურცელს ზემოდან ამხობენ ლამბაქს, რომელსაც მკითხავები თითებს ადებენ და თავისდა გასაოცრად გუნებაში დასმულ კითხვებზე ზოგჯერ ცოტად თუ ბევრად შესაფერ პასუხს იღებენ. თვით მკითხავების შეუგნებელი წაბიძგებით ლამბაქი მოძრაობს და თანმიმდევრულად ჩერდება ანბანის იმ ასოებთან, რომლებიც შეერთებისას იძლევიან იმ სიტყვებსა და ფრაზებს, რასაც მკითხავები ელიან. ცრუმორწმუნე ადამიანები ამ

---

1 შევრილმა პირველმა (ჯერ კიდევ 1812 წელს) ასე განმარტა ქანქარის მოძრაობა: „არსებობს კავშირი ზოგიერთ მოძრაობასა და აზროვნებას შორის, თუმცა ეს აზროვნება არ არის ნებისყოფა, რომელიც მუსკულატურის ორგანოებს განაგებს".

შემთხვევაში, ასე ვთქვათ, თავს იტყუებენ: მათ სჯერათ, რომ პასუხს თავიანთი მფარველი სულისაგან იღებენ, სინამდვილეში კი თვითვე შეუგნებლად პასუხობენ საკუთარ კითხვებს.

მახვილგონივრულად მოფიქრებული ფიზიკური რეგისტრაციის საშუალებით ფარადეიმ ჯერ კიდევ 1853 წელს დაამტკიცა, რომ სპირიტული სეანსების მონაწილეთა ხელები მაგიდას გადასცემენ რიგ შეუგნებელ იდეომოტორულ ბიძგებს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ბიძგები მცირე ძალისაა, ერთობლივად ისინი შეიძლება საკმარისი აღმოჩნდნენ იმისათვის, რომ მოძრაობაში მოიყვანონ საკმაოდ მძიმე მაგიდაც კი. ასე ბავშვსაც შეუძლია თავისი სუსტი ხელებით ბაგირის მრავალგზის დაჭიმვით მოძრაობაში მოიყვანოს მრავალფუთიანი ზარი.

ფარადეის შემდეგ იმავე საკითხს სწავლობდა ფსიქოფიზიოლოგი ლემანი. მან მოიგონა სეანსის მონაწილეთა ხელების მოძრაობის ჩაწერის ხერხი, რისთვისაც გამოიყენა კიმოგრაფი — ცილინდრი, რომელსაც შემოწებებული ჰქონდა გაჭვარტლული ქაღალდი და რომელიც ბრუნვით მოძრაობაში საათის მექანიზმს მოჰყავდა. სეანსის ყოველი მონაწილის ხელების მოძრაობა კიმოგრაფის გამჭვარტლულ ქაღალდზე ძრუდე ხაზით იწერებოდა. მაგიდის მოძრაობის დაწყებამდე და მისი მოძრაობისას მიღებულ მრუდეთა ანალიზმა საშუალება მისცა ლემანს გამოერკვია თუ როგორ იწვევდნენ სეანსის მონაწილეთა არაერთდროული და სხვადასხვა მიმართულების იდეომოტორული ბიძგები შეჯამებისას მაგიდის მოძრაობასა და ქანაობას. სწორედ ასეთი ქანაობა იწვევს ანბანის ასოების კაკუნს, რომელთა სეანსის ერთ-ერთი მონაწილე ხმამაღლა კითხულობს. ისე



იდეომოტორული ბიძგების კიმოგრაფიული ჩანაწერები, რომელთაც მაგიდას სპირიტული სეანსის ორი (ა და ბ) მონაწილე გადასცემს. გ — ამ ბიძგების შეჯამების შედეგი (ლემანის მიხედვით).

როგორც თეფშით მკითხაობისას, ამ შემთხვევაშიც ზოგჯერ ღებულობენ დალაგებულ ფრაზებს, რომლებიც შეიცავენ პა-

სუხს „სულისათვის“ მიცემულ შეკითხვებზე. „სულის“ როლს, მისდაუნებურად, ეგრეთწოდებული მედიუმი, ანუ სეანსის ის მონაწილე ასრულებს რომელსაც სხვებზე უფრო მეტად აქვს განვითარებული იდეომოტორული აქტების უნარი. მაგრამ უმჯობესია სიტყვა მივცეთ თვით ექიმ ლემანს, ამ საკითხის მცოდნეს:

„მე არაერთხელ შემიმჩნევია, რომ მონაწილეთა (სეანსისა — ლ. ვ.) ყოყმანის შემთხვევაში პირველი მოძრაობანი (მაგიდისა — ლ. ვ.) ძალზე გაუბედავი იყო, ვიდრე რომელიმე სიტყვის დასაწყისისმაგვარი რამ არ გამოვიდოდა. შემდეგ საქმე უფრო ცოცხლად მიდიოდა, ვინაიდან მონაწილეთა წარმოსახვა უფრო გარკვეულ ფორმას იღებდა. სიტყვათა დამაბოლოებელი ასოები ძალზე სწრაფად გამოიკვეთებოდა. ყოველი სიტყვის დაწყებისას ყოყმანი მეორდებოდა, ვიდრე გამოისახებოდა ყველასათვის გასაგები ფრაზის დასაწყისი, შემდეგ კი აზრი ძალიან სწრაფად და გაბედულად მთავრდებოდა“. სულ სხვაგვარად მიმდინარეობს, სეანსი, როდესაც მასში მედიუმი მონაწილეობს; იგი მაგიდის სრული ბატონ-პატრონი ხდება, კაკუნით მიღებულ პასუხებში მისი საკუთარი — ნაწილობრივ შეცნობილი, ნაწილობრივ კი შეუცნობელი — წარმოდგენები ვლინდება. ამის შედეგად, ამბობს ექიმი ლემანი, ღებულობენ იმ არაჩვეულებრივ ცნობებს, რომელთაც ჩვენ სპირიტული სეანსების ანგარიშიდან ვეცნობით. მაგრამ ამ შემთხვევებში სეანსების მონაწილეთა რაღაც სასწაულებრივი შთაბეჭდილება ყველა ამ სპირიტული „სასწაულის“ გამომწვევი ფსიქოფიზიოლოგიური მოვლენების — იდეომოტორული აქტების არცოდნასთან არის დაკავშირებული.

რასაკვირველია, ყოველივე ზემოთქმული მხოლოდ იმ შემთხვევებს ეხება, როდესაც სეანსის მონაწილენი „პატიოსნად“, შეუგნებელი, იდეომოტორული ბიძგების გზით პასუხობენ საკუთარ შეკითხვებს, მაგრამ ეს იშვიათად ხდება. უფრო ხშირად სპირიტული სეანსები რომელიმე ხუმარას, ან საკმაოდ დიდი გასამრჯელოს მიღებით დაინტერესებული პროფესიონალი მედიუმის უტიფარი ოინების არენად იქცევა. გასული საუკუნის 70-იან წლებში, როდესაც სპირიტიზმით გატაცება ფართოდ გავრცელდა, გამოჩენილმა რუსმა ქიმიკოსმა

დ. ი. მენდელეევმა წინადადება მისცა პეტერბურგის უნივერსიტეტთან არსებულ ფიზიკის საზოგადოებას შეედგინა სპეციალური კომისია მედიუმური მოვლენების განსახილველად. „მაგიდის ტრიალით, უხილავ არსებებთან საუბრითა და სხვა ამგვარით გატაცება, — წერდა იგი თავის წინადადებაში, — მისტიციზმის გავრცელების საფრთხეს ქმნის, მას შეუძლია ბევრ ადამიანს დაუკარგოს საგნებზე ჯანსაღი შეხედულება და გააძლიეროს ცრუმორწმუნეობა. იმისათვის, რომ წინაღუდგეთ უსაფუძვლო მოძღვრებასა და მედიუმური მოვლენებით დღემდე უნაყოფო გატაცებას, ჩემი აზრით, საჭიროა არა მათი იგნორირება, არამედ ზედმიწევნით ზუსტი განხილვა“. გამოჩენილი მეცნიერებისაგან შედგენილმა მედიუმურმა კომისიამ, რომელ'საც თვით მენდელეევი ედგა სათავეში, დაახლოებით ერთი წელი იმუშავა. საზღვარგარეთიდან მოწვეულ იქნენ განთქმული მედიუმები. სეანსები ისეთ პირობებში ტარდებოდა, რომლებიც გამორიცხავდნენ მოტყუების შესაძლებლობას. მენდელეევის პროექტით გააკეთეს სპეციალური მანომეტრული მაგიდა, რომელიც სეანსის მონაწილეთა ხელების სულ უმნიშვნელო დაწოლასაც კი ზუსტად აღნუსხავდა[1]. მაგრამ სულები ისე გაურბიან მეცნიერებას, როგორც, ხალხური ანდაზით რომ ვთქვათ, ეშმაკი საკმეველს. ცნობილმა მედიუმებმა ყურები ჩამოყარეს, ხოლო როცა მაინც სცადეს თავისი „უნარის“ ჩვენება, მაშინვე ამხილეს მატყუარობაში. კომისიამ გამოაქვეყნა სპირიტიზმისათვის სასიკვდილო დასკვნა, რომელიც მთავრდებოდა სიტყვებით: „სპირიტულ მოვლენებს შეუგნებელი მოძრაობები ან შეგნებული მოტყუება წარმოშობს, სპირიტული სწავლება კი (სულების რწმენა) ცრუმორწმუნეობა არის“.

ამ ცრუმორწმუნეობის სასიკვდილო განაჩენი გაისმა ფ. ენგელსის ცნობილ სტატიაში — „ბუნებისმეტყველება „სულთა“ სამყაროში“, რომელიც მიმართული იყო იმ საკმაოდ ცნობილ ბუნებისმეტყველთა წინააღმდეგ, რომლებმაც თავი ვერ აარიდეს სპირიტულ ეპიდემიას. ენგელსი ფაქტებით გვი-

---

[1] მანომეტრული მაგიდის გამოსახულება და მისი დაწერილებითი აღწერილობა იხ. დ. ი. მენდელეევის წიგნში — მასალები სპირიტიზმზე მსჯელობისათვის.

ჩვენებს, თუ როგორ „ისჯება ემპირიული ათვალისწუნებ› დიალექტიკისა იმით, რომ ზოგიერთი საღი გონების ემპირიკოსი ყველა ცრურწმენათაგან ყველაზე საშინელი ცრურწმენის — თანამედროვე სპირიტიზმის მსხვერპლი ხდება“. სტატიის დასასრულს ენგელსს მოჰყავს ცნობილი ინგლისელი ბიოლოგის ჰექსლის გონებამახვილური შენიშვნა: „ერთადერთი კარგი რამ, რაც ჩემი აზრით შეიძლება მოეცა სპირიტიზმის ჭეშმარიტების მტკიცებას, არის ახალი არგუმენტი თვითმკვლელობის წინააღმდეგ. სჯობს დამგველი იყო, ვიდრე მიცვალებული და როშავდე სისულელეებს რომელიმე მედიუმის პირით, რომელიც სეანსში გინეას ღებულობს“ [1].

უდიდესმა ლიტერატურულმა გენიამ ლევ ტოლსტოიმ თავის კომედიაში „განათლების ნაყოფი“ სასაცილოდ აიგდო საზოგადოების განათლებული ფენების სპირიტიზმით გატაცება. მაგრამ სპირიტული ციებ-ცხელება მაინც გრძელდებოდა. 1912 წელს რუსეთში იყო ორი ათასამდე ოფიციალურად რეგისტრირებული სპირიტული წრე, ხოლო საზღვარგარეთ — კიდევ უფრო მეტი [2]. ბრმა რწმენიდან — უგუნურებამდე, როგორც იტყვიან, ერთი ნაბიჯია, და ტყუილად კი არ წამოსცდა როგორღაც ერთ-ერთ პირველ ქრისტიანულ ღვთისმეტყველს ტერტულიანს: სწორედ იმიტომ მწამს, რომ ამის რწმენა უაზრობაა.

მხოლოდ საბჭოთა წყობილებამ, ფართო მასებში დიალექტიკური მატერიალიზმისა და კონკრეტულ მეცნიერებათა მიღწევების თანმიმდევრული დანერგვით, ერთხელ და სამუდამოდ მოუღო ბოლო სპირიტიზმს ისევე, როგორც ცრუმორწმუნეობის სხვა მრავალ საშიშ ნარისახეობას, გამოაცალა მათ საზოგადოებრივი და პოლიტიკური საფუძველი.

ამგვარად, ერთადერთი, რაც ყურადღებას იმსახურებს ქანქარის რხევაში, ლამბაქის ხეტიალსა და მაგიდის კაკუნში — ესაა იდეომოტორული აქტები, რომლებიც აიხსნება იმით, რომ რაიმე მოძრაობით ან მისი მოლოდინით დაძაბული აზროვ-

---

[1] კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზ. ტ. 20, გვ. 382, 383 (რუს.).

[2] დაწვრილებით ამის შესახებ იხ. მ. შახნოვიჩის სტატია „სპირიტიზმის სოციალური ფესვები“ ჟურნალში „ვოინსტვუიუშჩი ატეიზმ“, 1931, № 11, გვ. 21.

ნება ამ მოძრაობის შეუგნებელ განხორციელებას იწვევს, თუმცა ძალიან სუსტი, ზოგჯერ ოდნავი ფორმით. არაფერი საიდუმლო ამაში არ არის. ჯერ კიდევ ი. მ. სეჩენოვი ამტკიცებდა, რომ აზროვნება არის რეფლექსი, ცოტად თუ ბევრად შეკავებული თავის უკანასკნელ, მოძრაობით ნაწილში, რეფლექსი შესუსტებული ბოლოთი, ამასთან ასეთი რეფლექსის რკალი „ფსიქიკის ორგანოს" — ტვინის დიდი ნახევარსფეროების ქერქის ნეირონებში გადის[1]. იდეომოტორული აქტები სეჩენოვის ამ იდეის შესანიშნავ ილუსტრაციას წარმოადგენენ.

ამჟამად აგზნების იმპულსების ელექტროგრაფიკული რეგისტრაციის გამოყენებით ჩატარებული ზუსტი ცდებით დამტკიცებულია, რომ გარკვეულ მოძრაობასთან დაკავშირებული რაიმე მოძრაობის ან მხედველობითი ობიექტის წარმოდგენისას აღმოცენდება იმპულსების რიტმული მწკრივი იმ კუნთებში, რომლებიც ამ წარმოდგენით მოძრაობას ახორციელებენ[2]. ამ იმპულსებს კუნთებში პირამიდული ნერვული გზებით გზავნიან ქერქული ნეირონები, რომელთა მოქმედებასთან დაკავშირებულია გამოსაკვლევი პირის მოძრაობითი წარმოდგენა. მაგალითად, რომელიმე მაღალ საგანზე, ვთქვათ, ლენინგრადის საადმირალოს წვეტზე ფიქრი, მისი უბრალო წარმოდგენაც კი, უკვე წარმოშობს აგზნების იმპულსებს თვალის კაკლების იმ კუნთებში, რომელთა შეკუმშვაც ზემოთ ახედვას იწვევს. სიტყვების წარმოდგენისას (მუნჯი მეტყველება) აგრეთვე შეიძლება აგზნების იმპულსების თანმხლები სუსტი ელექტრული დენის დაჭერა საკმაოდ მგრძნობიარე გალვანომეტრის საშუალებით. ამისათვის გალვანომეტრთან შეერთებული ელექტრონები უნდა მივადოთ ტუჩებს, ენას, ხორხის კუნთებს, ესე იგი იმ ორგანოებს, რომლებიც მეტყველების აქტს ახორციელებენ.

ამას წინათ მოსკოვის დაპროტეზებისა და პროტეზმშე-

---

[1] იხ. ი. მ. სეჩენოვი. თავის ტვინის რეფლექსები, რჩეული ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური ნაწარმოებები. მოსკოვი, 1947.

[2] E. Jacobson. Electrical measurements. ot neuromuscular States during mental activities. „American Journal of Physiology", v. 91, 1930, p. 567.



ა



ბ

სპირიტულ სეანსებზე მაგიდის ფეხების აწევის ელექტრული რეგისტრაცია. ა — მაგიდის ორი ფეხი (P) თითოეულ მათგანში გაბურღული ღარებით (T); მარჯვენა იატაკზე დგას, მარცხენა აწეულია: ღარში ხის ღეროა მოთავსებული (B), რომელიც ლითონის დისკოს (Z) საშუალებით ძლიერ ზამბარას (R) ებჯინება. როდესაც ფეხი იატაკს ცილდება, ზამბარა ღეროს გამოაგდებს, ამასთანავე, ლითონის დისკო კონტაქტებში (M — M′) ელექტრულ წრედს რთავს და ერთ-ერთი ოთხი ელექტრომაგნიტური აღმრიცხველიდან კიმოგრაფზე მაგიდის ამ ფეხის აწევის რეგისტრაციას აწარმოებს. ბ — კიმოგრაფიული ჩანაწერი. ოთხივე აღმრიცხველის ერთდროული რეგისტრაცია ერთბაშად აღნიშნავს მთლიანად მაგიდის იატაკიდან აწევას.

ნებლობის ინსტიტუტის თანამშრომლებმა მეტად გონებამახვილურად გამოიყენეს ბიოელექტრული დენი ადამიანის მომუშავე ხელის შესანიშნავი მოდელის კონსტრუირებისას. ეს არის ლითონის ხელი მოძრავი თითებით. მისი მექანიზმი მავთულებით უერთდება რგოლისებურ დენის მიმღებ აპარატს, რომელიც სამაჯურივით უკეთდება მკლავზე რომელიმე დამსწრეთაგანს. მექანიკური ხელი იმავე მოძრაობებს ასრულებს, რაც მოცემულ მომენტში გამოსაკვლევ პირს აქვს წარმოდგენილი. საკმარისია, მაგალითად, მან გუნებაში მუშტის მოკუმშვა განახორციელოს, რომ ხელოვნურმა ხელმა იგივე გააკეთოს. ეს ტექნიკური „სასწაული" შემდეგნაირად აიხსნება. აზროვნების მიერ გარკვეული მოძრაობითი დავალების მიცემისას ტვინი ხელის შესაბამის კუნთებში გზავნის აგზნების იმპულსებს, ანუ ბიოელექტრულ დენს, რომელიც ამ კუნთების შეკუმშვას იწვევს. დენმიმღები იჭერს ცდის ობიექტის ხელში წარმოქმნილ ბიოდენს და გადასცემს გამაძლიერებელს, ეს უკანასკნელი კი რთავს სპეციალურ მოწყობილობას, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავს ხელოვნური ხელის თითები. ამრიგად, თავისი იდეომოტორული აქტების მართვა ადამიანს შეუძლია მანქანით, ჯერჯერობით მავთულების საშუალებით, შემდგომ კი, უნდა ვიფიქროთ, იგი ამას შეძლებს უმავთულოდაც, რადიოგადაცემის გამოყენებით [1].

საბჭოთა ფიზიოლოგების (ვ. ვ. ეფიმოვი და სხვ.) გამოკვლევებმა დაგვანახეს, რომ მოძრაობითი წარმოდგენების განცდა იწვევს არა მარტო ბიოდენებსა და შესაბამისი კუნთების სუსტ შეკუმშვას, არამედ მათი ფუნქციური მდგომარეობის შეცვლასაც: სისხლმომარაგებისა და კვების გაუმჯობესებას, აგზნებადობის გაზრდას. უფრო მეტიც, მოძრაობითი წარმოდგენის განცდის ფუნქციური მზადყოფნის მდგომარეობაში მოჰყავს შინაგან ორგანოთა — გულის, სისხლძარღვთა, სასუნ-

---

[1] იხ. სტატია „ბიოდენი მართავს მანქანას". „იზვესტია", 1958 წ. 6 სექტემბერი; უფრო დაწვრილებით — ჟურნალში „ტექნიკა მოლოდიოჟი", 1958, № 4. საკითხის მეცნიერული გაშუქება მოცემულია ა. ე. კობრინსკის სტატიაში „ბიოდენების გამოყენება მართვის მიზნებისათვის", „იზვესტია აკადემიი ნაუკ სსსრ", ო ტ ნ, ენერგეტიკა და ავტომატიკა, 1959, № 3, გვ. 151.

თქ და სეკრეციული მოქმედების მთელი ის რთული კომპლექსი, რომელიც ჩვეულებრივ მონაწილეობს სამუშაო აქტების რეალურ განხორციელებაში. ცენტრალური გავლენები, მოცემულ შემთხვევაში, განსაკუთრებული, სიმპათიკური ნერვული ბოჭკოებით გადაეცემა ჩონჩხის კუნთებსა და აგრეთვე შინაგან ორგანოებს.



რკინის ხელი, რომელსაც ადამიანის ხელის კუნთების ბიოდენი მართავს.

იძლება არა მარტო ნათლად შეგნებული წარმოდგენით, არამედ ისეთი მოძრაობითი და მხედველობითი სახეებითაც, რომელთა განცდაშიც მოცემულ მომენტში გამოსაკვლევ პირს თავისთვის ანგარიში ვერ მოუცია. მაგალითად, ზოგიერთნი

გაცხოველებული საუბრის დროს უნებლიეთ ხაზავენ ქაღალდზე სხვადასხვა ფიგურებს, წერენ სიტყვებსა და ფრაზების ნაწყვეტებს, ამასთან თვითონაც არ იციან, სახელდობრ რა დახაზეს ან დაწერეს. აქედან იღებს სათავეს იმავე იდეომოტორული აქტების უმაღლესი ფორმით განვითარება, რომელიც ცნობილია გრაფიკული ავტომატიზმის სახელწოდებით. სპირიტები დიდად აფასებენ ამ იშვიათ უნარს. მათ წარმოუდგენიათ, რომ „მწერალი მედიუმი", მოქმედებს „სულის" კარნახით. სინამდვილეში კი ავტომატურ დამწერლობაში ვლინდება თვით დამწერის ფარული აზრები და სურვილები, დავიწყებული და ნახევრად დავიწყებული შთაბეჭდილებები.

იდეომოტორული აქტებით აიხსნება კიდევ ერთი თითქოსდა გაუგებარი მოვლენა, რომელიც დიდი ხანია ცნობილია უმართებულო, გზა-კვალის ამბნევი სახელწოდებით — „აზრების წაკითხვა". ამ მოვლენას ახლაც ამავე სახელწოდებით აჩვენებენ ხოლმე საჯაროდ და იგი გულუბრყვილო მაყურებელში რაღაც ახლის, არაჩვეულებრივის შთაბეჭდილებას ტოვებს[1]. „აზრების წაკითხვის" ცდა შემდეგნაირად ტარდება. ცდის მონაწილენი (ან ერთი მათგანი) გამომცნობის (პერციპიენტის) დაუსწრებლად ჩაიფიქრებენ რაიმე მეტად თუ ნაკლებად რთულ მოქმედებას, მაგალითად, მოძებნონ დამალული საგანი, მოეპყრან მას ასე და ასე ან გადასცენ ამა თუ იმ პიროვნებას; ჩაფიქრებული მოქმედება შეიძლება ძალიან რთული და ჩახლართული იყოს. ამის შემდეგ ერთი მონაწილეთაგანი, რომელმაც ჩაფიქრებული დავალება იცის, გამომცნობს უკავშირდება, მაგრად კიდებს ხელს მაჯაში ან კიდევ ხელში იპერს დაჭიმულ ზონარს, რომლის მეორე ბოლო ხელთ აქვს გამომცნობს. ამასთან გამტარმა (ინდუქტორმა) მთელი ყურადღება უნდა გაამახვილოს მოქმედებაზე, რაც გამომცნობმა უნდა შეუსრულოს. ეს უკანასკნელი მიიწევს წინ, ყოყმანითა და მიმართულების ხშირი ცვლით, ხან უცებ გაბედულად და ჩქარი ნაბიჯით მიემართება იქით, საითაც საჭიროა, ასე თანდათანობით, ნაბიჯ-ნაბიჯ იგი მიიკვლევს გზას გაოცებული მაყურებ-

---

[1] რევოლუციამდელ რუსეთში ამ ცდებს დიდი წარმატებით ატარებდა იმ დროისათვის ცნობილი ჰიპნოტიზიორი ო. ი. ფელდმანი. ჩვენში ფართო პოპულარობა მოიხვეჭა ვოლფ მესინგის ასეთივე ცდების ჩვენებამ.

ლის თვალწინ და ბოლოს ასრულებს დავალებას. რაშია აქ საქმე?

ასეთი ცდების საჯარო ჩვენება პირველად დაიწყო ამერიკელმა ბროუნმა, ჯერ კიდევ 1874 წელს. მისმა მიმდევრებმა ეს ცდები ევროპელებს გააცნეს. ცდებს დიდი წარმატება ხვდა და მეცნიერთა ყურადღება მიიპყრო. ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ბირდმა ამერიკაში, კარპეტერმა ინგლისში, პრეირმა გერმანიაში ამოიცნეს ამ ეფექტური ცდების საიდუმლოება. რუსეთის ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის საზოგადოებამ 90-იანი წლების დასაწყისში გამოყო სპეციალური კომისია ამ მოვლენის გამოსაკვლევად[1]. ყველანი ერთში შეთანხმდნენ, — რომ ეს „აზრების წაკითხვა" კი არ არის, არამედ „კუნთების შეკუმშვის წაკითხვა". სხვანაირად რომ ვთქვათ, გამომცნობი თავის მოქმედებაში ხელმძღვანელობს იდეომოტორული სიგნალებით, რომლებსაც უნებურად აწვდის მას გამტარი, რომელიც დაჟინებით ფიქრობს იმაზე, თუ როგორ და რა მიმართულებით უნდა იმოძრაოს გამომცნობმა დავალების შესასრულებლად. მაგალითად, გამომცნობმა დამალული საგანი უნდა იპოვნოს. თუ იგი საჭირო მიმართულებით არ მიდის, გამყოლის ოდნავ შესამჩნევ წინააღმდეგობას გრძნობს. პირიქით, თუ სწორად მიდის, მაშინ გამყოლი თავისუფლად მიყვება და გამომცნობის შემდგომ მოქმედებას თავისთვისაც კი შეუგნებელი და გარედან შეუმჩნეველი წამახალისებელი ბიძგებით წარმართავს.

ამ ცდების წარმატებისათვის საჭიროა ორი პირობა, ჯერ ერთი, გამყოლი უნდა ფლობდეს საკმაოდ გამოხატულ იდეომოტორულ აქტს და, მეორეც, გამომცნობი უნდა იჩენდეს საკმაო ამთვისებლობას ოდნავ შესაგრძნობი მოძრაობით სიგნალებისადმი, რათა ამ სიგნალებით იხელმძღვანელოს თავის მოქმედებაში. პრეიერი ლაპარაკობს, რომ იგი არაერთხელ ყოფილა გამოჩენილ „აზრების წამკითხავთა" გამყოლი და არც ერთ მათგანს არც ერთხელ არ გამოუცვნია მისი დავალება, რადგან მან კარგად იცოდა ამ მოვლენის საიდუმლოება და ცდილობდა, რამდენადაც ეს შესაძლებელია, შეეკავებინა თა-

[1] ამ კომისიის ოქმები იბეჭდებოდა 1892 წლის ჟურნალში „ვოპროსი ფილოსოფიი ი პსიხოლოგიი".

ვისი იდეომოტორული აქტები.

ამ ცდების წარმატებით ჩატარებისათვის საკმარისი იდეომოტორული აქტების წარმოების უნარი შეიძლება წინასწარ გამოვავლინოთ სხვადასხვა მეთოდური ხერხებით, მაგალითად, ამ თავში უკვე მოხსენებული ქანქარას გამოყენებით. ამ მიზნისათვის ჩვენ ვიყენებდით ეგრეთ წოდებულ პნევმატურ ბაქანს, რომელიც ერთიმეორეზე დადებული ხის ორი სამკუთხედისაგან შედგებოდა. სამკუთხედების წინა ორ კუთხეს შორის ვდებდით ხის კუბიკებს, მესამე კუთხის ქვეშ კი, ბაქანზე მდგომი გამოსაკვლევი პირის ზურგს უკან, ვათავსებდით რეზინის დრეკად ბალონს. რომელიც ჰაერგამტარით იყო შეერთებული ყველა ფიზიოლოგიისათვის ცნობილი მარკის კაფსულთან. კაფსულის ბერკეტი კიმოგრაფის მბრუნავ ცილინდრზე იწერდა გამოსაკვლევი პირის უნებლიე ქანაობის გამომხატველ კბილოვან მრუდეს [1]. მრუდეს აწევას შეეხამებოდა წინ გადმოხრა, დაწევას კი — უკან გადახრა. გა-



იდეომოტორული აქტების (პნევმატურ ბაქანზე დგომისას ტანის უკან გადახრა) მიმდინარეობის თავისებურებანი სხვადასხვა გამოსაკვლევ პირებში (ლ. ვასილევისა და გ. ბელიცკის ცდებიდან). სწორი ხაზები აღნიშნავენ პერიოდს, რომლის განმავლობაში მეორდება ინსტრუქცია.

[1] პნევმატური ბაქანის დაწერილებითი აღწერა იხილეთ ა. ი. ბრონშტეინის სტატიაში „ადამიანის მოძრაობითი რეაქციის რეგისტრაციის მეთოდიკისათვის" — კრებულში „პიროვნების შესწავლისა და აღზრდის საკითხები". „ტვინის ინსტიტუტის შრომები", გამოც. I — II. ლენინგრადი, 1930, გვ. 98.

მოსაკვლევ პირს ეძლეოდა ინსტრუქცია. „წარმოიდგინეთ, რომ თქვენ უკან ვარდებით, რაღაცა ძალა გეწევათ". ბევრი გამოსაკვლევი პირის (იხ. ნახატი) მრუდე იმწამსვე (ბ) ან თანდათანობით (ა) იწევდა ქვემოთ, რაც მათში იდეომოტორული აქტების მკვეთრად გამოხატვას მოწმობს. ასეთი პირები „კუნთის წაკითხვის" ცდების ჩატარებისას კარგი გამყოლები შეიძლება იყვნენ. სხვა გამოსაკვლევ პირებში, ინსტრუქციის მიღების შემდეგ მრუდეს ხასიათი სრულიად არ იცვლებოდა (გ) ან ქანაობა ორივე მხარეს ძლიერდებოდა (დ), ზოგიერთ შემთხვევაში კი პირუკუ რეაქციაც შეიმჩნეოდა: ქანაობითი მოძრაობანი კლებულობდა (ე), ეს იმას ნიშნავს, რომ ასეთი გამოსაკვლევი პირები მიღებულ ინსტრუქციისადმი ნეგატიურ დამოკიდებულებას იჩენდნენ, ესე იგი, ისინი შეუგნებლად იმ სუსტ ქანაობით მოძრაობასაც კი აკავებდნენ, რომლებიც აღირიცხებოდა ინსტრუქციის მიღებამდე. გასაგებია, რომ ასეთი გამოსაკვლევი პირები გამოუსადეგარნი იყვნენ „კუნთების წაკითხვის"; ცდებისათვის" [1].

აღწერილ ცდებში რომ არავითარი „აზრების წაკითხვა" არ წარმოებს, აშას ის ფაქტიც მოწმობს, რომ როდესაც გამორიცხულია თანამზრახველთა დასწრების შესაძლებლობა, ყველაზე საუკეთესო გამომცნობიც კი ვერაფერს გააწყობს გამყოლთან კავშირის გარეშე. საჯარო ჩვენების დროს ცდები ასეთი კავშირის გარეშე ზოგჯერ წარმატებით ხორციელდება, მაგრამ აქ არავითარი გარანტია არ არის იმისა, რომ ისინი პატიოსნად, ვინმეს დახმარების გარეშე ტარდება[1]. გარდა ამისა, ურთულესი მოძრაობითი დავალებების შესრულებასთან ერთად გამომცნობი უარს ამბობს მთლად უბრალო დავალებებზე. მაგალითად, არ შეუძლიათ გამრიცნონ ჩაფიქრებული ისეთი

---

1 იხ. ლ. ლ. ვასილიევი და გ. ი. ბელიცკი. იდეომოტორული რეაქციების მიმდინარეობის ტიპების შესახებ. „ბიულეტენ ექსპერიმენტალნი ბიოლოგიი ი მედიცინი", ტ. 17, გამოც. 1 — 2, 1944, გვ. 26.

2 ვ. გ. მესინგი ამას სხვა განმარტებას აძლევს: „მე ხშირად ვასრულებ აზროვნების დავალებებს ინდუქტორთან უშუალო კავშირის გარეშე და ახვეული თვალებითაც კი. ამ შემთხვევაში მაჩვენებლად მე შემიძლია გამოვიყენო ინდუქტორის სუნთქვის სიხშირე, მისი პულსის ცემა, ხმის ტემბრი, სიარულის ხასიათი და ა. შ.". იხ. ვ. გ. მესინგის სტატია: „კუნთების და არა აზრების წაკითხვა". ჟურნალი „ტექნიკა მოლოდიოჟი", 1960, № 1, გვ. 32.

მხედველობითი სახეები, როგორიც არის „წითელი ვარდი“, „თეთრი ვარდი“, „თეთრი ცხენი“ ან რაიმე ამის მსგავსი. ვინაიდან ამ შემთხვევაში იდეომოტორული სიგნალების ძალზე გაწაფული დაჭერაც კი ვერ შველის საქმეს.

„აზრების წაკითხვის“ ცდებმა და მათმა მეცნიერულმა დასაბუთებამ გაზარდა ინტერესი ეგრეთ წოდებული ტელეპატიისადმი — ძველებურ წარმოდგენისადმი იმაზე, რომ გარკვეულ პირობებში ერთი ადამიანის ფსიქიკური განცდები შეიძლება გადაეცეს მეორე ადამიანს, ამასთან ასეთი გადაცემა ტვინიდან ტვინზე თითქოს გრძნობის გარეგან ორგანოთა ჩაურევლად წარმოებს.

იდეალისტები ეგრეთ წოდებული აზრის გადაცემის მოვლენას წარმოგვიდგენენ როგორც ფსიქიკური საწყისის დამოუკიდებლობის „დადასტურებას“, ტვინის გარეთ, მატერიისაგან მათი დამოუკიდებელი არსებობის შესაძლებლობას. მათ მიაჩნდათ, რომ აზრი შეიძლება გამოეყოს ტვინს, არ დაემორჩილოს დროის, სივრცის, მიზეზობრიობის კატეგორიებს, ბუნების რაიმე კანონებს და სხვა ტვინს გადაეცეს. თითქოსდა ამაში მდგომარეობს „აზრის უშუალო გადაცემის“ პრინციპი, სხვანაირად „აზრობრივი შთაგონება“. სავსებით ნათელია, რომ ასეთი წარმოდგენა არსებითად არაფრით არ განსხვავდება პირველყოფილი ანიმიზმისაგან და ძირფესვიანად ეწინააღმდეგება ნამდვილი, მეცნიერული ფიზიოლოგიისა და ფსიქოლოგიის მიღწევებს. ეს მეცნიერებები უცილობლად ამტკიცებენ, რომ აზროვნება, ისევე როგორც მთელი ფსიქიკა, მაღალორგანიზებული მატერიის მხოლოდ და მხოლოდ თვისებაა, მისი განვითარების გარკვეულ საფეხურზე აღმოცენებული, და ამიტომ იგი განუყოფელია თავისი სუბსტრატისაგან — ტვინისაგან, ისევე როგორც ჩემს წინ მდებარე ქაღალდის ფურცლის სითეთრეა განუყოფელი თვით ამ ქაღალდისაგან.

აზრობრივი შთაგონების საკითხი იდეალისტური თვალსაზრისით განმარტებისას ყოველგვარ მეცნიერულ აზრს კარგავს და ცრუმორწმუნოებად იქცევა. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამ საკითხისადმი კიდევ სხვა მიდგომაც არსებობს. იგი არაფერს შეიცავს არამეცნიერულს, მისტიკურს და შეიძლება შემოწმდეს ზუსტად დაყენებული ცდებით. გამოჩენილი მეცნიერი-

ფიზიკოსები და ნევროლოგები, როცლებიც სრულებითაც არ იყენენ იდეალისტები (მაგალითად ვ. მ. ბეხტერევი და პ. პ. ლაზარევი), უშვებდნენ აზრობრივი შთაგონების შესაძლებლობას, მიაჩნდათ, რომ შეიძლება არსებობდეს „ტვინის რადიო“, როგორც ერთი მოქმედი ტვინიდან მეორეზე ელექტრომაგნიტური ენერგიის გადაცემის შედეგი. საჯარო ლექციების კითხვისას ისეთ თემებზე, როგორიც არის „ძილი და სიზმარი“, „ჰიპნოზი და შთაგონება“, „ტვინი და ფსიქიკა“ მსმენელების შეკითხვათა თითქმის უმრავლესობა სწორედ ამ საკითხს ეხება. შესაძლებელია თუ არა ტელეპატია, არსებობს თუ არა „ტვინის რადიო“, ამასთან ზოგჯერ „შესანიშნავ შემთხვევებს“ ასახელებენ საკუთარი ცხოვრებიდან ან ნათესავებისა და ნაცნობების პრაქტიკიდან, თანაც ამ შემთხვევებს იმნაირად ხატავენ, რომ მათ აშკარა რელიგიური წარმოდგენების ელფერი დაჰკრავთ.

ამიტომ ჩვენ საჭიროდ ვცანით შემდეგი თავი მივუძღვნათ მეცნიერების მიერ აზრობრივი შთაგონებისა და მასთან დაკავშირებული ცრუმორწმუნეობრივი წარმოდგენების საკითხის თანამედროვე გადაწყვეტის განხილვას.

VI

არსებობს თუ არა „ტვინის რადიო?“

ამ მოვლენის არსებობის რწმენა ძალიან ფართოდ არის გავრცელებული. თითქმის ყველა დროისა და ხალხის მხატვრული ლიტერატურის ნაწარმოებში, გამოჩენილი ადამიანების ბიოგრაფიებში, ისტორიულ მემუარებში, საჟურნალო სტატიებსა და საგაზეთო წერილებში გვხვდება ყოველდღიური ცხოვრებიდან სხვადასხვა შემთხვევების აღწერა, რომლებიც აღინიშნება სიტყვებით: „ტელეპატია“, „აზრის უშუალო გადაცემა“, „აზროვნებით შთაგონება“ და ა. შ. ზოგადად ეს შემთხვევები შემდეგი სახით შეიძლება გამოიხატოს: „უკეთუ ვინმე ა მოცემულ მომენტში კვდება ან სიკვდილის საფრთხის წინაშე დგას, ან კიდევ მნიშვნელოვანი, ამაღელვებელი რამ შეემთხვა, მაშინ მეორე პირს (ვუწოდოთ მას ბ). რომელიც პირველთან ნათესაურ, სასიყვარულო ან მეგობრულ კავშირში იმყოფება და იმხანად მისგან შორს არის, ზუსტად იმავე დროს ისეთ ფსიქიკურ განცდათა გადატანა უხდება, რომლებიც ასე თუ ისე ა პიროვნების მდგომარეობას ასახავენ.

ასეთ შემთხვევებს ძალიან ხშირად მისტიკურ სამოსელში ხვევენ და მიიჩნევენ იმის საიდუმლო „შეტყობინებად“ ან „წინასწარმეტყველებად“, რომ ახლობელი ადამიანის „სული“ „უკეთეს სამყაროში“ გადასასვლელად ემზადება. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ტელეპატია დიდხანს იყო არა ცოდნისა და მეცნიერების დარგი, არამედ რწმენის საგანი. მხოლოდ XIX საუკუნის მეორე ნახევარში გაუჩნდათ სწავლულ ადამიანებს — ისიც ძალიან ცოტას — ამ საკითხისადმი გარკვეული ინტერესი. გარდატეხის მომენტად შეიძლება ჩაითვალოს 1876 წელი, როდესაც ცნობილი ინგლისელი ფიზიკოსი ბარე-

ტი, ფარადეისა და ტინდალის მოწაფე, გამოვიდა მეცნიერთა ბრიტანეთის ასოციაციის სხდომაზე მოხსენებით „აზრის უშუალო გადაცემა“. ამის შემდეგ დაიწყო სისტემატური კვლევა ეგრეთ წოდებული სპონტანური (თვითნებური) ტელეპატიის შემთხვევებისა, რომლებიც ყოველდღიურ ცხოვრებაში გვხვდება. ამ მიზნით ლონდონში 1882 წელს დაარსდა (ამჟამადაც არსებობს) ფსიქიკურ გამოკვლევათა საზოგადოება. ამ საზოგადოების წევრები გულდასმით სწავლობენ სპონტანური ტელეპატიის ყოველ შემთხვევას. ახდენენ წერილობითი დოკუმენტების აუცილებელ რეგისტრაციას. გამოკითხავენ მოწმეებს და მხოლოდ ამგვარად დამოწმებულ შემთხვევებს იღებენ მხედველობაში. შემდეგ ასეთივე საზოგადოებები დაარსდა ევროპის ბევრ სხვა ქვეყანაშიც, აგრეთვე ამერიკასა და აზიაში. 1920 წელს შეიქმნა ფსიქიკურ გამოკვლევათა საერთაშორისო კომიტეტი, რომელმაც რამდენიმე კონგრესი მოაწყო. ამ კონგრესებზე განხილულ იქნა უამრავი მოხსენება ადამიანის ფსიქიკის საიდუმლო მოვლენებისა და, უწინარეს ყოვლისა, ტელეპატიის საკითხებზე.

კაპიტალისტურ ქვეყნებში დროთა მსვლელობაში ტელეპატიურ მოვლენებისადმი ინტერესი არამც თუ ქრება, არამედ, პირიქით, იზრდება, რასაც რელიგიურ რწმენათა ფართოდ გავრცელება აღვივებს. მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ამ მოვლენებისადმი ინტერესი ჩვენშიაც საკმაოდ დიდია. ჩვენში მას ხელს უწყობს მხატვრული ლიტერატურა, და არა მარტო კლასიკური, არამედ თანამედროვე, საბჭოთა ნაწარმოებები. შეგვეძლო მიგვეთითებინა მრავალი გვერდი, სადაც დიდი შთამბეჭდავი ძალით არის აღწერილი აშკარა ტელეპატიური ხასიათის შემთხვევები. მაგალითად, ჟურნალ „ოგონიოკში“ (1941 წლის № 7) მოთავსებულ ნარკვევში — „ორი დედა“ გადმოცემულია ო. ო. ოსტროვსკაიას უბრალო, გულუბრყვილო ნაამბობი იმაზე თუ რა „წინათგრძნობა“ ჰქონდა მას, გამოჩენილი საბჭოთა მწერლის — ნიკოლოზ ოსტროვსკის სიკვდილის წინ. ეს ნაამბობი ძალიან ტიპიურია იმ შემთხვევებისათვის, რომელთაც ჩვენ სპონტანურ ტელეპატიას ვუწოდებთ, ამიტომ მას მთლიანად მოვიყვანთ:

„მე უბრალო გლეხის ქალი ვარ, ნუ გეწყინებათ, თუ ჩემს

სიზმარს ძოგიყვებით. სასლ'ში ვარ, სოკ'ში, ძძინავს და ასეთ სიზმარს ვხედავ: ზღვაზე თვითმფრინავები მიფრინავენ, უამრავი თვითმფრინავი, და ისეთი ხმაურია, ისეთი ხმაური, რომ ლამის ყურები გასკდეს. ვხედები რომ ომი დაიწყო. გამოვრბივარ სახლიდან და რას ვხედავ: სდგას ჩემი კოლია სრულიად ჯანმრთელი, შინელი აცვია, ხელში შაშხანა და მუზარადი უკავია. მის ირგვლივ კი სანგრები და ორმოებია, ყველაფერი გარშემო ეკლიანი მავთულით არის შემოვლებული. კოლიას ომის შესახებ მინდა შევეკითხო, მაგრამ მესმის, რომ იგი საგუშაგოზე დგას, მაშასადამე, არ შეიძლება მასთან დალაპარაკება. შინ დაბრუნება მინდა, ორმოები კი სულ უფრო ფართოვდება, ეკლიანი მავთული ფეხებში მეხლართება, არ მიშვებს. მინდა დავიყვირო — არ გამოდის.

ამ დროს გავიღვიძე და ვფიქრობ: ცუდი სიზმარია, ალბათ, კოლიას მოსკოვში რაღაც შეემთხვა. ვფიქრობ: წავალ ბილეთს ავიღებ და გავემგზავრები კოლიასთან მოსკოვს. ვაპირებ ბილეთების საყიდლად წასვლას, ამ დროს მოულოდნელად წერილს მაწვდიან კოლიასაგან. მწერს, რომ უკეთ არის, მალე დაბრუნდება და გზაფხულზე ერთად ვიცხოვრებთ. ვკითხულობ, მაგრამ სევდა გულს არ ეშვება. საკუთარ თავს ვარწმუნებ: აბა, სად უნდა წახვიდე ასეთი მოხუცი, ან რატომ მიდიხარ, რაკი კოლია გწერს, რომ ყველაფერი რიგზეა? და არ წავედი.

საღამოს დასაძინებლად დავწექი (უკვე თერთმეტი საათი იქნებოდა), მესმის, აკაკუნებენ:

— ოლგა ოსიპოვნა, გძინავთ?

— ძინავს, — ვეუბნები, ხმაზე კი ერთი ჩემი ნაცნობი ვიცანი ქალაქკომიდან.

— ადექით, — მეუბნება იგი, — კოლიას მდგომარეობა გაუარესდა, გვინდა მოსკოვში გაგამგზავროთ.

— აქ კი გული სასტიკად შემიტოკდა, ვწევარ და მხოლოდ ამის თქმას ვახერხებ: საღამოს მატარებელი უკვე წასულია, მეორეს კი ხვალამდე უნდა ვუცადოთ.

— არა უშავს, დრეზინით გაგამგზავრებთ, — მეუბნება იგი.

მე კი ვიცი, რომ ეს დრეზინა ჯაგჯაგაა და გადაჭრით უარს ვეუბნები. მაშინ იგი კარებთან ახლოს მოვიდა და ერთბაშად მომახალა:

— კოლია მოკვდა, აღარ არის კოლია! — და ატირდა...“

ასობით მსგავსი შემთხვევა არის აღწერილი[1]. შედარებისათვის კიდევ ერთს მოვიყვან, რომელიც უკვე ხსენებული ლონდონის საზოგადოების დოკუმენტებიდან არის ამოღებული: „გარდაცვალების დღეს მამაჩემი ჩვეულებისამებრ სახლიდან სამის ნახევარზე გავიდა ბაღსა და მინდორში გასასეირნებლად. არ გასულა შვიდი თუ რვა წუთი, რომ მე, ჩემს მეუღლესა და დასთან საუბრის დროს, უეცრად მამასთან წასვლის ძლიერი სურვილი ვიგრძენი (საუბარი გვქონდა ნასადილევს მეზობელთან სტუმრად მისვლაზე და ჩვენ მამა სულაც არ გვიხსენებია). ეს სურვილი, რომ მასთან წავსულიყავი დაუძლეველი აღმოჩნდა. მე დაჟინებით მოვითხოვდი, რომ ყველანი, ვინც კი სახლში ვიყავით, მამის საძებნელად ავჩქარებულიყავით. მეკამათებოდნენ, მარწმუნებდნენ რომ ჩემი შიში სრულიად უსაფუძვლოა. მაგრამ როცა ძებნა დავიწყეთ, მამა მართლაც მკვდარი ვიპოვნეთ“[2].

როგორ უნდა შევაფასოთ ამგვარი ნაამბობი? უწინარეს ყოვლისა, გადაჭრით უნდა ითქვას, რომ სრულებითაც არ არის სავალდებულო ისინი დაკავშირებული იყვნენ ახლობელ ადამიანთა გარდაცვალებასთან ან მათ ძლიერ ფსიქიკურ განცდებთან. აღწერილია ვითომდა ტელეპატიური გადაცემის მრავალი, მთლად ბანალური, სრულიად არატრაგიკული წვრილმანი შემთხვევა ყოველდღიური ცხოვრებიდან. აი სათანადო მაგალითი იმავე ლონდონის საზოგადოების კოლექციიდან (შემთხვევა № 56): „ამას წინათ დილით, როდესაც მსუბუქი სამუშაოთი ვიყავი დაკავებული, მოულოდნელად თვალწინ წარმომიდგა ტირიფის წნელის პატარა კალათა, რომელშიც ხუთი კვერცხი იდო. მათგან ორი ძალიან სუფთა, ჩვეულებრივზე უფრო მოგრძო და მოყვითალო ფერისა იყო, ერთი — მთლად

---

[1] მაგალითად. ცნობილმა ფრანგმა ასტრონომმა კ. ფლამარიონმა ანკეტების საშუალებით ათასზე მეტი ასეთი შემთხვევა შეაგროვა.

[2] ჰერნეის, მაიერსისა და პოდმორის წიგნიდან „სიცოცხლისდროინდელი მოჩვენებები“ (რუსული თარგმანი, სპბ., 1895), შემთხვევა № 79.

მრგვალი და თეთრი, ოღონდ ჭუჭყიანი, დანარჩენ ორს კი რაიმე განსაკუთრებული ნიშანი არ ჰქონდა. ჩემ თავს ვეკითხებოდი, რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონოდა ამ უეცარ, უმნიშვნელო გამოსახულებას. მე არასოდეს არ ვფიქრობ მსგავს რამეებზე, მაგრამ ეს კალათა გონებაში ჩამრჩა და რამდენიმე წუთით ჩემი ყურადღება მიიპყრო.

დაახლოებით ორი საათის შემდეგ სასაუზმოდ მეორე ოთახში გავედი და გაოცებულმა შევნიშნე, რომ მაგიდაზე, პატარა ჭიქებში ჩაწყობილი კვერცხები საოცრად ჰგავდა იმ ორ მოგრძო კვერცხს, რომლებიც სულ ახლახან წარმომიდგა. „ასე დაჟინებით რატომ ათვალიერებ ამ კვერცხებს?“ — მკითხა მეუღლემ და ძალიან გაუკვირდა, როდესაც ჩემგან გაიგო, რამდენი კვერცხი გამოეგზავნა დედამისს ნახევარი საათის წინ. შემდეგ მან დანარჩენი სამი კვერცხიც მოიტანა; მე დავინახე ჭუჭყიანი კვერცხიცა და ჩემთვის უკვე ნაცნობი კალათაც. მერე გავიგე, რომ ეს კვერცხები ჩემს სიდედრს შეეგროვებია, ჩაედო კალათაში და ჩემთვის გამოეგზავნა. მოგვიანებით სიდედრმა თვითონ მითხრა, რომ იმ დროს, ცხადია, შენზე ვფიქრობდიო. ეს მოხდა დილის 10 საათზე, და თუ ჩემს ჩვევებს გავითვალისწინებთ, მგონი სწორედ მოვლენილი მოჩვენების მომენტში.

ბევრ ასეთ, როგორც ჩანს, უსაფუძვლო შემთხვევას აღწერს საკუთარი ცხოვრებიდან გამოჩენილი ამერიკელი იუმორისტი მარკ ტვენი თავის სტატიებში — „აზრის მანძილზე გადაცემის შესახებ“. ამასთან იგი ამ შემთხვევებს იუმორისტულად კი არ განიხილავს, არამედ მთელი სერიოზულობით ეკიდება[1]. მწერალი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს იმისადმი, რაც ხშირად თვითონ მას გადახდომია. სახელდობრ. „ნაცნობ პირთან შეხვედრის წინათგრძნობის“ შემთხვევები: უეცრად, ყოველგვარი მიზეზის გარეშე, რომელიმე ნაცნობი მამაკაცი ან ქალი გვახსენდება; გადის წუთი, მეორე და მოულოდნელად ქუჩაში სწორედ ეს პიროვნება გვხვდება. ზოგჯერ ასეთი დამთხვევები ილუზიის—„მოჩვენებითი ცნობის“—

---

1 იხ. მ ა რ კ ტ ვ ე ნ ი. თხზულებათა სრული კრებული. ტ. 2 — 3, სპბ., 1911.

ფორმას იღებენ: შენკენ მომავალ უცხო კაცს რატომღაც კარგ ნაცნობ N-ად მიიჩნევ; შემდეგ ირკვევა, რომ შემხვედრი N არ ყოფილა და არც რაიმეთი ჰგავს მას. მაგრამ კიდევ რამდენიმე ათეულ ნაბიჯს გადადგამ და მართლაც გამოჩნდება ნამდვილი N.

ფსიქოლოგიურად დახვეწილ ფორმებში ასახა ი. ს. ტურგენევმა. მსგავსი სიტუაცია რომანში — „კვამლი". საცოლესთან ურთიერთობის გაწყვეტის შემდეგ „ლიტვინოვს ერთი ფიქრი ჰქონდა: ენახა ირინა; და იგი წავიდა კიდეც მასთან". მაგრამ ირინა შინ არ დახვდა და „ლასლასით გამობრუნდა". „ეექვნის ყღარუნივით უაზრო" ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფიქრები და მოგონებები უწესრიგოდ ცვლიდნენ ერთმანეთს. „მაგრამ აი რაღაცამ მსუბუქი სიოსავით დაჰბერა მას, რაღაც შეუმჩნეველმა და უთუოდ არსებულმა, ეს მსუბუქი ქროლა დაცემული ჩრდილის სუნთქვა რომ ყოფილიყო, იგი არ იქნებოდა ამაზე უჩინარი, მაგრამ მან ერთბაშად იგრძნო, რომ ირინა უახლოვდება და მართლაც: იგი გამოჩნდა მისგან რამდენიმე ნაბიჯზე, მეორე მანდილოსანთან ხელიხელგაყრილი; მათი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ" [1];

შესაძლებელია მსგავსი რამ რომელიმე ჩვენს მკითხველსაც მოსვლია, მაგრამ შეიძლება თუ არა ცხოვრების შემთხვევები ტელეპატიის, „ტვინის რადიოს" რეალური არსებობის მეცნიერულ მტკიცებად მივიჩნიოთ? არა, რასაკვირველია, არ შეიძლება! არ შეიძლება იმიტომ, რომ ასეთ შემთხვევებში არ არის მთლად გამორიცხული შესაძლებლობა, რომ დროის გარკვეულ მონაკვეთში შემთხვევით დაემთხვას ერთმანეთს ორი მსგავსი გარემოება, ის, რაც ერთ პირს მოსდის, და ის, რასაც დაახლოებით იმავე დროს მეორე განიცდის. ყოველდღიურ ცხოვრებაში ზოგჯერ ხდება ისეთი წარმოუდგენელი დამთხვევები, რომლებშიაც ტელეპატიურ კავშირს, — კიდევაც რომ არსებობდეს იგი, არ შეეძლო არავითარი როლი შეესრულებინა. უკანასკნელი 22 წლის განმავლობაში მე სპეციალურ რვეულში 34 ასეთი ნაკლებად სარწმუნო დამთხვევა ჩავიწერე ჩემი ცხოვრებიდან. ისინი ცოტად თუ ბევრად ერთი ტიპისანი

---

[1] ი. ს. ტურგენევი. „კვამლი". მოსკოვი, გიხლ., 1955, გვ. 131.

არიან. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი ჩანაწერი.

„1940 წლის 17 იანვარს იმავე რიცხვის „ლენინგრდასკაია პრავდას“ ვათვალიერებდი, თან რომ იტყვიან, ცალი ყურით რადიოს დიქტორის ლაპარაკსაც ვუსმენდი. გაზეთის პირველ გვერდზე ვკითხულობდი წერილს სათაურით — „უმაღლესი ჯილდო“. წერილში ჩამოთვლილი იყო იმ მებრძოლებისა და მეთაურების გვარები (სულ 6 გვარი), რომლებმაც თავი ისახელეს თეთრფინელებთან ბრძოლაში. მათ შორის ერთბაშად თვალში მომხვდა გვარი — მაზეპა, ძალიან იშვიათი ჩვენს დროში; და ზუსტად იმავე დროს დიქტორმაც წარმოთქვა იგივე გვარი — მაზეპა (იგი თეატრების უახლოესი დღეების რეპერტუარს აცხადებდა და სხვა სპექტაკლებს შორის დაასახელა ჩაიკოვსკის ოპერა „მაზეპა“).

ფსიქიკის საიდუმლო მოვლენებზე ლექციების მსმენელებს აზრობრივი შთაგონების არსებობის დასაცავად ხშირად უსახელებენ მაგალითებს მოგზაურთა ნაამბობიდან ინდოელი „ფაკირების“ ოინებზე. ცნობები მათზე არაერთხელ გამოქვეყნებულა პრესაში. აი, რას გვიამბობს ამ ოინების მნახველი მეფის ვიცე-ადმირალი ა. ნ. სკალოვსკი თავის წიგნში — „მიკროკოსმოსი და მაკროკოსმოსი“.

„გემბანზე (რუსული სამხედრო ხომალდისა. — ლ. ვ.) მჯდომი, ყოველი მხრიდან მაყურებლებით გარშემოხვეული ფაკირი იღებს ჭურჭელს, რომელშიც, როგორც ჩანს, მიწა იყო ჩაყრილი, ყველას თვალწინ ჭურჭელს ცხვირსახოცს აფარებს და 10-15 წუთს ხელებით რაღაც მანიპულაციებს აკეთებს ქოთნის თავზე, თითქოს რაღაცას გაძლიერებით უჭერს ხელს. სახეზე ძლიერი ყურადღება და დაძაბულობა ემჩნევა. შემდეგ იგი ცხვირსახოცის ქვეშიდან იღებს ხელებს და გაოცებული მაყურებლები ხედავენ, როგორ იწევს ცხვირსახოცი სულ მაღლა და მაღლა, რამდენიმე ხნის შემდეგ ფაკირი აცლის ცხვირსახოცს და განცვიფრებული მაყურებლები ხედავენ, რომ ქოთანში რაღაც ბუჩქი ამოსულა. ამის შემდეგ იგი ითხოვს მისცენ წყლით სავსე ჭურჭელი და მის ფსკერზე ქვიშას ყრის. მერე ყველას თვალწინ ფსკერიდან მუჭით ამოაქვს სველი ქვიშა და მძლავრად უჭერს ხელს; სახე დაძაბული და ყურადღე-

ბიანი აქვს; ეტყობა, რომ დიდ ძალას ატანს. შემდეგ სსნის ხელს — იგი მთლად მშრალია, და სველი ქვიშაც, რომელიც ხელში ჰქონდა, მშრალია, როგორც მტვერი. ავტორმა პირადად ნახა ეს ოინი“ [1]. ამას უნდა დავუმატოთ კიდევ ის, რომ ასეთი მოვლენის ფოტოფირზე აღბეჭდვა ვერავინ შეძლო.

გასაგებია, რომ ფაკირის ოინები, ისევე როგორც ყველა სხვა ოინი, არ შეიძლება „ტვინის რადიოს“ არსებობის საკმაო მტკიცებულებად ჩაითვალოს. ამ საკითხის მეცნიერული გადაწყვეტა შეიძლება მხოლოდ აზრობრივი შთაგონების საკითხზე ცდების დაყენებით, თანამედროვე მეცნიერების ზუსტი წესებისა და ყველა მოთხოვნის გათვალისწინებით. ექიმ-ფსიქიატრებმა, ფიზიოლოგებმა, ფიზიკოსებმა ჯერ კიდევ გასული საუკუნის ბოლოს დაიწყეს ასეთი ცდების ჩატარება. თავდაპირველად ექსპერიმენტული ტელეპატიის ხერხები ძალიან მარტივი იყო, ისინი მრავალრიცხოვან გამოსაკვლევ პირებზე გამოიყენებოდა, მიღებულ შედეგებს კი ალბათობის თეორიის მეთოდებით ამუშავებდნენ. მაგალითად, ცნობილი ფრანგი ფიზიოლოგი შარლ რიშე [2] მრავალრიცხოვან ცდებს ატარებდა ჩაფიქრებული სათამაშო კარტების გამოცნობაზე. მისი მონაცემებით, სწორ გამოცნობათა რიცხვი ყოველთვის აღემატება ალბათობის თეორიით მიღებულ გამოცნობათა რიცხვს, მაგრამ აღემატება უმნიშვნელოდ. ასე მაგალითად. 2997 ცდისაგან თეორია 732 სწორი პასუხს ვარაუდობს, სინამდვილეში კი 789 სწორი პასუხი გამოვიდა. ამასთან მხოლოდ ზოგიერთ გამოსაკვლევ პირს გამოუდიოდა უკეთესი შედეგი. ასეთმა ცდებმა მეცნიერი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ აზროვნებით შთაგონებისადმი (ისევე როგორც სიტყვიერი შთაგონებისადმი) მიდრეკილება ყველას არა აქვს და ამიტომ მსგავსი ცდების ჩასატარებლად უნდა შევარჩიოთ ყველაზე გამოსადეგი, ყველაზე კარგი შთაგონების უნარის მქონე გამოსაკვლევი პირები.

რიშეს ცდები ალბათობის თეორიის გამოყენებით შემ-

---

[1] ა. ნ. სკალოვსკი. მიკროსმოსი და მაკროსმოსი. სპბ, 1913, გვ. 86.

[2] Ch. Richet. La Suggstion mentale et le calcule des probabilés. Revue philosophique; t. XVIII. 1884, p. 609.

დგომ განავითარეს ინგლისში (ექიმი მოული) და ამერიკის შეერთებულ შტატებში (ექიმი რაინი), ოღონდ იმ განსხვავებით, რომ სათამაშო კარტების ნაცვლად იყენებდნენ კარტებს, რომელთა თეთრ ფონზეც გამოსახული იყო ხუთი მკვეთრად განსხვავებული შავი ფიგურა. კვადრატი, რგოლი, ტალღისებური ხაზები, ვარსკვლავი და ჯვარი. თვითეულ კარტს ერთ-ერთი ამ ფიგურათაგან ეხატა. ცდისათვის იყენებენ კარტის დასტას, რომელიც შედგება 25 ასეთი კარტისაგან, ამასთან ყოველი ფიგურა 5-ჯერ მეორდება. ეს კარტი შემოღებულ იქნა რაინის თანამშრომლის — ექიმ ზენერის (Zener) წინადადებით და ამჟამად საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. ტელეპატიურ ცდებს ზენერის კარტების გამოყენებით სხვადასხვა ქვეყნებში ატარებენ. ამ ერთგვაროვანი ცდების შედეგები ადვილი შესადარებელი და შესაპირისპირებელია ერთმანეთთან.

შთაგონებული (ინდუქტორი) და აზრობრივი შთაგონების აღმქმელი (პერციპიენტი) ჯდებიან მაგიდასთან ერთმანეთის პირისპირ, მათ ყოფს მაგიდის შუაში დადგმული 18×24 დუიმის[1] მუყაოს ან ფანერის ეკრანი. ეკრანი საშუალებას არ აძლევს პერციპიენტს უყუროს ინდუქტორს და კარტების დასტას. რომელიც ხელში უჭირავს აჰ უკანასკნელს. ინდუქტორი გულმოდგინედ ურევს კარტებს (არა ნაკლებ 4-5-ჯერ) და განუმარტავს პერციპიენტს, როგორ გამოიცნოს კარტები და როგორ ჩაიწეროს თავისი პასუხები მის წინ დადებულ სარეგისტრაციო ფურცელში.



„მგრძნობელობის გარეშე აღქმის“ უნარის გამოსაცდელი კარტები ზენერის ფიგურებით.

როდესაც პერციპენტი ანიშნებს (ხმით ან კაკუნით), რომ

[1] დ უ ი მ ი — სიგრძის საზომი ერთეული. იზომარება ანგლო-საქსურ ქვეყნებში, უდრის 2,54 სანტიმეტრს.

იგი ცდის ჩატარებისათვის მზად არის, ინდუქტორი დაუყოვნებლივ იღებს დასტიდან ზემოთა კარტს და უყურებს მას. პერციპიენტი ფურცელზე იწერს თავის პასუხს და ისევ ანიშნებს. ინდუქტორი პირველ კარტს მაგიდაზე დებს გამოსახულებით ძირს და დასტიდან მეორე კარტს იღებს, დასცქერის მას, სანამ პერციპიენტი მორიგ ნიშანს არ მისცემს, და ასე განაგრძობს, ვიდრე კარტების დასტა არ დაილევა. ამის შემდეგ ინ-



გამოსაკვლევი ქალი (მარცხნივ) ექსპერიმენტატორის მიერ შთაგონებულ ფიგურას ანიშნებს
(ფოტოსურათი ექიმ რაინის ლაბორატორიიდან).

დუქტორი ფურცელზე ინიშნავს კარტის თანმიმდევრობას, თავის შევსებულ სარეგისტრაციო ფურცელს უდარებს პერციპიენტის ფურცელს და იწერს რამდენი გამოიცნო. დათვლაში მონაწილეობს პერციპიენტი, რაც მას უღვივებს გარკვეულ ინტერესს ამ საკმაოდ ერთფეროვანი ცდებისადმი.

ამგვარად, ყოველი ცდა (სხვანაირად — სერია) 25 გაისინჯვას შეიცავს. ექსპერიმენტის ჩატარებისას ყოველ პერციპეტთან სულ უკანასკნელი 4 ასეთი სერია უნდა ჩავატაროთ, საკმაოდ ხანგრძლივი შესვენებებით, რათა არ გადავღალოთ იგი. მაგრამ უფრო საიმედო სერიების რიცხვი 10-მდე და კიდევ უფრო

უნდა გავზარდოთ. ბევრია დამოკიდებული იმაზე, რა ვითარებაში ტარდება ასეთი ცდა. იგი ისეთ ტემპში უნდა ჩატარდეს, რომელსაც თვით პერციპიენტი ამჯობინებს. არ შეიძლება თავს მოვახვიოთ მას ძალზე ჩქარი ან ძალზე ნელი ტემპი. გამოსაკვლევ პირს უნდა ჰქონდეს წარმატების ინტერესი და რწმენა, ხოლო თუ ეს არა აქვს, უნდა ვეცადოთ გამოვიწვიოთ მასში სწრაფვა წარმატებისადმი, რათა შემთხვევითზე უფრო მაღალი შედეგი მოგვცეს.

მხოლოდ ერთი შემთხვევითი დამთხვევისას გამოცნობათა საშუალო შედეგი შეადგენს 20%-ს ანუ 5 დამთხვევას 25 კარტიდან. ამიტომ 4 სერიაში (100 გასინჯვა) მხოლოდ 20 დამთხვევა იქნება შემთხვევითი. პერციპიენტის წარმატებას აფასებენ სწორ გამოცნობათა რიცხვით, რომელიც აღემატება შემთხვევით დამთხვევისას მიღებულ შედეგს. ალბათობის თეორიის საფუძველზე შედგენილი ცხრილი შესაძლებლობას გვაძლევს შევაფასოთ მიღებული შედეგები.

ამერიკელმა და ინგლისელმა პარაფსიქოლოგებმა ყველა აღნიშნული პირობის დაცვით ჩატარებული ცდების დიდ სერიაში მრავალგზის მიიღეს შთაგონებული ფიგურების სწორ გამოცნობათა იმაზე ბევრად დიდი რიცხვი, რაც მოსალოდნელი იყო. მაგალითად, სოულმა ორ ახალგაზრდა ბიძაშვილზე (რომელთაგან ერთი აგენტი იყო, მეორე კი პერციპიენტი) ჩატარებულ ცდებში 15 ათასი გასინჯვიდან ყოველ 25 კარტიან დასტაში საშუალოდ თითქმის 9 სწორი პასუხი მიიღო. ნაცვლად ალბათობის თეორიით ნავარაუდევი 5 ამოცნობისა; ამ ცდების დროს ორჯერ იქნა ამოცნობილი ყველა 25 კარტი ზედიზედ, 4-ჯერ 24 კარტი, 40-ჯერ — 23-დან 19 კარტამდე. ეს შედეგი რიცხობრივად ძალიან ბევრად აღემატება იმას, რისი

სერიათა (25 გასინჯვა) რიცხვი	დამთხვევათა რიცხვი		ჩანაბული შედეგი
	შემთხვევითი შედეგი	საშუალო შედეგი	
4	20	28	32
10	50	63	69
50	250	279	293
100	500	540	560

მიღებაც ჩვენ ალბათობის თეორიით შეგვეძლო. ასე მაგალითად, 25-ვე კარტის ზედიზედ შემთხვევით გამოცნობის ალბათობა სრულიად უმნიშვნელოა. ეს შედეგი შეიძლება გამოვიდეს ერთხელ 5^{25} გასინჯვიდან (5^{25}=298 023 223 876 953 125— ნამდვილად ასტრონომიული რიცხვია!)

შთაგონების ყველაზე მაღალი უნარის მქონე ცალკეულ გამოსაკვლევ პირებს შეიძლება აზრობრივად უფრო რთული მხედველობითი ობიექტებიც შთავანერგოთ, მაგალითად, სხვადასხვა ნახატები, საგნები სიტყვები და ა. შ. (არა ხუთი წინასწარ ცნობილი ფიგურა, როგორც კარტებში, არამედ ყოველ-კვარი შეზღუდვის გარეშე.).

გამოსაკვლევ პირს წინადადება ეძლევა ხატოს ქაღალდზე ან სიტყვიერად აღწეროს ყველა ის მხედველობითი სახე, რომლებიც მას აზრად მოუვა ცდის განმავლობაში. აი, ერთ-ერთი ამგვარი წარმატებითი ცდა, აღებული ექიმი ტიშნერის[1] წიგნიდან. გამოსაკვლევი პირი თეჯირის უკან იმყოფებოდა, თანაც თეჯირზე დიდი თავსაფარი იყო აფარებული. შთამაგონებელი თეჯირისაკენ ზურგით იჯდა, მისგან რამდენიმე მეტრის მოშორებით. სარკე ან რაიმე ამრეკლავი ზედაპირი ოთახში არ იყო. ცდას ატარებდა ექიმი ტიშერი. შთამაგონებელს იგი გადასცემდა რაიმე საგანს და შემდეგ გამოსაკვლევი პირის სიტყვიერ რეაქციებს იწერდა, ამავე დროს თვალს ადევნებდა როგორც შთამაგონებლის, ასევე გამოსაკვლევი პირის ქცევას. მოვყავს ამ ცდის ჩატარების ოქმი:

„აზრობრივი შთაგონების ობიექტი — მაკრატელი. ცდა იწყება 8 საათსა და 14 წუთზე. ორი წუთის შემდეგ გამოსაკვლევი პირი იწყებს ლაპარაკს: „ეს ნივთი ძალიან დიდად მეჩვენება. ჯერ კიდევ ჩემი ფიქრებითა ვარ გართული... ახლა მგონია, თითქოს უფრო პატარა, ვიწრო, მოკლე საგანია... თითქოს რაღაც დაგრეხილია, საცობის ამოსაღებს ჰგავს... ან იქნებ დანას, ან კიდევ რაღაც მის მსგავსს. მე მგონი ძალიან ძნელი გამოსაცნობია... სამწუხაროდ, ძალზე დაბნეული ვარ... თავში სულ დღევანდელი დღის შთაბეჭდილებები მერევა. ახლა ქ-ნ ტიშნერის სახეს ვხედავთ. ეს მონეტაა? (ექიმმა ტიშნერმა უპა-

[1] R. Tischner Über Telepathie und Hellschen. München, 1920.

სუბა, რომ არა). ახლა ის ჩანს, თითქოს რაღაც მრგვალია, ბრჭყვიალა... იგი ყოველთვის ბრჭყვიალებს? ახლა თითქოს რგოლი უნდა იყოს... თითქოს ლითონის, არის... ბრჭყვიალებს როგორც შუშა ან ლითონი... მრგვალია, თუმც სიგრძეშია გაჭიმული... თითქოს მაკრატელია... ქვევით ორი მრგვალი რამ აქვს და მერე წაგრძელებაა... ალბათ ეს მაკრატელია". უშუალოდ ამის შემდეგ (8 სთ და 26 წ.) გამოსაკვლევმა პირმა დარწმუნებით გაიმეორა: „ეს მაკრატელია!"

ამ ცდებისათვის დამახასიათებელია ის, რომ შთაგონების ობიექტი შთაგონების აღმქმელის ცნობიერებაში გამოისახება თანდათანობით, შეცდომებითა და არაზუსტად და მხოლოდ თანდათან აღწევს გამოსახულება მეტსა თუ ნაკლებ სიმკვეთრეს. ზოგჯერ ჩაფიქრებული ობიექტის მხოლოდ მიახლოებითი, სიმბოლური აღწერილობა ან გამოსახულება მიიღება (იხ. ექიმ ბრუკის ცდები[1]).



ექიმი ბრუკის ცდები ნახატების აზრობრივი შთაგონებით orig — ნახატი, რომელსაც ექსპერიმენტატორი შთააგონებს და kk, kz — ნახატები, რომლებიც ორმა გამოსაკვლევმა პირმა ერთი და იგივე ცდის დროს წარმოიდგინეს.

---

[1] C. Bruck. Experimentelle, Telepathie. Stuttgart, 1925.

ხშირად ასეთი ცდების გასაადვილებლად ზოგიერთ მექანიკურ მოწყობილობას იყენებენ, მაგალითად, პერციპიენტს ფანქარს ან ეგრეთ წოდებულ პლანშეტკას გადასცემენ. ეს პატარა, ადვილად მოძრავი, სამფეხზე დამაგრებული ფიცარია, თანაც ერთი ფეხის მაგივრობას გათლილი ფანქარი სწევს. პლანშეტკა ქაღალდის დიდ ფურცელზე იდგმება; გამოსაკვლევი პირი, რომელსაც ავტომატურ მოძრაობათა შესრულების უნარი შესწევს, ხელს დებს პლანშეტკაზე და მისი საშუალებით, თუ შეიძლება ითქვას, ავტომატურად, შეუგნებლად აღრიცხავს იმას, რასაც მას აზრობრივად ექსპერიმენტატორი შთააგონებს.

ასეთი სახის მრავალრიცხოვანი გამოკვლევიდან ფართოდ გაითქვა სახელი ამერიკელი მწერლის ეპტონ სინკლერის ცდებმა, რომელიც თავის ცოლს მერი სინკლერს შთააგონებდა ნახატებს აზრობრივი შთაგონებით. ეს ცდები ე. სინკლერმა აღწერა თავის წიგნში — „გონებრივი რადიო"[1]. რომელმაც გამოჩენილი ამერიკელი ფიზიოლოგის მაკ დუგალის, პარაფსიქოლოგ ვალტერ პრინსისა და სხვა მეცნიერთა ყურადღება მიიპყრო. პრისმა დაწერა წიგნი, რომელშიც მოჰყავს სინკლერის ცდების უტყუარობის შემოწმების მონაცემები დამსწრეთა და თვით ამ ცდების მონაწილეთა ჩვენებები[2]. ინდუქტორად ამ ცდებში მარტო სინკლერი როდი იყო, ზოგჯერ ამ როლში თვით პერციპიენტის რომელიმე ნათესავი გამოდიოდა. აზრობრივ შთაგონებას აწარმოებდნენ სხვა ოთახიდან, ზოგ ცდებში კი სხვა სახლიდან, რომელიც აღნიშნული ადგილიდან 30 მილით[3] იყო დაშორებული. ასეთი ცდები განსაკუთრებით კარგ შედეგს მაშინ იძლეოდა, როდესაც მერი, მისივე თქმით, „ძილის პირას" იმყოფებოდა და შთაგონებული ნახატები მის ნახევრად მთვლემარე ცნობიერების მხედველობით გამოსახულებათა სახით წარმოუდგებოდა.

უნდა ითქვას, რომ ამ ცდების ზუსტი სტატისტიკური აღრიცხვა არ ხერხდება, ამიტომ ისინი აზრობრივი შთაგონების

---

[1] Upton Sinclair. Mental Radio. Pasadena Station. USA, 1930.

[2] W. Princc. The Sinclair experiments demonstrating Telepathy. Boston, 1932.

[3] ამერიკული მილი უდრის 1,60935 კილომეტრს.

თვით ფაქტის დასადგენად იმდენად სარწმუნო წყაროს არ წარმოადგენენ, როგორც ზენარის კარტის რაოდენობრივი ცდები. მაგრამ, სამაგიეროდ, კარტებით ჩატარებული ცდებით გამაგრებული ნახატების აზრობრივი გადაცემის ცდები უკეთ გვეხმარებიან ნათელვყოთ ტელეპატური პერცეპციის (ამთვისებლობის) ფსიქოლოგიური თავისებურებანი. ამ მხრივ განსაკუთრებით ყურადსაღებია ის შეცდომები, რაც პერიპიენტს მოსდის ინდუქტორისაგან აზრობრივად შთაგონებული ნახატების გამოცნობისას. აი, ორი მაგალითი სინკლერის წიგნიდან.

. ინდუქტორი აბოლებულ ვულკანს ხატავს; პერიპიენტი იგივეს ასახავს, მაგრამ თავის ნახატს სულ სხვა დასათაურებას უკეთებს: „დიდი შავი ხოჭო რქებით". სიტყვა საქმეს არ ემთხვევა! ანალოგიური მაგალითები წიგნში ბევრია. მაინც რაზე მეტყველებენ ისინი? უთუოდ იმაზე, რომ ტელეპატიურად აღიქმება სწორედ მხედველობითი სახე და არა ცნება, სიტყვა ან აზრი, ზუსტად იმ გაგებით, რასაც აზრი ეწოდება.

ასეთ შემთხვევებს შეიძლება ვუწოდოთ ინდუქტორის ნახატის ტელეპატიური აღდგენა მის გამოუცნობლად. მაგრამ გვხვდება თავისი მნიშვნელობით საპირისპირო მაგალითებიც— ინდუქტორის ნახატის ტელეპატიური გამოფენა მისი აღდგენის გარეშე. მომყავს ერთ-ერთი მაგალითი, იმავე წყაროდან წარმოებს აზრობრივი შთაგონება დახატული პატარა მაიმუნისა, რომელიც ერთი ტოტიდან მეორეზე გადადის. პერიპიენტმა ვერ აღადგინა ეს საკმაოდ რთული ნახატი, მაგრამ, სამაგიეროდ, გამოიცნო სახეთა ის კატეგორია, რომელსაც ნახატი მიეკუთვნება. მან დაწერა: „კამეჩი ან ლომი, ვეფხვი — გარეული ცხოველი".

იგივეს მოწმობენ პერიპიენტის აზრობრივი დაძინებისა და გაღვიძების ცდები. გამოჩენილი საბჭოთა ჰიპნოლოგი კ. ი. პლატონოვი, რომელმაც მრავალი ამგვარი ცდა ჩაატარა, წერდა: „საგულისხმოა აღვნიშნოთ, რომ როდესაც გამოსაკვლევ პირზე ზემოქმედებას ვახდენდი აზრობრივი ბრძანების ფორმით — „დაიძინეთ!", „გეძინოთ!" — ბრძანება ყოველთვის უშედეგო იყო. მაგრამ ჩემ მიერ დაძინებული (ან გაღვი-

ძებული — თუ გაღვიძების აზრობრივ შთაგონებას ვახდენდი) გამოსაკვლევი პირის მთლიანი გამოსახულების მხედველობითი წარმოდგენისას, ეფექტი ყოველთვის დადებითი იყო“ [1].



ეპტონ სინკლერის ნახატების აზრობრივი შთაგონების ორი ცდა, რომელიც მან თავის ცოლზე ჩაატარა. მარცხნივ — შთაგონებული ნახატები; მარჯვნივ — ნახატები, როგორც ეს პერციპიენტმა წარმოიდგინა და გამოხატა.

ეს იმას ნიშნავს, რომ გამოთქმები — „აზრის გადაცემა“, „აზრობრივი შთაგონება“, რომელსაც ხშირად ვხვდებით, არ არის ზუსტი. ტელეპატიურად შეიძლება გადაეცეს მხოლოდ მხედველობითი, უფრო იშვიათად, სმენითი სახეები, გრძნობები, შეგულიანება რაიმე მოქმედების შესასრულებლად. ის, რასაც ი. პ. პავლოვი პირველ სასიგნალო სისტემას მიაკუთვნებდა, და არა აზრები, რომლებიც სიტყვებთან — ანუ მეორე სასიგნალო სისტემასთან — არიან დაკავშირებული.

ეს გასაგებს ხდის, თუ რატომ ტარდება წარმატებით ტელეპატიური ცდები იმ შემთხვევებშიც, როდესაც მაგალი-

[1] კ. ი. პლატონოვის წერილებიდან ამ წიგნის ავტორისადმი. მოყვანილია პროფ. პლატონოვის ნებართვით.

თად ინდუქტორად ფრანგია, პერციპიენტად კი — ბერძენი, თანაც ფრანგმა ერთი სიტყვაც არ იცის ბერძნული, ბერძენმა კი ფრანგული. ნახატების ტელეპატიური გადაცემის ასეთი ცდები საერთაშორისო მასშტაბით იქნა ჩატარებული და მათ საყურადღებო შედეგები მოგვცეს[1].

ყველა ამ ცდის მთავარ მეთოდურ პირობას წარმოადგენს ის, რომ საჭიროა საიმედო საშუალებებით მთლიანად გამოვრიცხოთ აზრობრივად გადასაცემი დავალების აღქმა ჩვეულებრივი გზით — გრძნობის ორგანოთა მეშვეობით. ასე მაგალითად, ექიმი ბრუნგმანსი გრონინგენის უნივერსიტეტის (ჰოლანდია) ფსიქოლოგიურ ლაბორატორიაში ატარებდა ასეთ, საკმაოდ რთულ ცდებს. ცდებისათვის სპეციალურად იყო მოწყობილი ერთიმეორის თავზე განლაგებული ორი ოთახი. ჩაბნელებულ ზემო ოთახის იატაკში გაკეთებული იყო სარკმელი ორმაგი, სქელი შუშით, რომელიც ამ ოთახიდან ქვედა ოთახში საკმაოდ ძლიერ ხმასაც კი არ ატარებდა. ამ სარკმლიდან ზემო ოთახში მყოფ ექსპერიმენტატორებს შეეძლოთ თვალყური ედევნებინათ იმისათვის, თუ რა ხდება ქვედა, კარგად განათებულ ოთახში, რომელშიც გამოსაკვლევი პირი იმყოფებოდა. თვით



ცდების ჩატარება გრონინგენის უნივერსიტეტში ექიმ ბრუნგმანსის მიერ გამოსაკვლევი პირის ხელის დავალებულ მოძრაობათა აზრობრივი შთაგონებით.

[1] K. Konstantinides. Telepathische Experimente zwischen Athen. Paris, Warschau und Wien. Transaction of the fourth International Congress for Psychical Research. S. P. R. London, 1930, p. 215.

გამოსაკვლევი პირის დანახვა კი ექსპერიმენტატორებს არ შეეძლოთ, რადგან იგი ცდის ჩატარების დროს იმყოფებოდა განსაკუთრებულ, კარადის მაგვარ კამერებში, რომელიც ყოველი მხრიდან — ზემოდან, წინიდან და გვერდებიდან დახურული იყო. კამერის წინ, სწორედ ფანჯრის ქვევით, იდგა მაგიდა, რომელსაც ჭადრაკის დაფის მსგავსად 48 დიდრონ უჯრედებად დაყოფილი მუყაო ეფარა; ყოველი უჯრედი თავის მხრივ ჭადრაკის შესაბამისი ნიშნით აღინიშნებოდა. ამ მუყაოზე იდო გამოსაკვლევი პირის ხელი, რომელიც კამერის წინა კედელში გაკეთებულ ჰორიზონტალურ ხვრელიდან იყო გამოყოფილი. ამგვარად, გამოსაკვლევ პირს არ შეეძლო მუყაოს დანახვა, ექსპერიმენტატორები კი გამოსაკვლევ პირს ვერ ხედავდნენ, სამაგიეროდ, საშუალება ჰქონდათ თვალყური ედევნებინათ მისი ხელისათვის.

ყოველი ცალკეული ცდა იმაში მდგომარეობდა. რომ ექსპერიმენტატორები ზემოდან დაჰყურებდნენ მუყაოსა და გამოსაკვლევი პირის ხელს და აზრობრივად შთააგონებდნენ მას გადაეადგილებინა ხელი ჭადრაკის დაფის ერთი უჯრედიდან მეორეზე, მაგალითად, a2 უჯრედიდან c5 უჯრედზე. იმ უჯრედს, რომელზედაც გამოსაკვლევმა პირმა უნდა გადააადგილოს თავისი ხელი, ყოველთვის კენჭის ყრით ადგენდნენ. ამ ცდების ჩატარებისას განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ერთმა გამოსაკვლევმა პირმა — სტუდენტმა. 60 შემთხვევაში 187-დან მან ზუსტად გამოიცნო ჩაფიქრებული უჯრედი, რაც წარმატებითი ცდების 31% შეადგენს. ასეთივე ცდების სხვა სერიაში, ტვინის ნახევარსფეროების ქერქის აგზნებადობის გამაძლიერებელ ფარმაკოლოგიურ საშუალებათა გამოყენებით, იმავე გამოსაკვლევმა პირმა თავისი შედეგი 75%-მდე გაზარდა.

1922 წელს გამოქვეყნებულმა ამ ცდებმა ფართო აღიარება ჰპოვა, ბევრ ქვეყანაში დაიწყო ანალოგიური გამოკვლევები. ჰოლანდიის ერთ-ერთ უნივერსიტეტში კი (ქალაქ უტრეხტში) დაარსდა კათედრა მსგავსი ფსიქიკური მოვლენების სპეციალური შესწავლისათვის. ამჟამად ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისსა და ზოგიერთ სხვა სახელმწიფოში იმავე მიზნით დააარსეს სპეციალური ლაბორატორიები, იცავენ დისერ-

ტაციებს, იწვევენ თათბირებს (სიმპოზიუმებს) ადამიანის ტვინისა და ფსიქიკის ამგვარი პრობლემების განსახილველად[1].

აზრობრივი შთაგონების საკითხისადმი მეცნიერული ინტერესის წარმოშობას დიდად შეუწყო ხელი ჰ. ჰერცის მიერ (1888 წ). ელექტრომაგნიტური ტალღების აღმოჩენამ, უმავთულო ტელეგრაფიის შემდგომმა განვითარებამ (ა. ს. პოპოვი) და თანამედროვე რადიომაუწყებლობამ. აქედან წარმოიშვა თვით ტერმინიც „ტვინის რადიო". აკადემიკოსი პ. პ. ლაზარევი ამის შესახებ წერდა:

„ცენტრებში (ტვინისა — ლ. ვ.) მიმდინარე პერიოდული (ქიმიური — ლ. ვ.) რეაქციები, ცენტრების არეში ელექტრომამოძრავებელი ძალების გამოჩენას უნდა ამჟღავნებდნენ. სინათლის ელექტრომაგნიტური თეორიის მიხედვით, ცენტრების მიერ ელექტრული მოვლენების თავის ზედაპირზე გადაცემას თან უნდა ახლდეს ელექტრომაგნიტური ტალღა, რომელიც გარემომცველ გარემოში სინათლის სიჩქარით ვრცელდება. ყოველი შეგრძნება, ყოველი მოძრაობითი აქტი უნდა ქმნიდეს ტალღებს და ადამიანის თავი სივრცეში დიდი, (130 000 კილომეტრამდე) სიგრძის ტალღებს უნდა გამოასხივებდეს. ძნელი სათქმელია რა ფიზიოლოგიური როლის შესრულება შეუძლიათ ამ ტალღებს, მაგრამ საფიქრებელია, რომ ისინი დაგვეხმარებიან შთაგონებისა (ცხადია, აქ ლაპარაკია მხოლოდ უსიტყვო, აზრობრივ შთაგონებაზე. — ლ. ვ.) და ფსიქიკური სფეროს სხვა, უფრო რთული მოვლენების ახსნაში".

აკადემიკოს პ. პ. ლაზარევის მიერ 1922 წელს[2] გამოთქმულმა ამ მოსაზრებებმა მალე რამდენიმე ფაქტობრივი დასაბუთება მიიღო. ადამიანის თავის ზედაპირზე მართლაც აღმოაჩინეს რხევითი ელექტრული პოტენციალები, რომლებიც შეიძლება

---

[1] პარაფსიქოლოგიის, აგრეთვე ტელეპატიის, საკითხებში ლიტერატურის საძიებელი, შედგენილი ზორაბის მიერ (G. Zorah. Bibliography of parapsychology. N. Y. 1957), ათასამდე სახელწოდებას შეიცავს. იხ. აგრეთვე „Proceedings of four Conferences of parapsychological studies. Parapsychology foundation„. N. Y.. 1957.

[2] იხ. პ. პ. ლ ა ზ ა რ ე ვ ი. უმაღლესი ნერვული მოქმედების ფიზიკერ-ქიმიური საფუძვლები. მ; 1922, გვ. 46.

გავაძლიეროთ და აღვრიცხოთ ოსცილოგრაფის საშუალებით. ეგრეთ წოდებული ელექტროენცეფალოგრამის სახით[1]. ამჟამად ელექტროენცეფალოგრაფია სამედიცინო პრაქტიკაში შევიდა როგორც მეთოდი, რომელიც გვეხმარება სწორი დიაგნოზის დასმაში ტვინის ზოგიერთი დაავადების დროს. იტალიელი ნევროლოგის — კაცამალის მრავალი წლის გამოკვლევებმა, რომლებსაც იგი 1923-29 წლებში ფიზიკოსებთან ერთად ატარებდა, დაადასტურეს გამოსაკვლევი პირის თავის გარშემო სივრცეში ერთი სანტიმეტრის სიგრძის ელექტრომაგნიტური ტალღების არსებობა.

თავისი ცდებისათვის კაცამალიმ ფარადეის გალიის პრინციპზე საიზოლაციო კამერა ააგო. კამერა წარმოადგენდა პარალელოპიპედის ფორმის ხის ჩარჩოს, რომლის ექვსი წახნაგი 1,5 მილიმეტრის სისქის ფურცლოვანი ტყვიით იყო დაფარული. საკონტროლო ცდებმა აჩვენეს, რომ ტყვიის კედლები საიმედოდ იცავდნენ კამერის წინა ნაწილს გარეშე რადიოტალღებისაგან, რომლებითაც ასე მდიდარია დღეს დედამიწის ატმოსფერო. კამერის ჭერში გაკეთებული იყო ნახვრეტი, რომელიც სპეციალური საკეტით იხურებოდა და საიდანაც კამერაში გამოსაკვლევი პირი შეჰყავდათ. გამოსაკვლევ პირებად ისეთ ადამიანებს იყენებდნენ, რომლებიც შთაგონებისადმი უფრო დიდ მიდრეკილებას იჩენდნენ და რომლებშიც ღრმა ჰიპნოზის გამოწვევა იყო შესაძლებელი. კამერაში იდგა საწოლი, მაგიდა, სკამი, აგრეთვე მგრძნობიარე რადიომიმღები, რომელიც ერთი მეტრის, დეციმეტრის ან სანტიმეტრის სიგრძის ტალღების მისაღებად იყო მომართული. მიღება წარმოებდა კამერის შიგნით ჩამოკიდებულ და გამოსაკვლევ პირისაკენ მიმართულ ჩარჩოზე. რადიომიმღები მავთულით შეერთებული იყო ორსაყურიანი ტელეფონის ჩაჩქანთან, რომელიც ეხურა ექსპერიმენტატორს. იგი ჩვეულებრივ კამერაში იმყოფებოდა ან, ზოგი ცდის დროს, კამერის გარეთ იყო.

ვიდრე გამოსაკვლევი პირი სიფხიზლის მდგომარეობაში იმყოფებოდა, რადიომიმღები არავითარ სიგნალებს არ იღებდა.

---

[1] პირველი ელექტროენცეფალოგრამა მიღებულ იქნა თბილისისხლიანი ცხოველებისაგან, სიმებიანი გალვანომეტრის გამოყენებით, რუსი ფიზიოლოგის პროფ. პრავდიჩ-ნემინსკის მიერ ჯერ კიდევ 1913 წელს.

მაგრამ როგორც კი გამოსაკვლევ პირს, ჰიპნოზური ძილი მოიცავდა და იგი სიტყვიერი შთაგონების გზით ემოციური აგზნების (მაგალითად, შთაგონებული ჰალუცინაციებით გამოწვეული) მდგომარეობაში მოჰყავდათ, ტელეფონში ისმოდა ხმები, რომლებიც კამერის შიგნით რადიოტალღების წარმოშობაზე მოწმობდნენ. ხმები სხვადასხვაგვარი ხასიათისა იყო.



პროფ. კაცამალი ტვინის ელექტრომაგნიტური ტალღების დამჭერი ეკრანიანი კამერის წინ.
(იშვიათი ფოტოგრაფიიდან).

ზოგჯერ ეს იყო გრიალი, ტკაცანი, სტვენა, ხანდახან მუსიკალური ტალღები, რომლებიც ვიოლონჩელის, ფლეიტის ან ადამიანის ხმას მოგაგონებდათ. რადიომიმღებზე გარკვეულ მოქმედებას ახდენდა ნორმალური გონებრივი მუშაობაც, როდესაც იგი დიდ დაძაბულობას აღწევდა. შემდგომ კაცამალიმ ტელეფონი სიმებიანი გალვანომეტრით შეცვალა, რამაც საშუალება მისცა ტვინის რადიოტალღებით წარმოქმნილი სიგნალების რეგისტრაცია ფოტოფირზე გრაფიკულად ეწარმოებინა.

ამ ცდების საფუძველზე კაცამალიმ შემდეგი დასკვნები გააკეთა: ადამიანის ტვინი გაძლიერებული მუშაობის დროს მეტ-

რიანი, განსაკუთრებით დეციმეტრიანი და სანტიმეტრიანი, ელექტრომაგნიტური ტალღების წყაროდ იქცევა. ტვინის რადიოტალღები ზოგჯერ აპერიოდულ თვისებებს ავლენენ, კერძოდ, თავს იჩენს ტალღის სიგრძის ცვალებადობა ან მილევად ტალღებთან მსგავსება. ხანდახან, მოკლე დროით, ისინი გარკვეული სიხშირის არამილევად ტალღებად გვევლინებიან. კაცამალის აზრით, ტვინის რადიოტალღები შეიძლება იყოს ფიზიკური აგენტი, რომელიც აზრობრივ შთაგონებას ექსპერიმენტატორის ტვინიდან გამოსაკვლევი პირის ტვინს გადასცემს[1].

კაცამალის ცდებმა და თეორიულმა დასკვნებმა, მათმა შესაძლო მნიშვნელობამ ფიზიოლოგიისა და ფსიქოლოგიისათვის, დიდი ინტერესი გამოიწვიეს. თუმცა, ამავე დროს, გამოითქვა მთელი რიგი კრიტიკული შენიშვნებიც ჩვენსა და საზღვარგარეთის სამეცნიერო პრესაში. ამ ცდების კრიტიკულ განხილვას ფიზიკოსის თვალსაზრისით შეიძლება, მაგალითად, გავეცნოთ პროფ. ა. პეტროვსკის სტატიაში[2]. ლენინგრადის ვ. მ. ბეხტერევის სახელობის ტვინის ინსტიტუტში ამ სტრიქონების ავტორის მონაწილეობით სცადეს კაცამალის ცდების გამეორება, რამაც დადებითი შედეგი არ მოგვცა. ჩვენთვის არც ის არის ცნობილი, შეძლო თუ არა ამის გაკეთება ვინმე საზღვარგარეთელმა მკვლევარმა. შეიძლება მხოლოდ მივუთითოთ ორი გერმანელი ფიზიკოსის[3] ცდაზე — აღმოეჩინათ ადამიანისა და ცხოველის კუნთების შეკუმშვის ადგილას დაბალი სიხშირის ელექტრომაგნიტური არე. ამ არეს იპერდა მიღები დისკო, რომელიც შეერთებული იყო სამნათურიანი გამაძლიერებლით სიმებიან გალვანომეტრთან. ფოტოფირზე

---

[1] F. Cazzamalli. Les Ondes électro-magnétiques en corrèlation avec certains Phénomènes psycho-sensoriels Comptes. Rendues de III-e Congrès international de Recherches Psychiques. Paris 1928.

[2] იხ. ა. ა. პეტროვსკის სტატია — „ტელეფსიქიკური მოვლენები და ტვინის რადიაცია". ჟურნ. „ტელეგრაფია ი ტელეფონია ბეზ პროვოდოვ", 1926. № 34 გვ. 61.

[3] იხ. ფ. ზაუერბუხისა და ვ. შუმანის სტატიები (F. Sauerbruch. W. Schumann) ჟურნალში „Zeitschrift für technische Physik". — 1928, № 3, Leipzig, S. 26, 315.

აღრიცხულ რხევათა სიხშირე შეესაბამებოდა იმ ბიოდენის რიტმს, რომელიც ცენტრალური ნერვული სისტემიდან შეკუმშულ კუნთში მიდიოდა. (50 ჰერცამდე). ამ სიხშირეს შეესაბამება უდიდესი სიგრძის — 6 ათას კილომეტრამდე — ელექტრომაგნიტური ტალღები. სწორედ ამ ტალღებს თვლის პ. პ. ლაზარევი იმ ფიზიკურ აგენტად, რომელსაც შეუძლია განახორციელოს აზრობრივი შთაგონება.

ამრიგად, იმასთან დაკავშირებით, თუ რა სახისაა მომუშავე ტვინის მიერ წარმოქმნილი ელექტრომაგნიტური ენერგია, რომელიც გამოიყოფა გარემომცველ გარემოში და სხვა ტვინში შეღწევისას იწვევს გარკვეულ ნერვულ-ფსიქიკურ პროცესებს, ორი შეხედულება იყო გამოთქმული: ლაზარევის მიხედვით, ეს უდიდესი სიგრძის დაბალი სიხშირის ელექტრომაგნიტური ტალღებია, კაცამალის აზრით კი — ზემაღალი სიხშირის ძალიან მოკლე ტალღები. ტვინის ეს ორივე სახის ტალღები რომ არსებულად მივიჩნიოთ, მაინც რჩება ერთი გაურკვეველი საკითხი: შესწევთ თუ არა მათ უნარი გააღიზიანონ სხვა ტვინის ქერქი და ამგვარად უშუალოდ, გრძნობის ორგანოთა ჩაურევლად გამოიწვიონ ნერვოფსიქიკური პროცესები?

ამ საკითხებზე შემდეგი მონაცემები მოგვეპოვება. ცნობილი ფიზიოლოგის ვ. ი. დანილევსკის შრომებმა გვიჩვენეს, რომ დაბალი სიხშირის (50 — 100 ჰერცი) ელექტრომაგნიტური არეების ზემოქმედებით შეიძლება მანძილზე გავაღიზიანოთ ორგანიზმიდან გამოყოფილი ნერვები და კუნთები, აგრეთვე გავზარდოთ ცხოველებისა და ადამიანთა ცენტრალური ნერვული სისტემის აგზნებადობა[1]. ახლახან ჩვენს ლაბორატორიაში შესაძლებელი გახდა პირობითი რეფლექსების გამომუშავება ჯანმრთელ გამოსაკვლევ პირებში მათ მიერ შეუგრძნობელი დაბალი სიხშირის ელექტრომაგნიტური არის (200 ჰერცი) მოქმედების მიმართ[2]. მაშასადამე, ამ ფიზიკურ ფაქტორს უნარი შესწევს იმოქმედოს „ფსიქიკის ორგანო-

[1] იხ. ვ. ი. დანილევსკი. გამოკვლევები ელექტროდენის მანძილზე ფიზიოლოგიური მოქმედების შესახებ, ტ. I, ხარკოვი, 1900; ტ. II ხარკოვი, 1901.

[2] იხ. ფ. პ. პეტროვი. დაბალი სიხშირის ელექტრომაგნიტური არის მოქმედება უმაღლესი ნერვული სისტემის მუშაობაზე — „ი. პ. პავლოვის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის შრომები", ტ. I, 1952, გვ. 369.

ზე“ — ტვინის ნახევარსფეროების ქერქზე. ანალოგიური მონაცემები მოგვეპოვება ზემაღალი სიხშირის ელექტრომაგნიტური არეებისათვის, თუმცა ცოცხალ ქსოვილებზე მათი მოქმედების მექანიზმი ძირფესვიანად განსხვავდება დაბალი სიხშირის არეების მოქმედებისაგან. ასე, პ. პ. ლაზარევის ერთ-ერთმა მიმდევარმა ადაპტომეტრიის მეთოდით დაადგინა თავის გამოსაკვლევ პირებში ერთი სანტიმეტრი სიგრძის ელექტრომაგნიტური ტალღების მოქმედებისას ნერვული სისტემის მგრძნობიარობის მკვეთრი ზრდა[1]. ამ საკითხზე უახლოესი მონაცემები შეიძლება ვნახოთ პროფ. ა. ვ. ტრიუმფოვის ხელმძღვანელობით ჩატარებულ ექსპერიმენტულ სამუშაოთა კრებულში[2].

დაბალი და მაღალი სიხშირის ელექტრომაგნიტურ ტალღებს აღნიშნული საშუალებით ტვინზე ზემოქმედება შეუძლიათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მათი ძალა, — როგორც ფიზიოლოგები ამბობენ, — ზღვრულ სიდიდეს აღწევს, ესე იგი ავლენს ისეთ ინტენსივობას, რომლის დროსაც მათ მიერ გამოწვეული ნერვული პროცესები ადამიანმა შეიძლება აღიქვას სუბიექტურად. ამ მოვლენას ყურადღება მიაქცია საბჭოთა ფიზიკოსმა პროფესორმა ვ. კ. არკადიევმა. მათემატიკურ გამოანგარიშებათა საფუძველზე მან დაასკვნა, რომ მომუშავე ტვინის ბიოდენის მიერ შექმნილ ელექტრომაგნიტურ არეთა სიმძლავრე ძალზე უმნიშვნელოა და არ აღწევს ზღვრულ სიდიდეს. იგი გაცილებით ნაკლები ძალისაა, ვიდრე იმ ელექტროდანადგარებსა და მავთულებში შექმნილი ელექტრომაგნიტური არეები, რომელთა შორისაც უხდება ცხოვრება და მუშაობა თანამედროვე ადამიანს. ამის საფუძველზე აზრობრივი შთაგონების გადაცემის ელექტრომაგნიტურ ჰიპოთეზას ვ. კ. არკადიევმა უარყოფითი შეფასება მისცა[1].

---

1 იხ. ს. ი. ტ ურ ლ ი გ ი ნ ი. სანტიმეტრიანი ტალღების ზემოქმედების შესახებ ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მოხსენებები. ტ, XVII, 1937, № 1-2, გვ. 19.

2 იხ. „ზემაღალი სიხშირის ელექტრომაგნიტური არის ბიოლოგიური მოქმედების შესახებ“. კრებული, ლ., 1957.

3 იხ. ვ. ა რ კ ა დ ი ე ვ ი. აზრობრივი შთაგონების გადაცემის ელექტრომაგნიტური ჰიპოთეზის შესახებ, „ჟურნალ პრიკლადნოი ფიზიკი“, 1924, ტ. I, გვ. 215.

ამ ჰიპოთეზის სისწორის მტკიცება თუ უარყოფა კიდევ ერთი მეთოდით შეიძლება, სახელდობრ, — შთამაგონებლის (ექსპერიმენტატორის) ან აზრობრივი შთაგონების აღმქმელის (გამოსაკვლევი პირის) ლითონით ეკრანირების მეთოდით. საბჭოთა კავშირში ეს მეთოდი პირველად გამოიყენა ინჟინერ-ელექტრიკოსმა ბ. ბ. კაჟინსკიმ. მისი მონაცემებით, ლითონით ეკრანირება აფერხებს აზრობრივი შთაგონების გადაცემას. ასეთივე შედეგები ჰქონდა მიღებული ჩვენ მიერ უკვე ნახსენებ ფიზიკოსს ს. ი. ტურლიგინს [1].

ბ. ბ. კაჟინსკის დამსახურება ისაა, რომ მან პირველმა სცადა გაეცა პასუხი, თუ როგორ ახერხებენ ნერვული ქსოვილების სტრუქტურული ელემენტები მაღალი სიხშირის ელექტრომაგნიტური ტალღების გენერირებას. იგი აღნიშნავს, რომ ელექტროტექნიკაში ასეთი ტალღების მისაღებად იყენებენ ცვალებადი დენის მავთულების შეკრულ, რხევად წრეს, რომელიც შეიცავს კონდენსატორს, სოლენოიდის ხვეულებს და აქვს გარკვეული ომური წინაღობა. ნერვულ სისტემაში ცვალებადი დენი ბიოდენია, რომელიც წარმოადგენს ნერვული აგზნების საფუძველს. კაჟინსკის მიაჩნია, რომ დენდრიტების (ნერვული უჯრედების მორჩების) ფირფიტისებური დაბოლოებანი უჯრედების კონდენსატორებია, ნერვული ბოჭკოების ხვეულები შეკრულ, რხევად კონტურში თანმიმდევრულად ჩართულ სოლენოიდებს წარმოადგენენ, ყველაფერი ეს კი — უჯრედების ვიბრატორია, რომელიც შესაბამისი სიგრძის ელექტრომაგნიტური ტალღების გენერაციას ახდენს [2].

აღნიშნულ საკითხზე კაჟინსკის წარმოდგენებზე დაყრდნობით, გამოჩენილმა ჰისტოფიზიოლოგმა აკადემიკოსმა ა. ვ. ლეონტოვიჩმა თავის ელექტროტექნიკოს შვილთან ერთად სცადა თეორიულად გამოეთვალა იმ ელექტრომაგნიტური ტალღების სიგრძე, რომელთა გენერაციასაც ტვინის უჯრედების ვიბრატორები ახდენენ. ამასთანავე, მხედველობაში იყო მიღებული:

---

[1] იხ. ს. ი. ტ უ რ ლ ი გ ი ნ ი. ადამიანის ორგანიზმის მიერ მიკროტალღების (1ı — 2 მმ) გამოსხივება, „ბიულეტენ ექსპერიმენტალნოი ბიოლოგიი ი მედიცინი“, 1942, ტ. 14, გამოც. 4, გვ. 63.

[2] იხ. ბ. ბ. კ ა ჟ ი ნ ს კ ი. აზრების გადაცემა. მ., 1923; ბ. ბ. კაჟინსკი ბიოლოგიური რადიოკავშირი. კიევი, 1962.

ბიოდენის ელექტრომამოძრავებელი ძალის სიდიდე, უჯრედთა კონდენსატორების შესაძლებელი ტევადობა, ნერვულ გამტართა ომური წინაღობა და ა. შ. ასეთი გამოთვლის შედეგები საკმაოდ დაემთხვა კაცამალის ცდებით დადგენილ ტვინის რადიოტალღების სიგრძის დიაპაზონს [1]. მაგრამ არსებობს საწინააღმდეგო ექსპერიმენტული მონაცემებიც, რომელთა მიხედვით ინდუქტორისა და პერციპიენტის ეკრანირება 1 — 3 მილიმეტრი სისქის მქონე რკინისა და ტყვიის კამერებით არ აფერხებდა და შესამჩნევად არც კი ასუსტებდა ძილისა ან გაღვიძების აზრობრივი შთაგონების გადაცემას [2]. ასეთი კამერები არ ატარებენ მოკლე (სანტიმეტრისა და მეტრის სიგრძის) ტალღებს და მნიშვნელოვნად ასუსტებენ გრძელ (კილომეტრის სიგრძის) ელექტრომაგნიტურ ტალღებს. თუ შეიძლება დავეყრდნოთ ჩვენში უკვე ფართოდ გავრცელებულ ცნობებს აზრობრივი შთაგონების ამერიკული ცდების შესახებ, რაც თითქოსდა წყალქვეშა ნავ „ნაუტილუსზე" ჩატარდა, მაშინ ნათქვამს ისიც შეიძლება დავუმატოთ, რომ არც ზღვის წყლის კილომეტრიანი სისქე, არც წყალქვეშა ნავის ფოლადის ჯავშანი არ წარმოადგენენ დაბრკოლებას იმ ენერგიის გავლისათვის, რომელიც აზრობრივ შთაგონებას ახორციელებს [3]. ეს ეჭვის ქვეშ აყენებს შთაგონების მოვლენების მანძილზე გადაცემის ელექტრომაგნიტური ბუნების შესახებ ჰიპოთეზის სისწორეს.

ყველაფერი, რაც ამ თავშია გადმოცემული, გვიჩვენებს, რომ აზრობრივი შთაგონების ფაქტების გამოკვლევასა და მათ ახსნა-განმარტებაში, — ერთი ტვინის მეორეზე ელექტრომაგნიტური გავლენის თვალსაზრისით, — დღემდე მიღწეული შედეგები არ იძლევიან საბოლოო დასკვნის გაკეთების საშუალებას. მაგრამ დავუშვათ, რომ შემდგომში მეცნიერებმა ამას მიაღწიეს, ესე იგი შეძლეს იმის ჩვენება, რომ ზოგიერთი ხელსაყრელი პირობების გავლენით, — თუნდაც ეს პირობები იშ-

---

[1] იხ. ა. ლ ე ო ნ ტ ი ე ვ ი ჩ ი ს სტატია „უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის საიუბილეო კრებულში", ტ. I, უ ფ ა. 1944, (უკრაინულ ენაზე).

[2] იხ. ლ. ლ. ვ ა ს ი ლ ი ე ვ ი ს მონოგრაფია. აზრობრივი შთაგონების ექსპერიმენტული გამოკვლევები. ლ გ უ-ს გამოცემა, 1962.

[3] იხ. ჟურნ. „ზნანიე — სილა", 1960, № 12, გვ. 18.

ვიათობას წარმოადგენდნენ, — ერთი ტვინი შეიძლება გახდეს ელექტრომაგნიტური ან რაიმე სხვა, ჯერ კიდევ უცნობი ტალღების გადაცემის სადგური, მეორე კი — ამ ტალღების მიმღები სადგური. დავუშვათ, აგრეთვე, რომ მიღებულ ტალღებს შეეძლებათ თავის ტვინის ქერქში შესაბამისი ნერვულ-ფსიქიკური პროცესები გამოიწვიონ. ისმება კითხვა: მიაყენებს თუ არა ეს რაიმე ზიანს მატერიალისტურ მსოფლმხედველობას, ფიზიოლოგიური მეცნიერების საყოველთაოდ მიღებულ დებულებებს? რასაკვირველია არა[1]. პირიქით, ფიზიოლოგიური კვლევისათვის გადაიშლება ახალი ფართო ასპარეზი, ზოგიერთი ძნელად აღმოსაფხვრელი მისტიკური წარმოდგენის წინააღმდეგ კი გამოიძებნება მეცნიერული მატერიალისტური ანალიზის უფრო ბასრი, გამანადგურებელი იარაღი.

---

1 ამას აღიარებს პროფ. ვ. პ. ტუგარინოვიც თავის სტატიაში „კიდევ ერთხელ აზრის გადაცემის შესახებ". ჟურნ. „ზნანიე—სილა", 1961, № 7, გვ. 22.

VII

რა შეიძლება ითქვას „არაგრძნობადი აღქმის“ შესახებ?

პარაფსიქოლოგებს მიაჩნიათ, რომ ცოცხალმა არსებებმა. კერძოდ ადამიანმა, ევოლუციის პროცესში გამოიმუშავა მანძილზე აღქმისა და ზემოქმედების ისეთი ორგანული მოწყობილობანი, რომლებიც შეიძლება შევადაროთ რადიოტექნიკისა და რადიოელექტრონიკის თანამედროვე მიღწევებს. ასე მაგალითად, ტელეპატია მოგვაგონებს კავშირს, რომელსაც უმავთულო ტელეგრაფი ან რადიო ახორციელებს; ტელესტეზია — სატელევიზიო კავშირს; ტელეკინეზი — ტელემექანიკას, ელექტრულ ხელსაწყოთა საშუალებით სხვადასხვა ხელსაწყოებისა და პროცესების მანძილზე მართვას.

ეს შეხედულება არავითარ უაზრობას არ შეიცავს. მისი დამამტკიცებელი მრავალი მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ.

თვალის მოწყობილობა ფუნქციონირებს დაახლოებით ისე როგორც ფოტოაპარატი: ბროლი თავისებური ობიექტივია, ბადურას შუქმგრძნობიარე უჯრედების ფენა (პატარა ჩხირები და კოლბები), თუ შეიძლება ასე ითქვას, ცოცხალი ფოტოფირფიტაა და ა. შ. ულტრაბგერითი ლოკაციის ორგანოები აქვთ დელფინებსა და ზოგიერთ ღამის ცხოველებს (ღამურებს), ხოლო რადიოლოკაციის ორგანოები კი — თევზებს, რომლებიც მდინარეთა მღვრიე წყალში ბინადრობენ (ნილოსის გრძელცხვირა)[1].

მთელ რიგ შემთხვევებში ტექნიკამ გაუსწრო იმას, რასაც ევოლუციის პროცესში ცოცხალმა არსებებმა მიაღწიეს. სამა-

---

[1] ამ საკითხებს ახლა შეისწავლის ახალი მეცნიერება, რომელიც ბიოელექტრონიკის ან ბიონიკის სახელწოდებას ატარებს.

გიეროდ, ბევრ სხვა შემთხვევაში ადამიანის გამჭრიახობა აშკარად ჩამორჩება ცოცხალი ბუნების შესაძლებლობებს. ასე მაგალითად, ჰაერის არავითარი ქიმიური ანალიზით არ ხერხდება იმ დამახასიათებელი სუნის გამოცნობა, რომელსაც მონადირე ძაღლისა და ბევრი სხვა გარეული ცხოველის ყნოსვითი აპარატი არჩევს.

სპეციალური ცდებისა და დაკვირვებათა საშუალებით პარაფსიქოლოგებს განზრახული აქვთ დაამტკიცონ, რომ ზოგიერთი ცხოველი და ცალკეული ადამიანი საგნებისა და მოვლენების აღქმის უნარს ისეთ პირობებშიც იჩენენ, რომლებშიც ჩვეულებრივი გრძნობის ორგანოებით (მხედველობით, სმენით, შეხებითა და ყნოსვით) მათი აღქმის შესაძლებლობა თითქოს სრულიად გამორიცხულია. მაგალითად, იმის გაგება, თუ რა დევს დაბეჭდილ, გაუმჭირვალე კონვერტში („ნათელხილვა") ან რა ხდება ძალიან დიდ მანძილზე („შორსმჭვრეტელობა"). პირველს ტექნიკაში შეესაბამება რენტგენოსკოპია, მეორეს — ტელეხედვა.

ახლა გავეცნოთ ზოგიერთ მოვლენას, რომელიც, პარაფსიქოლოგების აზრით, ნამდვილად არსებობს და ადასტურებს „არაგრძნობადი აღქმის" (Exstra Sensory Perception) რეალობას. მათ შორის პირველ ადგილზე უნდა დავაყენოთ ჯერ კიდევ ბერძნებისა და რომაელებისათვის ცნობილი მიწისქვეშა წყლებისა და მადნის აღმოჩენის ხერხი წყლისმძებნელი (მადნისმძებნელი) ჯოხის საშუალებით.

ასეთ შემთხვევებში ადამიანის ორგანიზმის რეაქტიულობის გამოვლინების გასაოცარ ნაირსახეობებს ტომსკის ტექნოლოგიური ინსტიტუტის პროფესორი, ინჟინერი ნ. ა. კაშკაროვი თავის დროზე შემდეგნაირად ახასიათებდა:

„წყლისმძებნელობის უნარით დაჯილდოებულ ადამიანს ხელში უკავია უბრალო, ბოლოგაპობილი (ჩანგლისებურად) თხილის პატარა ტოტი და ამა თუ იმ მხარეს მობრუნებით, რასაც მისი რეფლექსური (შეუგნებელი) კრუნჩხვითი მოძრაობა იწვევს, შეუძლია აჩვენოს მიწისქვეშა ნაკადის ადგილმდებარეობა, განსაზღვროს მისი სიგანე, დახლოებით რა სიღრმეზეა მიწის ზედაპირიდან, მოძრაობის მიმართულება და აგრეთვე აწარმოოს დაკვირვება მის დინებაზე. ბევრი წყლისმძებნელი

არა მარტო მიწისქვეშა წყლების ნაკადის გავლენას შეიგრძნობს, არამედ გაზების ნაკადისას, ელექტროდენისას, თუ ამ დენის გავლენის არეში იმყოფება, და ბოლოს ლითონისა და მადნის საბადოების აღმოჩენასაც კი ახერხებს. ხანგრძლივი მომზადების შემდეგ ზოგიერთი მძებნელი ივითარებს უნარს, განასხვავოს სხვადასხვა ნივთიერებებით გამოწვეული შეგრძნებები და განსაზღვროს სახელდობრ, რა ახდენს მასზე ზემოქმედებას მოცემულ ადგილზე"[1].



ლითონის ჯოხი, რომელსაც წყლისმაძიებლები ხმარობენ.

წყლისმძებნელი ჯოხის საკითხი დღემდე ინარჩუნებს თავის აქტუალობას, რადგან ეს ხერხი ბევრ ქვეყანაში პოულობს პრაქტიკულ გამოყენებას[2]. მას რთული ისტორია აქვს, საკმაოდ ვრცელი ლიტერატურა მიეძღვნა და არაერთგზის განუხილავთ საერთაშორისო სამეცნიერო კონგრესებზე. ასე მაგალითად, 1913 წელს ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის მეორე კონგრესზე პარიზში მოეწყო მათი კონკურსი, ვინც წყლისმძებნელ ჯოხს იყენებდა. მასში მონაწილე ბევრმა მძებნელმა პროგრამის გათვალისწინებულ ცდებში შემავალი ყველა დავალების შესრულება შეძლო. ეს დავალებები შეესაბამებოდნენ ძებნის იმ სახეებს, რომლებიც ნ. ა. კაშკაროვს აქვს ჩამოთვლილი. კონგრესმა დამტკიცებულად ცნო ფაქტი, რომ ზოგიერთ პირს აქვს წყლებისა და მადნის აღნიშნული ხერხით (ხის ან ლითონის ჯოხის საშუალებით) აღმოჩენის უნარი და

---

[1] ნ. ა. კ ა შ კ ა რ ო ვ ი. მიწისქვეშა წყლების აღმოჩენა მათ მიერ ატმოსფეროში გამოწვეული ცვლილებების მიხედვით. კიევი, 1916, გვ. 5-6.

[2] 1916 წელს ჩეხოსლოვაკიიდან მე მივიღე წყლისმძებნელ სტანისლავ დოკულილის (S. dokulil) წერილი, იგი, ეკამათება რა გერმანელ პროფესორს, რომელსაც ამ საკითხზე წიგნი გამოუქვეყნებია (1957) მწერს, რომ 32 წელია წარმატებით ხმარობს წყლისმძებნელ ჯოხს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების დავალებათა შესასრულებლად.

წამოაყენა წინადადება, რომ მთელი ძალ-ღონე წარემართათ იმ ფიზიკური ძალის გამოსაკვლევად, რომელიც იწვევს მაძიებლებში კუნთურ რეაქციას, რასაც მოძრაობაში მოჰყავს ჯოხი. ძალას, რომელსაც მიწისქვეშა წყარო, მიწისქვეშა გამოქვაბულში დაგროვილი ჰაერი ან ლითონის მადნის საბადო წარმოშობს, შ. რიშემ რაბდიკული (La Aorccrhapdigue) უწოდა. მისი აზრით, ეს რაღაც „ჯერ კიდევ უცნობი ვიბრაციებია", რომელთაც შეუძლიათ გაზარდონ ფიზიოლოგებისა და ფსიქოლოგებისათვის ასევე უცნობი ფარული გრძნობადობა (cryptesthegib) ადამიანის ორგანიზმისა. ამის საფუძველზე რიშე [1], ისევე როგორც ბარეტი[2], ამ მოვლენებს პარაფსიქოლოგიის დარგს მიაკუთვნებდა. ისინი მათ „ნათელხედვის" მონათესავე მოვლენებად თვლიდნენ.

სხვა ავტორები (მაგალითად შევრელი) წყლისმძებნელი ჯოხის მოძრაობაში იდეომოტორულ აქტებთან რაღაც საერთოს ხედავდნენ. მათი აზრით, გამოცდილ მაძიებლებს წყაროს ან მადნის საბადოს ადგილმდებარეობის გამოცნობა შეუძლიათ ნიადაგისა და მცენარეულობის თვისებათა მიხედვით და მაძიებლის ამგვარად აღმოცენებული აზრი ჯოხის შესაბამისი მოძრაობით გამოიხატება.

დასასრულ, ამ საკითხით დაინტერესებული ფიზიკოსები (მაგალითად, ფრანგი ა. მაჟე [3]) ცდილობდნენ მოცემული მოვლენის ბიოფიზიკური თვალსაზრისით განხილვას და გამოსაკვლევი პირისა და მისი ჯოხის ამა თუ იმ ხელსაწყოთი შეცვლას. ასეთი ხელსაწყოს აგება პირველად სცადა შმიდტმა 1903 წელს ბერნში. მიწისქვეშა ნაკადის არსებობას ამ ხელსაწყოს სუსტად დამაგნიტებული ისრის რხევით იგებდნენ [4]. ეს იმას ნიშნავს, რომ საიდუმლო რაბდიკული ძალა თავისი ბუნებით ელექტრული ან მაგნიტური ყოფილა.

---

[1] Ch. Richet. Traité de Métapsychique. 2-éme edition. Paris 1923, p. 297.

[2] იხ. ვ. ბარეტი. ადამიანის ფსიქიკის იდუმალი მოვლენები მ., 1914.

[3] ანრი მაჟე (H. Mager). როგორ მივაგნოთ წყაროებსა და მადნებს თხილის ან ლითონის ჯოხისა და სხვადასხვა მეცნიერულ ხელსაწყოთა საშუალებით. კიევი, 1913.

[4] მისი აღწერილობა იხ. ნ. ა. კაშკაროვის უკვე აღნიშნულ შრომაში „მიწისქვეშა წყლების აღმოჩენა მათ მიერ ატმოსფეროში გამოწვეული ცვლილებების მიხედვით".

ამჟამად მიწის წიაღის რადიოდაზვერვის გაცილებით უფრო რთული ხელსაწყოები და მეთოდები გამოიყენება. მაგრამ. უნდა ვაღიაროთ, რომ აღწერილია ისეთი შემთხვევები, როდესაც ფიზიკური ხელსაწყოები სასურველ შედეგს არ იძლეოდა, წყლის ან მადნის მძებნელი კი ზუსტად წყვეტდა დასმულ ამოცანას. კაშკაროვის მონაცემებით, მძებნელის ორგანიზმი ამჟამად არსებულ ყველა ფიზიკურ ხელსაწყოზე უკეთ რეაგირებს ჰაერის იონიზაციის და ატმოსფერული დაღმავალი ელექტროდენის ცვლილებებზე, რომლებიც შეიძლება შევამჩნიოთ მიწისქვეშა წყლების დინების ან მადნის საბადოთა მდებარეობის ადგილზე, რადგან იქ ყოველთვის წარმოიქმნება ნიადაგიდან ჰაერში რადიოაქტიური გაზის — რადონის გაძლიერებული გამოყოფა.

სახელდობრ, თუ რა არის მძებნელის მოძრაობითი რეაქციის ნამდვილი მიზეზი, რომელიც მათ მადნებისა და წყაროების მიგნებას უადვილებს, ჯერ კიდევ ზუსტად არ არის დადგენილი, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ საკითხის წარმატებით გადაჭრის ბედი უფრო ბიოფიზიკოსების მხარეს იხრება. თუმცა მაინც გაუგებარია, რატომაა წყლების და მადნების მძებნელობის უნარი იშვიათი მოვლენა ადამიანებში. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი იშვიათობა და განსაკუთრებულობა მარტოოდენ ამ უნარისათვის კი არ არის დამახასიათებელი, არამედ იგი ყველა პარაფსიქიკურ მოვლენას ახასიათებს, რაც ძალზე აძნელებს მათ შესწავლას.

არის კიდევ მოვლენების ერთი ჯგუფი, რომლებიც, ისევე როგორც წყლისმძებნელობა, აღინიშნება ტერმინით „ნათელხედვა". მაგრამ წყლისმძებნელობისაგან განსხვავებით, მათ ახასიათებთ გრძნობის ჩვეულებრივ ორგანოთა — მხედველობისა და სმენის მეტისმეტი (ზენორმალური) გამახვილება. ეს განსაკუთრებით ემჩნევათ იმ პირებს, რომლებიც ჰიპნოტიზირებული არიან ან აუტოჰიპნოზის ე. წ. ტრანსის მდგომარეობაში იმყოფებიან[1].

[1] სიტყვა „ტრანსი" (ინგ. trance) წარმოიშვა ლათინურისაგან transire — „გადადის" და ნიშნავს გადასვლას ნორმალური მდგომარეობიდან „უჩვეულო პასიურ მდგომარეობაში, შეგნებულსა თუ შეუგნებელში, ფიზიოლოგიურსა თუ პათოლოგიურში, რომლის დროსაც ტვინის სიცოცხლე ნებისყოფის კონტროლიდან გამოდის" (ბირდი).

მედიცინის მეცნიერებათა ანალებში გრძნობების პათოლოგიური გამახვილების მრავალი შემთხვევაა რეგისტრირებული, მაგალითად, ექიმი ბრაშე გვიდასტურებს შემთხვევას, როდესაც ერთმა თითქოსდა ჯანმრთელმა ადამიანმა უეცრად იგრძნო მხედველობის არაჩვეულებრივი გამახვილება: იგი გარკვევით არჩევდა ძალიან დიდ მანძილზე სულ მცირე საგნებსაც კი. ასეთი მდგომარეობა დაახლოებით ერთი დღე-ღამე გაგრძელდა; შემდეგ აპოპლექსია განუვითარდა და ავადმყოფი გარდაიცვალა. გაკვეთისას მას მხედველობით ბორცვში მარჯვენა მხარეს ახლად წარმოშობილი სისხლის ლეკერტი აღმოაჩნდა; როგორც ექიმი მიტჩელი ადასტურებს, ზოგიერთ მის ნერვულად დაავადებულ პაციენტს ისეთ სინათლეზე შეეძლო კითხვა, რომელზედაც სრულიად ჯანმრთელი ადამიანები ყველაზე მსხვილ საგნებსაც კი დიდი გაჭირვებით არჩევდნენ [1].

ზოგიერთ ჰიპნოტიკსა და ისტერიით დაავადებულს შეიძლება იმდენად გაუმახვილდეს სმენა, რომ ძალზე სუსტი ჩურჩულიც კი საკმაოდ დიდ მანძილზე ესმოდეს.

ხშირ შემთხვევაში მხედველობის ან სმენის მსგავსი გამახვილება წარმოუდგენელ დონეს აღწევს. მომყავს ერთი ასეთი შემთხვევა, რომელიც პოლიცკის ფსიქიატრიულ საავადმყოფოს ექიმებმა ბ. ფ. ბილომ და ა. ი. ლაპიცკიმ წერილობით მაცნობეს. ამ წერილში ლაპარაკია საშუალო ასაკის ალკოჰოლიზმით დაავადებულ ინტელიგენტ ავადმყოფზე. ერთხელ ჰიპნოთერაპიის მორიგი სეანსის დროს საავადმყოფოს მუშაკთა თანდასწრებით ასეთი რამ მოხდა (ავადმყოფობის ისტორია № 186, 1957 წელი):

„გაზეთებისა და ჟურნალების დიდი დასტიდან, რომელიც თაროზე ელაგა, აიღეს გაზეთი და მიაწოდეს ავადმყოფს, თან უბრძანეს — თვალდახუჭულს წაეკითხა მისი სახელწოდება. ავადმყოფი დუმს, თვალებს არ ახელს. მაშინ ექიმი პაციენტის მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითით აკეთებს პასიურ მოძრაობას გაზეთის სათაურთან, თითქოს იგი ხელის კინესტიკური გრძნობის საშუალებით ავადმყოფის ყურადღებას (ტექსტ-

---

[1] იხ. ეჭ. ბირდის სტატია დ. ი. მენდელეევის წიგნში „მასალები სპირიტიზმზე მსჯელობისათვის", გვ. 287.

ზე — თითის მიუკარებლად) აზრობრივად მიაპყრობს სივრცის აღნიშნულ პუნქტს. ავადმყოფი სწორად წარმოთქვამს ბელორუსული გაზეთის „ზვეზდას“ სახელწოდებას. შემდეგ ასეთივე ხერხით პაციენტი სწორად კითხულობს სტატიების სათაურებს, ცალკეულ წინადადებებს, უფრო წვრილი შრიფტით დაბეჭდილ სიტყვებს. თვალდასუჭული კითხულობს გაზეთ „პრავდას“ სათაურებს ერთ ან ორ ფენად დაფარებული სუფთა, უხაზო ქაღალდის ფურცლის ქვეშ. გამოფხიზლების შემდეგ ავადმყოფმა გაიხსენა, რომ სათაურების მსხვილ ნაბეჭდ შრიფტს თითქოს „რაღაც ბურუსში“ ხედავდა, წვრილი შრიფტით ნაბეჭდი ტექსტის ასოები კი „თვალებში ერეოდა“. ცდა ტარდებოდა კაშკაშა განათების პირობებში. განათების გაუარესების შემთხვევაში პაციენტს კითხვა უძნელდებოდა. ასევე ძნელდებოდა კითხვა „ქაღალდის ბარიერის“ (1-2-3 ფურცელი) გაზრდის შესაბამისად. შესაძლებლობა, რომ პაციენტი წინასწარ გაცნობოდა გაზეთებს, სრულიად გამორიცხული იყო, რადგან მას არ ჰქონდა იმ ოთახში შესვლის საშუალება, სადაც გაზეთები ინახებოდა, არც ექსპერიმენტის შესახებ იყო იგი გაფრთხილებული“[1].

ამ ცნობის ავტორები მოგვაკონებენ ერთ-ერთი გამოჩენილი რუსი ფსიქიატრის ს. ს. კორსაკოვის ანალოგიურ დაკვირვებას. ერთ მის პაციენტს — ისტერიულ ქალიშვილს შეეძლო „შეხების, ზოგადი გრძნობებისა და განსაკუთრებული თერმული შეგრძნების საშუალებით“ წაეკითხა კონვერტში ფოტოფირფიტასთან[2] ერთად ჩადებული ქაღალდზე დაწერილი ტექსტი, აგრეთვე წაეკითხა რამდენიმე ფენად დაწყობილ ქაღალდის ქვეშ ამოდებული ნაწერი და დაედგინა კიდეც დამწერის ხელი და მელნის ფერი. პროფესორი კორსაკოვი ამის შესახებ წერდა: „პაციენტებს ზოგჯერ განცვიფრებაში მოჰყავთ დამსწრენი იმით, რომ ისეთ ცნობებს აწვდიან, რომლებიც მათ არ შეიძლება ჰქონოდათ გრძნობის ორგანოთა ჩვეუ-

---

[1] მოყვანილია მოცემული ცნობის ავტორთა ნებართვით.

[2] ფოტოფირფიტას კონვერტში ათავსებდნენ კონტროლისათვის, უკეთუ პაციენტი კონვერტში ჩახედვას შეეცდებოდა (ცდის შემდეგ ფოტოფირფიტას ამოღავნებდნენ).

ლებრივი ამთვისებლობის შემთხვევაში და რომლებიც მიამიტ ადამიანებს თითქმის ზებუნებრივ გამოვლინებად მიაჩნდათ"[1].

მსგავსი ექსპერიმენტი იქნა ჩატარებული ნიჟნე ტაგილის პედაგოგიური ინსტიტუტის ფსიქოლოგიურ ლაბორატორიაში 1962 წელს. მას ყურადღება მიაპყრო ფსიქოლოგთა საკავშირო საზოგადოების ურალის განყოფილების სამეცნიერო კონფერენციამ. გაზეთებში ბევრი დაიწერა იმის შესახებ თუ როგორ განახორციელეს ეს ცდები.

„როზა კულეშოვას თავსაფრით თვალები აუხვიეს. მაგრამ იგი მარჯვენა ხელის თითებს დაბეჭდილ ტექსტზე ატარებდა და თავისუფლად განაგრძობდა გაზეთის კითხვას. მას ფოტოსურათი მიაწოდეს და როზამ ისევ თვალებახვეულმა თითებით გამოიცნო სურათზე აღბეჭდილი პირის პოზა და გარეგნობა. შუქგაუმტარი ქაღალდის კონვერტში სხვადასხვა ფერის ქაღალდის ნაჭრები ჩადეს და კულეშოვამ თვითეული მათგანის ფერი დაასახელა. დახურული პარკიდან როზა უშეცდომოდ იღებდა განსაზღვრული ფერის ძაფის გორგლებს ან დათქმულ სათამაშო კარტს. ხელის შეხებით იგი საფოსტო მარკაზე გამოსახულ მცირე ზომის ნახატების შინაარსსაც კი იგებდა.

თვითონ როზა ამას ასე განმარტავს: ფერადოვან ზედაპირზე ხელის შეხებისას იგი ერთ ფერს ტალღისებური ხაზებივით აღიქვამს, მეორეს — წერტილებად, მესამეს — პატარა ჯვრების სახით. ამ შეგრძნებებთან ერთდროულად მის ცნობიერებაში წარმოიქმნება აღნიშნული ფერის მხედველობითი წარმოდგენაც. არაჩვეულებრივი შეხებითი გრძნობიერება კულეშოვამ გამოიმუშავა დაჟინებული ვარჯიშით. ერთ დროს იგი ბრმების სკოლაში მუშაობდა. მის შემდეგ, რაც მან რევმატიული ენცეფალიტი გადაიტანა, შეხების გრძნობა გაუმახვილდა. როზას, თუ შეიძლება ასე ითქვას, ხელის შეხებით ფერთა ხედვის უნარი გაუჩნდა"[2]. როგორც ეს შემდგომმა ცდებმა ცხადყვეს, როზას შეუძლია ხელით წაიკითხოს ტექსტი, რომელსაც ზემოდან ცელულოიდის აპკი აქვს გადაკრული. ცდის წარმატებისა-

---

1 ს. ს. კორსაკოვი. ფსიქიატრიის კურსი, ტ. I, გამოც. 3, მოსკ., 1913, გვ. 95 — 96.

2 გაზეთი „ურალსკი რაბოჩი", 1962 წ. 12 ოქტომბერი; „იზვესტია", 1962 წ. 24 ოქტომბერი, გვ. 6; „სმენა", 1962 წ. 15 დეკემბერი.

თვის სრულებით არ არის აუცილებელი თვით ობიექტზე თითებით შეხება.

მეცნიერები ვერ გარკვეულან ამ უცნაურ მოვლენებში და სხვადასხვანაირად განმარტავენ მათ. ერთნი მიიჩნევენ, რომ კულეშოვა რეაგირებს საგნების სხვადასხვაფერად შეღებილი ზედაპირის ტემპერატურის უმნიშვნელო სხვაობაზე. იქნებ სწორედ ამიტომაა, რომ მას შეხების გრძნობა სიბნელეში უფრო სუსტი აქვს. მეორენი ფიქრობენ, რომ როზა თითებით შეიგრძნობს საღებავი ნივთიერების სტრუქტურულ სხვაობას; მესამენი ამასთან დაკავშირებით იხსენებენ პროფესორ ა. ნ. ლეონტიევს, რომელმაც ჯერ კიდევ 20 წლის წინათ იპოვა სინათლის ნაკადის შეგრძნებისადმი ხელისგულის კანის სენსიბილიზაციის (ესე იგი, მგრძნობიარობის გაზრდის) ხერხი, რომლის დროსაც სინათლის სითბური ზემოქმედება მთლიანად იყო გამორიცხული სპეციალური ფილტრებით. კანის გარკვეული უბნის სენსიბილიზაციას იწვევდნენ კანის სხვა უბნის ელექტრული გაღიზიანებით, რაც საშუალებას აძლევდა გამოსაკვლევ პირს გაეგო როდის იწყებოდა და მთავრდებოდა კანზე სინათლის ზემოქმედება. საიმედოდ თვალებახვეული გამოსაკვლევი პირი თავისი კანით არა მარტო შეიგრძნობდა სინათლეს, არამედ არჩევდა კიდეც წითელ სხივს მწვანისაგან.

როგორც ჩანს, მსგავს შემთხვევებზე გამოთქვა ერთხელ ი. პ. პავლოვმაც თავისი აზრი. ძაღლზე ცდების ჩატარებისას პირობითი გაღიზიანებების არაჩვეულებრივად ფაქიზი დიფერენცირების აღწერის შემდეგ იგი დასძენს: „ადამიანებში უმაღლესი შეგნებული მოქმედება დიფერენცირების ამ უმდაბლესი უნარის საწინააღმდეგოდ მიმდინარეობს და ხელს უშლის ფაქიზ დიფერენცირებას. ეს რომ ასეა, იმით მტკიცდება, რომ ჩვეულებრივი შეგნებული მოქმედების შეცვლისას ზოგჯერ ადამიანის მადიფერენცირებელი უნარი მახვილდება. განსაკუთრებულ მდგომარეობებში, ეგრეთწოდებული ნათელხილვისას, ეს უნარი უსაზღვრო სიფაქიზეს აღწევს“[1].

ჩვენ მიერ მოყვანილი ცდების აღწერილობაში არაფერია

---

[1] ი. პ. პ ა ვ ლ ო ვ ი. ლექციები ფიზიოლოგიაში. თხზულებათა სრული კრებული, ტ. V, 1952, გვ. 520.

ნათქვამი იცოდა თუ არა თვით ექსპერიმენტატორმა ყველაფერი ისე, რასაც აღნიშნულ პირობებში გამოსაკვლევი პირი აღიქვამდა. თუ იცოდა, მაშინ ცდებში მიღებული შედეგები გამოსაკვლევი პირისათვის იმის უნებლიე აზრობრივ შთაგონებას შეიძლები მივაწეროთ, რაც ექსპერიმენტატორმა ან სხვა ვინმე ცდაზე დამსწრეთაგანმა იცის, ან რასაც ისინი ხედავენ. ტელეპატიური გადაცემის შესაძლებლობის გამოსარიცხად პარაფსიქოლოგები გამოსაკვლევ პირს გადასცემენ კონვერტს ისეთი დავალებით, რომელიც არც ერთი ცდაზე დამსწრეთაგანისათვის არ არის ცნობილი. დაბეჭდილ კონვერტს უცნობი დავალებით (მაგალითად, ნახატით ან დაწერილი ფრაზით) წინასწარ ამზადებს გამოსაკვლევისათვის უცნობი პირი, რომელიც ცდას არ ესწრება და არც იცის, როდის და ვის ჩაუტარებენ ცდას.

პარაფსიქოლოგიურ ლიტერატურაში აღწერილია ბევრი ცდა, რომლებიც ამგვარ პირობებში ჩაუტარებიათ ვითომდა ნათელხედვის უნარის მქონე პირებთან. მათგან ყველაზე დიდი წარმატება წილად ხვდა პოლონელ ინჟინერს სტეფანე ოსოვეცკის. 1921 წელს შ. რიშე თავისი თანამშრომლებით პარიზიდან ვარშავაში ჩავიდა, რათა ჩაეტარებინა მასთან ცდების სერია. რიშეს რომელიმე თანამშრომელი ან პარიზელი ნაცნობი ცდამდე ამზადებდა რაიმე წარწერას ან შტრიხებიან ნახატს, სდებდა მას შუქგაუმტარ კონვერტში, აწებებდა და გადასცემდა რიშეს. რიშე ასეთი კონვერტებით მიდიოდა ცდაზე. არც თვითონ რიშემ, არც ვინმე დამსწრეთაგანმა არ იცოდა, რა იყო კონვერტებში, რომლებსაც ერთიმეორის მიყოლებით გადასცემდნენ ოსოვეცკის; უკანასკნელი ხელში ჭმუჭნიდა კონვერტს და სწრაფად, თითქმის ყოველთვის ზუსტად ამბობდა რა იყო შიგ.

მაგალითად, პარაფსიქოლოგმა რ. სიუდარმა კონვერტში ჩადო ბარათი, რომელზედაც ეწერა პასკალის სიტყვები: „ადამიანი ხომ უბრალო ლერწამია, ყველაზე უსუსური ბუნებაში, მაგრამ ეს ლერწამი აზროვნებს“.

ოსოვეცკიმ წაიკითხა: „პასკალის აზრებიდან. ადამიანი სუსტი არსებაა, იგი სუსტი ლერწამია, ლერწამი უმეტესად მოაზროვნე“.

სხვა ცდის დროს ოსოვეცკის გადასცეს დარჩილული ტყვიის ბილი შიგ ჩატანებული ბარათით. გამოსაკვლევემა პირმა განაცხადა: „ეს არის ნახატი. კაცი დიდი ულვაშებითა და სქელი წარბებით, ცხვირი არა აქვს. სამხედრო ტანსაცმელი აცვია. იგი პილსუდსკის ჰგავს. ამ კაცს არაფრის არ ეშინია, იგი რაინდს ჰგავს“.

ცნობილ პერციპიენტ ინჟინერ ოსოვეცკიზე ჩატარებული პროფ. რიშეს ცდებიდან.

მილაკიდან (რომლის კედლების სისქე 3 სანტიმეტრს უდრიდა) ამოიღეს ნახატი, რომელიც ზუსტად ისეთი იყო, როგორც ოსოვეცკიმ აღწერა. ნახატის ქვეშ იყო წარწერა: „რაინდი — უშიშარი და უნაკლო“ [1].

ვარშავაში ყოფნის დროს რიშემ თერთმეტი ამგვარი ცდა ჩაატარა და ყველა მათგანმა დაახლოებით იგივე შედეგი მოგვცა, რაც ჩვენ მიერ მოყვანილმა ორმა ცდამ.

რიშემ ამ ცდების მტკიცებით მხარეს მაღალი შეფასება მისცა. იგი წერს: „ჩვენ დავრწმუნდით, რომ ის გასაოცარი ფაქტები, რომლებზედაც მოგვითხრობენ ოსოვეცკის სახელთან დაკავშირებით, არავითარ შემთხვევაში გადაჭარბებულად არ შეიძლება ჩაითვალოს“. ჩვენ არ ვიცით ამ ცდების მომზადებისა და ჩატარების ყველა წვრილმანი (რიშეს ისინი ძალიან მოკლედ აქვს გადმოცემული), ამიტომ არ შეგვიძლია უყოყმანოდ მივიღოთ ეს დასკვნები [2]. ნათქვამს იმას დავუმატებთ, რომ ოსოვეცკი თავის ცდებს აწარმოებდა ტრანსის მდგომა-

---

[1] ეს მაგალითები აღებულია რიშეს ტრაქტატიდან (Ch. Richet. Traite de Métapsychique. Paris 1923, p. 251 — 253).

[2] მაგრამ უნდა ითქვას, რომ ოსოვეცკი წლების განმავლობაში უჩვენებდა (და ყოველთვის წარმატებით) თავის ცდებს ძალიან ბევრ სხვადასხვა სპეციალობის მქონე მეცნიერებს და არავის უმხილებია იგი რაიმე სიყალბეში.

რეობაში, რომელსაც იგი თვითშთაგონებითა და გარეშე ფიქ-
რებისაგან განდგომით აღწევდა.

1946 წელს პროფ. პ. ვ. ტერენტიევთან (ბიოლოგ-სტატის-
ტიკოსი) და პროფ. ი. ი. პერიხანიანცთან (ექიმ-თერაპევტი)
ერთად ჩავატარე ანალოგიური ცდების სერია რამდენად კარ-
გად იყო დაყენებული ეს ცდები და რაოდენ საგულისხმოა მა-
თი შედეგები, ეს დაე მკითხველმა განსაჯოს.

გამოსაკვლევ პირად ყოფნის სურვილი გამოთქვა ერთმა
დამწყებმა მეცნიერმა მუშაკმა (ფიზიოლოგმა). იგი არავითარ
პარაფსიქიკურ უნარს არ აღლენდა. ამიტომ ჩვენ ვცადეთ მი-
სი ხელოვნურად გამოწვევა და გაძლიერება მესკალინის შემ-

და ოქმის მწარმოებელს კარებიდან უკარნახებდა აღმოჩენილი საგნის ნომერს (საგნების იმ სიის მიხედვით, რომელიც მას ჰქონდა).

მომყავს 1946 წლის 19 მაისს ჩატარებული ცდების ამ სერიის მთლიანი ოქმი. დასაწყისი 5 საათსა და 25 წუთზე, დასასრული 5 საათსა და 37 წუთზე.

ცდების №	საგნების №	კოლოფებში მოთავსებული საგნები	გამოსაკვლევი პირის პასუხი
1	10	მანეთიანი საფოსტო მარკა, მოსკოვის ცენტრალური ტელეგრაფის შენობის გამოსახულებით	ქვის სახლი. როგორ მოახერხეთ აქ სახლის დამალვა?
2	6	წითელი მარჯნის სამი ტოტი	წითელი ლაქა.
3	4	სპილენძის კაპიკიანი — 1940 წ.	ყველაფერი რაც გნებავთ: სეეტი, ლურჯი ყელსაბამი, კალმისტარი.
4	5	ყვითელი მიმოზის გამხმარი ყვავილი	წითელი ათინათი. მწვანე მაგიდა, მრგვალი მაგიდა, რბილი.
5	7	კომპასი (ბრელოკი).	ყვითელი, ოვალური, მყარი, ნარინჯისფერი ქიერს.
6	2	ნავთობი ქერქის საცობიან სინჯარაში	არაფერი არ არის.
7	9	ტრადესკანციის [1] ნორჩი ფოთოლი	რაღაცა გრძელი, გველი, რგოლი, ლურჯი. სიცივეა. საკმარისია!
8	8	პატარა ბაყაყი (დასპირტული)	თეთრი ბამბა, დიახ, ბამბა, რაღაც ცოცხალი.
9	3	ამეთვისტო	ცხვირსახოცი (გამოსაკვლევი პირი მღერის).
10	1	კოლოფი ცარიელია შიგ მხოლოდ ბამბაა.	თეთრი გადასაფარებელი. ოჰ, მომბეზრდა, იქ ცხოვრობენ, რბილი ადამიანი.

ჩვენი აზრით, ათი ცდიდან პირველი სავსებით წარმატებით დამთავრდა, მეხუთე და მერვე კი ნაწილობრივი წარმატე-

[1] ტ რ ა დ ე ს კ ა ნ ც ი ა — ოთახის ბალახოვანი მცენარეა, გრძელი, ჩამოშვებული წნული ყლორტებით, ფოთლები ოვალური ფორმისა აქვს.

ბით, რადგანაც გამოსაკვლევ პირზე ჩატარებულმა ცდების ორმა საკონტროლო სერიამ პეიოტლის გამოყენებამდე ერთი დღით ადრე და მისი გამოყენებიდან ხუთი დღის შემდეგ არ მოგვცა სასურველი შედეგი (შედეგები საგრძნობლად უარესი იყო).

მკითხველმა შეიძლება იფიქროს, რომ ჩვენ გადაჭარბებულ შეფასებას ვაძლევთ მიღებულ შედეგს, და იგი თავისებურად მართალიც იქნება. მსგავსი ცდების აღმოუფხვრელი ნაკლოვანება ისაა, რომ მათი შეფასება ფრიად სუბიექტურია და საჭვეროა ამ სუბიექტურობის თავიდან აცილება.

ამიტომ თანამედროვე პარაფსიქოლოგები ამჯობინებენ რაოდენობრივი ანალიზის მეთოდიკის გამოყენებას ზენარის კარტებით ცდების საფუძველზე. ამ გზით მიღებული მონაცემების სტატისტიკური აღრიცხვა და მათი ობიექტური შეფასება გაცილებით ადვილია.

ეს მეთოდიკა ტელეპატიასთან შეფარდებით აღწერილია წინა თავში. იგი აგრეთვე „არაგრძნობადი აღქმის“ გამოსავლინებელ ცდებშიც გამოიყენება, მაგრამ ერთი შესწორებით: ექსპერიმენტატორი არ უყურებს მის მიერ ამოღებულ კარტს, მას იგი დასტიდან მოშორებით უკავია და ელოდება, რომ გამოსაკვლევმა პირმა ჩაიწეროს თავისი პასუხი და შემდეგი ცდის დაწყების ნიშანი მისცეს. ექიმ რაინისა და მის მიმდევართა მონაცემებით, პარაფსიქიკური ნიჭით დაჯილდოებულ გამოსაკვლევ პირზე ჩატარებული ასეთი ცდების სერიები ზოგჯერ ისეთივე წარმოუდგენელ შედეგებს იძლევიან, როგორიც მიიღეს იმავე ზენერის კარტებით ჩატარებულ ტელეპატიურ ცდებში.

ჩვენ აქ არ შევჩერდებით შემთხვევებზე, რომლებსაც პარაფსიქოლოგები „შორსმჭვრეტელობად“ მიიჩნევენ, რადგან ორი ასეთი შემთხვევა შ. რიშეს პრაქტიკიდან უკვე მოყვანილია II თავის დასასრულს (იხ. გვ. 32—33).

ახლა ჩვენ შეგვიძლია მოკლედ ვუპასუხოთ შეკითხვაზე, რომელიც ამ თავის სათაურშია დაყენებული. „არაგრძნობადი აღქმის“ ცნებაში გაერთიანებულია სხვადასხვა თვისებისა და ბუნების მოვლენები. ზოგ მათგანს მოძრაობითი რეაქციების ხასიათი აქვს, რაღაც მიწიდან ამოსული გამოსხივებების,

რადიუმის (რადინის) ემანაციისა ან მათ მიერ გამოწვეული ჰაერის ადგილობრივი გაძლიერებული იონიზაციის „შეუგრძნებელი“ (სუბსენსორული) გავლენებისადმი. ზოგიერთი განსაკუთრებულ მგრძნობიარობას იჩენს ჩამოთვლილი გეოფიზიკური ფაქტორებისადმი მაშინ როდესაც უმრავლესობისათვის ისინი მგრძნობიარობის ზღვარს იქით რჩებიან. აქ, როგორც ჩანს, არაფერია პარაფსიქიკური, ისევე როგორც მოვლენათა მეორე ჯგუფში, რომელსაც მხედველობის, სმენისა და სხვა ჩვეულებრივ ანალიზატორთა გრძნობიარობის, დროებითი, ზენორმალური გაძლიერება ახასიათებს. [1] დასასრულ, მოვლენების მესამე ჯგუფი, რომელსაც მხოლოდ პარაფსიქოლოგები ცნობენ, მდგომარეობს საგნებისა და მოვლენების აღქმაში გრძნობის რაღაც ჯერ კიდევ უცნობი ორგანოებით (პროფ. რიშეს კრიპთესტეზია) ან უშუალოდ ტვინის ქერქის ამა თუ იმ ნეირონებით, მაგრამ გრძნობის ჩვეულებრივი ორგანოების გვერდის ავლით, რაც უკვე ძალზე ძნელი წარმოსადგენია.

მოვლენათა ამ უკანასკნელი კატეგორიის არსებობის სასარგებლოდ პარაფსიქოლოგებს ნაკლები მონაცემები აქვთ, ვიდრე გონებრივი რადიოს არსებობის შესახებ. მიუხედავად ამისა, არ შეიძლება უბრალოდ უგულვებელვყოთ რიშეს, რაინისა და ბევრი სხვა მკვლევარის ცდები. საჭიროა შემდგომი ბეჯითი კვლევითი მუშაობა. ჩვენ ვამბობთ: ignoramus sed non ignorabimus (არ ვიცით, მაგრამ გავიგებთ) [1]. ზედმეტი არ იქნება ამას დავუმატოთ, რომ ერთ-ერთ უდიდეს ბიოლოგს ი. ი. მეჩნიკოვს დასაშვებად მიაჩნდა „ნათელხილვის“ არსებობა, იგი მას ცხოველებიდან გადმოსულ ადამიანის ატავისტურ ნიშანთვისებად თვლიდა. ი. ი. მეჩნიკოვი წერდა: „შესაძლებელია, „ნათელხედვის“ ზოგიერთი კარგად დადგენილი მოვლენა იმ განსაკუთრებულ შეგრძნებებთან გაგვეთანაბრებინა, რომლებიც ადამიანს ატროფირებული აქვს, მაგრამ ცხოველებს სჩვევიათ“ [2].

---

[1] დიუბუა რეიმონის ცნობილი ლათინური გამოთქმის „არ ვიცით და ვერც გავიგებთ!“ გადასხვაფერება.

[2] ი. ი. მ ე ჩ ნ ი კ ო ვ ი. ოპტიმიზმის ეტიუდები. მოსკოვი, 1917. გვ. 188.

VIII

შეიძლება თუ არა კუნთის ძალის გადაცემა მანძილზე?

ტელემექანიკის მიღწევები, რადიოელექტრონული აპარატურის შექმნა, რომელიც მანძილზე სხვადასხვა მანქანებისა და საწარმოო პროცესების მართვის საშუალებას იძლევა, უნებლიეთ ბადებს აზრს, ცოცხალ ორგანიზმსაც ხომ არ გააჩნია უნარი, გარკვეულ პირობებში, რაიმე ფორმით და ზომით არა მარტო შეიგრძნოს, არამედ თვითონაც იმოქმედოს მანძილზე მის მიერვე გამომუშავებული ელექტრომაგნიტური ან შეიძლება რაიმე სხვა, ჯერ კიდევ უცნობი ენერგიის საშუალებით? მეხუთე თავში უკვე იყო მოხსენიებული შესანიშნავი ელექტროტექნიკური მოწყობილობა, რომლის მეშვეობითაც ადამიანს, მაშინაც კი, როდესაც იგი ჯერ მხოლოდ ფიქრობს რაიმე მოქმედებაზე, თავისი კუნთების ელექტროდენით მოძრაობაში მოჰყავს „მექანიკური ხელის" თითები. ჩვენ საუბარი გვქონდა (VI თავში) იმაზედაც, რომ კუნთების შეკუმშვით მიღებული დენით აღმოცენებული დაბალი სიხშირის (40 — 50 ჰერცი) ელექტრომაგნიტური არე შეიძლება დავიჭიროთ იმავე სიხშირეზე დაყენებული რადიომიმღებით[1].

ახლო მომავალში შეიძლება ველოდეთ გულისა და ტვინის კუნთებისაგან გამომდინარე ხელოვნურად გაძლიერებული რადიოტალღების ამა თუ იმ პრაქტიკული საჭიროებისათვის

---

[1] ამას ახლა ისიც შეიძლება დავუმატოთ, რომ ამას წინათ (1960 წ.) ამერიკელმა ფიზიკოსებმა კოლკერსმა და კანდიბმა მოახერხეს ადამიანის კუნთების შეკუმშვით მიღებული მაღალი სიხშირის (150 ათას ჰერცამდე) ბიოდენის დაჭერა. ეს დენი ძალზე სუსტია; მიუხედავად ამისა, ისინიც უნდა ახდენდნენ მომუშავე კუნთების გარშემო ასეთივე მაღალი სიხშირის რადიოსიგნალების გენერირებას.

შანძილზე გამოყენებას. მაგრამ არსებობს თუ არა ამ ტალღების რაიმე ბუნებრივი მიმღები თვით ბუნებასა და ცოცხალ არსებათა სამყაროში? დიახ, როგორც ჩანს, არსებობს. აი, ერთი მაგალითი, რომელიც ამაზე მეტყველებს.

1928 წელს პრესაში გამოქვეყნდა პინახის (პალესტინა) მალარიული ლაბორატორიის გამგის რუდოლფ რეიტლერის (R. Reutler) ორიგინალური გამოკვლევა: „იზოლირებულ ცოცხალ ორგანოებზე ცოცხალი ორგანიზმების მანძილზე მოქმედება"[1]. გამოკვლევის ობიექტს წარმოადგენდა პერისტალტიკური შეკუმშვის უნარის მქონე მწერების შინაგანი ორგანოები, კერძოდ, აზიური კალიის საჭმლის მომნელებელი არხი, გამომყოფი სისტემა (მალპიგის ძარღვები) და დედლების სასქესო ჯირკვლები (საკვერცხეები). ეს ორგანოები ამოკვეთის შემდეგ მკვლევარმა პატარა შუშაზე, დაწვეთებულ ფიზიოლოგიურ ხსნარში მრათავსა და ისინი ათი საათის განმავლობაში განაგრძობდნენ რიტმულ შეკუმშვას. და აი, რეიტლერმა შეამჩნია, რომ ამ ორგანოთა შეკუმშვა ძალზე ძლიერდებოდა ყოველთვის, როდესაც იგი ბინოკულარულ ლუპაში ათვალიერებდა მათ და ძლიერად კუმშავდა საკუთარი ხელის ან ფეხის კუნთებს ან კიდევ სასუნთქ კუნთებს (ერთბაშად ღრმად შესუნთქვისას). აღნიშნულ ორგანოთა პერისტალტიკის გაძლიერება ქრებოდა მაშინვე, როგორც კი მკვლევარი წყვეტდა თავისი კუნთების შეკუმშვას. ეს შესანიშნავი მოვლენა რეიტლერმა თავის ცდებში მრავალ პრეპარატზე 80-ჯერ გაიმეორა. ცდები ტარდებოდა ოთახის ძალიან მაღალი (30°-მდე) ტემპერატურის პირობებში, რაც პრეპარატზე მკვლევარის მიერ ამონასუნთქი ჰაერის სითბურ გავლენას გამორიცხავდა. ამ მოვლენას რეიტლერი მაშინაც ამჩნევდა, როდესაც ადამიანის კუნთების ნაცვლად პრეპარატთან მწერები კუმშავდნენ კუნთებს (მაგალითად ობობას ყბის კუნთები იმ დროს, როდესაც იგი ნადავლს შეექცეოდა).

ამრიგად, ერთი ცოცხალი არსების მომუშავე კუნთები შეორე არსების კუნთების შეკუმშვას აძლიერებდნენ მანძილზე. რეიტლერის ცდების ეს შედეგი დადებით პასუხს იძლევა

---

[1] „Revue Métapsychigue". 1928. № 3, p. 197.

ჩვენ მიერ დასმულ კითხვაზე, მაგრამ იგი დამტკიცებას მოითხოვდა და მართლაც დაამტკიცა ლენინგრადის ტვინის ინსტიტუტის ლაბორატორიაში ახალგაზრდა ენტომოლოგმა ვ. ს. სტებილმა[1]. მან რეიტლერის მეთოდურ მითითებათა ზუსტი დაცვით მისი ცდების გამეორება სცადა ზამთრის პერიოდში ადვილად საშოვნ აბანოს ჭიებზე და შემდეგ კი მაისის ხოჭოებზე. აბანოს ჭიებზე ჩატარებული 10 ცდიდან ნაწლავების პერისტალტიკის გაძლიერება მკვეთრად შეიმჩნეოდა მხოლოდ სამ შემთხვევაში: სწორედ იმ დროს, როცა იგი ექსპერიმენტატორის კუნთების ზემოქმედების გარეშეც კარგად იყო გამოხატული. სტებლინი ათი ცდიდან 7 ცდაში გაძლიერებული პერისტალტიკის უქონლობას ცდების ჩატარების საკმაოდ ცუდი პირობებით ხსნის ("შედარებით დაბალი ტემპერატურა ლაბორატორიაში, ცდებისათვის არჩეული მწერების დაქვეითებული ტონუსი.) და, მართლაც, ახალ დაჭერილ მაისის ხოჭოებზე ჩატარებულ ცდებში, ჰაერის 20 — 25° ტემპერატურისას, რეიტლერის ფენომენი შესამჩნევად უცვლელ ხასიათს ატარებდა. მომყავს ნაწყვეტი სტებლინის ლაბორატორიული ჩანაწერებიდან.

„კუჭ-ნაწლავი იკუმშებოდა 5-6 წამის ინტერვალებით. პერისტალტიკური ტალღის აღმოცენებიდან 2-3 წამის შემდეგ, როდესაც კუჭ-ნაწლავი მოსვენების ფაზაში იმყოფებოდა, ექსპერიმენტატორი ღრმად შეისუნთქავდა. შესუნთქვის მომენტში აღინიშნებოდა კუჭ-ნაწლავის ზემო ნაწილის შეკუმშვის რიგგარეშე ტალღა, რომელიც შემდეგ შუა და უკანა ნაწლავზე ვრცელდებოდა. 3-4 წამის შემდეგ ექსპერიმენტატორი ჩქარ სუნთქვას იწყებდა, რასაც, როგორც წესი, მოსდევდა კუჭ-ნაწლავის ენერგიული შეკუმშვა. როდესაც ექსპერიმენტატორი ზედა და ქვედა კიდურების კუნთებს კუმშავდა, ყოველთვის აღინიშნებოდა ზემოაღწერილი ეფექტი". ასეთივე რეაგირებას ახდენდნენ მალპაგის ძარღვები, რომელთა შეკუმშვა

---

[1] ვ. ს. სტებლინი დაიღუპა 1942 წ. ლენინგრადის ბლოკადის დროს. მან თავისი შრომა დაუმთავრებელი დატოვა. მე იგი მომყავს ავტორისაგან მიღებული წინასწარი ცნობების მიხედვით, რომლებიც ჩემს არქივს შემორჩა. ხშირად სტებლინის ცდებს ლაბორატორიის სხვა მუშაკებიც ესწრებოდნენ.

უფრო ხშირ რიტმში მიმდინარეობდა, ვიდრე კუჭ-ნაწლავის (ერთი შეკუმშვა 2-3 წამში).

მე არ ვიცი გაუმეორებია თუ არა უცხოელი მეცნიერებიდან ვინმეს რეიტლერის ცდები[1]. შემიძლია მხოლოდ მოვიყვანო ინგლისელი რიჩმონდის კურიოზული მტკიცება, რომ თითქოს იგი აზროვნების დაძაბვით ახერხებდა მიკროსკოპის მხედველობის გარკვეულ სექტორისაკენ წარემართა პარამეციების უწესრიგო მოძრაობა[2]. ინგლისელის ეს მტკიცება ეხმაურება ჩვენთვის უკვე ცნობილ ექიმ რაინის ყოვლად წარმოუდგენელ მტკიცებას, რომ აზროვნების დაძაბვით შეიძლება რამდენადმე ვმართოთ კამათლის (წახნაგებზე ციფრებით ან რგოლებით მოხატულ ძვლის კუბიკის) ვარდნა, ესე იგი შეიძლება ვაიძულოთ ის დადგეს ჩაფიქრებული წახნაგით ზევით. მსგავს ფაქტებს რაინი და მისი მიმდევრები განიხილავენ ტელეკინეზის (სხვანაირად ფსიქოკინეზის) გამოვლინებად, ანუ ზოგიერთისათვის ვითომც დამახასიათებელ იმ უნარად, რომ „აზროვნებისა და ნებისყოფის დაძაბვით პირდაპირ მექანიკური ზემოქმედება მოახდინოს მატერიაზე". რასაკვირველია, აქაც ლაპარაკი შეიძლება არა თვით აზროვნებასა და ნებისყოფაზე, არამედ იმ ენერგიაზე, რომელსაც ამასთან შესაძლებელია ტვინი გამოასხივებს.

ნახატზე გამოსახულია „კამათლის გამგორებელი მანქანა", რომელსაც რაინის ლაბორატორიაში იყენებდნენ. იგი წარმოადგენს ბადისებურ ცილინდრს, რომელიც ცენტრალური ღერძის გარშემო ტრიალებს, მოძრაობაში ელექტრომოტორს მოჰყავს. მარჯვნივ ექსპერიმენტატორი ზის, მარცხნივ — გამოსაკვლევი პირი. იგი ცდილობს ზემოქმედება მოახდინოს კამათელზე, რომელიც ხელსაწყოდან ვარდება. ამგვარი ცდის პირობებში, ყოველგვარი ჩარევის გარეშე, ვარდნას უბრალო შემთხვევითობა უნდა განაგებდეს, ესე იგი, ცდების საკმაოდ

---

[1] რეიტლერის ფენომენი საბოლოოდ დადგინდება და მას ძალიან დიდი მნიშვნელობა მიენიჭებოდა, თუ მის ელექტროგრაფიკულ რეგისტრირებას მოახერხებდნენ, — შეკუმშული კუჭ-ნაწლავის გამაძლიერებელი დანადგარის მქონე ოსცილოგრაფთან ბიოდენის მიყვანის გზით.

[2] "Journal of the Society for Psychical Research", XXXIV; 1952, p. 577.



გამოსაკვლევი პირი (მარცხნივ) ცდილობს „ტელეკინეტიკურად" იმოქმედოს კამათლის ვარდნაზე (ფოტოსურათი ექიმ რაინის ლაბორატორიიდან).

დიდი რაოდენობითი გამეორებისას კამათლის წახნაგიდან ყოველი წახნაგი თანაბარი რაოდენობით უნდა გამოვიდეს (ყოველი წახნაგის გამოსვლის მოსალოდნელობა უდრის: ერთს 6 ცდაზე). მაგრამ, როგორც რაინი გვარწმუნებს, თუ ტელეკინეტიკური უნარით დაჯილდოებული გამოსაკვლევი პირი დაეკინებით იფიქრებს ერთ რომელიმე წახნაგზე, რომელზედაც, მაგალითად, აღნიშნულია ციფრი „5", და დიდი სურვილი ექნება, რომ ყოველთვის ის გამოვიდეს, მაშინ, თითქოს, მისი წადილი ამაოდ არ ჩაივლის; ცდა წარმოუდგენელ შედეგს მოგვცემს, ესე იგი ცდის ხშირი განმეორების დროს ჩაფიქრებული წახნაგი უფრო მეტჯერ გამოვა, ვიდრე მოსალოდნელია ალბათობის თეორიით. ამავე ცდების სხვა სერიებში ამორჩეულ წახნაგს ყოველი ცდის დროს კენჭისყრით ცვლიდნენ, მაგალითად, ექსპერიმენტატორის მიერ ალალბედზე გადახსნილი წიგნის ფურცლის რიგითი ნომრის შესაბამისად.

პარაფსიქოლოგებმა დიდი შრომა და დრო დახარჯეს ასეთი ცდების ჩასატარებლად, მაგრამ მხოლოდ ზოგიერთმა მიაღწია ალბათობის თეორიით ნავარაუდევ რიცხვიდან სასურველ გადახრას. ასე მაგალითად, ტულესის (R. H. Thouless) ცდებში კამათლის ამორჩეული წახნაგი 16232 ცდიდან 2809-ჯერ გამოვიდა. ამ შემთხვევაში დადებითი გადახრა უდრის 104[1]. ასეთი გადახრის უბრალო შემთხვევითობა 33-დან ერთს უდრის. ამიტომ ტულესის მიერ მიღებული შედეგი არცთუ იმდენად დამაჯერებელია. ზოგიერთი სხვა მკვლევარის შედეგი საერთოდ უდრიდა ნულს[2], ესე იგი არ ცილდებოდა ალბათობის თეორიით ნავარაუდევ რიცხვს.

მატერიალისტურად მოაზროვნე პარაფსიქოლოგებს (არიან ასეთებიც) მსგავს შემთხვევებში არა მარტო ექსპერიმენტული შედეგების უსუსურობა უბიძგებთ არ ერწმუნონ მათ, არამედ რაინისა და მისი მიმდევრების სპირიტუალისტური წარმოდგენები, რომელთა მიხედვითაც ტელეკინეზი „მატერიაზე სულის გავლენის“ მკაფიო დადასტურებად ითვლება. მაგრამ ამ საკითხზე არც მეორე შეხედულებაა უკეთესი, რამდენადაც იგი ვარაუდობს რაღაც ფიზიკურად მოქმედი მატერიალისტური წარმონაქმნის („ფლუიდის“ „ექთოპლაზმის“) არსებობას, რომელსაც თითქოს გამოჰყოფს ტელეკინეტიკური ფენომენების წარმოების უნარის მქონე ადამიანი. მკითხველი, რომელმაც ყურადღებით წაიკითხა ამ წიგნის მეხუთე თავი, ნათქვამში სამართლიანად დაინახავს მედიუმიზმის, სპირიტუალიზმის, ამ ყველაზე ვულგარული ნაირსახეობის, აღდგენას. მაგრამ არსებითი განსხვავება ისაა, რომ სპირიტიზმი ტელეკინეტიკური მოვლენების წარმოების უნარს „სულებს“, ანუ გარდაცვლილ ადამიანთა სულებს მიაწერს, ზოგიერთი თანა-

---

[1] კამათლის თითოეული წახნაგის გამოსვლის ალბათობა 16232 ცდიდან 2705-ს უდრის.

[2] ეს მონაცემები მოყვანილია რობერტ ამადუს წიგნიდან: La Parapsychologie. p. 274 — 282. თვითონ ამადუ, ისევე როგორც ბევრი სხვა გამოჩენილი პარაფსიქოლოგი, ამ ცდების შედეგებს სკეპტიკურად უყურებს. ტელეკინეზის არსებობას აღიარებს თანამედროვე პარაფსიქოლოგთა ნაკლები რიცხვი, ვიდრე ტელესტეზიისა და განსაკუთრებით ტელეპატიის არსებობას.

მედროვე პარაფსიქოლოგი კი მათ „სულის“ არაჩვეულებრივ თვისებას ან უკეთეს შემთხვევაში თვით მედიუმის ფსიქოფიზიკურ აღნაგობის თავისებურებას მიაწერს.

რწმენა, რომ ნამდვილად არსებობენ ტელეკინეტიკური ძალით დაჯილდოებული ადამიანები, ეყრდნობა არა მარტო პარაფსიქოლოგების ლაბორატორიულ გამოკვლევებს, რომლებიც იმედოვნებენ საბოლოოდ დაადგინონ ამ ძალის არსებობა, არამედ ყოფაცხოვრებაში მისი გამოვლინებების ხშირ გადმოცემებსაც.

რა უნდა ითქვას, მაგალითად, ორ შემთხვევაზე, რომლებიც პატივცემულ მწერალ კ. გ. პაუსტოვსკის აქვს აღწერილი თავის ავტობიოგრაფიულ მოთხრობაში? მწერალი იგონებს სამოქალაქო ომის დროის ოდესაში უწყლობის გამო შექმნილ ვითარებას და ამასთან დაკავშირებით ერთ არაჩვეულებრივ თავგადასავალს მოგვითხრობს:

„ჩვენ წყალს ვეზიდებოდით და დერეფანში მდგარ შუშის დიდ ბოცაში ვასხამდით. ერთხელ იაშა ლიფშიცი დერეფანში გამოვიდა და შემზარავად შეჰკივლა. მე ჩემი ოთახიდან გამოვვარდი და უცნაური რამ ვნახე, ჩემსა და იაშას თვალწინ ვეებერთელა ბოცა ნელ-ნელა გადმოიხარა, რამდენიმე წამს პიზას კოშკის პოზაში შეყოვნდა, მერე იატაკს დაენარცხა და ნამსხვრევებად იქცა. ძვირფასი წყალი კიბეზე დაიღვარა. ჩვენ, რასაკვირველია, მოვასწრებდით ხელი გვეტაცნა ბოცისათვის, მაგრამ ამის ნაცვლად ვიდექით და მოჯადოებულივით შევყურებდით მას“.

მეორე შემთხვევას კ. გ. პაუსტოვსკი „კიდევ უფრო გასაოცრად“ თვლის. ერთხელ იგი ავად გახდა და დასჭირდა სიცხის საზომი, რომელიც იმ დროს დიდ იშვიათობას წარმოადგენდა. ძლივს იშოვეს იგი აკადემიკოს ოვსიანიკო-კულიკოვსკისთან. გაუზომეს ავადმყოფს სიცხე და თერმომეტრი იქვე საწოლთან მაგიდაზე დადეს. ამის შემდეგ ავადმყოფს დაეძინა. შემდეგ კი წარმოუდგენელი რამ მოხდა:

იაშამ გამაღვიძა. მან ფრთხილად შემოაღო კარი. კარმა დაიჭრიალა და მე გამეღვიძა. შევხედე მაგიდას და ვიგრძენი, რომ თმა ყალყზე დამიდგა — თერმომეტრი უცბად ნელა წამოგორდა მაგიდის კიდისაკენ. მინდოდა დამეყვირა, მაგრამ

სუნთქვა შეშეკრა. დავინახე რომ იაშასაც შიშისაგან გაოგნებოდა თვალები. ისიც თერმომეტრს უყურებდა და არ ინძრეოდა. თერმომეტრი ნელა მიგორდა მაგიდის კიდემდე, დაეცა იატაკზე და დაიმსხვრა. მე, ალბათ შიშისაგან, სიცხე დამივარდა, მაშინვე გამოვჯანმრთელდი"[1].

რას იტყვის „სულების" მოწმე სპირიტი მწერალ პაუსტოვსკის ცხოვრების ყოველდღიურ დაკვირვებათა ამ ორ კურიოზულ შემთხვევაზე[2]. იგი იტყვის, რომ აღწერილ მოვლენათა ერთ-ერთი მონაწილე, ალბათ იაშა, იყო შეუცნობელი მედიუმი — მატერიალისტურ სამყაროში „სულების" უნებლიე გამტარი. რომელიღაც ცელქმა „სულმა" ისარგებლა იაშას მედიმიური უნარით, რათა გახუმრებოდა მასა და მის მეგობარსო.

ტელეკინეზის არსებობაში დარწმუნებული თანამედროვე პარაფსიქოლოგი სხვანაირად ახსნის მათ. იგი იტყვის, რომ ამ ორში, ერთი ძლიერი მედიუმია, ოღონდ სხვა გაგებით: მისი ორგანიზმი დაჯილდოებულია იშვიათი უნარით გამოყოს რაღაც ენერგია ან მატერია („ფლუიდი", „ექტოპლაზმა") და სწორედ ეს უკანასკნელი აწარმოებს აღნიშნულ მექანიკურ მოქმედებას თვით მედიუმისაგან გარკვეული მანძილის დაშორებითო.

დასასრულ, სკეპტიკოსი ან, უბრალოდ, საღი გონების ადამიანი იტყოდა: სანამ ასეთ სარისკო ვარაუდს გავაკეთებდეთ, მოდი ვნახოთ, ხომ არ შეეძლო ყველაფერი ეს თვითონ იაშას მოეწყო, რათა თავის მეგობარს გახუმრებოდა? რას არ მოიგონებს ოინბაზობის, გართობებისა და მისტიფიკაციების მოყვარული ადამიანი!

დიდმა ფრანგმა მეცნიერმა მათემატიკოსმა ლაპლასმა ძალიან სწორად თქვა[3]: „ჩვენ ისე შორსა ვართ იმისაგან, რომ ბუნების ყველა ძალისა და მათი მოქმედების სხვადასხვა საშუალებებში ვერკვეოდეთ, რომ ფილოსოფოსის საკადრისი არ იქნებოდა მოვლენათა უარყოფა მხოლოდ იმის გამო, რომ

---

[1] კ. გ. პაუსტოვსკი. მოთხრობა ცხოვრებაზე. თხზულებათა კრებული, ტ. 3, მოსკ. 1958, გვ. 773 — 776.

[2] თვით ავტორი მათ რამდენადმე იუმორისტულ ტონში გადმოგვცემს.

[3] Laplace. Essai philosophique sur les Probabilité.

ისინი აუხსნელი არიან ჩვენი ცოდნის თანამედროვე დონეზე. ჩვენ ვალდებული ვართ მოვლენები გამოვიკვლიოთ მით უფრო მეტი გულმოდგინებით, რაც უფრო ძნელია მათი არსებითად მიჩნევა".

ლაპლასის ამ ძვირფასი სიტყვებით უნდა იხელმძღვანელონ როგორც ეგრეთ წოდებული ზუსტ მეცნიერებათა წარმომადგენლებმა, ასევე ვინც მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს შეისწავლის. ეს სიტყვები სავალდებულოა აგრეთვე იმ მეცნიერებათათვის, რომლებიც სწავლობენ ადამიანს, მის ქცევას, მის პიროვნებასა და ნორმალურ და პათოლოგიურ ფსიქიკურ მოვლენებს. სავალდებულოა, მაგრამ, სამწუხაროდ, ადამიანის, კერძოდ, მისი ფსიქიკის შესწავლისათვის ეს არ არის საკმარისი.

ბუნება ღრმად და საგულდაგულოდ ფარავს თავის საიდუმლოებებს, მაგრამ არ ატყუებს მკვლევარს. ადამიანს კი შეუძლია მოატყუოს იგი. ექიმები, კრიმინოლოგები, ფსიქოლოგები, განსაკუთრებით კი პარაფსიქოლოგები, ყოველთვის ფხიზლად უნდა იყვნენ: ისინი ნებითა თუ უნებლიეთ შეიძლება შეაცდინონ პაციენტებმა, კლიენტებმა, გამოსაკვლევმა პირებმა — ხშირად ისტერიულმა, ფსიქიკურად არასრულყოფილმა და, თუ გნებავთ, უპატიოსნო ადამიანებმა, რომელთა შორისაც უხდებათ მათ ყოფნა.

ხშირად სწორედ ადამიანთა ასეთ კატეგორიას მიეკუთვნებიან სახელმოხვეჭილი ტელეპატიური პერციპიენტები, „ნათელმხედველები" და მედიუმები. პარაფსიქოლოგიურ გამოკვლევათა ისტორია დამაჯერებლად გვიჩვენებს, რომ სახელგანთქმული მეცნიერებიც კი სასტიკად გაუცურებია გამოსაკვლევი პირების გაქნილ ოინებსა და ეშმაკობას. ამასთან მათემატიკოსები, ფიზიკოსები, ქიმიკოსები, რომელთა მეცნიერული მუშაობა უმეტესად ხელსაწყოებთან არის დაკავშირებული და არა გამოსაკვლევ პირებთან, უფრო ხშირად გამხდარან მათი მოტყუების მსხვერპლი, ვიდრე მედიკოსები და ფიზიოლოგები.

პარაფსიქიკურ მოვლენათა უწინარწმენო მკვლევარი იყო დ. ი. მენდელეევი[1]. მაგრამ, ამასთან იგი სავსებით ითვალის-

[1] იხ. მენდელეევის ბრძოლა სპირიტიზმთან. ამ წიგნის V თავი.

წინებდა იმ საფრთხეს, რომელიც მეცნიერს მედიუმებთან და სენსიტივებთან ურთიერთობისას ელის. ასეთი მკვლევარები იყვნენ საზღვარგარეთ პოდმორი, ლემანი, ბირდი და სხვ. უკანასკნელმა ჯერ კიდევ 1875 წელს ჩამოაყალიბა რიგი გაფრთხილებებისა, რომლებიც საჭიროა ახსოვდეს ყოველ პარაფსიქოლოგს. სიტყვას ვაძლევთ თვითონ ექიმ ბირდს:

„ყოველი საცდელი გამოკვლევის დროს, — რომ აღარაფერი ვთქვათ, აუცილებელ ზოგად სუბიექტურ და ობიექტურ სიფრთხილეზე. — წერდა იგი, — ჩვენთვის საინტერესო საკითხის შესწავლისას (ლაპარაკია ჰიპნოტიზმზე, რომელიც მაშინ საიდუმლოებით მოცულ მოვლენას წარმოადგენდა — ლ. ვ.), უნდა ვიზრუნოთ, აგრეთვე, შეცდომათა შემდეგი სპეციალური წყაროების აღმოსაფხვრელად: 1) სუბიექტის (გამოსაკვლევი პირის. — ლ. ვ.) მხრივ წინასწარ განზრახვით მოტყუება; 2) მისი მხრივ განუზრახველი მოტყუება; 3) ცდაში მონაწილეთა წინასწარი შეთანხმება; 4) მაყურებელთა განუზრახველი პირის შეკვრა; 5) შემთხვევითი დამთხვევა და გამოცნობა; 6) უნებლიე მოძრაობათა და ნერვული სისტემის ავადმყოფური მოვლენები.

პროფესიონალი მედიუმებისა და ნათელმხილველების მონაწილეობით ჩატარებულ ცდებს, რომლებშიც გათვალისწინებული და აღმოფხვრილი არ იყო აქ ჩამოთვლილ შეცდომათა წყაროები, არავითარი მნიშვნელობა არა აქვთ მეცნიერებისათვის და არ შეიძლება მტკიცებად მათი მიჩნევა. მეტიც: მათ ვერ აღიარებთ მაშინაც კი, თუ ჩვენს მიერ ჩამოთვლილი შეცდომათა წყაროები გამორიცხული იყო, მაგრამ ცდების შედეგები არაჩვეულებრივი გამოდგა, ვერ აღიარებთ მანამ, სანამ განმეორებით მრავალგზის არ დაადასტურებენ მას გამოცდილი ადამიანები[1].

პარაფსიქოლოგებს დღესაც აძლევენ გაფრთხილებას. იგი, რასაკვირველია, ბონივრულია, მაგრამ ზოგჯერ ყოველ ზომას აჭარბებს და პარაფსიქოლოგიური გამოკვლევების შემდგომ განვითარებას აფერხებს. მაგალითად, ინგლისელ ფილოსო-

---

1 ბირდი. „ტრანსის არსი და მოვლენები". დ. ი. მენდელეევის კრებულიდან „მასალები სპირიტიზმზე მსჯელობისათვის", გვ. 296.

ფოსს ჯორჯ პრაისს მიაჩნია, რომ ყველა პარაფსიქიკური მოვლენა ზებუნებრივი ხასიათისაა. ამას წინათ განაცხადა, რომ მას დააკმაყოფილებდა თუნდაც მარტო ერთი პარაფსიქოლოგიური ექსპერიმენტი, ოღონდ ისეთი, რომლის დროსაც „შეცდომა ან თაღლითობა ისევე შეუძლებელი იქნებოდა, როგორც ზებუნებრივია შეუძლებელი“[1].

საკითხავია: როგორ დავაკმაყოფილოთ ასეთი მოთხოვნა? პრაისი უკმაყოფილოა ექიმ რაინისა და მისი სკოლის სტატისტიკური შედეგებით, სადაც ალბათობის თეორიით გათვალისწინებულ მონაცემებში ოდნავაა შერეული ტელეპატიური ან ტელეკინეტიკური ელემენტები. მას სურს ნახოს არა „მიკროპარაფსიქიკური“ მოვლენები, არამედ, თუნდაც ერთი, მაგრამ უდავო „მაკრაფსიქიკური“, განსაცვიფრებელი ფენომენი.

ასეთ მოთხოვნებს, ჩვენი აზრით, ტელეკინეზის ის ცდები უახლოვდება, რომლებიც 1930 — 1931 წლებში ჩაატარა პარიზის მეტაფსიქოლოგიური ინსტიტუტის დირექტორმა ეუჟენ ოსტიმ თავის შვილთან მარსელ ოსტისთან ერთად.

ჩვენ მიერ მოყვანილ ტულესის ცდებში კამათლის ვარდნას თითქოს მართავდა ტელეკინეტიკური ძალა, რომელიც თავისი მოქმედების გამოსავლინებლად სიბნელეს არ მოითხოვდა. ოსტის ცდები კი ჩვეულებრივი სპირიტული სეანსების მსგავსად სიბნელეში ტარდებოდა. მათ ესწრებოდა 23 წლის ავსტრიელი მედიუმი რუდი შნეიდერი, ამ დროისათვის უკვე საკმაოდ სახელმოხვეჭილი თავისი ტელეკინეტიკური ფენომენებით. არაჩვეულებრივად მხოლოდ სეანსების ჩასატარებელი ოთახი გამოიყურებოდა. ეს იყო ლაბორატორია, — სავსე ისეთი ხელსაწყოებით, რომელთა დანიშნულებაზეც რუდის ოდნავი წარმოდგენაც არ ჰქონდა. აღნიშნული ხელსაწყოები, მათი განლაგება და დანიშნულება სქემატურად არის გამოსახული ნახატზე (გვ. 164).

ოთახის შუაში იდგა მაგიდა, რომელზედაც დებდნენ ზემოქმედებისათვის განკუთვნილ ობიექტს (13). ჩვეულებრივ

---

[1] G. Price. Science and the Supernatural, Journal „Science“ 1955, № 3165, v. 122, p. 359.



პარიზის მეტაფსიქოლოგიური ინსტიტუტის ლაბორატორიაში ტელეკინეზის ცდების ჩატარების პირობები.

ეს იყო ჯიბის თეთრი ცხვირსახოცი. მედიუმს წინადადება ეძლეოდა, მანძილზე მოქმედი „ტელეკინეტიკური ძალით“ დაეძრა იგი ადგილიდან. მედიუმი მაგიდიდან რამდენიმე მეტრის მანძილზე, მისკენ ზურგშექცევით ჯდებოდა სკამზე. მისი ხელები და ფეხები მთელი სეანსის განმავლობაში გაკავებული ჰქონდათ კონტროლიორებს, რომელთაც ცდების 6 — 8 მონაწილიდან რიგრიგობით ირჩევდნენ (ეს ენი იყვნენ ინსტიტუტის თანამშრომლები ექიმ ე. ოსტის მეთაურობით). მედიუმის ყოველი მოძრაობისათვის თვალყურის სადევნებლად მას კისერზე, ხელებსა და ფეხებზე ფოსფორისებრი მანათებელი ნივთიერებით გაჟღენთილ შემოსაკრავებს ახვევდნენ. მაგრამ მედიუმისა და ზემოქმედების ობიექტზე მთავარ კონტროლს მაინც ხელსაწყოები ახორციელებდნენ. ისინი საკმაოდ

მახვილგონივრულად ასრულებდნენ თავის ფუნქციებს. მაგიდის ზევით, ჭერზე გაკეთებულ ნახვრეტში, ჩადგმული იყო კვარცის ნათურებიანი სანათი ხელსაწყო (14), რომელიც უხილავ ულტრაიისფერ სხივებს ასხივებდა. ქვემოდან სანათი ხელსაწყო სხივგაუმტარი ეკრანით იყო მჭიდროდ დახშული (7). თვით ეკრანს ადგილზე იჭერდა ელექტრომაგნიტი, რომელსაც აკუმულატორის (5) ელექტროდენი კვებავდა. იგივე დენი კვებავდა მეორე ელექტრომაგნიტსაც (11), რომელიც კვარციანი ობიექტივის მქონე ფოტოაპარატის (10) საკეტს ფარავდა. აპარატების მთელი ამ სისტემის მუშაობას აწესრიგებდა სხვა უხილავი — ინფრაწითელი სხივები. სხივების ამ კონას გამომსხივებელი ხელსაწყო (1) ზემოქმედების ობიექტისაკენ (13) მიმართავდა. უშუალოდ მის სიახლოვეს გაივლიდა სარკისაკენ (12) და მისგან არეკვლისა და ობიექტზე ზემოდან გადავლის შემდეგ აღწევდა ფოტობუდესა და ამპლიფიკატორს (2). ეს უკანასკნელი ამ სხივებს ელექტროდენად გარდაქმნიდა, ელექტროდენი კი, თავის მხრივ, რელეს (3) ჩამრთველის დანიშნულებას ასრულებდა.

ახლა წარმოვიდგინოთ, რომ რუდიმ შეძლო თავისი ფხიზელი კონტროლიორების მოტყუება და გაიწია ობიექტისაკენ (ცხვირსახოცისაკენ), რათა ადგილიდან დაძრას. ამ შემთხვევაში იგი აუცილებლად, წამით მაინც, ააფარებს ხელს (ან რაიმე სათაღლითოდ განკუთვნილ საგანს) ინფრაწითელი სხივების ერთ-ერთ კონას, ეს კი მაშინვე გათიშავდა წრედს, რომლითაც დენი ორივე ელექტრომაგნიტისაკენ მიემართება. ისინი განმაგნიტდებიან და გაანთავისუფლებენ სანათი ხელსაწყოს ეკრანსა და ფოტოაპარატის საკეტს. ოთახი აივსება ულტრაიისფერი სხივებით, რომელთა უხილავ „შუქზე" ფოტოფირფიტა აღბეჭდავს მედიუმს, რომელიც, რასაკვირველია, სულაც არ ელის მეცნიერთაგან ასეთ „მზაკვრობას".

თითქოს სწორედ ასეც უნდა მომხდარიყო, მაგრამ სინამდვილეში სრულიად სხვა რამ მოხდა: ხელსაწყოთა სისტემა სეანსის დროს ნორმალურად მოქმედებდა, აპარატი იღებდა ფოტოსურათს, რომელზედაც ნათლად ჩანდა სრულიად გულუბრყვილო პოზაში მყოფი მედიუმი, ცხვირსახოცი კი მაინც

მაგიდის კიდესთან იყო მიწეული ან იატაკზე ეგდო. როგორ შეიძლება ეს მომხდარიყო?

მამა-შვილ ოსტების მონოგრაფიაში, რომელიც 116 გვერდს და 61 ტექსტიან ნახატს შეიცავს, მოცემულია პასუხი ამ კითხვაზე და ეს პასუხი ნამდვილად გასაოცარია. რუდი ღრმა ტრანსის მდგომარეობაში იმყოფება. იგი საშინელი სანახავია, სუნთქვის სიხშირე წუთში ჩვეულებრივ 12 — 16 ნაცვლად 200 — 300-მდე ადის. მაგრამ იგი მაინც წარმოთქვამს ზოგჯერ რამდენიმე სიტყვას. ამ სიტყვებიდან შეიძლება გამოვიტანოთ აზრი, რომ მისი სხეულიდან თითქოს რაღაც უხილავი სუბსტანციის ნაკადი გამოიყოფა (La supstance invisde) და რუდი მას ხედავს კიდეც, უფრო მეტიც, თითქოს მისი მართვა შეუძლია, მაგიდისაკენ გზავნის და ეს სუბსტანცია გადააადგილებს ცხვირსახოცს.

მაშინ მკვლევარებს ებადებათ აზრი, ცდით შეამოწმონ რუდის ეს განცხადება. ამ მიზნით ისინი იყენებენ გალვანომეტრს, რომელიც თავის მაჩვენებლებს მოძრავ ფოტოლენტზე აღრიცხავს. გალვანომეტრს უერთებენ ხელსაწყოს (2), რომელიც ინფრაწითელ სხივებს ელექტროდენად გარდაქმნის და ელექტროგრამის რეგისტრაციას აწარმოებს. სულ მიღებულ იქნა 70 ელექტროგრამა, რომელთაგან ერთ-ერთი აქვე მოგვყავს. გალვანომეტრში მთელი ამ დროის განმავლობაში ელექტროდენი გადის (ზემო მრუდე); მის ქვემოთაა ელექტრომაგნიტურ აღმნიშვნელთა ხაზები. როდესაც ობიექტზე მიმართული ინფრაწითელი სხივების კონა გადაიკვეთება უხილავი სუბსტანციით, რომელიც იმავე ობიექტისაკენ მიისწრაფვის, მრუდე ორმაგი კბილანისებრ მკვეთრად შესამჩნევ ნაკეცს აკეთებს.

ეს იმის მაჩვენებელია, რომ უხილავი სუბსტანცია ნაწილობრივ შთანთქავს ინფრაწითელ სხივებს. ამგვარად, მკვლევარებს მიეცათ შესაძლებლობა ობიექტური ელექტროგრაფიკული მონაცემებით თვალყური ედევნებინათ უხილავი სუბსტანციის „ქცევისათვის". საგულისხმოა ის, რომ ეს მონა-

---

[1] E. Osty et M. Osty. Les Pouvoirs inconnus de l'Esprit sur la Matiere. „Revue Métapsychique" 1931, № 6. et 1932, № 1,2.

ცემები ემთხვევა მედიუმის სიტყვიერ ჩვენებებს სუბსტანციის სივრცეში გადაადგილებისა და ობიექტზე მისი ზემოქმედების შესახებ.



ეჭვმ ოსტის მიერ რეგისტრირებული ელექტროგრამა, ცნობილ გამოსაკვლევ პირზე — რ. შნაიდერზე ჩატარებული ცდებისას.

მაგრამ თავისთავად ეს ყურადსაღები დასკვნები ამით როდი ამოიწურება. მათ არა ნაკლებ განსაცვიფრებელი წვრილმანებიც ემატება და ყველაფერი ეს ერთად აღებული გამოიყურება როგორც პირველხარისხოვანი აღმოჩენა ფიზიოლოგიის, ფსიქოლოგიისა და, თუ გნებავთ, ფიზიკის დარგშიც. ვინაიდან, მართლაც საოცარია, თუ რა არის ეს რაღაც უხილავი სუბსტანცია, რომელიც მექანიკურ სამუშაოს ასრულებს.

ასეთი გამოკვლევის გამოქვეყნებას მსოფლიო მასშტაბის სენსაცია უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ არაფერი ამის მსგავსი არ მომხდარა. არც თვით ავტორებს გაუგრძელებიათ თავიანთი გამოკვლევები, არც ვინმე სხვას უცდია მათი შედეგების შემოწმება. დადასტურება ან საბოლოოდ უარყოფა.

20-ზე მეტი წლის შემდეგ ფრანგმა პარაფსიქოლოგმა რობერტ ამადუმ თავის წიგნში განიხილა პარაფსიქოლოგიის საკითხები, 23-ჯერ ახსენა ოსტის სახელი, ამ უკანასკნელის სხვადასხვა ექსპერიმენტულ სამუშაოებსა და გამონათქვამებთან დაკავშირებით, მაგრამ არც ერთი სიტყვა არ უთქვამს მის მონოგრაფიაზე, თითქოსდა იგი არც არსებობდეს. რას უნდა ნიშნავდეს ეს დუმილი? უნებლიეთ გვებადება ეჭვი: ამჯერადაც ხომ არ აჯობა გამჭრიახ ექსპერიმენტატორებს მათზე უფრო მეტად გამჭრიახმა და თაღლითობაში გაწაფულმა მედიუმმა?

ამრიგად, კუნთის შეკუმშვით გამოწვეული ძალის მანძილზე გადაცემის „ფაქტებისადმი“ ზუსტი მეცნიერული მიდგომა

საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს ორგვარ მოვლენასთან. ერთი მხრივ, ეს არის ფაქტები, რომლებიც ერთი არსების კუნთების მოქმედების მეორესთან დამოკიდებულებების შესაძლებლობაზე მეტყველებენ. თუ მათ დაველოდნობით უნდა ვიფიქროთ, რომ შესაძლებელია კუნთის შეკუმშვით წარმოშობილი ძალის ერთი ცოცხალი არსებიდან მეორეზე გადაცემა. სწორედ ამას მოწმობენ რეიტლერისა და სტებლინის ცდები; მეორე მხრივ კი, ჩვენ გვაქვს ფაქტები, რომლებიც თითქოს ადასტურებენ არაცოცხალ ბუნებაზე ტელეკინეტიკური ზემოქმედების შესაძლებლობას. რაც შეეხება ცდებს, რომლებსაც პარაფსიქოლოგები ამის დასამტკიცებლად ატარებენ, ისინი ან ალბათობის თეორიით დასაშვებ წმინდა შემთხვევით დამთხვევათა ზღვარს არ ცილდებიან, ან არ გამორიცხავენ დამკვირებლის მხრივ შეცდომის დაშვების შესაძლებლობას თუ მოტყუებას გამოსაკვლევ პირთა მხრიდან, — ნებითსა თუ უნებლიეს, მათი ფსიქიკური არასრულფასოვნების, არანორმალურობის გამო. ჩვენ განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა ვეკიდებოდეთ ამგვარ „ცდებს", ვინაიდან მათი შედეგების არაჩვეულებრივი, ზებუნებრივი ხასიათი ყოველად უაზრო ცრურწმენათა მასაზრდოებელ წყაროს წარმოადგენს.

ეს გარემოება უფრო იმიტომ არის მხედველობაში მისაღები, რომ ზოგიერთი პარაფსიქოლოგი ასეთ ცდებს თავისი მეცნიერული ავტორიტეტით მფარველობს და ამ მოვლენების ზუსტი ემპირიული გამოკვლევის მოჩვენებითი ხასიათით განამტკიცებს.

IX

სიკვდილი და მასთან დაკავშირებული ცრურწმენები

როგორც უკვე აღნიშნული იყო (პირველ თავში), სულის საიქიო არსებობის რწმენა იყო და ჯერ კიდევ ბევრისათვის რჩება ანტიმეცნიერული წარმოდგენებისა და ცრურწმენათა მთავარ მასაზრდოებელ წყაროდ. მაგრამ ბრმა რწმენის განუყოფელი ბატონობის დრომ დიდი ხანია განვლო. დედამიწაზე სულ უფრო მეტი ადამიანი ამჯობინებს იცოდეს, ვიდრე სწამდეს. ეკლესია იძულებულია ანგარიში გაუწიოს ამ გარემოებას. იგი ისწრაფვის ხელთ იგდოს სახალხო განათლება, ათასგვარ ხრიკებს მიმართავს, რათა შეძლებისდაგვარად „უვნებელყოს" თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების ათეისტური შინაარსი. ამ მიზნებს ემსახურება, მაგალითად, კათოლიკური უნივერსიტეტები, რომელთაც რომის ეკლესია აარსებს. განსაკუთრებულ მოწონებას იმსახურებენ ისინი, რომლებიც ცდილობენ მეცნიერულად (ექსპერიმენტულადაც კი) „დაამტკიცონ", რომ სული, როგორც მატერიალური და ზებუნებრივი მოვლენა, არსებობს სამყაროს ყველა ობიექტური კანონისაგან დამოუკიდებლად. აგრეთვე ისინი ვინც „ამტკიცებენ" სიკვდილის შემდეგ ადამიანის სულის არსებობის, ესე იგი საერთოდ „პირადი უკვდავების" შესაძლებლობას. ასეთი ცრუმეცნიერული ცდა ბევრი ყოფილა, მაგრამ ჩვენ მხოლოდ რამდენიმე მაგალითით დავკმაყოფილდეთ.

გასული საუკუნის ბოლოს ორმა ფრანგმა ჰიპნოლოგმა. ჯერ როშამ (A. de Rochas — 1895) და შემდეგ ჟუარმა (P. Soire — 1897) მთელ მეცნიერულ სამყაროს აუწყა თავისი მართლაც-და გასაოცარი „აღმოჩენა", — რომ კანის მგრძნობიარობას თურმე გარეთ გამოყოფის (ექსტერიორიზაციის) უნა-

რი ჰქონია. დიდი ხანია ცნობილია, რომ ღრმა ჰიპნოზის მდგომარეობაში კანი ტკივილის შეგრძნებას კარგავს. ხსენებული ავტორების აზრით, ეს თითქოს იმის გამო ხდება, რომ დაჰიპნოზებულის შეგრძნება კანიდან გარემომცველ ჰაერში გადაინაცვლებს და მგრძნობიარე ფენას სხეულის ზედაპირიდან რამდენიმე სანტიმეტრის დაშორებით ქმნის. როდესაც ამ მგრძნობიარე ფენას ქინძისთავით ჩხვლეტენ, დაჰიპნოზებული წამოიყვირებს, ხოლო თუ ქინძისთავს ამ ფენაში ნელა გავატარებთ და ფრთხილად შევასობთ კანში, იგი ამ ჩხვლეტაზე არავითარ რეაგირებას არ ახდენს. ჰიპნოზის შემდგომი გაღრმავებისას აღნიშნული მგრძნობიარე ფენა თითქოს სულ უფრო და უფრო შორდება სხეულს და მისგან ყალიბდება მძინარის „ფლუიდური ორეული", მისი ლანდი, ან ფანტომი. ამ ორეულის დანახვა შეუძლიათ სხვა დაჰიპნოზებულთ, რომელთაც სიტყვიერი შთაგონებით გამახვილებული აქვთ მხედველობის ორგანოების მგრძნობიარობა. თვით ექსპერიმენტატორმა კი ორეულის ადგილმდებარეობა შეიძლება აღმოაჩინოს მხოლოდ რაიმე მახვილი საგნის საშუალებით, მაგალითად, ნემსით. მძინარე წამოიყვირებს და ხელს იტაცებს თავისი სხეულის იმ ადგილას, სადაც მის ორეულს უჩხვლეტს. თავის მეორე წიგნში როშა 1896 წელს ლაპარაკობს დაჰიპნოზებულის სხეულიდან არა მარტო მგრძნობიარობის გამოყოფაზე, არამედ შეკუმშვით წარმოშობილი ძალის გამოყოფის შესაძლებლობაზეც. სწორედ ამით ხსნის იგი შეუხებლად საგნების გადაადგილებას, რაც თითქოს მედიუმური სეანსების დროს კარგად არის შესამჩნევი.

ძნელი სათქმელია, რას მიეწერება მთელი ეს ფანტასმაგორია: ოკულტიზმის მიდრეკილების მქონე ექსპერიმენტატორთა მდიდარ ფანტაზიას თუ მათ უნებლიე შთაგონების ზემოქმედებას დაჰიპნოზებულზე. ვისაც საქმე ჰქონია სომნაბულის ტიპის დაჰიპნოზებულთან, მან იცის რა საოცარი სიმსუბუქით ასრულებენ ისინი ყოველივე იმას, რასაც მათგან ჰიპნოტიზიორი მოითხოვს. ყოველ მის ჟესტს, ხმის ინტონაციას, გაუფრთხილებლად წარმომდგარ სიტყვას სომნაბულები არაპირდაპირ, დამატებით შთაგონებად აღიქვამენ და ყოველივე ეს სათანადო ეფექტსაც იწვევს (ამ შემთხვევაში — სხეულიდან

მგრძნობიარე სფეროს, ფსიქიკური საწყისის გამოყოფის ილუზიას). ჰიპნოზური ცდის დროს დაშვებულ შეცდომას ამ დროს ჭეშმარიტებად აცხადებენ და მიიჩნევენ იმის ექსპერიმენტულ დადასტურებად, რის დამტკიცებაც იყო საჭირო, სახელდობრ, შესაძლებელია არსებობდეს სული და ფსიქიკა ფიზიკური სხეულებისაგან დამოუკიდებლად და მათ მიღმა.

ასეთივე წარმოშობისა იყო როშას მეორე ყალბი აღმოჩენაც, — მისი მტკიცება, რომ ძალიან ღრმა ჰიპნოზის დროს თითქოს შესაძლებელია გაცოცხლდნენ და გამომჟღავნდნენ იმდროინდელი მოგონებები, როცა ეს სული განსახიერებული იყო სხვა პიროვნებაში. უცებ დაჰიპნოზებული იწყებს ლაპარაკს ვიღაც სხვა პირის სახელით, რომელიც თავისი დიდი ხნის წინათ ჩამქრალ ცხოვრებაზე მოგვითხრობს. ეს მოვლენა როშას სულთა გარდასახვის მოძღვრების სისწორის ექსპერიმენტულ მტკიცებად მიაჩნია.

მაგრამ მარადიულ ცხოვრებაზე სასოებით მლოცველთა გონებაზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მაინც იმ ცდებმა მოახდინეს, რომელთაც მრავალი წლის მანძილზე აწარმოებდნენ ლონდონისა და ამერიკის ფსიქიკური გამოკვლევების საზოგადოების წევრები, ცნობილი მეცნიერები, დიდი ფსიქოლოგის, ფილოსოფიური პრაგმატიზმის ფუძემდებლის ვილიამ ჯემსის ხელმძღვანელობით. ამ „ცდების" მიზანი იყო საბოლოოდ დაემტკიცებინათ, რომ გარდაცვლილთა სულებთან ურთიერთობა შესაძლებელია მხოლოდ მედიუმების მეშვეობით, რომლებსაც თითქოს უნარი აქვთ ტელეპატიურად შეიცნონ „საიქიოდან" მოსული ამბები და საყოველთაო ცნობისათვის გადასცენ ავტომატური წერის საშუალებით.

დასახელებულ საზოგადოებათა წევრების მიერ ასეთი ხერხით „გამოვლინებული" სულები ყოველნაირად ცდილობდნენ დაემტკიცებინათ საკუთარი „ვინაობა" თავიანთი წარსული მიწიერი ცხოვრების წვრილმანების მოგონებით.

აი, მაგალითად, ნიმუში ასეთი ტრაგიკომიკური საუბრისა ვილიამ ჯემსსა და მის გარდაცვლილ კოლეგა ხოჯსონს შორის: „გახსოვს თუ არა, ვილიამ, რომ ჩვენ სოფელში ამა და ამასთან ყოფნის დროს ბავშვებთან ამა და ამ თამაშით ვერთობოდით? ამა და ამ ოთახში, სადაც ეს და ეს ავეჯი იდგა, მე

ესა და ეს გითხარი?" — „მართლაც. ხოჯსონ, მახსოვს". — „კარგი დამამტკიცებელი საბუთია, არა ვილიამ?" — „ჩინებულია, ხოჯსონ", — და ასე შემდეგ დაუსრულებლად.

ისეთ გამოუსწორებელ მისტიკოსსაც კი, როგორიც მეტერლინკია[1], ეჩოთირება მკვდრებთან ამგვარი საუბარი და ცდილობს ეს ყოველივე ახსნას იმით, რომ თვით ვილიამ ჯემსი ტელეპატიურად, შეცნობილი ან ქვეცნობიერი ფსიქიკით, მოქმედებდა ავტომატურად მწერალ მედიუმზე.

ჩვენ მოვიყვანეთ ეს მაგალითები იმის საჩვენებლად, თუ რა სისულელემდე მიჰყავს ჭკვიანი და განათლებული ადამიანები დაჟინებულ მისწრაფებას გინდა თუ არა დაარწმუნონ თავისი თავი და სხვები სულის უკვდავებაში.

ის ძველთაძველი აზრი, რომ ადამიანის პიროვნების რაღაც ნაწილი თითქოს სხეულის სიკვდილის შემდეგაც განაგრძობს არსებობას, თანდათანობით ქარწყლდება და მხოლოდ დროებით, ჯერ კიდევ ტყვეობაში ჰყავს ზოგიერთი პარაფსიქოლოგი, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც დღემდე ადამიანთა შეგნებაში რელიგიას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. სწავლულებს, რომლებიც პარაფსიქოლოგიას მეცნიერების ახალ დარგად მიიჩნევენ, ჯერ კიდევ უხდებათ მათთან ბრძოლა, ვინც უკან ეწევა მას სპირიტიზმის, იდეალისტური ფილოსოფიისა და რელიგიისაკენ. საკმარისია გადავხედოთ „საერთაშორისო პარაფსიქოლოგიური ჟურნალის"[2] ბოლო ნომრებს, რომ წარმოდგენა ვიქონიოთ იმაზე, თუ რა ყურადღებას უთმობს იგი სიკვდილისა და პიროვნების სიკვდილშემდგომი არსებობის საკითხებს. ისინი ცდილობენ ჰალუცინაციურ მოჩვენებებსა და მომაკვდავთა უკანასკნელ სიტყვებში იპოვონ გარდაცვალების შემდგომ სულის არსებობის დასაბუთება. ამ თვალსაზრისით დამახასიათებელია ამერიკელი პარაფსიქოლოგის კარლ ოზისის მონოგრაფია — „ექიმებისა და სამედიცინო დების დაკვირვებები მომაკვდავთა სარეცელთან"[3].

[1] იხ. მორის მეტერლინკი. სიკვდილი. ი. არდენინის ავტორიზებული თარგმანი, სპბ., 1914.

[2] „International Journal ot parapsychology", Parapsychology Foundation, Inc. N. Y.

[3] K. Osis. Deathbed Opservations, bi Physicians and Nurses Parapsychology, Foundation, Inc. N. Y., 1961.

ამ წიგნის ავტორმა მედიცინის მუშაკებს დაუგზავნა 10 ათასი ანკეტა შეკითხვებით, ამჟღავნებენ თუ არა მომაკვდავნი სულიერ აღმავლობას, ეკლინებათ, თუ არა მოჩვენებანი ან სხვა ჰალუცინაციური მხედველობითი სახეები. მიღებულ იქნა 640 შევსებული ანკეტა, რის საფუძველზეც ავტორმა შემდეგი დასკვნები გააკეთა. სიკვდილის შიში არ შეიძლება ჩაითვალოს მომაკვდავთა უმთავრეს გრძნობად. უფრო ხშირად შემჩნეულია ეგზალტაცია, კეთილშობილურ გრძნობათა აღმავლობა. ხშირია ჰალუცინაციური მოჩვენებები, რომელთა შინაარსიც ტრადიციულ რელიგიურ რწმენას შეესაბამება. განსაკუთრებით ხშირია გარდაცვლილთა აჩრდილების ჰალუცინაციური მოვლინება ვითომდა ავადმყოფის სიკვდილისშემდგომ მდგომარეობაში გადასაყვანად. ამას კიდევ ის ერთვის, რომ ასეთ დამხმარეთა როლს, უმეტეს შემთხვევაში, ავადმყოფის გარდაცვლილი ნათესავების აჩრდილები ასრულებენ. ამასთან განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ ეს ჰალუცინაციები და მოჩვენებები არ შეიძლება მიეწეროს წამლების, დაძაბულობის ან რაიმე სხვა პათოლოგიურ ფაქტორთა მოქმედებას. პირიქით, მსგავს მდგომარეობას ავადმყოფები თითქოს ჯერ კიდევ საღი აზროვნების, გარემოცვაზე ადეკვატურად რეაგირების დროს განიცდიან.

კარლ ოზისი ცდილობს თავის ყველა დასკვნას მეცნიერული სახე მისცეს. თუმცა პირუთვნელი მკითხველისათვის აშკარაა მისი ფარული ტენდენცია, დაარწმუნოს თავისი თავი და სხვები ადამიანის საიქიო ცხოვრებისა და მისი რაღაც ნაშთების სიკვდილის შემდგომ არსებობაში. ეს კი უკვე სპირიტების რწმენისაკენ დაბრუნებაა და არა პარაფსიქოლოგია. საბედნიეროდ, უცხოელ პარაფსიქოლოგთა უმრავლესობა უარყოფითად ეკიდება პარაფსიქოლოგიის დაახლოებას ოკულტიზმსა და მისტიკასთან — მეცნიერებისა და რელიგიის ათქვეფას.

ფსიქოლოგია და მედიცინა მთლიანად უარყოფენ სპირიტულ ბოდვებს, უდავოდ ამტკიცებენ, რომ ადამიანის ფსიქიკის მოქმედება მთავრდება სწორედ მაშინ, როდესაც წყდება მისი ფსიქიკის ორგანოს — თავის ტვინის დიდი ნახევარსფეროების მოქმედება.

საღი მეცნიერული თვალსაზრისით რომ გავიგოთ რას წარ-

მოადგენს სიკვდილი, რა უძღვის მას წინ ან რა მოჰყვება, ფრიად მნიშვნელოვანია სულ ახლახან წარმოშობილი მედიკო-ბიოლოგიური დარგის, თანატოლოგიის (ბერძნული სიტყვიდან „თანატოს“ — სიკვდილი) შესანიშნავი მიღწევები. ამ ახალი მეცნიერების შექმნაში დიდი ღვაწლი მიუძღვით რუს მეცნიერებს: მეჩნიკოვს, ბახმატიევს, შორს, კულიაბკოს, კრავკოვსა და სხვ. ეს მეცნიერება მიზნად ისახავს იმ.პათოლოგიური პროცესების შესწავლას, რომლებიც მომაკვდავ ორგანიზმში ვითარდება და სიკვდილს იწვევს (თანატოგენეზი), აგრეთვე იმ მეთოდების გამოძებნას, რომლებიც საშუალებას იძლევიან თავიდან ავიცილოთ უმნიშვნელოვანესი, სასიცოცხლო ორგანოების სიკვდილი, უფრო მეტიც, აღვადგინოთ მათი სიცოცხლისუნარიანობა მუშაობის შეწყვეტის შემდეგაც (გაცოცხლება).

ადამიანისა და ცხოველების სიკვდილის გამომწვევი მიზეზები სხვადასხვაა: მექანიკური რღვევა ან სასიცოცხლო ორგანოების დაზიანება, გარედან მიღებული ან ორგანიზმში წარმოშობილი შხამიანი ნივთიერებებით მათი მოწამვლა (შხამები, ბაქტერიები, უჯრედების რღვევის შხამიანი პროდუქტები, დახრჩობა, სისხლის დაკარგვა და სხვ.). მაგრამ აგონიად წოდებული სიკვდილის წინა პერიოდი იწყება მაშინ, როცა დასახელებული მიზეზებით უკვე სერიოზულად შეირყევა სიცოცხლის ორი უმნიშვნელოვანესი მოტორი — სისხლის მამოძრავებელი გული და სუნთქვითი მოძრაობის გამომწვევი სასუნთქი ცენტრი, რომელიც შესუნთქვასა და ამოსუნთქვას იწვევს.

გულისა და სასუნთქი ცენტრის მუშაობაში არსებობს მჭიდრო ურთიერთკავშირი: რაც უფრო ცუდად მუშაობს გული, მით უფრო ვენური ხდება სისხლი, უფრო მეტად ღიზიანდება სასუნთქი ცენტრი, რასაც შეუძლია გამოიწვიოს აგზნების გადაღლა და დამბლა და, პირიქით, რაც უფრო ცუდად იწყებს მუშაობას სასუნთქი ცენტრი, მით ნაკლებ ჟანგბადს იღებს გულის კუნთი და უფრო მეტად ფერხდება მისი მუშაობა. გულის მთლიანად გაჩერებას უმალვე სასუნქი მოძრაობის შეწყვეტა მოჰყვება, და პირიქით. ზოგ შემთხვევაში ჯერ გული ჩერდება, ზოგში კი სასუნთქი ცენტრი. ეს იწვევს ორგანიზმის

მთლიან სიკვდილს — ექიმების გამოთქმით კლინიკურ სიკვდილს.

სიდამპლისაგან დაცული გვამის ცალკეულ უჯრედში, ორგანოებსა და ქსოვილებში სიცოცხლე ამის შემდეგაც კრთის. არ ქრება. სხეულის ნამდვილი სიკვდილი მაშინ დგება, როცა საბოლოოდ და მოუბრუნებლად (აღუდგენლად) წყდება მათთვის ჩვეული ფიზიოლოგიური ფუნქციები. ამ მომენტის დაწყებამდე ყოველმა მომაკვდავმა უჯრედმა უნდა გავლოს თავისებური მდგომარეობა, რომელსაც არც სიცოცხლე შეიძლება ვუწოდოთ (ვინაიდან სასიცოცხლო ფუნქციები უკვე შეწყვეტილია) და არც სიკვდილი (რადგან გარკვეულ პირობებში უჯრედის დაკარგული ფუნქციები კიდევ შეიძლება აღსდგეს). სიცოცხლესა და სიკვდილს შორის ასეთ გარდამავალ, შუალედურ მდგომარეობას ცნობილმა ფიზიოლოგმა ნ. ე. ვედენსკიმ პარაბიოზი უწოდა (1901 წ.).

ზოგიერთ უხერხემლო ცხოველში (коловратки, тихоходки и др.) ყველა სასიცოცხლო ფუნქციის დროებითი შეჩერების შესაძლებლობა ჯერ კიდევ XVIII საუკუნის დასაწყისში აღმოაჩინეს. შემდეგში ამას ანაბიოზი ეწოდა. ჩვენ მიერ უკვე ციტირებულ პროფესორ ჰალეს ძველებურ წიგნში „მაგია ანუ ბუნების ჯადოსნური ძალები“ შემდეგი ფრიად საგულისხმო სიტყვები გვხვდება: „მგონი ცხოველთა ბუნებაში არსებობს რაღაც საშუალო მდგომარეობა, რომელიც არც სიცოცხლეა. არც სიკვდილი, არამედ საშუალო არსებობაა და მას შეიძლება მკვდარი სიცოცხლე ვუწოდოთ“. და შემდეგ: „ადამიანთა მოჩვენებითი სიკვდილი შესაძლოა უებარი საშუალება გახდეს ნამდვილი სიკვდილის წინააღმდეგ, რადგან მხოლოდ მკვდარს ძალუძს იშიმშილოს, არ ისუნთქოს, ვინაიდან არც საჭმელსა და არც ჰაერს არ საჭიროებს“.

ამავე წიგნში ვხვდებით ცნობებს უმაღლესი თბილსისხლიანი ცხოველების გაცოცხლების პირველი ცდების შესახებ: „ოქსფორდელმა პროფესორმა რამდენიმე მოწმის თანდასწრებით ძარღვი გაუღო მონადირე ძაღლს, გამოუშვა მთელი სისხლი, — სანამ მისი სიცოცხლის სულ უმნიშვნელო ნიშანკვალიც კი არ გაქრა, რასაც იგი პირთან მიტანილი სარკით ამოწმებდა. — მაშინვე გაუხსნა ძარღვი იქვე მომზადებულ ხბოს. ოს-

ტატური ხერხით ხბოს სისხლი ძაღლს ღია ძარღვში შეუყვანა. რაც უფრო უძლურდებოდა ხბო, მით უფრო ემატებოდა ძალა ძაღლს, ისე, რომ რამდენიმე საათში მან საკვებიც კი მიიღო, შემდეგ ეს ძაღლი მდევრადაც კი გამოიყენეს და მის ბუნებრივ მიდრეკილებებში არავითარი ცვლილებები არ შეუმჩნევიათ".

პეტრე პირველმა სწორედ მაშინ გაგზავნა პადუის განთქმულ უნივერსიტეტში პირველი რუსი ფიზიოლოგი პეტრე პოსნიკოვი, რომელმაც, თანამედროვეთა თქმით, შეისწავლა „ცოცხალი ძაღლების ჭოკვლა და მკვდრების გაცოცხლება". 1848 წელს მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი ა. ფილომაფისტიკი სისხლის გადასხმას განიხილავდა როგორც სიცოცხლის დაბრუნების ერთადერთ საშუალებას. უმაღლეს ცხოველთა გაცოცხლების პრობლემის სისტემატური დამუშავება დაიწყო 1874 წელს, როცა ფიზიოლოგმა შიფმა გულის რიტმული შეკუმშვით მისი მასაჟის შემოღება განიზრახა, ხოლო ფარმაკოლოგმა ბემმა კი დერპტის უნივერსიტეტში ქლოროფორმით სასიკვდილო მოწამვლისა და გაგუდვის შემდეგ ცხოველების გაცოცხლების ცდები წამოიწყო.

გასული საკუნის ბოლოს ფრანგმა მეცნიერმა ბროუნ-სეკარმა თავმოკვეთილ ,ცხოველზე (ძაღლზე) ცდის დროს პირველმა შეძლო ტვინის ფუნქციების ნაწილობრივი აღდგენა. სისხლის ნაკადს მოკლებული ტვინი მაშინვე კარგავს თავის ფუნქციებს. მაგრამ თუ თავის მოკვეთიდან რამდენიმე წუთის შემდეგ დავიწყებთ ტვინის სისხლძარღვებში საღი სისხლის გატარებას (ამ ქირურგიულ ხერხს პერთუზია ეწოდება), თავის ტვინი აღადგენს თავის ზოგ ფუნქციას: თავი ყურებს ამოძრავებს, თვალებს აბრუნებს, ახამხამებს, გუგები სინათლეზე კვლავ რეაგირობენ.

შემდეგში ფიზიოლოგებმა გეიმანსმა და ბუკერტმა დაადასტურეს და გააფართოვეს ბროუნ-სეკარის დაკვირვებები. აღმოჩნდა რომ სისხლის მიმოქცევის შეწყვეტისადმი განსაკუთრებულ მგრძნობიარობას იჩენს ტვინის დიდი ნახევარსფეროების ქერქი. თავის მოკვეთიდან 8—10 წუთის შემდეგ მისი ნორმალური მოქმედების აღდგენა ჩვეულებრივ შეუძლებელია. პარაბიოზის დასაწყისისათვის შექცევადი მდგომარეობა ქერ-

ქის ნერვულ უჯრედებში 8—10 წუთში ასწრებს ბიოლოგიური სიკვდილის შეუქცევ მდგომარეობად გადაქცევას.

ტვინის სხვა უბნები მეტ გამძლეობას იჩენენ, პარაბიოზის გარდამავალი მდგომარეობა აქ უფრო დიდხანს გრძელდება. ასე, მოგრძო ტვინში მყოფ სასუნთქ ცენტრს 20 — 30 წუთის უმოქმედობის შემდეგ კვლავ შეუძლია განაახლოს თავისი მუშაობა ტვინის ძარღვებში სისხლის ან ჟანგბადით ნაჯერი და სხეულის ტემპერატურამდე (37° C) გამთბარი ფიზიოლოგიური ხსნარის გატარებით.

კიდევ უფრო ნელა კვდება სიცოცხლის მეორე მოტორი — გული. ამ საუკუნის დასაწყისში პროფ. ა. ა. კულიაბკომ შემდეგი ცდა ჩაატარა: ბოცვერის, კატის ან ადამიანის გულს კლინიკური სიკვდილისთანავე ორგანიზმიდან იღებდნენ რამდენიმე საათს, სიცივეში ამყოფებდნენ. მიუხედევად ამისა, გული აღადგენდა თავის პულსაციებს ვენურ ძარღვებში ჟანგბადით ნაჯერი და გამთბარი ფიზიოლოგიური ხსნარის გატარებისას და შემდეგაც განაგრძობდა მუშაობას ორი-სამი საათის განმავლობაში. მოგეხსენებათ, რომ ვენური ძარღვები სისხლით ამარაგებენ გულის ქსოვილს, კერძოდ გულის კუნთს.

ეს ცდა გვიჩვენებს, რომ მომაკვდავ გულში პარაბიოზის გარდამავალი მდგომარეობა გაცილებით დიდხანს გრძელდება, ვიდრე უმოქმედო სასუნთქ ცენტრში. სამი უმნიშვნელოვანესი სასიცოცხლო ფუნქციიდან ყველაზე ადვილია გულის მუშაობის აღდგენა.

არა მარტო ცხოველების, არამედ ადამიანთა გაცოცხლების მეთოდების განვითარებაში მეტად მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს ფ. ა. ანდრეევის ცდები. 1913 წელს მან შეიმუშავა ახალი ხერხი მოწამლული ან სისხლიდან დაცლილი ძაღლების გაჩერებული გულის მოქმედების აღსადგენად. ამ ხერხს საფუძვლად დაედო ცენტროპეტალური, ანუ გულისაკენ მიმართული რომელიმე მოზრდილი არტერიის ნატურალური ან ხელოვნური სისხლით (რინგერ-ლოკის სითხით) დაჭირხნა გულის მოქმედების მასტიმულირებული ნივთიერების — ადრენალინის შერევით. ასეთი ხერხით გამაცოცხლებელი სითხე ადვილად ხვდება გულის კუნთის სისხლით მომარაგებულ ვენურ ძარღვებში.

ჩვენს დროში სავსებით დამტკიცებულ ფაქტად შეიძლება ჩაითვალოს უმაღლესი ცხოველების გაცოცხლება კლინიკური სიკვდილის შემდეგ 6—8 წუთის შუალედში. რა თქმა უნდა, ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სიკვდილს არ მოჰყვება რღვევა ან სასიცოცხლო ორგანოების ანატომიური დაზიანება.

აი, მაგალითად, სისხლის დაცლით კლინიკურ სიკვდილამდე მიყვანილი კატის გაცოცხლების ერთ-ერთი ცდის შედეგი. ცდა ჩაატარა ი. ნ. იანვაროვამ ლენინგრადის უნივერსიტეტის ფიზიოლოგიის კათედრის თანატოლოგიურ კაბინეტში[1] (იხ. სურათი 179-ე გვ.).

ცდის ჩატარებამდე კატის ორგანიზმში შეყვანილ იქნა სისხლის შედედების საწინააღმდეგო ნივთიერება — ჰეპარინი. ცხოველი მსუბუქი ეთერქლოროფორმული ნარკოზის ქვეშ იმყოფებოდა; სუნთქვა ნორმალური ჰქონდა, სისხლის წნევა ვერცხლისწყლის სვეტის 160 მილიმეტრი (იხ. ნახ. ა.). 11 საათსა და 25 წუთზე დაიწყეს სისხლის გამოშვება გადაჭრილი არტერიიდან. სისხლის წნევა, რითაც გულის მოქმედების შემოწმება ხდება, 2-3 წუთის შემდეგ ვერცხლისწყლის სვეტის 3-4 მილიმეტრამდე დაეცა. გული გაჩერდა, თვალის გუგის რეფლექსი გაქრა, სუნთქვა დროგამოშვებით წყდებოდა; შემდეგ გაისმა უკანასკნელი სულთმობრძავი ამოსუნთქვები და 11 საათსა 32 წუთსა და 30 წამზე (სისხლის გამოშვების შვიდნახევარი წუთის შემდეგ) კლინიკური სიკვდილი დადგა. 11 საათსა, 37 წუთსა და 30 წამზე (კლინიკური სიკვდილის დადგომიდან 5 წუთის შემდეგ) დაიწყეს გასაცოცხლებელი ღონისძიებების ჩატარება. არტერიაში ცენტროპეტალური მიმართულებით (ანდრეევის მიხედვით) იჭირხნება გამთბარი და ჟანგბადით ნაჯერი სისხლი, რომელიც ცდის დაწყებისას იმავე კატისაგან გამოუშვეს; ერთდროულად აწარმოებენ ხელოვნურ სუნთქვაა სპეციალური აპარატის საშუალებით, აგრეთვე შეჰყავთ გულის მუშაობის სტიმულატორი — ადრენალინი.

---

[1] იხ. ი. ნ. ი ა ნ ვ ა რ ო ვ ა. მოგრძო ტვინისა და დიდი ნახევარსფეროების ელექტრული აქტივობის ცვლილებები ცხოველების კვდომის, კლინიკური სიკვდილისა და გაცოცხლების პერიოდში. „ვესტნიკ ლ გ უ". ბიოლოგიურ მეცნიერებათა სერია, № 9, გამ. 2, 1959, გვ. 87.



ა. კატის სისხლიდან დაცლით გამოწვეული სიკვდილი. ზევით — სუნთქვითი მოძრაობის ჩანაწერი, ქვევით — ჩანაწერები სისხლის წნევის შესახებ; კიდევ უფრო ქვევით — დროის აღნიშვნა (წუთის მეხუთედი ნაწილი). ბ. კლინიკური სიკვდილის პერიოდი და გაცოცხლების დასაწყისი. გ. გაცოცხლების შემდეგი მსვლელობა. დამოუკიდებელ სასუნთქ მოძრაობათა დაწყება.

როგორც ნახატიდან ჩანს, სისხლის წნევამ მაშინვე დაიწყო აწევა და წუთნახევრის შემდეგ უკვე თავდაპირველ დონეს მიაღწია. უკვე 30 — 40 წამის შემდეგ პირველად გულმა განაახლა თავისი მუშაობა. ამ დროს დამოუკიდებელი სუნთქვა ჯერ კიდევ არ არის. მხოლოდ 14 წუთის შემდეგ განუწყვეტელი ხელოვნური სუნთქვის ფონზე შესამჩნევი ხდება იშვიათი აგონიური ტიპის შესუნთქვები. მათ გაჩენასთან ერთად გაცოცხლების პროცესი უფრო სწრაფად მიმდინარეობს, აღდგა თვალები—გუგისა და რქოვანას რეფლექსები და შემდეგ მწყობრში დგება ზურგის ტვინის დაცვითი რეფლექსები (თათებზე ჩქმეტის სპასუხოდ). ცენტრალური ნერვული სისტემა თანდათანობით აღადგენს თავის მუშაობას.

181 გვერდზე წარმოდგენილია იმავე საცდელი კატის ფოტოსურათები: ცდამდე (ა); კლინიკური სიკვდილიდან, რომელიც ხუთ წუთს გრძელდებოდა, საათნახევრის შემდეგ (ბ); გაცოცხლებიდან ერთი დღის შემდეგ (გ); გაცოცხლებიდან მეხუთე დღეს (დ) — ცხოველი სავსებით გამოკეთდა გადატანილი კლინიკური სიკვდილის შემდეგ.

ნახატების მომდევნო სერია გვიჩვენებს, თუ რა ხდება კატის დიდი ნახევარსფეროების ქერქში სისხლის დაკარგვით გამოწვეული სიკვდილის დროს (ა), კლინიკური სიკვდილის პერიოდში (ბ) და გაცოცხლების შემდეგ პირველ ხანს (გ). ამ ცდებში თავის ქალის ამა თუ იმ უბანზე (მოცემულ შემთხვევაში იგი ქერქის მოძრაობით ზონას შეესაბამება) წინასწარ ამაგრებენ ფოლადის ელექტროდს, რომელიც თავისი ნებისმიერი წვეტით ტვინის ზედაპირს ეხება, მეორე ელექტროდს ცდის დაწყებამდე ცხოველის ყურზე ამაგრებენ. ქერქის შემხები ელექტროდი გამაძლიერებლის საშუალებით კათოდის ოსცილოგრაფს თავის ტვინის ქერქის ელექტრულ პოტენციალებს გადასცემს. ამგვარად, ხელსაწყოს ფოტოლენტზე ადრე უკვე მოხსენიებული ელექტროენცეფალოგრამა (შემოკლებით EEG) აღიბეჭდება.

ნახატზე (ა) მ ო ნ ა კ ვ ე თ ი თ ა წარმოდგენილია კატის EEG სისხლის გამოშვებამდე; ცხოველი მსუბუქი ნარკოზის ქვეშ იმყოფება; სისხლის წნევა — ვერცხლისწყლის სვეტის 140 მილიმეტრამდე; EEG-ს ნორმალური შეხედულება აქვს. მ ო ნ ა-

კ ვ ე თ ი ბ ჩაწერილია სისხლის გამოშვების 15 წამის შემდეგ: შესამჩნევია ელექტრული პოტენციალის რხევის გაძლიერება და გახშირება, რაც ქერქის მუშაობის დროებით აღმავლობაზე,



კატის კლინიკური სიკვდილი და კვლავ გაცოცხლება ანდრეევ-ნეგოვსკის მეთოდით.

განმარტება ტექსტში.

მის ეკზალტაციაზე მეტყველებს; მ ო ნ ა კ ვ ე თ ი გ ჩაწერილი 1 საათისა და 45 წუთის შემდეგ, იგი ქერქის უკვე დათრგუნვაზე მიუთითებს; რხევის რიტმი შენელებულია, ჩნდება ძლიერ იშვიათი რხევები, რომლებიც დათრგუნვის უტყუარ ნიშნად ითვლება. სისხლის წნევა უკვე დაეცა ვერცხლისწყლის სვეტის 4 მილიმეტრამდე, თვალის რეფლექსები გაქრა; მ ო ნ ა კ ვ ე თ ი დ ჩაწერილია 4 წუთისა და 39 წამის შემდეგ: პოტენციალის რხევები ხანგამოშვებით შენელებას იწყებენ, სუნთქვა დროდადრო წყდება, იწყება აგონია. მ ო ნ ა კ ვ ე თ ი ე ჩაწერილია 7 წუთისა და 37 წამის შემდეგ: ხანგრძლივი პაუზებით გამოყოფილი პოტენციალის რხევები ცალკეული შეტევების ხასიათს



ეტის ელექტროენცეფალოგრამა სისხლის დაკარგვით გამოწვეული კვდომის პერიოდში (ა), კლინიკური სიკვდილის დროს (ბ), დიდი ნახევარსფეროვნის ქერქის მოქმედების აღდგენის მსვლელობისა და გაცოცხლების პერიოდში (გ). დრო აღინიშნება წამებით. 50 მიკროვოლტი ბიოპოტენციალის რხევის მასშტაბია. განმარტება ტექსტში.

ილებენ. ასეთივე გამოხატულება აქვთ სასუნთქ მოძრაობებსაც. აგონია თავის უმაღლეს წერტილს აღწევს, კიდევ რამდენიმე უკანასკნელი შესუნთქვა და კლინიკური სიკვდილი დგება.

შემდეგ ნახატზე (ბ) შესაძლებლობა გვეძლევა დავინახოთ ტვინის ქერქის პოტენციალის ოდნავ შესამჩნევი რხევების თანდათანობითი გაქრობის პროცესი (მ ო ნ ა კ ვ ე თ ი ა და ბ).

ბოლო სურათი (გ) წარმოადგენს გასაცოცხლებელი ღონისძიების განხორციელების სხვადასხვა დროის ელექტროენცეფალოგრამებს. უკვე 30—35 წამის შემდეგ გული ნელა ამუშავდა. ეს ჩანს 1 წუთისა და 22 წამის შემდეგ ჩაწერილ ზედა ა მ ო ნ ა კ ვ ე თ ზ ე, უფრო ნათლად კი 2 წუთსა და 13 წამის შემდეგ ჩაწერილ მომდევნო ბ მ ო ნ ა კ ვ ე თ ზ ე, რომელიც რეგისტრირებულია პოტენციალის რიტმული რხევებით, მაგრამ მათი რიტმი გულის შეკუმშვათა რიტმს ემთხვევა. ეს ჯერ კიდევ საკუთრივ თავის ტვინის პოტენციალის რხევები კი არ არის, არამედ ქერქის ზედაპირიდან დაჭერილი ახლად ამუშავებული გულის მოქმედების დენია. მხოლოდ 13 წუთისა და 14 წამის შემდეგ (გ მ ო ნ ა კ ვ ე თ ზ ე) გაჩნდა თვით ტვინის ჯერ კიდევ სუსტად გამოხატული პოტენციალის რხევები. ამ დროისათვის განახლდა აგონალური ტიპის იშვიათი სასუნთქი მოძრაობები; 26 წუთისა და 9 წამის შემდეგ ჩაწერილ დ მ ო ნ ა კ ვ ე თ ზ ე ჩვენ ვხედავთ ტვინის პოტენციალების უკვე განუწყვეტელ რხევათა რიგს. აღსდგა თათის ჩქმეტით გამოწვეული თვალისა და ზურგის ტვინის რეფლექსები. 33 წუთისა და 20 წამის შემდეგ ჩაწერილ დ მ ო ნ ა კ ვ ე თ ზ ე პოტენციალის რხევები კიდევ უფრო გაძლიერებულია საწყის დონესთან შედარებით, რაც აღდგენილი ტვინის ქერქის რამდენიმე ეკზალტირებულ მდგომარეობაზე მეტყველებს. სისხლის წნევა ვერცხლისწყლის სვეტის 115 მილიმეტრამდეა. დამოუკიდებელი სასუნთქი მოძრაობები — 17 ერთ წუთში. კატა იცოცხლებს!

სიკვდილზე მეცნიერთა ამ გამარჯვებას დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. მისი თეორიული მნიშვნელობა შემდეგში მდგომარეობს: თუ უმოქმედო ტვინი შეიძლება დაუბრუნდეს თავის ცხოველმოქმედებას სისხლის ან მარილების შემცველი ხსნარის გამოყენებით, მაშინ თვით ფაქტი უარყოფს არამეცნიერულ, მეტაფიზიკურ მოძღვრებას

იმის შესახებ, რომ ტვინისა და მთელი ორგანიზმის ცხოველმოქმედება რაღაც შეუცნობელი „სასიცოცხლო ძალით“ არის გაპირობებული. შემდეგ, თუ ფსიქიკის ორგანო თავის მუშაობას გულისა და სუნთქვის გაჩერებისთანავე წყვეტს, ეს იმას ნიშნავს, რომ ტვინის მოქმედებასთან დაკავშირებულ სულს, ანუ ადამიანის ფსიქიკურ ცხოვრებას, არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია სხეულის სიკვდილის შემდეგ იარსებოს. პირიქით, დამტკიცდა სხეულის დროებითი ცხოველმოქმედების შესაძლებლობა, ტვინის მთლიანად გამორთვის (ტვინი უკვე მკვდარი იყო) შემთხვევაშიც. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დამტკიცებულია სხეულის დამოუკიდებელი არსებობის შესაძლებლობა სულიერი მოქმედების სრული შეწყვეტის პირობებშიც.

მაგალითად, თუ სისხლის ან მაცოცხლებელი ხსნარის შეშვება სხეულის ძარღვებში მოგვიანებით, კლინიკური სიკვდილის 10—15 წუთის შემდეგ იწყებოდა, სუნთქვა და გულის მუშაობა მაინც იწყებდა აღდგენას, მაგრამ თავის ტვინი კი უკვე ვეღარ აღადგენდა თავის ფუნქციებს. ცხოველი თითქოს ღრმა გულწასულ მდგომარეობას, სხეულის კუნთების შეუწყვეტელ დაძაბულობას ინარჩუნებდა და ცდის დაწყებიდან 10—20 საათის შემდეგ საბოლოოდ იღუპებოდა.

ამგვარი გამოკვლევების პრაქტიკული მნიშვნელობა დამტკიცდა სამამულო ომის მძიმე წლებში. 50-ზე მეტ შემთხვევაში პროფ. ვ. ა. ნეგოვსკიმ და მისმა თანამშრომლებმა შეძლეს გაეცოცხლებინათ დაჭრილი მეომრები, რომლებიც ტრამვული შოკით ან სისხლის დაკარგვით იღუპებოდნენ. მართალია, ზოგიერთი მათგანი ხელოვნური გაცოცხლებიდან რამდენიმე საათის ან დღის შემდეგ მაინც მოკვდა, მნიშვნელოვანი სასიცოცხლო ორგანოების ისეთი დაზიანებების გამო, რომელთა თავიდან აცილება შეუძლებელი იყო, მაგრამ დანარჩენები კი პირდაპირ სიკვდილს გამოჰგლიჯეს ხელიდან, აი, ერთ-ერთი მაგალითი ამ შესანიშნავი შემთხვევებიდან:

მებრძოლი ჩ-ვი ფრონტისპირა ჰოსპიტალში მოიყვანეს მარჯვენა თეძოში დაჭრიდან 2 საათის შემდეგ. ოპერაციის დამთავრებიდან რამდენიმე წუთის შემდეგ ქირურგმა დაადგინა, სიკვდილი გამოწვეულია სისხლის მწვავე დაკარგვისა და შოკის შედეგად. მებრძოლის მაჯა არ ისინჯებოდა, გულმა

შეწყვიტა მუშაობა, სუნთქვა გაქრა, გუგები მაქსიმალურად გაგანივრდნენ, გაუჩინარდა ყველა რეფლექსი, სხეულის კუნთები მთლიანად მოდუნდნენ, დადგა კლინიკური სიკვდილი.

სამწუთნახევრის შემდეგ პროფ. ნეგოვსკიმ გამოიყენა თავისი მეთოდი ვენასა და არტერიაში სისხლის დაჭირხნა ხელოვნური სუნთქვის თანხლებით. უკვე 1 წუთის შემდეგ განახლდა გულის მუშაობა, სამი წუთის შემდეგ დამოუკიდებელი სუნთქვა გაისმა, 22 წუთის შემდეგ თავის ტვინმა დაიწყო გაცოცხლება—გამოჩნდა თვალის რეფლექსები, ხოლო 60 წუთის შემდეგ ცნობიერების აღდგენის პირველი ნიშნები გამოჩნდა. 24 საათის შემდეგ მკვდრეთით აღმდგარს კითხვა შეეძლო და შემდგომში საბოლოოდ გამოჯანმრთელდა.

საღი სისხლით პერფუზიის მეთოდი შეიძლება სიკვდილის სხვა შემთხვევაშიც გამოვიყენოთ: დამხრჩვალთა, დამხუთრულთა, ელექტროდენით დაღუპულთა მიმართ, თუმცა როგორც მოსალოდნელი იყო, სისხლის მოძრაობისა და სუნთქვის შეწყვეტისას ადამიანის თავის ტვინი ძაღლის თავის ტვინზე უფრო მგრძნობიარე აღმოჩნდა[1].

გარდამავალი მდგომარეობის პერიოდი — პარაბიოზი — ადამიანის ფსიქიკური ორგანოსათვის 5 — 6 წუთი გრძელდება. ამ ხნის განმავლობაში თავის ტვინის ქერქის ცხოველმოქმედება და, აქედან გამომდინარე, ფსიქიკური მოქმედება, ჯერ კიდევ შესაძლებელია აღსდგეს. ამ კრიტიკული ვადის გავლის შემდეგ ადამიანის ტვინი, ფსიქიკა და ცნობიერება სამუდამოდ იღუპება. ასეთია ბუნების გარდაუვალი კანონი. ყველა გონიერი ადამიანი უნდა მიხვდეს ამას და ერთხელ და სამუდამოდ გამოეთხოვოს სიკვდილისშემდგომ არსებობის ყოველგვარ ილუზიას.

გავიხსენოთ პოეტის სიტყვები, აღსავსენი ადამიანური ღირ-

---

1 დაწვრილებით ამის შესახებ იხ. წიგნი — ვ. მ. ნ ე გ ო ვ ს კ ი. აგონიისა და კლინიკური სიკვდილის პათოფიზიოლოგია და თერაპია. მოსკოვი. მედგიზი, 1954. სულ ახლახან პროფ. ნეგოვსკიმ დაადგინა, რომ პიპოთერმიის, ანუ გამოსაცდელი ძაღლის სხეულის თანდათანობით გაცივებისას — 16 — 29°-მდე, შესაძლებელი ხდება კლინიკური სიკვდილის ვადის საგრძნობლად გახანგრძლივება შემდეგი გაცოცხლებით (60 და მეტ წუთამდე).

სების შეგნებით: „მე ვიყავ, მე ვარ, — მარადისობა მე არ მწადია".

ასევე არ უნდა დავივიწყოთ „მეცნიერული" ცრუმორწმუნეობის წინააღმდეგ მებრძოლი დ. ი. მენდელეევის ბრძნული ანდერძიც. იგი ამბობდა, რომ იდეალიზმისა და მისტიკის დასამარცხებლად აუცილებელია ყველა იმ ნერვულ-ფსიქიკური მოვლენის მოთმინებით და, ამავე დროს, გაბედულად შესწავლა, რომელიც რელიგიურ რწმენასა და ყოველგვარ ცრურწმენას წარმოშობენ. „ეს მოვლენები, — წერდა მენდელეევი, — არ უნდა უგულებელვყოთ, საჭიროა მათი ზუსტი განხილვა, ანუ იმის გაგება, თუ რა მიეკუთვნება მათში ყველასათვის ცნობილ ბუნებრივ მოვლენებს, რა უნდა მივიჩნიოთ გამონაგონად და ჰალუცინაციებად, რა უნდა მიეკუთვნოს სამარცხვინო მოტყუებათა რიცხვს, და ბოლოს, ხომ არ მიეწერება დღესდღეობით აუხსნელი რაიმე მოვლენა ბუნების ჯერ კიდევ უცნობი რაიმე კანონის მოქმედებას. მოვლენები ასეთი განხილვის შემდეგ დაკარგავენ იდუმალების შარავანდედით გამოწვეულ მიმზიდველობას და მისტიციზმისათვის ადგილი აღარ დარჩება..."[1].

სწორედ წინარწმენისა და აპრიორული უარყოფისგან დამზღვევი და, ამავე დროს, ფხიზელი წინდახედულობისა და მკაცრი კრიტიკისაკენ მომწოდებელი ბრძნული სიტყვებით იხელმძღვანელა ავტორმა ამ წიგნის დაწერისას.

---

[1] პეტერბურგის უნივერსიტეტთან არსებული ფიზიკის საზოგადოებისათვის წარდგენილი მენდელეევის „წინადადებიდან". მედიუმური მოვლენების განსახილველად კომისიის დაარსების შესახებ (1875 წლის 6 მაისს). (იხ. დ. ი. მენდელეევი. მასალები სპირიტიზმზე მსჯელობისათვის. გვ. 3).

სარჩევი

I. ფსიქიკის იდუმალი მოვლენები, როგორც ცრუმორწმუნეობათა წყარო 3
II. ძილი და სიზმარი 9
III. ჰიპნოზი და შთაგონება 31
IV. შთაგონება და თვითშთაგონება სიფხიზლის დროს 77
V. ავტომატური მოძრაობა 93
VI. არსებობს თუ არა „ტვინის რადიო“? 111
VII. რა შეიძლება ითქვას „არაგრძნობადი აღქმის“ შესახებ? 138
VIII. შეიძლება თუ არა კუნთის ძალის გადაცემა მანძილზე? . 153
IX. სიკვდილი და მასთან დაკავშირებული ცრურწმენები . . 16[illegible]